

ტ

ყ

მედიცინა,
მე.
მე



ზ

ფ



„მნიშვნელოვანი“ მოგვითხრობს
წიგნის მოყვარულთა საზოგადოების
ორგანიზაციებისა და აქტივისტების
საქმიანობაზე,
წიგნებსა და წიგნის შემქმნელებზე,
ბიბლიოთეკებსა და
ბიბლიოფილებზე,
ძიებებზე წიგნის სამყაროში,
ძველ წიგნებზე,
საზღვარგარეთის ქვეყნების
წიგნის მოყვარულთა ცხოვრებაზე.

ეჭიფნოვსკი

84

ნაწილი პირველი



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1986

002
76.11
002
8 976



მთავარი რედაქტორი
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო საბჭო:

დავით კაკაბაძე
ჭიჭიკო კოლონია
ელენე მაჭავარიანი
ოთარ მეოტიშვილი
გივი შიქაძე
მიხეილ მშვიდლობაძე
ლილი ნუსუბიძე
ედუარდ სინარულიძე
პელო დელეყვა (პასუხისმგებელი მდივანი)
ცისანა ღლონტი
სოლომონ ხუციშვილი
ვახტანგ ჯავახაძე

მხატვარი
სპარტაკ ცინცაძე

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების III ყრილობას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიესალმება წიგნის მოყვარულთა რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოების მესამე ყრილობის დელეგატებს, რესპუბლიკის ყველა წიგნისმოყვარულს, რომლებიც თავიანთ ენერგიას და ენთუზიაზმს ახმარენ წიგნის პროპაგანდის კეთილშობილურ საქმეს, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში მის აქტიურ გამოყენებას.

როგორც მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, წიგნის მოყვარულთა რესპუბლიკური საზოგადოება უკვე ათი წელია მჭიდრო კონტაქტით მუშაობს სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციებთან, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და შემოქმედებით კავშირებთან. ამასთან ხელს უწყობს პოლიტიკური, მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის გავრცელებას, კითხვის სიყვარულის დანერგვას, კითხვის გემოვნების ჩამოყალიბებას, კითხვის კულტურის ამაღლებას.

საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების საქმიანობაში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს საზოგადოებრივი და პირადი ბიბლიოთეკების ფონდების ეფექტიანი გამოყენების, ახალი წიგნების პოპულარიზაციის, წიგნის გაცვლის, მკითხველთა სწორი ორიენტაციის, მათი მოთხოვნილებებისა და ინტერესების შესწავლის პროცესში მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმის საკითხები.

საზოგადოების ორგანიზაციები ოპერატიულად ეხმიანებიან ღირსშესანიშნავ თარიღებსა და მოვლენებს, ახორციელებენ მიზნობრივ ღონისძიებებს, მონაწილეობენ მწერალთა იუბილეების, თემატიკური საღამოების, მკითხველთა კონფერენციების მოწყობაში.

შესამჩნევად იზრდება რესპუბლიკაში წიგნის მოყვარულთა საზოგადოების შემადგენლობა, რომელშიც ამჟამად გაერთიანებულია 9 ათასამდე პირველადი ორგანიზაცია ნწმ ათასი ინდივიდუალური



წევრით, 3300-ზე მეტი დაწესებულება და საწარმო მისი კოლექტიური წევრია. საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის მიერ შექმნილი მუშაობის გამოცდილება სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე ორჯერ მოიწონა წიგნის მოყვარულთა საკავშირო საზოგადოების ცენტრალურმა გამგეობამ.

წიგნის როლი და მნიშვნელობა მასების კომუნისტურ აღზრდაში, სახალხო-სამეურნეო და სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში, მეცნიერების, კულტურის, განათლების განვითარებაში სულ უფრო მეტად იზრდება. სკკპ XXVI ყრილობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე აღინიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო განვითარდეს წიგნის საქმე, უფრო სრულად დაკმაყოფილდეს საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი წიგნზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალებში მოცემულია ჩვენს ქვეყანაში წიგნის გამოცემის საქმის შემდგომი სრულყოფის პროგრამა. ამასთან დაკავშირებით წიგნის პროპაგანდა, წიგნადი ფონდების ეფექტიანი და მიზანმიმართული გამოყენება, მკითხველთა ინტერესების ფორმირება, მოზარდი თაობისათვის წიგნის სიყვარულის, მასზე მუშაობის უნარის ჩანერგვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხად უნდა მივიჩნიოთ.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ორგანიზაციებმა კვლავაც ნიადაგ უნდა სრულყოფილ პროპაგანდისტული მუშაობა და ამ საქმეში ჩააბან ყველა კატეგორიის მოსახლეობა, მეტი ყურადღება დაუთმონ საზოგადოების ღონისძიებებში შრომითი კოლექტივების მონაწილეობას, ამასთან გაითვალისწინონ მშრომელთა პროფესიული ინტერესები, განავითარონ ახალმშენებლობათა, სამრეწველო საწარმოებისა და სოფლების ბიბლიოთეკებისადმი საშეფო დახმარება, იღვაწონ იმისათვის, რომ მოსწავლე და მუშა ახალგაზრდობა ფართოდ იყოს ჩაბმული კითხვის კულტურის ჩანერგვისა და ბიბლიოგრაფიული ცოდნის გავრცელების საქმეში.

რესპუბლიკური გამგეობისა და მისი ქვედანაყოფების უფრო აქტიურ საქმიანობას ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოების დამფუძნებელმა ორგანიზაციებმა — პროფსაბჭომ და ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, კულტურისა და განათლების სამინისტროებმა, გამსახკომმა, ცეკავშირმა, საქართველოს მწერალთა კავშირმა, აგრეთვე საქალაქო და რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ჩავუნერგოთ მშრომელებს წიგნის სიყვარული, სათუთი დამოკიდებულება ადამიანის გენიის ამ დიადი ქმნილებისადმი, გამოვი-



ჩინოთ ცხოველი ინტერესი, რათა წიგნი მუდამ პოულობდეს მკითხველს, აქტიურად ეხმარებოდეს კომუნისტური აღმშენებლობის საქმეს — ეს ყველას და თითოეულის საქმეა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიესალმება წიგნის მოყვარულთა რესპუბლიკური საზოგადოების მესამე ყრილობას და მის დელეგატებს უსურვებს წარმატებით მუშაობას, გამოთქვამს რწმენას, რომ საქართველოს წიგნის მოყვარულები თავიანთ წვლილს შეიტანენ წიგნის საშუალებით რესპუბლიკის მშრომელთა აღზრდაში კომუნიზმის იდეალებისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საპარტიულს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ახს. ბ. ენუქიძის სიტყვა

წიგნის მოყვარულთა საზოგადოება, რომელსაც წელს ათი წელი უსრულდება, დიდ და კეთილშობილურ საქმეს ემსახურება, თავისი საქმიანობით აქტიურად უწყობს ხელს ჩვენი რესპუბლიკის წინსვლას, მის აღმშენებლობას. საანგარიშო მოხსენებაში კვალიფიციურად იყო განხილული მთელი საზოგადოების საქმიანობა, ჩამოყალიბებული მისი მომავალი მიზნები და ამოცანები.

დღეს ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მიღება სურდა ამხ. ე. ა. შევარდნაძეს, მაგრამ სხვადასხვა გადაუდებელი საქმეების გამო მან ეს ვერ შეძლო. მთხოვა ყრილობის დელეგატებისათვის გადმოემცა მისი საუკეთესო სურვილები თქვენს საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

საკვ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მაღალი შეფასება მიეცა წიგნის მოყვარულთა საზოგადოების მუშაობას და აღინიშნა, რომ ეს არის ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი, რომელსაც მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის კომპლექსში თავისი ადგილი უკავია, თავისი ამოცანები აქვს და ეხმარება პარტიას, საბჭოთა მთავრობას მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

ჩვენს ქვეყანაში მრავალი საზოგადოება არსებობს, მათ შორის წიგნის მოყვარულთა საზოგადოება ყველაზე უფრო დიდი და კეთილშობილური მიზნებით ხელმძღვანელობს. ამ მხრივ მას ვერავინ ვერ შეედრება.

აქ ბევრი რამ ითქვა წიგნის სიღიადგზე. ცხადია, ჩვენ ყველა ვიზიარებთ ამას და წარმოდგენილი გვაქვს, თუ რა არის წიგნი ადამიანისათვის, რა როლს ასრულებს იგი მის შრომასა და ცხოვრებაში. კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟიდან, პირველი ანბანის გა-



ჩენიდანვე შეიყვარა წიგნი ადამიანმა. წიგნი თანდათანობით მეტი პოპულარობით სარგებლობს იმათ შორის, ვისაც უყვარს საზოგადოება, სამშობლო ქვეყანა, ვინც იცის მშვიდობიანი ცხოვრების ყადრი და ფასი, ვინც ხელმძღვანელობს კეთილშობილური მიზნებით; მუშაობს, იღვწის ერის, ხალხის, კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

საზოგადოების წინაშე მართლაც დიდი ამოცანები დგას. ამიტომ აუცილებელია, რომ თქვენი მიზანმიმართული მუშაობა განსხვავებული იყოს სხვა საზოგადოებების მუშაობის ფორმებისაგან. ამით იმის თქმა როდი მინდა, თითქოს თქვენს საზოგადოებას არ ჰქონდეს საკუთარი სახე. არა, ის დიდ და შრომატევად სამუშაოს ასრულებს; მისი წვლილიც არის იმაში, რომ დღეს ჩვენში წიგნს ასეთი ავტორიტეტი აქვს. საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ საზოგადოებამ თავისი მუშაობა მიუსადაგოს მთელ ჩვენს იდეოლოგიურ საქმიანობას, გამოკვეთოს თავისი სახე და როლი. ამ მხრივ პარტია ჩვენ დიდ ამოცანებს გვისახავს. საჭიროა წიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ თავისი ადგილი მონახოს ამ ამოცანათა გადაჭრისათვის გაშლილ ბრძოლაში.

ჩვენს რესპუბლიკას ბოლო წლებში დიდი მიღწევები აქვს ეკონომიკის, სახალხო მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების დარგში, და ჩვენ ეს სამართლიანად გვეამაყება კიდევ. დღეს აქ არიან ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები. ისინი დამეთანხმებიან თუ ვიტყვი, რომ ჩვენმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ ჯერ არნახული, დამსასურებელი აღიარება მოიპოვა უკანასკნელი წლების მანძილზე, ეს განაპირობა იმ ატმოსფერომ, რომელიც დამკვიდრდა ჩვენს რესპუბლიკაში, და იმ საქმიანმა დამოკიდებულებამ ყველა პრობლემისადმი, რომლებიც ჩვენი საზოგადოების წინაშე დგას. როცა ლაპარაკია წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ამოცანებზე და მისი საქმიანობის იდეოლოგიურ მუშაობასთან მისადაგებაზე, იგულისხმება ფართო ეკონომიკური ექსპერიმენტები, რაც ახლა რესპუბლიკაში ტარდება. თბილისის ბევრ საწარმოში, რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მიმდინარეობს ექსპერიმენტები, რომელთა ერთადერთი მიზანია მეტი პროდუქცია მისცეს სამშობლოს, კიდევ უფრო აამაღლოს ჩვენი მშრომელების ცხოვრების დონე.

ხშირად გამოვდიოდი აბაშის ექსპერიმენტის ერთ-ერთ პროპაგანდისტად. აბაშაში ყოველი ჩასვლისას დიდ ცვლილებას ვხედავ.



ვინც იცის, როგორი იყო აბაშა და როგორია დღეს, ცხადია, ამჟამად შეიგრძნობს ექსპერიმენტის უდიდეს სასარგებლო ძალას. ნანეთ, როგორ ცხოვრობს დღეს ეს გლეხკაცი. ახლა სწორედ ეს აბაშელი გლეხია ყველაზე დიდი და ქმედითი პროპაგანდისტი იმ ექსპერიმენტისა, რომელიც აბაშაში ტარდება. აბაშაზე დაიწერა კონსტანტინე ლორთქიფანიძის შესანიშნავი წიგნი, ფოთზე იქმნება კარგი ნაწარმოები. ბევრი ნარკვევი იბეჭდება „მნათობში“, „ცისკარში“, „ლიტერატურულ საქართველოში“, პარტიულ და კომკავშირულ პრესაში. მათ წიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ უნდა გაუწიოს პროპაგანდა. ცნობილია, რომ მხატვრულ სიტყვას გაცილებით უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ, ან თუნდაც ღრმა მეცნიერულ ნაშრომს, იმიტომ, რომ მხატვრული სიტყვის ემოციური ზემოქმედება უფრო ძლიერია, ამიტომაც შესაფერისი მხატვრული ლიტერატურის შერჩევა და მისი მიტანა ფართო მკითხველ საზოგადოებამდე ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი და მთავარი პირობაა.

აღბათ, საზოგადოებამ თავის ძირითად და მთავარ მიზნად უნდა დაისახოს, დაეხმაროს პარტიას, რათა ჩვენს რესპუბლიკაში ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრას ის არაჯანსაღი მოვლენები, რომლებიც ხელს გვიშლის მუშაობასა და ცხოვრებაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არ არსებობს მხატვრული ნაწარმოები, რომელიც მეტ-ნაკლებად არ გამოხატავდეს ისეთ მოვლენებთან ბრძოლას, როგორიცაა მომხვეჭელობა, მექრთამეობა, კარიერიზმი და სხვ. ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნები, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა მართლაც ღრმად, რეალისტურად უნდა აისახოს ჩვენს ლიტერატურაში. ასეთ ასახვას ზემოქმედების დიდი ძალა აქვს. გამოვიყენოთ ეს ძალა, დავეხმაროთ პარტიას, რომ ყველგან, ყველა ორგანიზაციაში დამყარდეს ჯანსაღი მორალური ატმოსფერო. აქ ბევრის გაკეთება მართებს თქვენს საზოგადოებას, ორგანიზაციებს ადგილებზე. საჭიროა უფრო ფართო პროპაგანდა გავუწიოთ ჩვენი მწერლების, ხელოვნების მუშაკების, მეცნიერების შემოქმედებით შრომას. სამწუხაროდ, საზოგადოების ერთი ნაწილი ვერ იგებს, სათანადოდ ვერ აფასებს იმ მნიშვნელობას, რასაც ჩვენ ვანიჭებთ მხატვრულ სიტყვას, ხელოვნებას, მუსიკას, მხატვრობას. აქაც საჭიროა თქვენი თვალი და ხელი. თქვენ მოსახლეობასთან, მკითხველთან ურთიერთობის დამყარების შესანიშნავი საშუალებები გაქვთ. მათი გამოყენებით შეგიძლიათ გარკვეული განწყობის შექმნა, უშუალო ზემოქმედება მკითხველზე. პირადი ურთიერთობა



ზოგჯერ გაცილებით მეტს იძლევა, გაცილებით უფრო შედეგადაა, ვიდრე კარგად მორგებული, მომზადებული მასობრივი ღონისძიება.

ამჟამად, როგორც ვიცით, მზადდება იდეოლოგიური დარგის მუშაკთა თათბირ-სემინარი, მზადდება ანგარიშიც იმის თაობაზე, თუ რა გააკეთა საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ იენისის პლენუმის შემდეგ და შემდგომში რა მიმართულებით უნდა წარიმართოს მისი საქმიანობა. როცა თავი მოვუყარეთ უკვე გაკეთებულს, როცა ჩატარებული მუშაობის სისტემატიზაცია მოვახდინეთ, ცხადად დავინახეთ, თუ რა დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ეს მუშაობა განისაზღვრება არა ზოგადი, არა საერთო იდეოლოგიური აქციებით, არამედ საგნობრივი, გამიზნული, კონკრეტული მისამართის მუშაობით. კონკრეტული მისამართი კი გულისხმობს იმას, რომ ვიცოდეთ, ვისთან, რა კატეგორიის ხალხთან, რა განათლების ადამიანებთან ვმუშაობთ და ამის მიხედვით უნდა ვაგებდეთ მთელ საქმიანობას. ზოგადი მიდგომით ვერაფერს ვერ მივალწევთ და მხოლოდ და მხოლოდ ჩატარებულ ღონისძიებად ჩაითვლება შემდგომი ორგანოების წინაშე ანგარიშის დროს. დღევანდელი ამოცანების შესრულება კი ფასდება არა ჩატარებული ღონისძიებების, არამედ საბოლოო შედეგების მიხედვით. თქვენს საზოგადოებას ძალიან დიდი როლის შესრულება შეუძლია პროპაგანდისტულ მუშაობაში. თქვენი საზოგადოება უნდა იცნობდეს იმ ლიტერატურას, რომელიც გამოსადეგია პროპაგანდისათვის, უნდა იცოდეს, ვის, რა და როგორ უკარნახოს. ვიცით, რომ ეს მარტო წიგნის მოყვარულთა საზოგადოების მისია არ არის, ჩვენ გვაქვს ბიბლიოთეკების, სკოლების ფართო ქსელი, მაგრამ საზოგადოება უნდა იყოს ერთ-ერთი წარმართველი ძალა ამ მხრივ, რომ შემდგომ ავამაღლოთ ჩვენი პროპაგანდისტული მუშაობის დონე და ხარისხი, დავძლიოთ ჯერ კიდევ შემორჩენილი პრიმიტიულობა და ზედაპირულობა.

რადგან ბიბლიოთეკები ვახსენეთ, უნდა ვთქვათ ისიც, რომ დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ საწარმოებთან არსებულ ბიბლიოთეკებს. წიგნის მოყვარულთა საზოგადოებას შეუძლია ერთგვარი შეფობა გაუწიოს საბიბლიოთეკო საქმიანობას მთელს რესპუბლიკაში.

დღეს ვინ არ იცნობს ჩვენს მწერლობას, ხელოვნებას, მეცნიერებას, ვინ არ იცნობს ირაკლი აბაშიძეს, ნოდარ დუმბაძეს, ილიკო



სუხიშვილს, ნინო რამიშვილს, ვინ არ იცნობს ჩვენს საუკეთესო მომღერლებს, რეჟისორებს, ვინ არ იცნობს რობერტ სტურუას, იცნობენ, მთელი მსოფლიო იცნობს, იცნობენ ნახულით, განცდილით, გააზრებულით, დიდი პატივისცემით არიან გამსჭვალულნი ჩვენი ხელოვნებისადმი, ჩვენი ლიტერატურისადმი, ჩვენი მწერლობისადმი. კონტრპროპაგანდა მარტო ის კი არ არის, რომ პასუხი გავცეთ მოწინააღმდეგეს, კონტრპროპაგანდა საქმიანობის რთული კომპლექსია. სწორედ ამ კომპლექსში უნდა მოძებნოს თავისი ადგილი წიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ.

საზოგადოების მუშაობას განსაკუთრებით ფართო ასპარეზი აქვს ახალგაზრდობის სახით, კარგია, რომ აუდიტორიაში ახალგაზრდობა სჭარბობს. ახალგაზრდობა უდიდესი ძალაა, საზოგადოებამ უნდა შეძლოს მათი საშუალებით იმუშაოს მკითხველთან და ჩვენს საზოგადოებასთან მთლიანად.

სამანდატო კომისიის ანგარიშიდან გავიგეთ, რომ საზოგადოებაში გაერთიანებულია მრავალი აკადემიკოსი, პროფესორი, დოქტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ჩვენი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობის საუკეთესო წარმომადგენლები. ეს დიდი ძალაა. მან უნდა შეძლოს საზოგადოების მუშაობის სწორად წარმართვა. ამ საქმეში საზოგადოების პრეზიდენტის მონაწილეობა უფრო უნდა გააქტიურდეს, გახდეს უფრო კონკრეტული. საჭიროა ძირითადი აქცენტი გადავიტანოთ კოლექტივებზე, პირველად ორგანიზაციებზე, მუშაობა უნდა გავშალოთ იქ, სადაც წყდება საწარმოო და იდეოლოგიური საკითხები.

ჩვენს მუშაობაში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი მოსახლეობის ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული დონე. დღეს არ გამოგვაღვება მუშაობის ის ფორმები, რომლებსაც ვიყენებდით ოციან წლებში. უფრო მეტიც, 10-15 წლის წინათ. დღეს საჭიროა ეს ფორმები გავამდიდროთ, უფრო კონკრეტული და საქმიანი გავხადოთ ისინი. სხვანაირად ვერავითარ ეფექტს ვერ მივაღწევთ.

უნდა ითქვას, ტელევიზია ინფორმაციის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა. სატელევიზიო გადაცემაში მრავალი განათლებული ადამიანიც მონაწილეობს, მაგრამ სატელევიზიო საუბარი არ შეიძლება საერთო განათლების საფუძვლად იქცეს. მოზღვავებული ინფორმაციის გაღრმავება წიგნით უნდა მოხდეს. სხვანაირად საჭირო ეფექტს ვერ მივაღწევთ.

დღევანდელ ყრილობას პარტიული მუშაკებიც ესწრებიან, მათ საყურადღებოდაც უნდა ითქვას, რომ საჭიროა ერთობლივი მუშაობა, საჭიროა მათი დახმარება.

ბოლო ხანებში ჩვენთან კარგი ტრადიცია დამკვიდრდა. დღესაც აქ, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ ამხანაგები მოძმე რესპუბლიკებიდან, მოსკოვიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, მათი სტუმრობა მართო მუშაობის გამოცდილების გაზიარებით არ შემო-მოიფარგლება. ეს კოლევიალობის, ურთიერთპატივისცემის, ერთობის დასტურია. ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის თემა ერთ-ერთი მთავარი თემა უნდა იყოს თქვენი საზოგადოების მუშაობისა.

კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენი რესპუბლიკა მრავალეროვანი რესპუბლიკაა. აქ 80-ზე მეტი ერის და ეროვნების ადამიანი ცხოვრობს. ამ მიმართებითაც საზოგადოების წინაშე დიდი სამუშაო იშლება. ამ საკითხს კარგი გააზრება და სწორი მიმართულების მიცემა სჭირდება. თუ ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ ირაკლი აბაშიძის, ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაზე, რატომ ასევე არ უნდა ვილაპარაკოთ, ვთქვათ ბაგრატ შინკუბას, მარგივეის და იმ ადამიანთა შემოქმედებაზე, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ჩვენს რესპუბლიკას ემსახურებიან და წინ მიჰყავთ თავიანთი ხალხის კულტურა, ლიტერატურა. საჭიროა მათი წიგნების კარგად გააზრებული პროპაგანდა. ჩემთვის ცნობილია, რომ აფხაზეთის საუკეთესო მწერლები ითარგმნა ქართულად და წიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ პროპაგანდა უნდა გაუწიოს მათ. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ბ. შინკუბა ამთავრებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების თარგმნას. ამასაც, ალბათ, დიდი პროპაგანდა სჭირდება, პროპაგანდა უნდა გავუწიოთ ჩვენი ოსი მეგობრების, ჩვენი აზერბაიჯანელი, სომეხი მეგობრების ნაწარმოებებს. ეს არის შეკავშირების, დაძმობილების, სიძლიერის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება და ფორმა.

დიდია მოვალეობა, დიდია ამოცანები, რომელიც წიგნის მოყვარულთა საზოგადოების წინაშე დგას. მე მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ საკითხზე: ჩვენმა პარტიულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ადგილებზე მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობას, მეტი დახმარება გაუწიონ მათ.

ერთ-ერთი მთავარი და მტკივნეული საკითხია საზოგადოების ურთიერთობა გამომცემლობის, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტთან. საჭიროა ამ ურთიერთობის გაღრმავება.

ამასწინათ პარტიული აქტივის დიდი კრება ჩატარდა თბილისში, სადაც ამ კომიტეტის საქმიანობაზე, მის წინაშე მდგომ პრობლემებზე, მის მიზნებზე იყო მსჯელობა. გულისტკივილი გამოითქვა ჩვენი წიგნის გამოცემის ხარისხზე. დაისახა წინსვლის გარკვეული გზები, შედგა ღონისძიების სოლიდური ნუსხა. საკავშირო კომიტეტი მატერიალურ და ტექნიკურ დახმარებას გვპირდება.

ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენს საბავშვო წიგნების გამოცემის საქმე. უკვე მზადდება დოკუმენტი საბავშვო ლიტერატურის გამოცემის გაუმჯობესების თაობაზე.

დასასრულ, მინდა გისურვოთ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, პირადი ბედნიერება და წარმატებანი საზოგადოებრივ საქმიანობაში.

წიგნი
სა
უხმოვეთა



წიგნიც სულიერი არსებაა — უკეთეს სიბრძნისა და
სიყვარულს ემსახურება! უმჯობესი მიზნობარი გზონებ
არც არსებობს დედამიწაზე.

ლევან გოთუა

უზანგი ოგოლაძე

სარკე პარტიული ხალხის სულისა

ქართველი ხალხი დიდი ხანია გულით ატარებს „დედა ენის“ ხელთ-უქმნელ ძეგლს, და ქეშმარიტად ბედნიერი კაცია ელგუჯა ამა-შუქელი, რომელმაც ხორცი შეასხა ქართველი კაცის ამ ოცნებას. იგი „დედაენასთან“ მაღალმა ერისკაცულმა შეგნებამ და მხატვრული შთაგონების დიდმა მადლმა დააძმობილა. ამ მონუმენტის შესახებ ბევრი დაიწერა და, ალბათ, მომავალშიც ბევრი დაიწერება. მაგრამ მისი აღმართვის დღიდან ნათელია არსებითი და გადამწყვეტი: ზეცაში აპრილი ყმაწვილი ცოდნისაკენ, სწავლისაკენ, სინათლისაკენ ჩვენი ხალხის მარადიულ, უბერებელ ღტოლვას გამოხატავს არა ზოგადი სიმბოლური საზომებით, არამედ ხორც-შესხმული ქანდაკური ხატოვნებით.

ეს ყმაწვილი თითქოს მღერის კიდევ— მასწავლეთ წიგნი, მასწავლეთ, მასწავლეთ დედაენაო. სწორედ ესაა შემოქმედის დიდი გამარჯვება.

შეეცქერი „დედა ენის“ ამ ძეგლს, რომელმაც მრავალი ფიქრი აღმიძრა წარსულზე... პირველი შეხვედრა „დედა ენასთან“, მოწაფეობის წლები, შემდეგ ზრუნვა სკოლაზე, „დედა ენაზე“, „დედა ენის“ იუბილეები...

* * *

ჩემი პირველი შეხვედრა „დედა ენასთან“, როგორც მოსწავლისა მასწავლებელთან, 1914 წლის სექტემბერში მოხდა. მანამდე ამ წიგნს, როგორც იტყვიან, სუნთქვას ვატოლებდი, მის სურათებს ვესიყვარულებოდი და თუმცა „დედა ენის“ საანბანო ნაწილში ჩართული პატარა ლექსები და მოთხრობები ვიცოდი, მაგრამ ვიცოდი ზეპირად. თითქმის ერთი წელი, 1915 წლის ზაფხულამდე ვსწავლობდი „დედა ენას“, მაგრამ თუ როგორ ვეუფლებოდი ანბანის ბგერობრივ და გრაფიკულ სამოსელს. ეს არ მახსოვს, ოღონდ



მეხსიერებამ ის კი მკაფიოდ შემომინახა, რომ ჭ, ჯ, ტ, ჰ-ს და ზოგიერთ სხვა ასოს სწორად ვერ ვწერდი, ჭ წელში გაწყვეტილი მომდიოდა, ჯ — გაბრტყელებული, ჰ — სამნიკაბიანი, ნაცვლალ ოთხის, ხოლო ტ-ს თავი უფრო დიდი ჰქონდა, ვიდრე ტანი. იმის გამო, რომ ექვსი წლისაც არ ვიყავი და თანაც წერა-კითხვის სავარჯიშოდ მცირე დრო მქონდა, ჩემი ეს პირველი შეხვედრა „დედა ენასთან“ მოუშუშებელი აღმოჩნდა. ამის შემდეგ კი, გარკვეულ გარემოებათა გამო, მშობლიურ ენას მთელი ორი წელი დავემშვიდობე.

მამა რკინიგზელი იყო და ოცნებობდა სრულფასოვან სახელმწიფო სკოლაში მიმეღო განათლება, რათა უმაღლესი სკოლისაკენ გამეყავა გზა. ეს არ იყო ფუჭი ოცნება, რადგან 1905 წლის რევოლუციის შემდეგ რიგითი რკინიგზელების ცალკეული ოჯახები ამას ახერხებდნენ კიდევ. არჩევანი წილად ხვდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელს — მისი ეზო-გარემო ზედ ეკეროდა რკინიგზელებით დასახლებულ უბანს. „რეალურში“ სწავლება მთლიანად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო ბავშვთა ჩარიცხვა მოსამზადებელ კლასში გამოცდებით ხდებოდა. საგამოცდო პროგრამა საკმაოდ რთული იყო — იგი აჭარბებდა ახლანდელ პირველკლასელის პროგრამას. ჩვეულებრივ, მშობლები თავიანთ ბავშვებს მოსამზადებლად აბარებდნენ გამოცდილ მასწავლებლებს. მამა ამ ტრადიციას არ გაჰყვა და ჩემი საგამოცდოდ „განსწავლა“ ჩვენი კარისავე მეზობელს 13-14 წლის ვიქტორ კუპრაძეს ჩააბარა. ვიქტორმა ეს ნდობა გაამართლა. როგორც ჩანს, არც მე ვყოფილვარ ძაბუნი. გამოცდა ჩავაბარე და ერთი წლის შემდეგ, 1916 წლის სექტემბრიდან ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოსამზადებელი კლასის მოწაფე გავხდი.

რა მეთოდებით და როგორ მასწავლიდა, ამაზე პასუხის გაცემა არ შემიძლია, ოღონდ ის კი მკაფიოდ ჩამრჩა მეხსიერებაში — რა მილხინდა და მიჭირდა. რუსული ტექსტის კითხვას მე ასე თუ ისე ვახერხებდი. არც დიქციისა და მახვილის დაუფლება გამჭირვებია, რაც იმით აიხსნება, რომ ჩვენი ქუჩა რკინიგზელებით იყო დასახლებული — მათ შორის ერთი მესამედი რუსები იყვნენ და ბავშვები რუსულ-ქართულად ვსაუბრობდით. არსებით დაბრკოლებათა გარეშე დავძლიე აგრეთვე არითმეტიკულ მოქმედებათა ნომენკლატურა რუსულ ენაზე. მეტიც, მარტივი არითმეტიკული ამოცანებისა და მაგალითების შედგენა-დაანგარიშებაზე ვარჯიში სიამოვნებას მგვრიდა. მიყვარდა სამ-



დედა ენის ძეგლი თბილისში

კუთხედის, კვადრატის, მართკუთხედის ხაზვა და ნაირ-ნაირად შეფერადება. საათობით შემეძლო მევარჯიშნა ციფრების წერაზე და ჩემს ლიზებულად გამოყვანაზე. მაგრამ ბოლომდე გულნაკლული დავრჩი ერთიანისა და შვიდიანის გრაფიკული გამოსახულებისა და ჩემს თავს ვეკითხებოდი, რატომ არა აქვს მათ მრგვლოვანი სახე? ეს კითხვა ახლაც ხშირად შემახსენებს ხოლმე თავს.

ზეპირწიგნიერი მოსახვევები მშვიდობიანად განვვლე, მაგრამ იმ უმთავრესი, ურთულესი ზღუდეების დაძლევა, რასაც ენის მწიგნობრული დაუფლები სათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვერ მოვახერხე. ვერ მოვახერხე თუნდაც მარტივი მოცულობითა და ზომით შემეწყო ერთმანეთისათვის რუსული ზებირი და წერითი მეტყველება. ეს ჩანდა ყველაფერში და ყველაფრით. თავი ვერ გავართვი არა მარტო მაგარი ნიშნის, **Э**-სა და **Я**-ს წერის წესებს (ეს რუს ბავშვებსაც უჭირდათ), არამედ ალლო ვერ ავუღე **Ы**-სა **Н**-ს გამოყენებას. თუმცა გულმოდგინება და ბეჯითობა, ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა არ მაკლდა, მაგრამ ვერ მივალწი იმას, რომ რუსული წერითი ანბანის გრაფიკული გამოსახულებისთვის მკაფიო და მკვიდრი სახე მიმეცა. გამოცდების წესებით ბავშვებს უნდა წარედგინათ მათ მიერ შევსებული სამი რვეული: ერთი — კარნახის ტექსტებით, მეორე — მარტივ კითხვებზე პასუხებით, მესამე — სახელმძღვანელო წიგნში მოთავსებული პატარა მოთხრობების მოკლე შინაარსის გადმოცემით; ამ ქარგით იყო აგებული გამოცდებიც, ოღონდ გამოცდისას მოთხრობათა მოკლე შინაარსის ზეპირად თხრობით კმაყოფილდებოდნენ.

თუმცა 1915 წლის სექტემბრიდან 1916 წლის აგვისტომდე, გამოცდების ჩაბარებამდე, ამ დავალებათა შესრულებას თავს ვაკლავდი, ვიქტორიც ვვერდში მედგა და მამხნევებდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ სასურველ შედეგს ვერ ვაღწევდი. თითქოს დაკვირვებით ვწერდი რუსულ ასოებსა და სიტყვებს, მაგრამ ჩემდაუნებურად **У**-ს ადგილს ქართული უ დაიჭერდა, **Ы**-ს ადგილს ქართული ჩ. ორ-სამ სტრიქონს რომ რუსული ასოებით დავწერდი, მომდევნო პწკარედებქართული ასოებით აჭრელდებოდა, შევისვენებდი, სულს მოვითქვამდი, მაგრამ იგივე მეორდებოდა. როცა მამა შინ იყო, თვალყურს მადევნებდა, თანაც შენიშვნას მაძლევდა — ტუჩებს ნუ იწიწკნი კბილებით და ენას ნუ იკვნეტო. ტირილისა მრცხვენოდა, მაგრამ თვალს ცრემლი არ შორდებოდა. ხშირად საშინლად ამტკივდებოდა თავი, ალმური მომეკიდებოდა. დედა ლოგინში ჩამაწვენდა, მომეფერებოდა, დამამ-



შვილებდა, ჩამაძინებდა. რომ გამოვიღვიძებდი, ძუძუნაწყვეტი ბავშვივით „დედა ენას“ ჩავიხუტებდი. განსაკუთრებით მამშვილებდებოდა მებაღურის შვილის ზღაპრის დასურათება; მეგონა, რომ ამ სურათების ცქერა არასოდეს მომწყინდებოდა. მას შემდეგ ავერ თითქმის 70 წელი გავიდა და საკვირველი კია, მაგრამ ამ ძუძუნაწყვეტობის უსიამოვნო გრძნობას ახლაც ცხოვლად განვიცდი.

1918-1919 სასწავლო წლიდან სასკოლო სწავლება დაწყებით კლასებში მთლიანად დაეფუძნა ქართულ ენას, დედა ენას. ჩემს თაობას პირველ ხანებში გაუჭირდა ამ მდგომარეობასთან შეგუება, რაც მნიშვნელოვნად გამოწვეული იყო იმით, რომ ცოდნის სხვადასხვა დარგებისათვის ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ ჩამოყალიბებული სასკოლო ტერმინოლოგია. მაგრამ ამ გასაჭირის „ლომის წილი“ მოდიოდა იმაზე, რომ ჩვენ ნორმალური გზითა და სიღრმით არ გვქონდა ათვისებული ფესვები დედა ენისა, ოციანი წლების დასაწყისში გარკვეული წესრიგი შეიტანა ჩვენს სკოლებში ქართული და რუსული ენების სწავლების ურთიერთობის საქმეში. კუთვნილი დამოუკიდებელი დრო და ადგილი დაეთმო ამ ენების სწავლებას მოწინავე დიდაქტიკური პრინციპების საფუძველზე. მკვიდრ ნიადაგზე იქნა დაფუძნებული ლექსიკური მუშაობა, მწყობრი ვარჯიში წერა-კითხვის ჩვევების დაუფლებაზე და სხვ. გამოიცა სათანადო სახელმძღვანელოები და სავარჯიშო კრებულები, მკვიდრად ჩადგა ახალი სკოლის სამსახურში იაკობის „დედა ენა“. მაგრამ უკვე 1923 წლიდან მდგომარეობა გაუარესდა. 1925 წელს „დედა ენა“ მისი ავტორის ინიციალებით „ი. გ.“ გამოქვეყნდა, ხოლო 1926 წელს მთლიანად იქნა იგი ამოღებული ხმარებიდან, რაც შემდეგი გარემოებით იყო გამოწვეული:

ოციანი წლების მეორე ნახევრიდან სასკოლო ცხოვრებაში ფესვი გაიდგა მიმდინარეობებმა, რომლებიც მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების საქმეს ყოველდღიურ ცხოვრებაში საჭირო ვიწროპრაქტიკულ უნარ-ჩვევათა ჩარჩოებით ფარგლავდნენ და წიგნისა და წიგნური ცოდნის განაპირებას ახდენდნენ. სწორედ ამ პერიოდში იქნა შემუშავებული ლოზუნგისებური მოარული დებულება — „კითხვა უწიგნოდ, წერა უკალმოდ“. ასეთ პირობებში კონსტანტინე უშინსკისა და იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობა უარყვეს, საერთოდ საანბანო წიგნები გაუქმდა და წერა-კითხვის სწავლება დაეფუძნა პლაკატებს, რომელთა ხელწერა ერთიანი ზომის ნახატი ასოებით იყო შესრულებული. ბავშვები კითხვას ამ პლაკატების მეშვეობით სწავ-

ლობდნენ და წერის ჩვევებსაც პლაკატების გადმოხატვის გზით ეუფლებოდნენ. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ამ გზამ წერის ჩვევებს შესწავლის დონე იქამდე დააყინა, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელი შეიქნა საგანგებო ზომების განხორციელება. მე სწორედ ოციანი წლების ბოლოს ამ კრიტიკულ მომენტში, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მივედი სკოლაში, როგორც მასწავლებელი და ხელმძღვანელი დაწყებითი სავალდებულო განათლების განხორციელების საქმისა ოკრიბის მხარეში—ამყამინდელ ტყიბულის ზონაში და საკუთარი თვალთ ვიხილე წრეგადასული ნიპილიზმის სავალალო შედეგი. საბედნიეროდ, მალე მოვესწარი „დედა ენის“ აღდგენას და ამ საქმეში გარკვეული მონაწილეობაც მივიღე.

მიუხედავად ანბანის „წიგნურად“ სწავლების აკრძალვისა, „დედა ენას“ მოსახლეობის ფართო ფენებსა და მასწავლებლებში მაინც ღრმად ჰქონდა ფესვები გამჯდარი, რის დასტურად ერთ ასეთ საინტერესო ფაქტს მოგიხსნობთ: რადგან „დედა ენა“ წლების განმავლობაში აღარ ისტამბებოდა და მისი შოვნა ჭირდა, მასწავლებლები „დედა ენის“ ნაბეჭდი ეგზემპლარებიდან ხელნაწერ ასლებს ამზადებდნენ. ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ უფროსი კლასების მოსწავლეები და წიგნიერი მშობლებიც. ოკრიბაში, გელათში, კურსებში, ჭოლევეში, მანდიკონში, ჯვარისაში, ციხია-ბობოთში, ხრესილსა და ბუეთში ათობით მინახავს ასეთი ხელნაწერი „დედა ენა“. ზოგი მათგანი ძალზე მაღალი ოსტატობით იყო შესრულებული და ყოველთვის სანანებლად მაქვს, რატომ არ შევიხანხე ისინი. ამას ისიც დავუმატოთ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ოსმალთაგან მიტაცებულ სამხრეთ საქართველოსა და შორეულ ფერეიდანში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ინტერესი „დედა ენისადმი“. ამ ქვეყნებში ქართული წიგნების შეტანა აკრძალული იყო და არის. „დედა ენა“ კი ვადანაწერი ასლებით ვრცელდებოდა, ოღონდ მათი შესრულების ხარისხი, რაც მე მინახავს, ქართულ თანამოძმეებთან შედარებით გაცილებით დაბალი იყო.

მუშაობა იაკობის „დედა ენის“ აღდგენის, მისი თემატიკისა და ლექსიკური ფონდის შეხამებისათვის ჩვენს ახალ ცხოვრებასთან, წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ საქმიანობაში ჩვენი ენათმეცნიერული ფრონტისა და მისი მესვეურების — აკაკი შანიძისა, არნოლდ ჩიქობავასა, ვარლამ თოფურისა გარდა, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ სწავლული და პრაქტიკოსი პედაგოგები: გიორგი თავიშვილი, დავით ლორთქიფანიძე, ვალერიან რამიშვილი, და-

ვით დონდუა, ვარლამ ძიძიგური, ალექსანდრე გვახარია, ნინო ბოცვაძე, ეკატერინე ბურჯანაძე და სხვანი. ამ წიგნის საბუნებისმეტყველო მასალის განახლებას დიდი ამაგი დასდო ნიკო კეცხოველმა. კერძოდ, მე დავალებული მქონდა განმეახლებინა იაკობის „დედა ენის“ პირველი 13 ასო-ბგერის ლექსიკა და წერითი სავარჯიშო მასალა; ამ ნამუშევარს ახლაც სასიკეთით ვინახავ, როგორც სანუკუვარ სახსოვარს. უკვე 1934 წლიდან ჩვენი სკოლები ღებულობდნენ იაკობის „დედა ენის“ მიხედვით შედგენილ საანბანო წიგნებს. მომდევნო პერიოდში ამ წიგნების ხარისხი როგორც გოგებაშვილისეულ პრინციპებთან მათი შეხამებისა, ასევე მასალის გამრავალფეროვნების თვალსაზრისით ყოველწლიურად უმჯობესდებოდა.

„დედა ენა“ — ეს უბადლო წიგნი, ყოველმხრივ შემკულია ყველა აუცილებელი ღირსებით: სწორუბოვარია მისი ანბანთა რიგი და ასო-ბგერათა თანამიმდევრული განლაგება; იდეალურია შესასწავლი მასალის ფარდობითობა — ფილკლორი, სიტყვაკაზმული მწერლობა, ლექსი, პროზაული მასალა, ნარკვევი; დინამიკური და მრავალფეროვანია სასაუბროები — კითხვები გამეორებისათვის, სავარჯიშოები ნასწავლის ათვისებისათვის, დავალებანი დამოუკიდებელი მუშაობისათვის. რაც მთავარია, მთელი ეს მასალა სავსებით შეესაბამება იმ მაღალ ზნეობრივ ნორმებს, რის გამოიმუშავებასაც ყმაწყვილკაცობაში მისი პირველი სტრიქონებიდანვე მიესწრაფვის ეს წიგნი — სიმართლე და სამართლიანობა, დაუზარელი შრომა და გარჯა, სამშობლოსა და მშობელი ხალხის ღრმა სიყვარული მკვიდრად შეხამებული სხვადასხვა ეროვნების ხალხებისადმი გულითად თანაგრძნობასა და პატივისცემასთან, მუდმივი სწრაფვა სწავლის, ცოდნის და სინათლისაკენ ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ასეთია ის ძირითადი ზნეობრივი სანიშნოები, რომლისკენაც მიჰყავს ამ წიგნს ჩვენი ბავშვები. ესაა მთელი სამყარო.

ჩვენი ამ მცირედი მიმოხილვის შემდეგ, საჭიროდ ვთვლი მკითხველს გავაცნო „დედა ენის“ დამსახურება ორ არსებით სფეროში — წერითი მეტყველებისა და მუსიკალური აღზრდის სფეროში.

მინდა ვიამბოთ, თუ როგორი ალტაცება გამოიწვია ნეაპოლში იაკობ გოგებაშვილის მიერ დანერგილმა ქართულმა კალიგრაფიამ.

1924 წელს ნეაპოლის უნივერსიტეტმა არსებობის 800 წლის იუბილე გადაიხადა. ამ იუბილეზე ჩვენი უნივერსიტეტიდან დელეგატად იყო ანტიკური ფილოლოგიის ცნობილი სპეციალისტი, პროფესორი გრიგოლ წერეთელი. გრიგოლი ძველ საუნივერსიტეტო

ტრადიციებზე აღზრდილი სწავლული იყო. იგი ლექციებზე ყოველ-
თვის ფრაკით მოდიოდა, სადღესასწაულოდ მორთულ-მოსწორებულ-
ლი. როგორც წესი, ლექციებს კათედრიდან კითხულობდა, მწყობრი-
აკადემიური ტონით. ეს წესი მან, რამდენადაც მახსოვს, 1925 წელს
ერთ-ერთ ლექციაზე დაარღვია. კათედრიდან ვადმოვიდა, ახლოს მო-
ვიდა წინა მერხებთან, მღელვარედ დაიწყო ნეაპოლური შთაბეჭდი-
ლებების მოყოლა:

„ამ ზეიმს ბევრი სტუმარი ჰყავდა, განსაკუთრებით ევროპის სა-
უნივერსიტეტო ქალაქებიდან. სათანადო რიგის მიხედვით სტუმრები
მოკლე სიტყვას წარმოთქვამდნენ და რექტორს ადრესს გადასცემ-
დნენ. ადრესები ტრადიციისამებრ ორ ენაზე იყო შედგენილი იდენ-
ტიური ტექსტებით — ლათინურად და ადრესის წარმდგენი უნივერ-
სიტეტის სწავლების ენაზე. ჩვენი ადრესი კალიგრაფ ვ. წილოსანის
მიერ იყო შესრულებული, დადგა ჩემი ჯერიც. მოკლე მისალმების
შემდეგ ადრესი უნივერსიტეტის რექტორს გადავეცი და დარბაზში
დავბრუნდი ჩემს ადგილზე. მცირე პაუზა ჩამოვარდა და ეს იმის გა-
მო, რომ უნივერსიტეტის რექტორი გაბრწყინებული სახით გაკვირ-
ვებით ჩასცქეროდა ჩვენს ადრესს. შემდეგ იგი პრორექტორს გადა-
ულოცა და მორიგ ორატორს მისცა სიტყვა. ჩვენმა ადრესმა ჯერ
პრეზიდიუმი მოიარა, შემდეგ კი დარბაზში ვადმოინაცვლა. მე გაკ-
ვირვებული ვადევნებდი თვალს, თუ რა დიდი ინტერესით ჩასცქე-
როდნენ მას ნეაპოლეელი სტუმრები. იმ დღესაც და მეორე დღესაც
ნაცნობებთან ერთად ბევრი უცნობიც საგანგებოდ მოდიოდა ჩემთან,
რათა აღფრთოვანებით გამოეხატა ქება ჩვენი ანბანისა. მათ შორის
ზოგიერთს არც კი სჯეროდა, რომ ეს არის ასლი ქართული ხელნა-
წერის დედნისა და კალიგრაფის ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნეოდა
მას. უნდა გამოვიტყდეთ, კოლეგებო, ეს ჩემთვისაც აღმოჩენა იყო,
რაც სიამოვნების ყრუანტელს მგვრიდა“. — დაასრულა თხრობა,
თითქოს გამოერკვაო, ფრაკის კალთები შეისწორა, ლექციისათვის
ჩვეული ადგილი დაიკავა და მწყობრი კეთილხმოვანებით შეუდგა
განხილვას ჰესიოდეს თეოგენიისას. ცხადია, მეც და ყველა ჩვენგანს,
ვინც ამ ლექციას ესწრებოდა, ღრმად ჩარჩა გულის სიდრამეში გრი-
გოლის ეს აღსარება — კარგად ვიცოდით, რომ ჩვენი პროფესორი
პალიმფსესტების დიდ სპეციალისტად ითვლებოდა და ზოგიერთ
მათგანს მან გადაუხსნა პირველად გული, რაც ევროპის სამეცნიერო
წრებისათვის ცნობილი იყო.

აი, ამ ულამაზესი მრგვლოვანით აღბეჭდილ სხივოსან ქარ-



თელ ანბანს სწორედ იაკობ გოგებაშვილმა გაუხსნა გზა სასკოლო სწავლებაში და კანონზომიერად ისმის კითხვა — გვეპატიება კი ჩვენს თვალის ჩინივით არ ვუვლიდეთ მას? — არა, არ გვეპატივება, მეტიც ეს დანაშაულია.

იაკობ გოგებაშვილის წილად მოდის ჩვენს სახალხო სკოლებში მუსიკალური აღზრდის დანერგვის საქმეც.

იაკობი თვლიდა, რომ მუსიკა, ისე როგორც დედა ენა, სულია სკოლისა, და მასში გასაოცარი ფერადოვნებით ვლინდება ადამიანურ განცდათა მთელი სამყარო. ამიტომ სახალხო სკოლა თავის აღმზრდელობით საქმიანობას ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად ამ წმინდა წყაროს უნდა უდებდესო. ეს არ იყო ლიტონი სიტყვები. იაკობმა საქართველოში პირველმა შეისწავლა ხალხური მელოსი, შეარჩია მათგან სასკოლო მუსიკალური აღზრდისათვის აუცილებელი სიმღერები, დახვეწა მათი ტექსტები, მელოდიური ქსოვილი და ამ გზით უზრუნველყო თითქმის ორი ათეული სიმღერის სანოტო ანბანზე გადატანა. იაკობი გამორჩეული მუსიკალური სმენითა და ლამაზი სასიმღერო ტემბრით დაჯილდოვებული კაცი გახლდათ და მუსიკისადმი მისწრაფება ღრმა შინაგანი მოთხოვნილებით იყო გამოწვეული...



„დედა ენა“ მრავალგანზომილებიანი რთული არსებაა. „დედა ენა“ რომ უბადლო წიგნია, ეს იაკობ გოგებაშვილის სიცოცხლეშივე კარგად იყო ცნობილი. მის შესახებ ცოტა იქნება ვთქვათ, რომ იგი საუკუნის წიგნია. მან საუკუნოვან მიჯნას ბევრად უფრო ადრე გადააბიჯა, ვიდრე ასი წელი შეუსრულდებოდა. არც ის იკმარებდა გვეთქვა, რომ „დედა ენა“ ეპოქალური ძეგლია.

„დედა ენა“ ეს ის უკვდავი წიგნია, რომელიც ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ცხოვრების წიაღს გამოუკვირტავს, დაუყვავილებია, ცნობად ნაყოფად მოუმწიფებია და ერის სულიერ საზრდოდ, მეკვლედ და მეგზურად უქცევია. „დედა ენა“ ქართველი ხალხის ისტორიული სიცოცხლის ბუე და ბეჭედი, მისი გრძნობადი და ცნობადი სულიერი წყობის გვირგვინი. ამიტომ ძნელია გამოპყო ის ძირითადი ნიშნები, რამაც ამ წიგნის უკვდავება განაპირობა.

„დედა ენის“ შემოქმედი იაკობ გოგებაშვილი გონებრივი ძალეების მრავალფეროვნების, სიღრმისა და გულთამხილაობის თვალსაზრისით უბადლო და სწორუბოვარი ადამიანი იყო.

მეჩვენება, რომ „დედა ენის“ ცალკეულ ფურცლებს ჩვენი სახ-

აღსო მთქმელები ჰქმნიდნენ ჯერ კიდევ მანამ, სანამ ქართული ან-
ბანი შეიქმნებოდა. შემდეგ კი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა
გრძობადი და ცნობადი სიმების ჰარმონიულად შეხამებით სასუქს
ნების განმავლობაში გულმოდგინედ უმზადებდა „დედა ენას“ პა-
ტიოსანი თვლებისაგან შემკულ სტრიქონებსა და კამარებს. და აი,
გასული საუკუნის 60-იან წლებში შუა ქართლის მიწამ ხალხის წია-
ლიდან წარმოგზავნა გულთამხილველი კაცი იაკობ, რათა ჩვენი ის-
ტორიის ეს დიდებული ნამოდგაწარი მომავლის იმედად და მეგზუ-
რად ერთ ყდაში დაეკაბადონებია ყრმათათვის სასწავლო წიგნად.

„დედა ენა“ გასაღებია იმ დიდი და სულიერი მემკვიდრეობისა,
რაც მისმა ავტორმა დაუტოვა ჩვენს ხალხს მარადიული სახსოვრის
სახით.

კარგა ხანია გავრცელებულია ასეთი გამოთქმა — იაკობს „დედა
ენის“ მეტი რომ არაფერი დაეწერა, მისი ავტორი მარტო ამ წიგ-
ნით მოიპოვებდა უკვდავებასო. ეს გამოთქმა დიდ სიყვარულსა და
განცვიფრებას გამოხატავს „დედა ენის“ ავტორის სიდიადისადმი.
მაგრამ ქართული ეროვნული სახალხო სკოლის ერთიან და მკვრივ
ქსოვილს და მწიგნობრულ ღირსებას „დედა ენასთან“ ერთად ქმნი-
და და აყალიბებდა „ბუნების კარი“.

იაკობის მთელი მწიგნობრული მემკვიდრეობა და დაუშრეტელი
საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა — ესაა მედგარი ბრძო-
ლა სიკეთით ბოროტების დათრგუნვისა, რაც საოცარი სისრულით
და ჰარმონიულობით არის განსხეულებული მის „დედა ენასა“ და
„ბუნების კარში“. ისინი თანმიმდევრობით და მწყობრად მოგვითხ-
რობენ ქართველი ხალხის ადამიანურ ღირსებათა და ქართველ კაც-
ში შრომა-გარჯისადმი ისტორიულად შემუშავებული დიდბუნებოვა-
ნი დამოკიდებულების შესახებ. ეს წიგნები ეპიკური სიღინჯისა და
შთავონების საოცრად ჰარმონიული შერწყმის ნიადაგზე ზრდიან
ყმაწვილკაცობაში, და არა მარტო ყმაწვილკაცობაში, სამშობლოს
სიყვარულს, ერთმანეთთან კეთილ დამოკიდებულებას, რწმენას დე-
დაშვილობის მაღლისადმი, ცოდნის სიკეთისადმი, მამაპაპათა ნაამა-
გარის ღირსეულად დაფასებისადმი. ჩვენი ხალხისა და ტბილხმო-
ვანი დედაენისადმი ერისკაცური დამოკიდებულებით, ეს წიგნები
გამსჭვალულია აგრეთვე სხვა ხალხებისადმი უანგარო სიყვარუ-
ლით — ძმობის, ერთობის, თანასწორობის აზრითა და სულით.

„დედა ენა“ და „ბუნების კარი“ თავიდანვე იქცნენ ქართველი
ხალხის ერთიან, სახალხო საკითხავ საერო წიგნებად ყველასათვის —



ყრმათათვის, ქაბუკთათვის, ქარმაგი და ხანდაზმული ადამიანებისათვის. აი, ამის ჰქვია უკვდავება წიგნისა! აი, ამიტომ არ ბერდება არც დაბერდება „დედა ენა“ და „ბუნების კარი“, როგორც არ ბერდება ერი.

ისტორიამ დაადასტურა, რომ დედაენაზე საგანგებო ერთობლივი ზრუნვისა და მისი აღორძინების გარეშე ჩვენი ხალხი, ჩვენი ქვეყანა სულეერ დაკნინებას თავს ვერ დააღწევდა და საკაცობრიო წინსვლისაკენ მავალ გზას სწორად ვერ გაიკვლევდა. ჩვენი უახლესი ისტორიაც და თანადროულობაც, გუშინდელი დღე და დღევანდელი დღეც ნათლად ადასტურებს, რომ დედა ენა უსათუთესი სხეულია და მისი ტანი — ვარჯი და ტოტები, ბუტკო და ყვაველები მუდმივად მზრუნველ გულსა და ხელს საჭიროებს და რომ ამის გარეშე ფესვები ამოუხმება და ჩაწყდება, მისი სიცოცხლე შეწყდება, დაღუპდება.



საქართველოში საანბანო წიგნებზე თავიდანვე დიდი მოთხოვნა იყო. ამ წიგნებს ძველად წერდნენ და ავრცელებდნენ, პირველ რიგში, მონასტრებსა და სავანეებთან არსებულ სკოლებში, თავდაპირველად ანბანს სწავლობდნენ სათანადო სავარჯიშოებით, რომლებიც დართული ჰქონდა „უამს“, „ფსალმუნს“ და სხვა ძირითად ქრისტიანულ კანონიკურ ძეგლებს. არსებობდა ცალკე საანბანო წიგნებიც: მასში მოთავსებული იყო ოთხთავიდან, სამოციქულოდან და სხვა სავკლესიო წიგნებიდან ამოღებული საკითხავი მასალა.

მე-17 საუკუნიდან გასული საუკუნის 60-იან წლებამდე საზღვარგარეთ, რუსეთსა და საქართველოში რამდენიმე ქართული ნაბეჭდი საანბანო წიგნი გამოვიდა. 1865 წელს იაკობ გოგებაშვილმა გამოსცა ქართული საანბანო წიგნი — „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეათათვის“. იგი ღირსებით იმ დროს არსებულ ქართულ საანბანო სახელმძღვანელოებთან შედარებით გაცილებით უკეთესი იყო, რამაც განაპირობა მთელი ათი წლის განმავლობაში მისი მტკიცედ დამკვიდრება სკოლაში.

სამოცდაათიანი წლებისათვის საკაცობრიო დიდაქტიკურ აზროვნებაში მოპოვებული და განმტკიცებული ახალი მიღწევების ნიადაგზე იაკობმა დიდი, შრომატევადი მუშაობის შედეგად შექმნა და 1876 წელს დასტამბა ჩვენი ხალხის მიერ უკვდავ და წმინდა წიგნად წოდებული „დედა ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო სკოლებისათვის“. 1876 წლის შემდეგ „დედა ენა“ 46-ჯერ

დაისტამბა. უკანასკნელად იგი 1925 წელს გამოვიდა; იაკობ კი თავის სიცოცხლეში ამ წიგნის 32 გამოცემას მოესწრო.

„დედა ენის“ პირველი, 1876 წლის გამოცემის საანბანო ნაწილი ანბანის სწავლების საქმეში საკაცობრიო მეთოდოლოგიური აზრის უკანასკნელ სიახლეთა შესაბამისად იყო შემუშავებული. იაკობ გოგებაშვილმა ეს სიახლენი შემოქმედებითად შეუხამა ქართული ენის ფონეტიკურ ბუნებას და ხატოვანი თვალსაჩინოების უნარიანად გამოყენებით, ნორმალური სიტყვებითა და მათი ადეკვატურად გამომხატველი სურათების მწყობრი თანმიმდევრობით ააგო საანბანო გაკვეთილები. საანბანო ნაწილში ნორმალური სიტყვები და ამ სიტყვათა სურათები შესრულებულია რეალისტური მანერით: სიტყვა სათანადო სურათით; ამას მოსდევს დამარცვლილი იგივე სიტყვა, შემდეგ კი ახალი შესასწავლი ბგერა-ასო, სიტყვიდან — მარცვლისაკენ, მარცვლიდან — ბგერა-ასოსაკენ და პირუკუ, ზეპირი ვარჯიში და შემდეგ სათანადო წერითი ვარჯიშობანი. აი, ასეთი ქარგით ჩამოყალიბდა საბოლოოდ „დედა ენის“ საანბანო ნაწილი.

სახელმძღვანელოში პირველი გაკვეთილი, პირველი გვერდი და ეთმო ია-ს, იამ ქართულ მეტყველებაში არსებული ხუთი ხმოვანიდან ერთდროულად მოიცავს უფრო მეტად გავრცელებული ორი ხმოვანი ა და ი და ორი სიტყვა — აი ია. ია ბედნიერი მიგნება როდი იყო. ია, ეს სწორუბოვარი გასაღები ქართული ანბანისა, წარმოადგენდა იაკობ გოგებაშვილის დაუღალავი შემოქმედებითი ძიების ღირსეულ გვირგვინს. ქართულ მეტყველებაში ბგერა-ასოთა გამოყენების სიხშირის შესაბამისად იაკობმა თავის სახელმძღვანელოში მომდევნო საანბანო გაკვეთილები ისე განალაგა, რომ თითოეული მათგანი იწყება მარტივი ფრაზით, რომლისგანაც ახალი ბგერა-ასოს შემცვლელი სიტყვა გამოიყოფა შემდგომი ანალიზისა და სინთეზისათვის.

„დედა ენის“ ძალა მარტო მისი მწყობრად და თვალსაჩინოდ აგებული საანბანო ნაწილით როდი განისაზღვრება. მის მაღალ ღირსებას არსებითად განაპირობებს ანბანის შემდეგ საკითხავი ნაწილი, რომელსაც წლების განმავლობაში განუწყვეტლივ სრულყოფდა მისი ავტორი. ამ მხრივ სახელმძღვანელომ სრულ სიმწიფეს 1906 წელს მიაღწია, როცა იაკობმა იგი ორ წიგნად გაყო: „დედა ენა, ანუ ქართული ანბანი პატარა მოთხრობებით, ლექსებით, აღწერებით და დედნით“ (ორი წლის კურსით) და „დედა ენა, ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნი სკოლებში სახმარებელი“ (აგრეთვე ორი წლის

კურსით). „დედა ენის“ უკვდავება განპირობებულია ბევრი ფაქტორით, მათ შორის, ზემოაღნიშნულს გარდა, უმთავრესია ის, რომ:

„დედა ენა“ არსებითად იყო სასწავლო წიგნი არა მარტო ყრმათათვის, არამედ მთელი ხალხისათვის — წიგნი უპირველესი და უსაყვარლესი. იგი მთელს ხალხში, დიდსა და პატარაში, ახალგაზრდასა და მოხუცში ნერგავდა ცოდნისადმი ღრმა ინტერესსა და სინათლისადმი ცნობიერ მისწრაფებას; ამალღებდა ხალხის წიგნიერებას, კულტურას, აფაქიზებდა მის ზნეობას, აღვივებდა პატრიოტულ გრძნობას და ნერგავდა უკეთესი მერმისის რწმენას.

„დედა ენა“ იყო ჰიმნი ბუნებისა და შემოქმედებითი შრომის სიკეთისა, მონობის ბორკილებიდან დახსნილი შრომის მადლისა და შრომაზე დაფუძნებული კაცური კაცობის ღირსებისა; იგი ნაბიჯ-ნაბიჯ, მტკიცედ და მკვიდრად აღძრავდა ახალგაზრდობაში შრომისა და სწავლისადმი გულითად პატივისცემასა და სიყვარულს.

„დედა ენა“ იყო უშრეტო სალარო საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ხალხის უთვალავ თაობათა მიერ შემუშავებული სიბრძნისა, მაცნე და მოძღვარი ხალხის სულიერი სიმდიდრისა, უხვი წყარო ჭეშმარიტი მამულიშვილობისა, მართალი აზრისა, პატიოსნებისა, შრომისა და გარჯისა. ეს იყო წიგნი დედაბუნების სიკეთეზე, მადლიან დედაშვილობაზე, ადამიანთა შორის გულითად სიამტკბილობასა და ხალხებს შორის ძმურ ურთიერთობასა და მშვიდობაზე.

„დედა ენა“ მარტო წერა-კითხვას კი არ ასწავლიდა ბავშვებს და მოზარდებს, მას ყოველდღიურ, მარტივ სასარგებლო ცოდნათა თანმიმდევრულად, ზომიერად გაღრმავების შედეგად, ბუნებრივად შეჰყავდა ჩვენი ნორჩი თაობა ცოდნათა უფრო მაღალ სფეროებში, ავითარებდა მათ გონებრივ-შემეცნებით ძალებს, უღვიძებდა მათ კვლევისა და ძიების ინტერესს.

„დედა ენა“ სცილდებოდა სკოლის ფარგლებს, მას ხშირად იყენებდნენ თვითმასწავლებლად ისინი, რომელთაც შინაური წესით ჰქონდათ შესწავლილი ანბანი და ისინიც კი, რომლებმაც სულაც არ იცოდნენ წერა-კითხვა. ეს მადლიანი წიგნი ორთოგრაფიული ლექსიკონის როლსაც ასრულებდა, მისი მეშვეობით ასწორებდნენ მოზარდონი კუთხურ გამოთქმებს, მისივე მეშვეობით ბევრი შინასწავლასწორ, მიმზიდველ გრაფიკულ ყალიბს აძლევდა გაკრული ხელით ნაწერ ანსა და ბანს.

„დედა ენამ“ განსაკუთრებული ამაგი დასდო ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებას, პირველ რიგში იმით, რომ მის

ფურცლებზე მოთავსებული ყმაწვილთათვის განკუთვნილი ლექსები და მოთხრობები იდეური გამიზნულობით, სიუჟეტური წყობითა და მხარის ნათლად და მკაფიოდ გადმოცემით თუ მხატვრული სამკაულებით, მაღალი ლიტერატურული ნორმის ნიმუშებს წარმოადგენდნენ.

„დედა ენა“ იყო საძირკველი რევოლუციამდელი ქართული სახალხო სკოლისა, მისი ქარმაგი სიმწიფის მკაფიო ბეჭედი, მისი სიბრძნის კბილი, ახალი ქართული ენის დიდებული ძეგლი, მაღალი ეროვნული თვითშეგნების მაღლიანი ვადია და ერის სულიერი წინსვლა-აღორძინების უშრეტი წყარო.

„დედა ენა“ არის სარკე ჩვენი სალიტერატურო ენის განვითარებისა, მათიანე მისი წინსვლისა მთელი 50 წლის მანძილზე — გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან მეოცე საუკუნის ათიან წლებამდე. მასში მოთავსებული მოთხრობები, ლექსები, ნარკვევები, ამბები და სხვა საკითხავი მასალა წლიდან წლამდე მდიდრდებოდა. იხვეწებოდა და პირუთაენელად ასახავდა სალიტერატურო ენის განვითარებას.

„დედა ენა“ არის ქართული კულტურის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ძეგლი, რომელშიც ჩვენი ძველი ლიტერატურული ენა შეეწყო მეცხრამეტე საუკუნეში აღდგენილსა და განახლებულ ქართულს და გზა გაუკაფა ჩვენს ლიტერატურულ მეტყველებას.

„დედა ენა“ არის წიგნი, რომელსაც თამამად შეიძლება მივუყენოთ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურის — დიდი ილიას მიერ „ქართვის დედის“ ეპიგრაფად წამძღვარებული ლაიბნიცის აფორიზმი — „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა“. სწორედ ამიტომ, რომ ქართველი ბავშვები დღესაც სწავლობენ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ პრინციპების მიხედვით შედგენილი სახელმძღვანელოებით.

ამ დიდ ღირსებათა გამო, ჩვენს ხალხს „დედა ენა“ მუდამ გასხეულებული სახით წარმოუდგენია და მას ტკბილსა და გონიერ წიგნს უწოდებს.

ფასდაუღებელი ამავისათვის, რაც ამ წიგნმა დასდო ქართველი ხალხის განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებას, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ გამოცემის მეასე წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნა.

სახელმძღვანელოს პირველი გამოცემიდან 100 წლისთავთან



დაკავშირებით „დედა ენა“ მასობრივი ტირაჟით დაისტამბა სამ-
წიგნის სახით: „დედა ენა“ პირველი გამოცემა 1876 წ.; „დედა ენა“
საანბანო ნაწილი და „დედა ენა“, საკითხავი წიგნი. ეს ორი უკანას-
კნელი დაისტამბა იაკობ გოგებაშვილის სიცოცხლეში, 1912 წელს რე-
დაქტირებული ტექსტის მიხედვით.

„დედა ენის“ 100 წლისთავის იუბილე კემმარიტად სახალხო
დღესასწაულად იქცა მთელი ჩვენი ხალხისათვის. ჩვენი რესპუბლი-
კის პრესამ ყველა ენაზე — ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯა-
ნულ, აფხაზურ ენებზე თბილი წერილები უძღვნეს „დედა ენას“
და ღირსეულად შეაფასეს მისი ისტორიული მნიშვნელობა ქართვე-
ლი ხალხის ასეულ თაობათა განათლების საქმეში და აგრეთვე თანა-
მედროვე როლი მშობლიური ენის პირველდაწყებითი, და არა მარ-
ტო პირველდაწყებითი სწავლების საქმეში. ზოგადსაგანმანათლებ-
ლო სკოლების ხშირ ქსელსა და საშუალო და უმაღლეს სპეციალურ
სასწავლებლებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და ბიბლიო-
თეკებში მოეწყო „დედა ენისადმი“ მიძღვნილი საღამოები, სესიები,
გამოფენები, აგრეთვე ლექციები მოსახლეობის ფართო ფენებისათ-
ვის. საიუბილეო დღეებისათვის „დედა ენასთან“ ერთად გამოიცა
აგრეთვე „ბუნების კარი“. ამავე პერიოდში დაისტამბა აგრეთვე
მოზრდილი კრებულები ქართულ-რუსულ ენებზე გოგებაშვილის
რჩეული თხზულებებით, მისი საყმაწვილო მოთხრობების მოზრ-
დილი კრებული და „იავნანამ რა ჰქმნა?!“ ქართულ, რუსულ, ინგლი-
სურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე. გამოქვეყნდა რამდენიმე მიმო-
ხილვა და ცალკეული მონოგრაფიები იაკობ გოგებაშვილის როლის
შესახებ ქართული ეროვნული სახალხო სკოლის შექმნა-ჩამოყალიბე-
ბის საქმეში. ბოლოს, როგორც ამ საქმიანობის ლოგიკური დასას-
რტული, 1983 წლის სექტემბერში დედაქალაქის მარჯვენა სანაპირო-
ზე, კარლ მარქსის სახელობის ხიდთან ახლოს გაიხსნა მოქანდაკე ელ-
გუჯა ამაშუკელის მიერ შესრულებული მონუმენტი „დედა ენისა“.

ქართული სახალხო სკოლის მესაძირკვლის, იაკობ გოგებაშვილის
პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლა-ათვისებისათვის ზრუნვა
თანმიმდევრული სახით 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო.
მისმა შედეგებმა თავისი თვალსაჩინო გამოხატულება ჰპოვა იაკობის
დაბადების 100 წლისთავის იუბილესათვის მზადების პერიოდში.
1940 წლის ოქტომბერში, გარდაცვალებიდან 28 წლის შემდეგ, მისი
ნეშტი დიდუბის პანთეონიდან გადასვენებულ იქნა მთაწმინდის პან-
თეონში და დაიკრძალა ილიასა და აკაკის გვერდით, საფლავზე და-

იდეა ბიუსტი. იაკობ გოგებაშვილის მშობლიურ სოფელ ვარიანში მოეწყო იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი. ორმოციანი წლებს პირველ ნახევარში ფართო მეცნიერულ-პედაგოგიური მუშაობა ჩატარდა იაკობის „დედა ენისა“ და „რუსსკოე სლოვოს“ შესასწავლად, რის შედეგად ჩვენს სკოლებში ამ საგნებში არსებულ, მოკმედ სახელმძღვანელოებს საფუძვლად დაედო იაკობის მიერ შემუშავებული დინამიკური დიდაქტიკური პრინციპები, რაც ოფიციალურად იქნა დადასტურებული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილებებით.

იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობის საფუძვლიანად შესწავლისა და მისი გამოყენების ფარგლების შემდგომი გავრცობის მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მისი თხზულებების ათტომეულის გამოცემას, რაც საქართველოს სსრ სადირექტივო ორგანოების დადგენილებით იქნა განხორციელებული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ 1955-1965 წლებში. 1965 წლის შემოდგომაზე ფართოდ აღინიშნა იაკობის დაბადების 125 წლისთავი. ეს იუბილე მნიშვნელოვანი იყო იმიტაც, რომ მისი მსვლელობის პროცესში ჩამოყალიბდა და დაფესვიანდა იდეა „დედა ენის“ 100 წლის იუბილეს ფართო მასშტაბით აღნიშვნის შესახებ 1976 წლისათვის, რაც შესრულდა კიდეც. ბოლოს, აქ ცალკე უნდა აღინიშნოს იმ ნაყოფიერ საქმიანობაზე, რასაც წლების განმავლობაში ეწევა ჩვენი სასიკვდილო ერისკაცის, სწავლულისა და პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობის ბიბლიოგრაფიის მოწესრიგების მიზნით მისი სახელობის რესპუბლიკური პედაგოგიური ბიბლიოთეკა, რომელმაც რამდენიმე კრებული დაამუშავა და დასტამბა კიდეც.

წლები მიდის. საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივი აზროვნება დროთა კარნახით ახალსა და ახალ მოთხოვნებს აყენებს ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების, სასკოლო მუშაობის შინაარსის, ორგანიზაციული ფორმებისა და მეთოდის გარდაქმნის წინაშე.

თავისი საუკუნოვანზე მეტი ხნის არსებობის პირობებში „დედა ენა“ ძირეულ ეპოქალურ სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ გარდაქმნათა მოწმე იყო, მაგრამ მოწმე არა უტყვი და მუნჯი, არამედ მეტყველი და აქტიური თანადგომით გამორჩეული. მას ჰქონდა კიდეც საამისო ძალა, რადგანაც მისი ფურცლები აერთიანებენ იმ ჰემმარიტად საუკეთესოს, რაც ისტორიას შეუქმნია კაცთა საკეთილდღეოდ სამყაროსთან ადამიანთა მიმართების, მათ შორის არსე-



ბული საზოგადოებრივი ურთიერთობის, შრომის, სიყვარულის, სიხარულისა და საერთოდ ხალხის სულიერი ცხოვრების წიაღში მაგრამ ის, რაც აქ ითქვა ამ წიგნის შესახებ, ცოტაა მისი უკვდავებისათვის, რადგან „დედა ენა“ სწავლების დამწყებ ყმაწვილთათვის განკუთვნილი პირველი წიგნია. ბავშვის ბუნების დიდმა მესაიდუმლემ და მოჭირნახულე იაკობმა წინდახედული ზომიერებით შეარჩია შესასწავლი მასალა და ბრძნული პედაგოგიური ალლოთი ჰარმონიულად ჩაარიგა იგი წიგნის ფურცლებზე — აი, აქა ძევს ამ წიგნის უკვდავების გასაღები.

ახლახან აღმართული ძეგლი არა მარტო ქებათა-ქებაა „დედა ენისა“, არამედ იმის მაუწყებელიცაა, რომ თითოეული ჩვენგანი გამორჩეული მზრუნველობითა და სასოებით უვლიდეს და მფარველობდეს ჩვენი ეროვნული წინსვლა-განვითარების დედათა-დედას — „დედა ენას“.

თ ბ ი ლ ის ი

რა მოგწონს უფრო?

ფუნთუშა ლოყებს დაუგზნიათ ჭიკოკონა,
ვარდო, გაშლილო დედის ლხენაში!
„დედა ენაში“
რამ მოგხიბლა, ჩემო გოგონავ,
კურდღლის ბაჭიამ, თუ ჩიტების სტვენამ ვენახში?
გრძნობაფაჭიზი
დარდს ეძლევი, პაწიავ, დიდსა:
ბარტყებს რად სთხოვსო მეღია ჩიტსა?
დიდრონ ასოებს აყოლებ თითსა,
ლულუნებ ასე: ა-ი ი-ა, ა-ი ნ-ა-რ-გ-ი-ზ-ი...
მზე ჩადის ოდეს ზღვის მხარეში ცეცხლის დასავალს
და ღრუბელი დახურავს მათა,
დედას შესჩივლებ:
— რად გააგდეს მჩხავანა კატა? —
მსვე უამბობ სამი კნუტის თავგადასავალს...
ფერად სურათებს უაღერსებ, წიგნი მოღალე,
წიგნი მოღალე, ოქროს ენა არ მოგეღალა...
ისწავლე, ჩემო, შენი ქვეყნის მტერი, მოყვარე,
გიყვარდეს მარად შენი ენა, შენი ქვეყანა...
ფაფუკ ლოყებზე დაგეგზნება ჭიკოკონა...
გესმის, ვიოლა,
წიგნით მერცხლის ჭიკჭიკი გესმის...
რა მოგწონს უფრო, ჩემო გოგონავ,
ჩიტი ჩიორა
შროშანა, თუ ყაყაჩოს ლექსი?


სოლომონ ხუციშვილი

ქართული ბეჭდური წიგნის კვლი

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ქართველ ხალხს მრავალი ჭირი და ვაება განუცდია, მრავალჯერ დათრგუნულა უცხო დამპყრობთაგან ეროვნული მთლიანობა, სწირად გაპარტახებულა და ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხე ადამიანთაგან დაცლილა, მაგრამ ქვეყნის შენებასა და ეროვნული სულის გამოვლინებას თავისი უკეთებია, მოქალაქეს მიანიც უღვაწია და უშრომია. ფიგურალური გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ქართველს ხმალი და კალამი მონაცვლეობით სჭერია ხელში. ხმლით შემოსეულ ურდოებს იგერიებდა და კალმით ქმნიდა იმ უკვდავ წერილობით, ორიგინალურ თუ თარგმნილ ძეგლებს, რომელთა ბრწყინვალეობა მსოფლიოს კულტურულ შედეგებს უტოლდება.

XVII-XVIII საუკუნეებში ქართველებს ხმლისათვის ხელი არ შეუშვიათ, მაგრამ კალამთან ერთად წიგნის საბეჭდი დაზგაც მოიმარჯვეს. რაოდენ მნიშვნელოვანია და რაოდენ უბედურებათა მაუწყებელი, რომ ქართული წიგნის ბეჭდვა საქართველოში არ დაწყებულა, არამედ სხვაგან, კერძოდ, იტალიასა და რუსეთში. იშვიათია, ალბათ, ქვეყანა, რომ ისეთი უზარმაზარი ეროვნული კულტურის კერა, როგორც საბეჭდი დაზგა და წიგნის კაბადონების ბეჭდვაა, სხვაგან გამართულიყოს და დაწყებულიყოს. ამის შესახებ წერდა ქართული წიგნის ისტორიის მოღვაწე ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე 1941 წელს გამოცემულ „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის“ პირველი ტომის შესავალში: „ამგვარად ქართული წიგნის ბეჭდვის საქმე, თითქმის ორი საუკუნის მოგვიანებით ფეხადგმული, პირველად უცხოეთში იწყებს განვითარებას. ეს გასაგები გახდება, თუ მოვიგონებთ, რომ მე-15-17 საუკუნეებში საქართველო განუწყვეტელი სისხლის მღვრელი დაპყრობისა და მუდმივი შინაგანი განხეთქილების ასპარეზად იყო გადაქცეული და სწორედ იმ წლებში, როცა რომში პირველი ქართული წიგნები იბეჭდებოდა, საქართველო ერთ-ერთი დიდი ის-

ტორიული უბედურების — შაჰ-აბაზის შემოსევა, 300 ათასი ქართველის გადასახლება სპარსეთში, ფეოდალური ომები — პეტროვიძის იმყოფებოდა“ (გვ. VIII).



„პროპაგანდა ფიდეს“ სტამბის შენობა რომში

საქართველოში დაბეჭდილი პირველი წიგნი 1709 წლით არის დათარიღებული და იგი ჩვენი სამშობლოს დიდი ჭირნახული მეფის, მწიგნობრისა და პოეტის ვახტანგ სჯულმდებლის კულტურული და ეროვნული მცდელობის შედეგია. ვახტანგი დამწყებია საქართველოში იმ საქმიანობისა, რასაც მისი შთამომავალნი დღეს ასე უხვად და მრავალფეროვნად იყენებენ. მანამდე კი ქართული წიგნი უცხოეთში იბეჭდებოდა.

1629 წლიდან დაწყებული ქართული წიგნის რომის გამოცემები საქართველოში ჩამოჰქონდათ კათოლიკე-მისიონერებს, როგორც სახელმძღვანელო ქართველებთან ურთიერთობისათვის. პირველი წიგნი იყო ქართულ-იტალიური ლექსიკონი, შედგენილი სტეფანე პაოლინის მიერ, რომლის შექმნაშიც დიდი მონაწილეობა აქვს მიღებული ნიკოლოზ ომანის ძე ჩოლოყაშვილს, ბერობაში ნიკიფორე ირბახს, რომელზეც XVIII საუკუნის ქართველი მოღვაწე და მოგ-



ზაური ტიმოთე გაბაშვილი თავის „მიმოსვლაში“ წერდა: „...დაცულად იერუსალიმს მივედით მონასტრად ქართველთასა ჯვარს... და ცხოვრებულა მუნ ჯვარსა მამა ნიკოლოზ-ყოფილი ნიკიფორე, ძე ომანისა ჩოლოყაშვილისა და დედით არაგვის ერისთავის ასულისა ბარბარესი, კაცი სახელოვანი, წინამძღვარი მეტეხისა ქალაქს (ე. ი. თბილისს-ხ. ხ.) და მოძღვართ-მოძღვარი კახეთს, ოდიშს ხოფელ-კოცხერელი და იერუსალიმს ჯვარის მონასტრის და გოლგოთის სამკვიდროსი ჩვენისა არქიმანდრიტი“.

იმავე 1629 წელს რომში დაიბეჭდა „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“. ეს იყო იტალიაში დაბეჭდილი მეორე ქართული წიგნი, ხოლო მესამე არის ფრანცისკო-მარია მაჯოს მიერ შედგენილი „ნაშრომი აღმოსავლურ ენათა შესახებ, რომლებიც საქართველოს მხარეებში იხმარება“, რომელიც შეიცავდა ქართული, ანუ იბერიული ენის სასაუბრო მეტყველების გრამატიკულ წესებს, გამოცემულს 1643 წელს.

რომში დაბეჭდილი ქართული წიგნები ჩვენში თითო-ოროლა ცალია გადარჩენილი და დაცულია საქართველოსა და რუსეთის დიდ ბიბლიოთეკებში.

რომში დაბეჭდილ ქართულ წიგნებს პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდათ. კათოლიკური რწმენის პროპაგანდის განყოფილება მათ ბეჭდავდა სახელმძღვანელოდ მისიონერებისათვის, რომლებიც საქართველოში ჩამოდიოდნენ კათოლიკობის საქადაგებლად და გასავრცელებლად. კათოლიკე მისიონერებს უნდა სცოდნოდათ ის ენა მცხოვრებთა, რომელთა შორისაც უნდოდათ გაეგრცვლებინათ თავისი სარწმუნოება. ამიტომაც პროპაგანდა ფიდეს განყოფილებაშ შეადგინა და გამოსცა ქართულ-იტალიური ლექსიკონი, შეადგინა და გამოსცა ანბანი ლოცვებითურთ, რისთვისაც მათ ჩამოასხეს ქართული ანბანის სამივე სახის — მრგვლოვანი, ნუსხური და მხედრული შრიფტი, მოუხდათ დახატვა ქართული ანბანისა, ვინიეტებისა და თავსართ-ბოლოსართებისა, ჩვენება ასოთა გადაბმის ხერხებისა და სხვა, რაც საჭირო იყო წიგნის სტამბურად გამოცემისათვის. ბუნებრივია, დამხმარე, მრჩეველი და წარმმართველი რომის ეკლესიის პროპაგანდის ამ წამოწყებისა იქნებოდა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, გაკათოლიკებული ქართველი მოძღვარი, ერთობ მცდელი და მოამაგე ქართველთა ეროვნული და კულტურული გადარჩენა-აღორძინებისა.

ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით რომის ქართულ გამოცემათა მნიშვნელობა დიდია. ეს წიგნები საძირკვლად დაედო



Նյոլորդ Իրձան

ქართული წიგნის ბეჭდვის პრაქტიკას, რაც პირველ ხანებში, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ისტორიული ვითარების გამო, რუსეთში აღორძინდა, როცა იქ გადახვეწილი მეფეები არჩილი და ვახტანგი, თავის მახლობლებთან ერთად ინტენსიურ მუშაობას ეწეოდნენ ქართული წიგნის ბეჭდვის განვითარებისათვის.

გარდა ამისა, რომის ქართული გამოცემანი ქართული ეროვნული კულტურის სახელოვანი საფეხურებია, ისინი ისტორიულ ძეგლებს წარმოადგენენ და ამიტომაც მათ ზრუნვა და დაცვა ესაჭიროებათ.

1983 წელს გამომცემლობა „ხელოვნებამ“ დაბეჭდა „პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები“, რომელშიც შეტანილია „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, სტეფანე პაოლინისა და ნიკიფორე ირბახის „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და ფრანცისკო-მარია მაჯოს „ქართული გრამატიკა“.

აქამდე ცნობილ ამ გამოცემებს წინამდებარე წიგნში ემატება „ლიტანია ლაურეტანას“ ქართული თარგმანის ტექსტი, რომელიც პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნების ისტორიკოსებისათვის უცნობი იყო. მართალია, „ლიტანია ლაურეტანა“ ერთი ფურცელია მხოლოდ, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია იმით, რომ ზრდის რომში დაბეჭდილ ქართულ ტექსტთა რაოდენობას და პირველად ქვეყნდება ამ გამოცემაში. „ლიტანია ლაურეტანა“ ვატიკანის ბიბლიოთეკის საცავებში პირველად ნახა ჯუანშერ ვათეიშვილმა.

ამ გამოცემაში შეტანილი იტალიაში დაბეჭდილი ტექსტები ფაქსიმილურია. მართალია გამოცემათა ფორმატი დაცული არ არის, რადგან ეს გარკვეულ ტექნიკურ სიძნელებს შეუქმნიდა ახლანდელ გამომცემელს, მაგრამ ნაბეჭდი ფოტო-ასლები სამნახევარი საუკუნის შემდეგ დღევანდელ მკითხველს წარმოდგენას უქმნის პირველ ქართულ ბეჭდურ გამოცემებზე.

წიგნის შემდგენელი ჯუანშერ ვათეიშვილი უკვე ნაცადი მკვლევარი და ბევრი საინტერესო ნაშრომის ავტორია. მას წილად ხვდა იუნესკოს სტიპენდიით ხანგრძლივი მივლინება ჰქონოდა საზღვარგარეთ, რის შედეგიც არის წინამდებარე გამოცემა და 1983 წელს გაზეთ „კომუნისტის“ პუბლიკაცია „ნიკიფორე ირბახის ნაკვალევზე“, სადაც მან გამოამზეურა ბევრი საინტერესო და ქართული ისტორიული წყაროთმცოდნეობისათვის სრულიად უცნობი მასალები.

მიუხედავად იმისა, რომ მიქელ თამარაშვილის კაპიტალური ნაშრომი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის XIII საუკუ-

DITTONARIO GIORGIANO E ITALIANO.

COMPOSTO DA STEFANO PAOLINI
con l'aiuro del M.R. P. D. Niceforo Irbachi
Giorgiano, Monaco di S. Basilio.

AD VSO DE' MISSIONARI
della Sagra Congregatione de Pro-
paganda Fide.



IN ROMA,
Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. Fide.
C I D D C X X I X.

CON LICENZA DE' SUPERIORI.

ნიქიტორე ირბახისა და სტეფანე პაოლინის „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“



ნიდან ვიდრე XX საუკუნემდე“ (თბილისი, 1902 წ.), აღსავსეა ვიკიანის არქივებიდან ამოკრეფილი საბუთებით, როგორც ჩანს, რომში (და, ალბათ, სხვა ბევრ ქვეყანასა და ქალაქშიც) ჯერ კიდევ ბევრია ისეთი მასალები, რომლებიც გამოადგება ჩვენს ისტორიას შესავსებად და გასავრცობად.

პირველი ქართული ბეჭდური წიგნების ფაქსიმილურ გამოცემას ახლავს არნოლდ ჩიქობავას და ჯუანშერ ვათეიშვილის წერილები, რომლებიც განიხილავენ რომში გამოცემული წიგნების რაობას.

ჯ. ვათეიშვილს ორი წერილი ეკუთვნის: ერთია „ქართული ბეჭდური სიტყვის სათავესთან“, რომელიც იწყება იმ „მიძღვნით“, რომის პაპს ურბან VIII-ს რომ წარუდგინა აქილე ვენერიომ და წამოაყენა წინადადება დაბეჭდილიყო „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. ჯ. ვათეიშვილისაგან რომში მოძიებული საბუთები აცოცხლებენ ქართული გამოცემების ისტორიას, თუ როგორ იმსჯელა ვატიკანის პრობავანდის განყოფილებამ ქართული ანბანის თაობაზე, რომ საჭირო იყო სხვა ხალხების ანბანთა შორის გათვალისწინებულიყო ქართულის შესწავლა. ეს საკითხი გადაწყვეტილა 1628 წლის 20 ივნისის სხდომაზე კარდინალ ბანდინუსის და სხვა კარდინალთა მონაწილეობით. ქართული ასოების ჩამოსხმის თაობაზე მსჯელობის გარდა საუბარი ყოფილა არა მხოლოდ სასულიერო-საეკლესიო პერსპექტივაზე, ქართული ანბანის შექმნას დიდ გამოყენებას უწინასწარმეტყველებდნენ, „რათა ქართველებს შეეძლოთ, განსწავლის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, წიგნების ბეჭდვა“ (გვ. 13).

პაპის ურბან VIII-ის მიმართ დაწერილ „მიძღვნაში“ მოხსენიებული ყოფილა ნიკიფორე ირბახის ღვაწლიც ქართული ანბანის შექმნის საქმეში. მას ჩაუწერიანებია ვატიკანის წარმომადგენლებისათვის ქართული ასოები და რამდენიმე ათასი სიტყვა. ნიკიფორე ირბახს, ალბათ, აღარ ჰქონდა შესაძლებლობა თავისი ნაკარნახევი ქართული, იტალიელ ბერთა ჩაწერილი, შეემოწმებინა. სწორედ ამასთან იქნება დაკავშირებული ის შეცდომები, რაც ქართულად გამოცემულ ტექსტებში შეინიშნება, მაგ., „აგმოსაულეტი“ (აღმოსავლეთი), „ავიზელიცადი“ (ავი წელიწადი), „ათისტავი“ (ათისთავი), „ბეჩედი“ (ბეჭედი), „დაკზელეზული“ (დაგძელებული), „ერისკაწი“ (ერისკაცი) და სხვ.

ქართული გრამატიკის ავტორი ფრანცისკო-მარია მაჯო ვატიკანს საქართველოში გამოუგზავნია ენის შესასწავლად, დაკვირვების საწარმოებლად და შემდეგ გრამატიკის შესადგენად. 1643 წელს რომში მისი ნაშრომიც დაიბეჭდა.

SYNTAGMATON
LINGVARVM
ORIENTALIVM
QVÆ IN GEORGIE REGIONIBVS AVDIVNTVR
LIBER PRIMVS

Complectens Georgianæ, seu Ibericæ vulgaris linguæ
INSTITVTIONES GRAMMATICAS

AVTORE
D. FRANCISCO-MARIA MAGGIO,
CLERICO REGVLARI, PANORMITANO.



R O M A E.
Ex Typographia Sacræ Congregationis de Propaganda Fide.
M D C XLIII

SVPERIORVM PERMISSV.



ჯ. ვათეიშვილის მეორე გამოკვლევის თემა არის მის მიერ ვატიკანის ბიბლიოთეკაში მიგნებული „ლიტანია ლაურეტანას“ ტექსტი იგი დაკავშირებული ყოფილა ლორეტოს ქალაქში დაცულ „წმინდა ქოხთან“ (რომელშიც, ვითომ, ღვთისმშობელი მარიამი ცხოვრობდა. ლორეტოს ქოხი კათოლიკეთათვის უწმინდეს ადგილად ითვლება, სადაც, როგორც მაჰმადიანები მექასა და მედინაში, მორწმუნენი დადიან თაყვანისსაცემლად). „ლიტანია ლაურეტანა“ იტალიურიდან ქართულად უთარგმნია ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს (ნიკიფორე ირბახს).

ნარკვევი ფ. მ. მაჯოს გრამატიკაზე ეკუთვნის პროფ. ა. ჩიქობავას, მის ნაშრომს ეწოდება „პირველი ქართული ლექსიკოგრაფიული და გრამატიკული ნაშრომების შესახებ“. მასში განხილულია სტეფანე პაოლინისა და ნიკიფორე ირბახის ქართულ-იტალიური ლექსიკონი და ფ. მ. მაჯოს ქართული გრამატიკა, მოცემულია პირველის მოკლე, ხოლო გრამატიკის უფრო ვრცელი მიმოხილვა-დახასიათება და გამოტანილია დასკვნა: მაჯოს გრამატიკა პირველია ქართულ ენაში და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიურ ენათა სამყაროში; თითქმის ორასი წლის განმავლობაში ევროპის სწავლულელები მაჯოს შრომით ეცნობოდნენ ქართული ენის გრამატიკას; გრამატიკის ავტორს ვასქირებია გარკვევა ქართული ზმნის ხასიათში, ამიტომ ქართულის ყველაზე რთული და ფორმებით მდიდარი სამყარო ყველაზე ღარიბად არის წარმოდგენილი წიგნში; იტალიელი გრამატიკოსი ამოდის ლათინური ენის გრამატიკული კატეგორიებიდან. მაჯოს ქართული ენა არა სცოდნია. მიუხედავად ამისა, მისი გრამატიკა მაინც გარკვეული მნიშვნელობის მქონეა: გრამატიკოსი დაჰკვირვებია ქართული ენის სტრუქტურას და აღუნიშნავს, რომ ქართულ ენას სქესი არა აქვს, უკეთ, არ არჩევს, სახელთა ბრუნვა ერთია, ჩამოთვლილი აქვს ქართული ზმნის პირები და სხვ.

ჯ. ვათეიშვილისა და ა. ჩიქობავას ნაშრომები წიგნში დაბეჭდილია აგრეთვე რუსულად და ინგლისურად.

წიგნს ერთვის „საბუთები და ილუსტრაციები“, დაბეჭდილია ქკასტელის ალბომიდან ამოღებული რამდენიმე სურათი (თეიმურაზ პირველი, ნიკიფორე ირბახი, ნიკიფორე ირბახის მიერ აფხაზეთის მთავრის კურთხევა), დაბეჭდილია რომის პაპის ურბან VIII-ის სურათი, შარდენის მიერ ჩახატული თბილისი, მისივე ნადიმი ქართველი მეფის სასახლეში, ტურნეფორის ჩახატული თბილისის ზედი, რომის პანორამა და სხვადასხვა ნაგებობანი, „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბის ზედი (რომელიც გადაღებული აქვს რევაზ თაბუკაშვილს

ALPHABETVM

IBERICVM,

SIVE GEORGIANVM,

CVM ORATIONE DOMINICALI

Salutatione Angelica, Symbolo Fidei,

Præcepta Decalogi, Ecclesiæ Sa-
cramentis, & Operibus

Misericordiæ.

Latina, & Iberica lingua compositis, & Cha-
ractere Georgiano impressis:

*Accesserunt Litanie B. V. eisdem lingua,
& characteribus Ibericis.*



ROMÆ, Typis Sac. Congr. de Propag. Fide, MDCCLXIX.
SVPLIORVM PACVLTAŦE.

253

„ქართული ანბანი“



„ლექსიკონი იტალიური ენისა“

Dittionario Giorgiano-Italiano

ს ა

ბანაო.	abano,	Bagno.
ბანაო-ობ.	abaroga,	Ma che.
ბახი.	abachi,	Di là.
ბარქი-ში.	abrefciomi,	Seta.
ბეჭა.	aghebà,	Compunzione.
ბეჭი-ზეზეჭი.	aghmozenebeli	Biafemare.
ბეჭი-სტუღეტი.	aghmofauleti,	Oriente.
ბეჭ-სტუღეტი.	agmofauletifa,	Orientale,
ბეჭი-სტუღეტი- რეჭი.	aduilà fcefaz- rueli,	Incostante.
ბეჭი.	aduli,	Facile.
ბეჭი-ობ.	aduilid,	Facilità.
ბეჭი.	ádi,	Di.
ბეჭი-ობ.	adidebà,	Inondatione.
ბეჭი.	aéra,	Aria.
ბეჭი-ობ.	actili,	Coprire.
ბეჭი-ობ.	auadári,	Ammalarsi.
ბეჭი-ობ.	auadafparno,	Maltrattare.
ბეჭი-ობ.	auadafparè,	Maltrattato.

A 2

ბეჭი

ქართულ-იტალიური ლექსიკონის ერთი გვერდი

PARADIGMATA



Nominum.

ბიჩი. Bici, *puer*.

	Singularis.	Nominatiuus: ბიჩი. Bici, <i>vel</i> ბიჩიჰმ. Bici-ma, <i>puer</i> .
		Genitiuus: ბიჩის. Bicifa, <i>pueri</i> .
		Datiuus: ბიჩს. Bicfa, <i>puero</i> .
		Accufatiuus: ბიჩი. Bici, <i>puerum</i> .
		Vocatiuus: ბიჩო. Bicið, ð <i>puer</i> .
		Ablatiuus: ბიჩისგან. Bicifaghan, <i>à puero</i> .
Numeri	Pluralis.	Nominatiuus: ბიჩჰი. Bicebi, <i>pueri</i> .
		Genitiuus: ბიჩჰის. Bicebifa, <i>puerorum</i> .
		Datiuus: ბიჩჰს. Bicebfa, <i>pueris</i> .
		Accufatiuus: ბიჩჰი. Bicebi, <i>pueros</i> .
		Vocatiuus: ბიჩჰო. Bicebð, ð <i>pueri</i> .
		Ablatiuus: ბიჩჰისგან. Bicebifaghan, <i>à pueris</i> .

მაჯის გრამატიკის ერთი გვერდი

თავის შესანიშნავ კინომოგზაურობათა ფილმში), ქართული წიგნების გამოცემასთან დაკავშირებული საბუთების ფოტო-ასლები, „პროპაგანდა ფიდეს“ არქივში დაცული სხვადასხვაენოვანი შრიფტის ანაბეჭდი, რომელთა შორის არის ქართული ანბანიც.

წიგნის მესამე ნაწილია ფაქსიმილური გამოცემანი პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნებისა, ერთი გვერდი უჭირავს „ლიტანია ლაურეტანას“ ნიკიფორე ირბახისეულ თარგმანს.

წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული, დაბეჭდილია თეთრ და ყავისფერ ცარცის ქალაღზე მოსკოვის ა. ყდანოვის სახელობის პირველ სანიმუშო სტამბაში ათი ათასი ტირაჟით.

„პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრიფითაა გამოცემული, სუპერ-ყდაზე ქ. კას-



ტელის დახატული ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის სურათია დაბეჭდილი (პოზიტიური და ნეგატიური).

ეს წიგნი ქართულ წიგნსაცავებში უპირველეს ადგილზე უნდა იყოს დასვენებული, როგორც ხელბედნიერი დასაწყისი წიგნის ბეჭდვის ხელოვნებისა საქართველოში, როგორც სურათი და ხატი ქართული წიგნთმბეჭდაობისა.

ჯიშალ ჯაყელი

წიგნო ქართულო

იდუმალ სულით, უძლეველ ნებით,
 ომში გატეხილ ხმალთა ჯახანით,
 ხატის მორცხვობით, გელათის ქვეებით
 აშენებულო ქართულო წიგნო!

ქართულო წიგნო — სამრეკლოვ აზრთა,
 სამრეკლოვ მშობელ სიტყვის და ენის,
 ბრძენო, ბებერო და ახალგაზრდავ,
 სარდალო ომის, მოთავევ ლხენის.

ბუხარო სიბრძნის, აღმართო სევდის
 და უძლეველო მგზავრო კეთილო!
 ქართულო წიგნო — მზითეუო დედის,
 შენ — გულის გულში ამოკვეთილო;

მე მოვეყევ შენსას უღარუნს ზარების
 და გვედრები, ვით კირითხურო:
 წიგნო — უფალო, გულის კარები
 ვახსენ, ბოლომდე რომ გემსახურო.

ლილა მაისურაძე

გზა პარსკვლავებისკენ

დაბა აბსათუმანს რომ გასცდები, გზა მკვეთრად უხვევს ფიქვის კორომებით ამწვანებული ფერდობისაკენ და მიემართება ყანობილის მთისაკენ. ერთნაირად სტაცებს თვალს მთების ძირში გადაშლილი პანორამა და მუქ-ლურჯ უსაზღვროებაში გადაკარგული ლაქვარდი, ირგვლივ გამეფებული მყუდროება. აგერ უკვე ორმოცდაათ წელზე მეტია ყანობილის მთისაკენ მიპყრობილია ქართველი კაცის აზრი, მაძიებელი გონება, რათა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგას სამყაროს შეცნობისაკენ. ამ რომანტიკითა და მკაცრი ლოგიკით ცხოვრობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბსათუმანის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თითოეული მუშაკი, „ვარსკვლავთა ქალაქის“ ყველა მოქალაქე — აკადემიკოსი თუ სკოლის მოსწავლე, რიგითი მეცნიერ-მუშაკი თუ მოსამსახურე პერსონალი. დიახ, ყველა, რადგან თითოეული მათგანის ცხოვრება პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია ციური სამყაროს განუმეორებელ რომანტიკასთან.

ასზე მეტი ასტრონომი მუშაობს აბსათუმანის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში: ყოველ დროს, ყოველგვარ ამინდში ტელესკოპი, ციურ მნათობებზე დაკვირვება, შემდეგ პროგნოზები, პარადოქსები, აღმოჩენის სიხარული, ზოგჯერ იმედგაცრუებაც — აი, მათი ყოველდღიური ცხოვრების ზოგადი სქემა. გარდა უშუალო დაკვირვებისა, საკუთარი თვალით ნახულისა, ასტრონომებისათვის, როგორც ყველა ჰემსპარიტი მოაზროვნისათვის, იმთავითვე უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა წიგნმა, წარსულის გამოცდილებისა და მონაპოვრის ერთადერთმა გამზიარებელმა. ამიტომაც იყო, რომ ობსერვატორიის დაარსებისთანავე, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მიექცა სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის დაკომპლექტებას. ბიბლიოთეკა უდიდეს როლს თამაშობდა ასტრონომების ცხოვრებაში არა მარტო მათი პროფესიული ინტერესების, არამედ სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილების თვალსაზრისითაც. ამანაც განაპირობა, რომ ბიბლიოთეკის შევსება თითოეული მუშაკის საზრუნავი გახდა.



ბევრი წიგნი შემატეს ობსერვატორიის ბიბლიოთეკას მისივე მუშაკებმა თ. მეგრელიშვილმა, ი. ქუშიშვილმა, ნ. მაღალაშვილმა, ი. მათეშვილმა და სხვებმა. თვითონ ობსერვატორიის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. ხარაძე ხშირად საკუთარი სახსრებით იძენს ბიბლიოთეკისათვის წიგნებს. ობსერვატორიის სტუმარი იყო დანიელი ასტრონომი რ. ვესტი, რომელმაც რამდენიმე საინტერესო წიგნი უსახსოვრა კოლეგებს. პულკოვის ობსერვატორიის აკადემიკოსმა ა. ბელოზოლსკიმ კი პირადი ბიბლიოთეკა საჩუქრად გადასცა აბასთუმნის ობსერვატორიის ბიბლიოთეკას.

ამგვარად, ბიბლიოთეკა ფართოვდებოდა, მდიდრდებოდა მისი ფონდები. ამჟამად ბიბლიოთეკის ფონდი 138430-მდე ერთეულს აღწევს.

ობსერვატორიის ბიბლიოთეკის დამაარსებელი და სულისჩამდგმელი იყო გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ი. მაჩაბელის ქალიშვილი ელენე მაჩაბელი-ჩერქეზიშვილისა, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე უანგაროდ ემსახურებოდა ამ საქმეს. დღეს რომ ბიბლიოთეკა ასეთი მდიდარი და იშვიათია, ეს წიგნისადმი მის უსაზღვრო სიყვარულზე მეტყველებს.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია დაშორებულია კულტურის ცენტრებს. ამიტომაც ბიბლიოთეკა იქცა საზოგადოებრივი თავშესაფრის ადგილად, მაგრამ თავდაპირველად ეს შეხვედრები არ იყო სისტემატური, მიზანმიმართული. წიგნის, მისი ისტორიის, წიგნმცოდნეობის საკითხების შესწავლის სურვილმა წარმოშვა წიგნის მოყვარულთა კლუბის შექმნის იდეაც; წიგნის მოყვარულთა კლუბის შექმნის ინიციატორები, როგორც მანამდე ბიბლიოთეკაში ჩატარებული საუბრების, შეხვედრების და სხვა ღონისძიებებისა, იყვნენ ასტროფიზიკური ობსერვატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი გიული მათეშვილი და ბიბლიოთეკის გამგე ნარგიზა ბოლქვაძე. ამ იდეის განხორციელებას ხელი შეუწყო ობსერვატორიის თავკაცმა ევგენი ხარაძემ, რომელიც იმხანად საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარე იყო.

1976 წლის სექტემბერში ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შეიკრიბა 40 წიგნის მოყვარული—ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერ-თანამშრომელი და შეიქმნა წიგნის მოყვარულთა კლუბი.

რომელსაც „გზა ვარსკვლავებისკენ“ უწოდეს — კლუბისა და მისი თითოეული წევრის ძირითადი საქმიანობის განმსაზღვრელი დაწესება, შემუშავდა ემბლემა, განაწილდა ფუნქციები, ჩამოყალიბდა კლუბის მუშაობის ძირითადი მიზანი. მხატვარმა გია ახვლედიანმა, რომელიც იქამად ობსერვატორიის სტუმარი იყო, კლუბისათვის შექმნა ექსლიბრისი, რომელზეც წიგნის ფონზე გამოსახულია ობსერვატორიის გუმბათები.

თავიდანვე კლუბის წევრებს არ ჰქონდათ სათანადო გამოცდილება. ამიტომ თავდაპირველი ღონისძიებები არ სცილდებოდა საუბრის ფარგლებს; ეს იყო კლუბის ცალკეული წევრების ინფორმაცია წიგნის სამყაროში არსებული სიახლეების შესახებ. ახალი ფორმების ძიებამ თანდათან უფრო შეაკავშირა კლუბის წევრები, მიზანმიმართული, სისტემატური და მრავლისმომცველი გახდა მუშაობა, კოორდინირება.

კლუბის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ასტრონომიული ცოდნის, ამ დარგის მიღწევების, საერთოდ მეცნიერების ამ მეტად რომანტიკული დარგის პროპაგანდა მოსახლეობის ფართო ფენებში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. რაიონის წარმოება-დაწესებულებებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ეხება ადამიანისა და კოსმოსის დამოკიდებულების ძირეულ საკითხებს, ამ ურთიერთობის წარსულსა და მომავალს. ამ მხრივ აღსანიშნავია კლუბის წევრთა ინიციატივით მოწყობილი მეცნიერებისა და დაბა აბასთუმნის საშუალო სკოლების, მოსწავლეების, დამსვენებლების, სოფლის მოსახლეობის შეხვედრები თემებზე: „დედამიწა და ვარსკვლავები“, „ადამიანი და კოსმოსი“. კლუბის წევრებს მომავალში განზრახული აქვთ თავიანთი მუშაობა წარმართონ მოსახლეობის ფართო ფენების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

კლუბის წევრები არა მარტო თავიანთი სპეციალური ლიტერატურით არიან გატაცებული, არამედ სხვა დარგების ლიტერატურის პროპაგანდასაც ეწევიან. ეს იქნება მხატვრული, პოლიტიკური თუ სამეცნიერო-ტექნიკური ან პოპულარული ლიტერატურა. ამიტომ ისინი ცდილობენ შეავსონ ობსერვატორიის უმდიდრესი ბიბლიოთეკა და ეფექტიანად გამოიყენონ არსებული ფონდები.

ობსერვატორიის მეცნიერ-თანამშრომლებს, რომელთაგან ბევრი სწორედ კლუბშია გაერთიანებული, სამსახურობრივი მოვალეობის გამო ძალიან ხშირად უხდებათ საბჭოთა კავშირსა თუ მსოფლი-



ოს სხვადასხვა ქვეყნებში ყოფნა. თითოეულმა მათგანმა შექმნა საკმაოდ კარგი როგორც სპეციალური, ისე მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის ლიტერატურის ბიბლიოთეკა. მაგრამ უმთავრესი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც კლუბის არსებობის პირველსავე დღეებში გადაიდგა, იყო ობსერვატორიის თანამშრომელთა უმდიდრეს პირად კოლექციებში დაცული წიგნების გამოფენები. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მოწყობილია მულტიმედიური გამოფენა წიგნის მოყვარულთა პირადი კოლექციებიდან; ასეთი გამოფენები დიდ ინტერესს იწვევს არა მარტო ობსერვატორიის თანამშრომლებში, არამედ მის სტუმრებში, დამთვალიერებლებში, რაიონის მშრომლებში. დღითიდღე იზრდება ასეთი გამოფენების გეოგრაფია. კლუბის წევრები მარტო ობსერვატორიით არ კმაყოფილდებიან და გავლით გამოფენებს აწყობენ დაბა აბასთუმნისა და რაიონის სხვა ორგანიზაციებში. ამ ღონისძიებებმა დიდად შეუწყო ხელი პირადი ბიბლიოთეკების საზოგადოებრივ სარგებლობაში ჩაყენებას.

მნახველთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია გამოფენამ „იშვიათი წიგნები“, რომელიც დათვალიერეს არა მარტო ობსერვატორიის მუშაკებმა, არამედ ბევრმა ჩამოსულმა სტუმარმა, რაიონის წიგნისმოყვარულებმა.

მართალია, ობსერვატორიის კლუბის წევრები თბილისს დაშორებული არიან, მაგრამ ჩვენს დედაქალაქსა და მის ისტორიასაც არ ივიწყებენ. ამაზე მოწმობს თბილისობისადმი მიძღვნილი გამოფენა „თბილისი წიგნებსა და ილუსტრაციებში“, რომელზეც წიგნებთან ერთად წარმოდგენილი იყო მრავალი ბიბლიოგრაფიული იშვიათობის დოკუმენტური და ფოტო-მასალა. მაგალითად: Натроев А. «Иверский монастырь на Афоне в Турции», Тифлис, 1909; Натроев А. «Мцхета и его храм, Светицховели», Тифлис, 1906; Роллов А. «Дикорастущие растения Кавказа», Полиевктов М., Натадзе Г. «Старый Тифлис», Тифлис, 1929; Полиевктов М., «Европейские путешественники XIII — XVIII вв. по Кавказу», Тифлис, 1935; Асланишвили И. «Тифлис и его окрестности», Тифлис, 1925; Фридрих Беденштедт «Мирза Шафи». გამოცემული გერმანიაში 1877 წ. და სხვ. გამოფენისადმი ინტერესს ზრდიდა ისიც, რომ წიგნის მოყვარულებისათვის სისტემატურად იმართებოდა საუბრები თემაზე „თბილისი-პარიზი. ლიტერატურული და მხატვრული ურთიერთობანი“.

კლუბის წევრები მ. მეტრეველი, მ. მდივანი, გ. მათეშვილი მინიატურულ წიგნებსაც აგროვებენ. მათ მიმოწერა აქვთ მინიატურული წიგნების შემგროვებელთა რესპუბლიკური კლუბის „აზრის“ წევრებთან. ერთმანეთს უზიარებენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას, რის შედეგად არა მარტო წიგნის გაცვლაზე იქნა შეთანხმება მიღწეული, არამედ შემდგომ ერთობლივ მუშაობაზეც, წიგნის პრობაგანდისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გაუმჯობესებაზე. კლუბის თავმჯდომარის ინიციატივით გასულ წელს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ადიგენის რაიონული ორგანიზაციის გამგეობის პლენუმზე კლუბის წევრთა პირადი კოლექციებიდან მოეწყო მინიატურული და მცირეფორმატიანი წიგნების გამოფენა, რომელმაც დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ასეთი გამოფენები თანდათან უფრო დიდ როლს ასრულებენ რაიონის კულტურულ ცხოვრებაში.

კლუბის მუშაობაში ყურადღების გარეშე არ რჩება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები. საინტერესოდ ჩატარდა ვ. ი. ლენინის დაბადების 110, სსრ კავშირის შექმნის 60, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები: გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, დისპუტები, შეხვედრები და სხვ. ამ ღონისძიებებისადმი დიდ ინტერესს იჩენენ როგორც ობსერვატორიის თანამშრომლები, ისე ჩამოსული სტუმრები, აქტივისტები.

კლუბის მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა შეხვედრებმა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებთან. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა მოეწყო პოეტ მ. დუდინთან. სოციალისტური შრომის გმირი, გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ დუდინი მახლობელია ყოველი საბჭოთა აღამიანისათვის არა მარტო როგორც ჰემსპარიტი შემოქმედი, არამედ როგორც პიროვნება, მოქალაქე. მიხეილ დუდინთან შეხვედრისას კლუბის წევრებმა კიდევ ერთხელ იხილეს ხალხების მეგობრობის ზეიმი და, რაც მთავარია, ამ ზეიმის ინიციატორი და უშუალო მონაწილე კლუბის თითოეული წევრი იყო.

მრავალმხრივ იყო საინტერესო შეხვედრა ცნობილ ქართველ პოეტთან მიხეილ ქვლივიძესთან. პოეტმა მსმენელებს წაუკითხა თავისი ახალი, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ლექსები, ისაუბრა მომავალ შემოქმედებით გეგმებზე. დიდი ინტერესი გამოიწვია ახალციხის რაიონის მკვიდრის რ. ანგალანდიანის პირველი წიგნის „ხორალის“ განხილვამ ავტორის მონაწილეობით. ყოველი ავტორისათვის მკით-

ტველის პირუთენელი აზრის გაგება არა მარტო ღირსება-ნაკლოვანებებში გარკვევას უწყობს ხელს, არამედ შემდგომი შემოქმედებითი შეშაობის სტიმულის მიმცემიცაა. ამის გარეშე კი არ არსებობს დიდი შემოქმედება.

უკვე რამდენიმე წელია ობსერვატორიის ტერიტორიაზე არსებობს ქართული და რუსული საშუალო სკოლები, სადაც ცოდნას ეუფლებიან ჩვენი სახელოვანი მეცნიერების შვილები. მოსწავლეთა რაოდენობა, ბუნებრივია, ისე ცოტაა, რომ ზოგიერთ კლასში 5-8 ბავშვია გაერთიანებული. ამ ფაქტმა განაპირობა, ალბათ, ისიც, რომ ასაკის მიუხედავად ორივე სკოლის ყველა კლასის მოსწავლეებს მკიდრო მეგობრობა აკავშირებთ ერთმანეთთან.

წიგნის მოყვარულთა კლუბი „გზა ვარსკვლავებისკენ“ ხშირად ატარებს სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებებს ბავშვებისათვის. კლუბის წევრების ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ბიბლიოთეკაში, სკოლებში ეწყობა ახალი საბავშვო ლიტერატურის გამოფენები, დისპუტები, განხილვები. უფროსების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ბევრი საინტერესო ღონისძიება მოაწყვეს ბავშვებმაც. მათგან შეიძლება გამოიყოს გამოფენები თემებზე: „ყველა დროისა და ხალხების ზღაპრები“, „მხატვრული ღია ბარათები“ (საბავშვო წიგნების ილუსტრაციებით), „წიგნის თანამგზავრი“ (სანიშნი, გარეკანი, ყდა), სისტემატურად ეწყობა დისპუტები თემაზე: „ჩემი საყვარელი გმირი“.

კლუბის ნორჩ წიგნის მოყვარულთა სექციის წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ კინოლექტორიუმში. დიდხანს დაამახსოვრდებათ პატარებს კინოლექტორიუმი, რომელიც ჩატარდა შარლ დე კოსტერის წიგნის „ლეგენდა ტილ ულენშპიგელის“ მიხედვით გადაღებულ ფილმზე „ლეგენდა ტილზე“. ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა კონკურსი: „ვინ უკეთ იცნობს წიგნის სიუჟეტს“, „ვინ უკეთ იცნობს ფლანდრიის ისტორიას“, „ვინ უკეთ იცნობს ფილმის მუსიკას და ფერწერას“. გამარჯვებულებს საჩუქრად გადაეცა წიგნები.

კლუბი „გზა ვარსკვლავებისკენ“ თანდათან იძენს გამოცდილებას, ფართოვდება წევრთა ინტერესების სფერო, ღონისძიებების ფორმა და შინაარსი, ჩატარების მასშტაბები.

კლუბის წევრები ეძიებენ გზებსა და საშუალებებს სხვა წიგნის მოყვარულთა კლუბების გამოცდილების გადასაღებად, არსებულისა

და მიღწეულის გასაუმჯობესებლად. მათ დიდი გეგმები აქვთ დასახუ-
ლი მომავალში სამეცნიერო-ტექნიკური, თანამედროვეობის^{საქართველოში}
ლური პრობლემების ამსახველი წიგნის პროპაგანდის გაუმჯობესე-
ბისათვის ჩაატარონ გასვლითი ღონისძიებები დაბა აბასთუმნისა და
რაიონის წარმოება-დაწესებულებებში, გაზარდონ თავიანთი წვლი-
ლი რაიონის კულტურულ ცხოვრებაში. ეს საპატიო მისიაა და ამის
გასაკეთებლად ყველა პირობა არსებობს.

თ ბ ი ს ი დ — ა ბ ა ს თ უ მ ა ნ ი

წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ შეგვწავს ძალა გამოვიჩინო-
მით ოდესღაც მცხოვრები უდიდესი და ბენიალური
ადამიანების აჩრდილები და ვაიჟლოთ ისინი ჩვეთაჲს
ისაუბრონ ყველაჲს სინტიბრისო თემაჲს, რა ფასდაუ-
ღებელი იქნებოდა მსგავსი ძალა. სინამდვილეში კი
ჩვენ ეს ძალა მხოლოდ ყველა კარგად მოწყობილ ბიბ-
ლიოთეკაში მოგვაპოვება.

ჯონ რასკინი

გიგლიოთეკები

და

გიგლიო,
ფილავი



არ შეიძლება წიგნების გამოკვება როგორც საყრო-
ბილწში. ისინი ბიბლიოთეკებიდან უთუოდ გონებაში
უნდა გადადიოდნენ.

პეტრარკა

ვინც უნდა იყო, მიცნობის შემსწავლლო, ამ შე-
მოგვლლო, კარბს ნუ მიიჯახუნებ და ფხიხებით უხე-
შად ნუ აბაკუნებ — ის გუზებს არ ესინამონებათ. თუ
შენ ამ უკვე ვინმეს ნახავ დამჯღარს, თავი უხმოდ, მო-
წიწებით დაუკარი და ნუ იხედე: ამ მიცვალბულნი
ესაუბრებიან იმ ცოცხლებს, რომლებიც ცოდნას მუფ-
ლებიან.

წარწერა XV საუკუნის ბიბლიოთეკის კარზე

თამარ ცხველიანი

წიგნები საქართველოს შესახებ

3. ი. ლენინის პირად ბიბლიოთეკაში

საბჭოთა სახელმწიფოს მთავრობა 1918 წლის მარტში პეტრო-ვრადიდან გადმოვიდა მოსკოვში და კრემლის ერთ-ერთ შენობაში მოთავსდა, სადაც მესამე სართულზე იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სამუშაო კაბინეტი, ხოლო იქვე გვერდით მისივე ბინა.

ვ. ი. ლენინი ამ კაბინეტში მუშაობდა 1918 წლის მარტიდან 1922 წლის 12 დეკემბრამდე, ხოლო აღნიშნულ ბინაში ცხოვრობდა 1918 წლის აპრილიდან 1923 წლის მაისამდე.¹

ვ. ი. ლენინი თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა სოციალური და ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლის პრაქტიკულ საქმიანობასთან.

ვ. ი. ლენინი ამ კაბინეტიდან ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებას. აქ წყვეტდა დიდ სახელმწიფოებრივ საქმეებს. აქ დაწერა „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“, „სახელმწიფოს შესახებ“, „მემარცხენეობის „საყმაწვილო სენი“ კომუნისმში“, „სასურსათო გადასახადის შესახებ“, „დიადი თაოსნობა“ და სხვ. ამავე კაბინეტში ღებულობდა მუშებს, გლეხებს, მწერლებს, მეცნიერებს, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს; ესაუბრებოდა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეებს, საზღვარგარეთის ელჩებს და სხვადასხვა სახელმწიფოების საქმიანი წრეების წარმომადგენლებს.

ვ. ი. ლენინის კრემლის კაბინეტში მუშაობის წლები ემთხვევა საქართველოს მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის ისტორიის მეტად მნიშვნელოვან პერიოდს.

¹ ამჟამად მსოფლიოში ცნობილი მუზეუმი — ვ. ი. ლენინის კრემლის კაბინეტი და ბინა მოსკოვში, გაიხსნა 1955 წ.

ამ კაბინეტიდან აღევნებდა თვალყურს საქართველოში შექმნილ მდგომარეობას, აქ შეიმუშავა ბევრი დირექტივა და მითითება, რომლებმაც უზრუნველყვეს საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და შემდეგ სოციალიზმის მშენებლობა. აქვე იღებდა საქართველოდან ჩასულ დელეგატებს, ქართველ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს; აქ უსაუბრიათ ვ. ი. ლენინთან ს. ორჯონიკიძეს, ფ. მახარაძეს, მ. ცხაკაიას, ა. ენუქიძეს და სხვებს. ფ. მახარაძე თავის მოგონებაში წერს:

„1921 წლის 15 თუ 16 თებერვალს (ძველი სტილით) გამომიძახეს ამხანაგ სტალინთან, რომელმაც მაცნობა საქართველოს ერთ-ერთ რაიონში მომხდარი აჯანყების შესახებ... ვ. ი. ლენინთან წინასწარი შეხვედრის შემდეგ შემომთავაზეს ამ ამბებთან დაკავშირებით საქართველოში გამგზავრება... პირველ ყოვლისა, მან მითხრა, რომ ჩემს გასამგზავრებლად ყველაფერი მზად იყო..., მიმითითა, რომ საჭირო იყო დაჩქარება, და რუკაზე მიჩვენა მარშრუტი, რომლითაც უმჯობესი იყო მგზავრება“².

ვ. ი. ლენინის სამუშაო კაბინეტში ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასი და მრავლისმთქმელია ბელადის პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც ამ კაბინეტის მნიშვნელოვან განძს წარმოადგენს და ბრწყინვალე ნიმუშია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფო მოღვაწის პირადი ბიბლიოთეკა. იგი ნათლად მეტყველებს ვ. ი. ლენინის ინტელექტზე, ერუდიციასზე და ყველა იმ თვისებებზე, რომლითაც ის ხასიათდებოდა, როგორც სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორი და ხელმძღვანელი.

1918 წლის მარტში, პეტროგრადიდან მთავრობის მოსკოვში გადმოსვლის შემდეგ ვ. ი. ლენინმა პირადად შეადგინა საკუთარი ბიბლიოთეკისათვის წიგნების სია. ბიბლიოთეკა წლების განმავლობაში სისტემატურად ივსებოდა და კომპლექტდებოდა; ვ. ი. ლენინი დღეულობდა სავალდებულო ეგზემპლარებს წიგნის პალატიდან, თვალყურს აღევნებდა საბჭოთა რუსეთში ახალ გამოცემებს. ამასთან, იწერდა მისთვის საჭირო ლიტერატურას საზღვარგარეთიდან.

1920 წლის 2 იანვარს თავისი მდივნის შეკითხვაზე, თუ რა ხასიათის ლიტერატურა გამოეწერა საზღვარგარეთიდან, ვ. ი. ლენინმა უპასუხა: „წიგნები და ბროშურები ყველა ენაზე, მემარცხენე სოცი-

² ფ. მახარაძე, საქართველოში გამომგზავრების წინ, ვაზ. „ზარია ვოსტოკა“, №43. 1960 წლის 20 თებერვალი (რუსულად).



ალისტური და კომუნისტური მიმართულებისა, ასევე მნიშვნელოვანი წიგნები ომის შედეგებზე, ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე და სხვა.
 ჟველაფერი: მხატვრული ნაწარმოებები ომზე“³.

ვ. ი. ლენინი პირველ ხანებში პირადი მდივნის დახმარებით აკომპლექტებდა და აწესრიგებდა ბიბლიოთეკას. 1920 წლის 14 მარტიდან კი ბიბლიოთეკარად მუშაობა დაიწყო შ. ნ. მანუჩარიანცმა⁴. იგი იგონებს: „როცა პირველად შევედი ვლადიმერ ილიას ძის კაბინეტში, გამოაცა კაბინეტის მოწყობილობის უბრალოებამ და კარადაში წიგნების სიმცირემ. მე მეგონა, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში რამდენიმე ათასი წიგნი უნდა ყოფილიყო, შემდეგ, მუშაობის პროცესში, მივხვდი, რომ ეს ასე არ იყო: ვლადიმერ ილიას ძე თავის კაბინეტში იტოვებდა მუშაობისათვის და ცნობებისათვის საჭირო წიგნებს, არ ტვირთავდა თავის ბიბლიოთეკას და ითხოვდა დანარჩენი წიგნების სხვა ბიბლიოთეკაში გაგზავნას, სადაც წიგნებით სარგებლობას შესძლებდა ასობით ადამიანი“⁵.

როგორც ვხედავთ, ვ. ი. ლენინის პირად ბიბლიოთეკაში თავმოყრილი იყო მხოლოდ ის, რაც მას ესაჭიროებოდა ყოველდღიურ მუშაობაში. აქ თავმოყრილია 88 კლასიფიკაციის წიგნები 19 ენაზე: კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაწარმოებები, ლიტერატურა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაზე, ფილოსოფიაზე, სოციოლოგიაზე და ფსიქოლოგიაზე, პოლიტიკური პარტიების, ქალთა საკითხის, ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, სტატისტიკის, მსოფლიო ეკონომიკის, საერთაშორისო ურთიერთობის, სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის, ვაჭრობის, კოოპერაციის, ფინანსების, სახელმწიფო დაზღვევის, შრომის, სახელმწიფო და სამართლის, სამხედრო საქმის, ბუნებისმეტყველების, მათემატიკის, ტექნიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მედიცინის, ფიზიკური კულტურის, განათლების, ლიტერატურათმცოდნეობის, მხატვრული ლიტერატურის, ხელოვნების, ათეიზმის, მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთობის, ბეჭდვითი სიტყვის, წიგნთმცოდნეობის, საბიბლიოთეკო საქმის, ბიბლიოგრაფიის საკითხებზე. აქვეა საერთო ხასიათის ცნობარები, ენციკლოპედიები, კალენდრები, პერიო-

³ ლენინის კრებული, XXIV, გვ. 311.

⁴ შ. ნ. მანუჩარიანცი, — სკკპ წევრი 1918 წ. ვ. ი. ლენინის ბიბლიოთეკარი იყო 1920-1924 წწ. ამჟამად პერსონალური პენსიონერი.

⁵ შ. ნ. მანუჩარიანცი. მუშაობა ვლადიმერ ილიაის ბიბლიოთეკაში, მოგონებანი ვლადიმერ ილიას ძე ლენინზე. 2. მოსკოვი, 1957 წ., გვ. 583.

დული გამოცემები, რუკები, ატლასები და სხვა. სპეციალურ კარგად-
ში განლაგებულია თეთრგვარდიული და ანტისაბჭოთა ლიტერატურა.
განსაკუთრებით მდიდარია ბიბლიოთეკის განყოფილება „პოლიტი-
კური პარტიები“, სადაც თავმოყრილია ლიტერატურა ანარქისტების,
კადეტების, მენშევიკებისა და ესერების შესახებ.

1920 წლის ნოემბერში ბიბლიოთეკარის წერილზე, ესაჭიროება
თუ არა მას თბილისში გამოსული წიგნები, ვ. ი. ლენინმა წააწერა:
„კი, ყველა“⁶. ასე გაჩნდა ვ. ი. ლენინის პირად ბიბლიოთეკაში საქარ-
თველოში გამოცემული წიგნები, ქართველი ავტორების ნაშრო-
მები საქართველოს კომუნისტური მოძრაობის ისტორიიდან, საქარ-
თველოს ისტორიის, საქართველოში ვაჭრობისა და კოოპერაციის
განვითარების შესახებ, საქართველოს სახელმწიფო და სამართლის
ისტორიის, გეოგრაფიის შესახებ და სხვ. არის პერიოდული გამოცე-
მებიც, კავკასიისა და საქართველოს რუკები.

ვ. ი. ლენინის პირად ბიბლიოთეკაში დაცულ ს. ტ. არკომედის⁷
წიგნს — „მუშათა მოძრაობა და სოციალ-დემოკრატია კავკასიაში“
(გ. ვ. პლეხანოვის წინასიტყვაობით, უნევა 1910 წ.), გაკეთებული
აქვს შტამპი, ხოლო მეოთხე გვერდზე წარწერა „ვ. ი. ლენინი“. წიგ-
ნის ფურცლებზე მიწერილია შენიშვნები წითელი, ლურჯი და შავი
ფანქრით, ხაზგასმულია XI-XIII და XV გვერდები. როგორც ირკვე-
ვა, ვ. ი. ლენინმა ეს წიგნი ემიგრაციიდან ჩამოიტანა.

წიგნის შენიშვნები ადრინდელი პერიოდის შინაპარტიულ ბრძო-
ლას ეხება. ვ. ი. ლენინის მითითებით რსდმპ ცენტრალურმა კომი-
ტეტმა დიდი რაოდენობით შეიძინა ს. ტ. არკომედის წიგნი. ვ. ი.
ლენინს ეს წიგნი თავის დროზე დიდი ინტერესით წაუკითხავს. ამაზე
მეტყველებს მის მიერ 1910 წლის „დისკუსიონნი ლისტოკის“ №1-2-
ში გამოქვეყნებული სტატია „პუბლიცისტის შენიშვნები“⁸, სადაც
იგონებს იმ პოლემიკას, რომელიც 1908 წელს ქართულ გაზეთებში
„აზრსა“ და „დასაწყისში“ გამოქვეყნდა და შემდეგ „დისკუსიონნი
ლისტოკში“ გაგრძელდა.

ს. არკომედი განიხილავდა ნ. ყორდანიას თეზისს ბურჟუაზიულ

⁶ ლენინის კრებული XXXV, გვ. 180-181.

⁷ ს. ტ. არკომედი (გ. ა. ყარაჯიანი) 1898 წ. სომეხ მუშათა და ინტელი-
გენტთა პირველი მარქსისტული წრის წევრი, ეწეოდა მარქსიზმის პროპაგანდას სო-
მეხ მუშებში, 1901 წ. ს. ტ. არკომედი არჩეული იყო ლენინურ-ისკრული მიმარ-
თულების რსდმპ თბილისის კომიტეტის შემადგენლობაში. შემდეგში მენშევიკი.

⁸ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 285, 286.

რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონობის თაობაზე. წიგნის XI, XII, XV გვერდებზე ლენინს სწორედ იმ თეზისისთვის გაუსვამს ხაზს, რომელიც უნდა იყოს წითელი, ლურჯი და შავი ფანქრით.

ვ. ი. ლენინის პირად ბიბლიოთეკაში დაცულია ნ. ჟორდანიას წიგნები „ორი წლის მანძილზე“⁹ (მოხსენებები და სიტყვები 1917 წ. 1 მარტი, 1919 წ. 1 მარტი) გამოცემული 1919 წ. თბილისში და „ბოლშევიზმი“¹⁰, გამოცემული საქართველოში 1922 წელს.

ვ. ი. ლენინი ნ. ჟორდანიას იცნობდა როგორც ქართული მენშევიზმის ლიდერს. საქვეყნოდ ააშკარავებდა მის თპორტუნისმს. ვ. ი. ლენინის თხზულებებში შესულ შრომებში, სტატიებსა და წერილებში ნ. ჟორდანიას 50-ჯერ და მეტჯერ არის დასახელებული, კრიტიკულადაა განხილული მისი პოლიტიკური და პრაქტიკული საქმიანობა.

1913 წელს პორტინოდან ასტრახანში ვ. ი. ლენინი ს. გ. შაუმიანს სწერდა: „...აუცილებლად გამომიგზავნეთ რაც შეიძლება მეტი მასალა ეროვნულ საკითხზე კავკასიაში... და კოსტროვის¹¹ სტატია და მისი წიგნები, დელეგატების მოხსენებები რუსულ ენაზე თარგმნით (იმედია იშოვნით ვინმეს რომ დაავალთ) და მასალა ეროვნებათა ურთიერთობაზე კავკასიაში, სპარსეთში, თურქეთსა და რუსეთში“¹².

სტატიაში „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ხელისუფლებას?“ ვ. ი. ლენინი განიხილავდა მენშევიკ-ობორონცების პოზიციას და აღნიშნავდა: „ისეთი ფაქტები, როგორიცაა ესერების ცენტრის მხრივ კიშკინის მონაწილეობით ახალი კოალიციისათვის მხარის დაჭერაზე უარისთქმა, ან პროვინციულ მენშევიკ-ობორონცებს შორის (ჟორდანიას კავკასიაში და სხვ.) კოალიციის მოწინააღმდეგეთა სიჭარბე, ობიექტური დამამტკიცებელია იმისა, რომ მასების გარკვეული ნაწილი, რომელიც დღემდე მენშევიკებს და ესერებს მისდევს, წმინდა ბოლშევიკურ მთავრობას დაუჭერს მხარს“¹³.

ვ. ი. ლენინი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგაც თვალყურს ადევნებდა ნ. ჟორდანიას მოღვაწეობას, კითხულობდა

⁹ ვ. ი. ლენინის ბიბლიოთეკა კრემლში, კატალოგი, მოსკოვი, 1961 წ., გვ. 184.

¹⁰ იქვე, გვ. 235.

¹¹ ნ. ჟორდანიას.

¹² ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 35, გვ. 99.

¹³ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 26, გვ. 102-103.

მის წიგნებს. ბიბლიოთეკარის წერილობით შეკითხვაზე, სურს თუ არა მას „დოკუმენტები და მასალები ამიერკავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ“, აგრეთვე „ნ. ჟორდანიას წიგნი — „ორი წლის მანძილზე“, ვ. ი. ლენინმა წააწერა: „გთხოვთ ყველა“¹⁴.

ვ. ი. ლენინის პირად ბიბლიოთეკაში არის აგრეთვე სხვა წიგნები: ნ. ს. ჩხეიძე, „საპარლამენტო სიტყვები“, გამოცემული 1919 წელს თბილისში, თ. ლლონტი, „მენშევიკური და საბჭოთა საქართველო“, გამოცემული 1923 წელს (წიგნებს ყდაზე გაკეთებული აქვს წარწერა „ვ. ი. ლენინს“), ა. ს. მარტინოვი „მენშევიზმის ლიკვიდაცია საქართველოში“ (მოხსენება პასუხისმგებელ მუშაკთა კრებაზე მოსკოვში), „ბოლშევიზმისა და მენშევიზმის შესახებ“ (მოხსენება ყოფილ მენშევიკთა ქუთაისის კონფერენციაზე). 1923 წელს, 27 ივნისს ქუთაისში ა. ს. მარტინოვმა¹⁵ ყოფილი მენშევიკების კონფერენციაზე, ხოლო იმავე წლის აგვისტოში მოსკოვში პასუხისმგებელ მუშაკთა კრებაზე წაიკითხა მოხსენება „მენშევიზმის ლიკვიდაცია საქართველოში“, რომელიც შემდეგ ცალკე წიგნად გამოვიდა. ვ. ი. ლენინი მას უმაღლესე გასცნობია.

ვ. ი. ლენინი დაინტერესდა შეესწავლა საქართველოსა და სომხეთს შორის ატეხილი ომის ძირითადი მიზეზები. ამიტომ მოითხოვა თავისი პირადი ბიბლიოთეკისათვის წიგნები: არსლან კრიჩინსკი — „განაპირა ჰმარეებში რუსული პოლიტიკის ნარკვევები, 1918 წელს სომეხ-ქართველთა ურთიერთობის ისტორიიდან“, ყარაბი¹⁶ — „1920 წლის წითელი წიგნი“, „სომეხი რევოლუციონერი მოღვაწეები“, „თურქეთის სომხეთში“ და „ჩვენში“¹⁷.

ვ. ი. ლენინის პირად ბიბლიოთეკაში ჩვენ ეხვდებით ამ საკითხზე სხვა წიგნებსაც, რომელსაც ის თავის დროზე ინტერესით გასცნო-

¹⁴ ლენინის კრებული, XXXV, გვ. 181.

¹⁵ ა. ს. მარტინოვი (1865-1935) „ეკონომიზმის“ ერთ-ერთი თეორეტიკოსი და „რაბოჩე დელოს“ რედაქციის წევრი. რსდმპ მეორე ყრილობაზე მიემხრო მენშევიკებს და გახდა მენშევიზმის ერთ-ერთი ლიდერი. რედაქციის წლებში ლიკვიდატორი. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში იყო მენშევიკ-ლიკვიდატორი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით ჩამოშორდა მენშევიზმს და 1923 წელს პარტიის XII ყრილობაზე მიღებულ იქნა რკპ (ბ) წევრად. მუშაობდა მარქს-ენგელის ინსტიტუტში, 1924 წლის იანვრიდან იყო შურნალ „კომუნისტური ინტერნაციონალის“ რედაქციის წევრი.

¹⁶ პ. გ ე ლ ე შ ვ ი ლ ი.

¹⁷ ლენინის კრებული, XXXV, გვ. 181.

ბია: ნ. ნიკოლაძე — „სომეხ-ქართველთა ურთიერთობა 1893-1898 წწ. ძველი სტატიები ახალი შესავლით“ (თბილისი, 1920 წ.) და „სომეხ-ქართველთა ურთიერთობის ისტორიიდან. 1918 წ. (სასაზღვრო კონფლიქტები; მოლაპარაკება; ომი; შეთანხმება)“, ტფილისი, 1919 წ.¹⁸.

1919 წლის 6 იანვარს გ. კ. ორჯონიკიძე ვ. ი. ლენინს დეპეშით აცნობებდა: „სომხეთ-საქართველოს ომი გრძელდება. ...საქართველოსა და სომხეთში ნაციონალისტური ვნებები ბოზოქრობენ“...¹⁹. ამ საკითხთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინს წაუკითხავს ა. ა. ცაგარელის წიგნი „საქართველოს უცილობელი უფლება მისი დამოუკიდებლობის აღიარებისა და სახელმწიფო საზღვრების აღდგენის შესახებ“ (გამოიცა 1919 წელს თბილისში და დაცულია ვ. ი. ლენინის პირად ბიბლიოთეკაში), აგრეთვე „ამიერკავკასიის რუსული ნაციონალური საბჭოს 1918 წლის მოღვაწეობის ანგარიში“²⁰ (გამოცემული თბილისში, 1918 წ.) და სხვა.

მისსავე ბიბლიოთეკაში არის წიგნები საქართველოში მენშევიკების და აზერბაიჯანში მუსავატელთა ბატონობის დროს მომხდარ შემადრწუნებელ მოვლენათა შესახებაც, კერძოდ: — „1918 წლის 9-13 იანვარს ამიერკავკასიის რკინიგზაზე აქსტაფა-აჯიკაბულის უბანზე მომხდარი ამბების აღწერა“, რომელიც გამოცემულია თბილისში 1918 წელს; ბ. იშხანიანი „უდიდესი საშინელებანი ბაქოში“, სექტემბრის ამბების ანკეტური გამოკვლევა, გამოცემული თბილისში 1918 წელს²¹.

გ. სტანკევიჩის შრომა „რუსეთის ხალხთა ბედი“²² გამოცემულია 1921 წელს თბილისში და ეხება ბელორუსიის, უკრაინის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის ხალხების ისტორიულ წარსულს და მათს ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისათვის: „სამშვიდობო ხელშეკრულება რუსეთსა და საქართველოს შორის“ (გამოცემული მოსკოვში 1920 წ.), გ. ხუნდაძე, „საბჭოთა ხელისუფლება და საქართველოს საელჩო რუსეთში“,

¹⁸ ვ. ი. ლენინის ბიბლიოთეკა კრემლში. კატალოგი. მოსკოვი. 1961, გვ. 218, 235.

¹⁹ გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, თბილისი, 1959, გვ. 82.

²⁰ ვ. ი. ლენინის ბიბლიოთეკა კრემლში, კატალოგი. მოსკოვი, 1961, გვ. 238, 239.

²¹ იქვე, გვ. 235.

²² იქვე, გვ. 301.

„რუსეთის სოციალისტური საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ურთიერთობის ისტორიიდან“. წიგნი შედგენილია საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ოფიციალური მასალების საფუძველზე, გამოცემულია მოსკოვში 1921 წელს²³.

როგორც ცნობილია, 1920 წლის 7 მაისს დაიდო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის, რომლის მიხედვით საქართველოს მენშევიკურ მთავრობას ყოველგვარი კავშირი უნდა გაეწყვიტა რუსეთის კონტრრევოლუციასთან, საქართველოდან გაეძევებინა უცხოეთის სამხედრო ნაწილები და მიეცა ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის ლეგალურად არსებობის საშუალება, მენშევიკურ მთავრობას უნდა გაეთავისუფლებინა დაპატიმრებული ბოლშევიკები. რსფსრ მთავრობამ ს. მ. კიროვი დანიშნა თავის სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოში.

ს. მ. კიროვი მოურიდებლად ამხელდა მენშევიკური მთავრობის ანტიხალხურ საქმიანობას საქართველოში, ადგენდა სათანადო საპროტესტო ნოტებს ხელშეკრულების პუნქტების დარღვევის შემთხვევებში. აღნიშნული მასალა გამოქვეყნებულია საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ოფიციალურ გამოცემაში, რომელიც ლენინის პირად ბიბლიოთეკაში ინახება.

ვ. ი. ლენინის პირადი ბიბლიოთეკის კომუნისტური მოძრაობის ისტორიის განყოფილებაში, სადაც თავმოყრილია პარტიული მშენებლობის, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების და კომუნისტური პარტიის მოღვაწეთა მასალები, მრავალრიცხოვან წიგნებს შორის ინახება ლიტერატურა საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის შესახებ. ამ ლიტერატურის საშუალებით ის კარგად იცნობდა საქართველოში წარმოებულ შინაპარტიულ ბრძოლას როგორც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის პერიოდში, ისე საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგაც.

ვ. ი. ლენინს ბიბლიოთეკაში ჰქონდა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების პირველი ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, რომლის ყდაზეც წარწერილია: „ამხ. ლენინს“. სტენოგრაფია თბილისშია გამოცემული რუსულ ენაზე. ბიბლიოთეკაში ინახება

²³ ვ. ი. ლენინის ბიბლიოთეკა კრემლში. კატალოგი. მოსკოვი, 1961 წ. გვ. 228; 231.



აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობის (1922 წელი, იანვარ-თებერვალი) მასალები, რომელიც მსხვერპლად კომუნისტური პარტიის წევრებისათვის იყო განკუთვნილი.

ამ ლიტერატურისა და სხვა მასალების წყალობით ვ. ი. ლენინმა ღრმად შეისწავლა საქართველოსა და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში შექმნილი მდგომარეობა. იგი განსაკუთრებული სერიოზულობით ეკიდებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და პარტიის სამხარეო კომიტეტს შორის იმ დროს არსებულ უთანხმოებას, იღებდა ყოველგვარ ზომებს მის აღმოსაფხვრელად. აი, რას წერს ვ. ი. ლენინის პირადი მდივანა ლ. ა. ფოტიევა:

„ვლადიმერ ილიას ძე კარგად და ყოველმხრივ იყო ინფორმირებული საქართველოში არსებული მდგომარეობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ში მომხდარი კონფლიქტის შესახებ. ამ საკითხზე მას არაერთხელ უსაუბრია ორჯონიკიძესთან, სტალინთან, ძერჟინსკისთან და სხვა ხელმძღვანელ მუშაკებთან. უსაუბრია აგრეთვე მდივანთან, მახარაძესთან და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის სხვა წევრებთან.

გარდა ამისა, ვ. ი. ლენინი იღებდა წერილებს, ბარათებს, დეპეშებს პირდაპირი ხაზით როგორც ერთი, ასევე მეორე მხარისაგან, რომლებითაც აცნობებდნენ ყოველ ახალ ეტაპს ან ბრძოლის ეპიზოდს²⁴.

ვ. ი. ლენინის კრემლის სამუშაო კაბინეტში, იქ, სადაც მისი პირადი ბიბლიოთეკაა მოთავსებული, კედელზე სხვა რუკებთან ერთად, გაკრულია საქართველოს ეთნოგრაფიული რუკა, რომელიც ვ. ი. ლენინმა ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრ კავშირის შექმნის პერიოდში შეიძინა. ამ მეტად საინტერესო რუკაზე აღნიშნულია საქართველოში მოსახლე ეთნოგრაფიულ ჯგუფთა სახელწოდებანი. რუკაზე ვკითხულობთ ფერადი ფანქრით გაკეთებულ წარწერებს: „გურულები“, „რაჭველები“, „აფხაზები“, „ოსები“, „აჭარლები“, „მეგრელები“, „სვანები“ და ა. შ.

ვ. ი. ლენინს სამუშაო კაბინეტში კედლის ღუმელზე გაკრული ჰქონდა კავკასიის რუკა, რომელზედაც ფერადი ფანქრით იყო აღნიშნული საზღვრები და სახელმწიფოთა სახელწოდებები: „საქართვე-

²⁴ ლ. ა. ფოტიევა, ვ. ი. ლენინის მოღვაწეობის უკანასკნელი თვეები (დეკემბერი, 1922 მარტი, 1923 წ.).

ლო“, „სომხეთი“, „თურქეთი“. აქვეა კავკასიის შედარებით პატარა ფორმატის რუკაც.

ვ. ი. ლენინი ღებულობდა და სისტემატურად ეცნობოდა კავკასიურ პერიოდულ გამოცემებს: ბიბლიოთეკაში ინახება „რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის უწყებები“, №№3, 4, 7, 1922 წ. (რომელთა თითოეულ ნომერს პირველ ფურცლებზე აწერია: „ვ. ი. ლენინს“); „ამიერკავკასიის რუსული ეროვნული საბჭოს უწყებები“— №3-6-2 (8) 1919 წ., №8 (14), 1920; „რკპ(ბ) კავკასიის ბიუროს ცენტრალური კომიტეტის უწყებები“, 1922 წ. №1-2, ვ. ი. ლენინმა მიიღო და წაიკითხა აგრეთვე 1921 წლის „კავკასიის ეკონომიური ცხოვრება“ № 3, სადაც მოცემულია ცნობა რკპ(ბ) კავკასიის ბიუროსთან ეკონომიური თათბირის მოწვევის შესახებ.

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ დღის წესრიგში დადგა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების პოლიტიკური, სამეურნეო და სახელმწიფოებრივი გაერთიანების საკითხი.

ვ. ი. ლენინმა მხარი დაუჭირა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეას და ამასთან დაკავშირებით 1921 წლის 28 ნოემბერს კრემლის სამუშაო კაბინეტში შეიმუშავა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს რეზოლუციის პროექტი ამიერკავკასიის რესპუბლიკაში ფედერაციული გაერთიანების შესახებ, სადაც ვკითხულობთ: „ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა აღიარებულ იქნას პრინციპულად აბსოლუტურად სწორად... წინადადება მიეცეს (კავბიუროს მეშვეობით) საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ცენტრალურ კომიტეტებს ფედერაციის საკითხი დააყენონ უფრო ფართოდ“²⁵.

ვ. ი. ლენინის პირად ბიბლიოთეკაში დაცული ლიტერატურა საქართველოსა და კავკასიის შესახებ ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა დიდ ინტერესს იჩენდა ვ. ი. ლენინი საქართველოსა და კავკასიის ხალხებისადმი, მათი პოლიტიკურა და ეკონომიკური აღორძინებისადმი.

თ ბ ი ლ ი ს ი

²⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 134.

ალექსანდრე ლორია

დაუშვიწყარი მოღვაწე

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დიდი ყურადღება დაეთმო მეცნიერული აზროვნების განვითარებას. როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, მეცნიერებასა თუ ტექნიკაში ჭეშმარიტად მაღალი შედეგების მიღწევა შეუძლებელია, თუ არ არსებობს შესაბამისად განვითარებული ბიბლიოგრაფიულ-ინფორმაციული საშუალებები, სრულყოფილად მოწესრიგებული საბიბლიოთეკო-საარქივო სისტემა. ამიტომაც იმთავითვე განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული საქმის სრულყოფას. მაგრამ იმ პერიოდში არსებული დროე ვერ უზარუნველყოფდა საქმის შეუფერხებელ განვითარებას. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო შესაფერისი სპეციალისტების მიზიდვა, მომზადება, რაც სამწუხაროდ, ყოველგვარი გამოცდილების გარეშე საკმაოდ ძნელი და რთული საქმე იყო.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სუსტი ქსელი, საკატალოგო მეურნეობის სრული უწყესრიგობა, ვიწრო უწყებრიობა, ინფორმაციის საშუალებათა უქონლობა, დაბალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რასაც კადრების სიმცირე და შრომის არაკვალიფიციური გაძლოა ემატებოდა, საგრძნობლად აფერხებდა როგორც მოსახლეობის კულტურულ მომსახურებას, ისე მეცნიერების სწრაფ განვითარებას.

ამიტომაც იყო, რომ ჩვენი მეცნიერული საზოგადოების კორიფეებმა ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით თავიანთი მოღვაწეობის დაწყებისთანავე გადამჭრელი ზომები მიიღეს ჩვენი დიდი ბიბლიოთეკების განვითარებისა და ქართული ბიბლიოგრაფიის სრულყოფისათვის. თითქმის ყველა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი პირველ ხანებში ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობდა ან აქტიურად უწყობდა მას ხელს საქმის მოწესრიგებაში. ზოგი მათგანი უშუალოდ მუ-

შაობდა კიდეც ბიბლიოთეკაში, როგორც ხელმძღვანელი, ისე როგორ-
თი მუშაკი.



ასეთ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ადამი-
ანთა მოღვაწეობას, რომლებიც მთელ თავის შემოქმედებით ენერ-
გიას საბიბლიოთეკო საქმესა და ბიბლიოგრაფიას მოახმარდნენ, არა
როგორც დამატებით საზოგადოებრივ საქმიანობას, არამედ როგორც
ძირითად სპეციალობას და ამ დარგის პროფესიონალი მუშაკები გახ-
დებოდნენ.

ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება იმხანად საქართველოს
უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი
ნიკოლოზ გიორგის ძე ლორთქიფანიძე.

ნიკოლოზ გიორგის ძე ლორთქიფანიძე, რომელსაც მისი ახლობ-
ლები თუ საზოგადოება უბრალოდ ნიკოს უწოდებდა, დაიბადა ქუ-
თაისში 1901 წელს. აქ გაატარა ბავშვობა, აქ დაამთავრა კლასიკური
გიმნაზია, მომსწრე გახდა იმ მღელვარე, მშფოთვარე დღეებისა,
რომლებიც დიადი რევოლუციის კვირაძალს წარმოადგენდა. ქუთა-
ისი ხომ იმ დროს ერთ-ერთი უდიდესი რევოლუციური ცენტრი იყო
მთელ რუსეთის იმპერიაში. ნიჭიერ ახალგაზრდას საკმაოდ რთულ
პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ გარემოში მოუხდა სწავლა და დაეუ-
კაცება. მამით ადრე დაობლებულ სამ ძმას დედა ზრდიდა და ნიკოც,
როგორც უფროსი, ცდილობდა როგორმე შეემსუბუქებინა მშობ-
ლისათვის მძიმე ტვირთი.

1921 წელს ნიკო ლორთქიფანიძე თბილისის უნივერსიტეტის
სტუდენტია. ბევრს მეცადინეობს. განსაკუთრებით იზიდავს პოლი-
ტიკური და სოციალური საკითხები, გატაცებულია პედაგოგიკით.
დამქანცველმა, გამუდმებულმა შრომამ, მძიმე მატერიალურმა პირო-
ბებმა შეარყია მისი ჯანმრთელობა, რაც ერთგვარად აფერხებდა მის
შრომით საქმიანობას, მაგრამ არასოდეს შეუწყვეტია მუშაობა თა-
ვის თავზე, არასოდეს არ უთქვამს უარი აქტიურ მოღვაწეობაზე,
თუმც მძიმე სენმა სამუდამო დალი დააჩნია მის ცხოვრებას. იგი იძუ-
ლებული იყო მუდამ ანგარიში გაეწია თავისი ჯანმრთელობისათვის,
ეზრუნა გარკვეულ რეჟიმზე, მაგრამ ერთი წამითაც არ გამოთიშვია
კოლექტივს.


ახალგაზრდა ნ. ლორთქიფანიძემ სტუდენტობის პირველსავე
წელს წითელი არმიის ქართული დივიზიის ცენტრალურ ბიბლიოთე-
კაში ბიბლიოთეკარად დაიწყო მუშაობა, რათა გამოენახა არსებობის
სახსარი, რომ ამით მიანიც დახმარებოდა მძიმე პირობებში ჩაყარ-

დნილ ოჯახს. ლექციების მოსმენასთან ერთად შეთავსებით სამსახურში სიარული, ცხადია, მიიმე ტვირთი იქნებოდა, მაგრამ იგი წარმატებით ართმევდა თავს ამ ორ ურთულეს საქმეს

ამ პერიოდმა დიდი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში. ნ. ლორთქიფანიძე პირველად ამ დროს ეზიარა საბიბლიოთეკო საქმის საიდუმლოებას, გაეცნო მკითხველს, მოიხიბლა საკატალოგო სისტემათა საოცრად დახვეწილი, უაღრესად ლოგიკური თანმიმდევრობით, მეტად რთული და საინტერესო, ჯერ თითქმის სრულიად შეუსწავლელი პრობლემებით, იმ პროცესებით, რომლებიც შემდგომ მეთოდურ დახვეწას მოითხოვდნენ. მან ნათლად დაინახა რა პერსპექტივები ისახებოდა ამ დარგში.

ალბათ ამან განაპირობა, რომ უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, უარს ამბობს თავის სპეციალობაზე და მტკიცედ გადაწყვეტს დაეფულოს საბიბლიოთეკო საქმეს. მალე მას სკოლისგარეშე მუშაობის სახლთან არსებულ ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტის საბჭოს წევრად ირჩევენ. საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ სტუდენტს, 1924 წლიდან საქართველოს პირველ საბიბლიოთეკო კურსებზე ბიბლიოთეკათმცოდნეობაში ლექციების კითხვას ანდობენ.

1925 წელს ნ. ლორთქიფანიძე სამუშაოდ გადადის საქართველოს სსრ წიგნის პალატაში რედაქტორ-ინსტრუქტორად. აქედან იწყება მისი ნამდვილი შემოქმედებითი გზა როგორც საბიბლიოთეკო საქმის პრაქტიკულ სარბიელზე, ისე ბიბლიოთეკათმცოდნეობასა და ბიბლიოგრაფიაში. აქ მისი რედაქციით გამოდის პირველი ქართული „წიგნის მატიანე“, რომელშიც 1917-1925 წლების ქართული წიგნის რეპერტუარი აისახა. 1930 წელს მისი თანაავტორობით წიგნის პალატამ გამოსცა „გეორგიის ბიბლიოგრაფია“ (Bibliographia Georgica), რომელიც უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო ქართველოლოგიურა ლიტერატურის ბიბლიოგრაფირების საქმეში. თავის დროზე ამ გამოცემამ სპეციალისტთა მეტად მაღალი შეფასება დაიმსახურა.



ნიკოლოზ ლორთქიფანიძე



ბოდესაც 1920 წელს დაისვა საკითხი საქართველოს რევოლუციის მუზეუმთან სრულყოფილი, მაღალორგანიზებული ბიბლიოთეკის შექმნისა, ხელმძღვანელობამ ამ ბიბლიოთეკის გამგედ უყოყმანოდ მიიწვია უკვე საკმაოდ ცნობილი და გამოცდილი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, საქმის კარგი მცოდნე და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა ნიკო ლორთქიფანიძე. აქ სულ რაღაც ორიოდე წლის განმავლობაში მუშაობისას მან შესამჩნევად გააუმჯობესა ბიბლიოთეკის საქმიანობა, ამაღლდა ბიბლიოთეკაში შრომის დისციპლინა, სამუშაო პროცესები დაექვემდებარა მტკიცედ ჩამოყალიბებულ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, დაიხვეწა მომსახურების პროცესები, სისტემაში იქნა მოყვანილი ბიბლიოთეკის ფონდი და საკატალოგო მეურნეობა, და, რაც მთავარია, მისი მონღობებული საქმიანობის შედეგად ბიბლიოთეკა გამდიდრდა იშვიათი ეგზემპლარებითა და უნიკალური გამოცემებით. ნ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით აქ თავი მოუყარეს მთელ ქვეყანაში მიმოფანტულ რევოლუციურ ლეგალურ თუ არალეგალურ პერიოდიკას, შედგა არალეგალური ფურცლების ანოტირებული კარტოთეკა, რამაც დიდად შეუწყო ხელი სპეციალისტ მკვლევარებს, შეესწავლათ რევოლუციური მოძრაობის ისტორია საქართველოში.

1931 წლიდან უკვე სავსებით დახელოვნებული და გამოცდილი მუშაკი, თეორიული და პრაქტიკული ცოდნით გამდიდრებული სპეციალისტი — ნიკო ლორთქიფანიძე მოღვაწეობას იწყებს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტის გამგედ. ამავე დროს სწავლული მდივნის მოვალეობასაც ასრულებს. აქ ნათლად გამოჩნდა მისი ცოდნა და უნარი — მეცნიერულად მიუდგეს საბიბლიოთეკო პრაქტიკის განვითარების საქმეს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მუშაობა საბიბლიოთეკო შრომის დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიის შემუშავების საქმეში. ამ პერიოდში შრომის მეცნიერული ორგანიზაცია საკმაოდ ჩამორჩებოდა და ამ მხრივ წარმოებული მუშაობა უდავოდ დიდ ინტერესს იწვევდა. საბჭოთა კავშირში პირველად ნ. ლორთქიფანიძემ მოაწყო წიგნის დამუშავების პროცესების ქრონომეტრული გამოკვლევა, რის საფუძველზედაც ახალი ნორმატივები შეიმუშავა, რამაც ერთგვარად გაზარდა კვალიფიციურ კლასიფიკატორთა შრომის ნაყოფიერება. ამან თავისთავად დიდად შეუწყო ხელი რესპუბლიკური ბიბლიოთეკის საკატალოგო მეურნეობის მოწესრიგებას. ნ. ლორთქიფანიძე საბჭოთა კავშირ-

ში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც სათავე დაუდო საბიბლიოთეკო პროცესების ნორმირებას და ამ ნორმათა გამოყენებას გეგმების ტექნიკური გაანგარიშების დროს.



ნ. ლორთქიფანიძის რეკომენდაციითა და მისი უშუალო მონაწილეობით ჩატარდა მთელი დაწესებულების რეორგანიზაცია, შემოიღეს ახალი სტრუქტურა, შედგა პირველი სრულყოფილი თანამედროვე დებულება, დაზუსტდა საშტატო განრიგი.

30-იან წლებში საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკა კულტურისა და მეცნიერების მძლავრ ცენტრს წარმოადგენს. კავშირის მასშტაბით მთელ სისტემაში იგი ერთ-ერთი ყველაზე ორგანიზებული და გეგმიანად მომუშავე დაწესებულებაა, რაშიც უდიდესი წვლილი ნ. ლორთქიფანიძეს მიუძღვის. აქ ნიჭიერი სპეციალისტის შრომითა და საქმიანობით უკვე სხვა ბიბლიოთეკებიც ინტერესდებიან. რაოდენ საამაყო იყო, როდესაც ნ. ლორთქიფანიძის სამუშაოთა დაგეგმვის მეთოდოლოგიას უაღრესად მაღალი შეფასება მისცა ბიბლიოთეკამცოდნეობის საკავშირო კვლევითმა ინსტიტუტმა. ნ. ლორთქიფანიძის მიერ 1933 წლასათვის შედგენილი ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმა კავშირის მასშტაბით განზოგადებულ იქნა და ბევრი რამ სხვა ბიბლიოთეკებშიც დაინერგა.

1938 წელს ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში საქართველოში პირველად გაიხსნა ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი. ნ. ლორთქიფანიძე, გ. ბაქრაძესა და გ. გიორგიძესთან ერთად, წარმოადგენდა ამ ფაკულტეტის ჩამოყალიბებისა და განვითარების ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ორგანიზატორს. აქედან მოყოლებული ღრმა მოხუცებულობამდე მას თავი არ გაუნებებია უმაღლესი საბიბლიოთეკო კადრების მომზადების საქმისათვის. მაშინაც კი, როდესაც 1942 წელს რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილედ ნიშნავენ, იგი შეთავსებით კითხულობს ლექციებს ბიბლიოთეკათმცოდნეობასა და პედაგოგიკის ისტორიაში, ორივე საქმეს დიდი ენერგიითა და მონდომებით ასრულებს.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკის წამყვან მუშაკად დანიშნა მას მეტად მძიმე პირობებში მოუხდა. ბიბლიოთეკის ძველი მუშაკები ახლაც იხსენებენ, რა რთულ ვითარებაში უწევდათ მათ მუშაობა ომის ქარცეცხლიან დღეებში. საკმარისი ელექტროენერგიის უქონლობა, საჭირო ქაღალდის სიმცირე, შევიწროებული ბიუჯეტი, ბიბტექნიკის ნაკლებობა, უხარისხო სამუშაო საშუალებები, მაღალკვალიფიციუ-



ზი კადრების ხშირი ცვლა და დენადობა, საერთო ეკონომიკური გა-
 საჭირი. მხოლოდ ზედმიწევნით მომჭირნე და მოწესრიგებულ საგან-
 ურნეო სისტემას თუ შეეძლო რღვევისაგან ეხსნა და დაეცვა უკვე
 სრულყოფილებამდე მოყვანილი და აწყობილი საქმე. ნ. ლორთქიფა-
 ნიძე საქმისადმი არნახული ერთგულებითა და სიყვარულით, მისთვის
 ჩვეული უაღრესად მაღალი პასუხისმგებლობის გრძობითა და დის-
 ციპლინით სწორედ ისეთ პიროვნებას წარმოადგენდა, რომელიც სავ-
 სებით შეეფერებოდა არსებულ მდგომარეობას. აღსანიშნავია, რომ
 მიუხედავად მძიმე პირობებისა, ომის პერიოდში რესპუბლიკური
 ბიბლიოთეკის საქმიანობა თუმცა კი შეფერხდა, ადრინდელი ტემპით
 ვეღარ მიიწვედა წინ, მაგრამ არამც თუ დაქვეითებულა, პირიქით,
 საკმაო წარმატებასაც მიაღწია, განსაკუთრებით მეცნიერული და
 ბიბლიოგრაფიული პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით. ყოვე-
 ლივე ამან განაპირობა ომის შემდგომ პერიოდში დაწესებულებების
 სწრაფი აღმავლობა.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილედ მუშა-
 ობის დროს ნ. ლორთქიფანიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქ-
 ცევდა მეცნიერული და მეთოდური მუშაობის განვითარების საქმეს.
 მისი ენერგიული მხარდაჭერით დაიწყო ქართული პერიოდიკის ანა-
 ლიტკური ბიბლიოგრაფიის ტომების გამოცემა, გამოსვლას იწყებს
 რესპუბლიკური ბიბლიოთეკის „შრომები“. შეიძლება ითქვას, რომ
 40-50-იან წლებში ჩვენი რესპუბლიკური ბიბლიოთეკა ბიბლიოთე-
 კათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ნამდვილ კერას წარმოადგენს,
 რაც, უპირველეს ყოვლისა, ივანე ციციშვილისა და ნ. ლორთქიფა-
 ნიძის დამსახურება იყო. ნ. ლორთქიფანიძის ენერგიული მოქმედ-
 ბის შედეგად რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მეცნიერული პერიო-
 დული ორგანო „შრომები“ გამოირჩეოდა თავისი მაღალი დონითა
 და საგამომცემლო კულტურით. ასეთი ორგანო დიდი ხნის სანუკვარი
 ოცნება იყო საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებისათვის. სამწუ-
 ხაროდ, დღეს ისევ ოცნებად რჩება იგი ჩვენთვის, რაც მეტად აფერ-
 ხებს მეცნიერული აზრის განვითარებას ბიბლიოთეკათმცოდნეობისა
 და ბიბლიოგრაფიის დარგში.

ნ. ლორთქიფანიძე, მიუხედავად დაძაბული საორგანიზაციო საქ-
 მიანობისა, ყოველთვის ახერხებდა მეცნიერულ კვლევით საქმიანო-
 ბას. 1948 წელს მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია და პედაგოგი-
 კურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა.

მართალია, თავისი მოღვაწეობის დიდი ნაწილი მან საბიბლიო-



თეკო პრაქტიკას მოახმარა, მაგრამ მის სტიქიად მიიხსენიეს მეცნიერული და პედაგოგიური საქმიანობა რჩებოდა მუდამ. ამიტომ იყო, როდესაც საკითხი დაისვა, მას ერთ-ერთი გზა უნდა აერჩია: ან პრაქტიკული საბიბლიოთეკო მოღვაწეობა, ან ინსტიტუტში მუშაობა, მან უპოყმანოდ არჩია ეს უკანასკნელი.

ვინ იცის, რა ძნელი იყო მისთვის სამუდამოდ წასულიყო იმ დაწესებულებიდან, სადაც ამდენი ენერგია და დრო შეაღწია თავის საქმეს, სადაც სული და გული ჩააქსოვა მუშაობაში, სადაც უამრავი მეგობარი და კოლეგა ჰყავდა, მაგრამ მაინც 1954 წელს ტოვებს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას და სამუშაოდ ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გადადის დოცენტის თანამდებობაზე, სადაც იგი ერთ-ერთ წამყვან სპეციალისტად ითვლება ბიბლიოთეკათმცოდნეობის დისციპლინებში. 1961 წლიდან ნ. ლორთქიფანიძეს ახლადჩამოყალიბებულ ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის გამგედ ირჩევენ. იგი ამ თანამდებობაზე მუშაობდა პენსიაზე გასვლამდე.

აქ სრულყოფილად გაიშალა მისი შემოქმედებითი უნარი, მეცნიერული და პედაგოგიური შესაძლებლობანი.

ათასობით სტუდენტი აღუზრდია ღვაწლმოსილ მეცნიერსა და პედაგოგს. ძნელია დაივიწყო მისი დახვეწილი, უაღრესად საინტერესო, შთამბეჭდავი, მაღალი კულტურით გამორჩეული ლექციები, ღრმა შინაარსიანი სემინარები, მისი ზოგჯერ მამაშვილური, ზოგჯერ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი შენიშვნები, მისი გულისხმიერება სტუდენტებისადმი. მუდამ მზად იყო მხარში ამოდგომოდა კოლეგას და საჭირო დახმარება აღმოეჩინა მისთვის. ძნელად იპოვი საქართველოში საბიბლიოთეკო დარგის მუშაკს, რომელიც არ იცნობდეს ნ. ლორთქიფანიძეს, ამ დაუღალავ მუშაკს, ღვაწლმოსილ მეცნიერსა და შესანიშნავ პედაგოგს. იგი ხომ 40 წელზე მეტი ემსახურა კადრების მომზადების კეთილშობილურ საქმეს.

ძნელია სათანადოდ შეაფასო ის ღვაწლი, რაც ნ. ლორთქიფანიძემ საბიბლიოთეკო საქმესა და ბიბლიოთეკათმცოდნეობას დასდო. მისი სტატიები, მეთოდური წერილები, რომლებიც ხუთ ათეულს აჭარბებს, მისი წიგნები და ბროშურები ყოველთვის გამოირჩეოდა აქტუალური პრობლემების დასმითა და გადაწყვეტით, საკითხების საინტერესოდ გაშუქებითა და ღრმა ანალიზით, უბრალო, სადა, ყველასათვის გასაგები წერის მანერითა და ენით.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკის „ზრომებში“ გამოქვეყნებული



მისი სტატიები ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციისა და სამეცნიერო კლასიფიკაციის ურთიერთმიმართებაზე, კატალოგიზაციის, ბიბლიოგრაფიისა და არქეოლოგიის პრობლემებზე, ქართული საგნობრივი რუბრიკების კონსტრუქციის პრინციპებზე და სხვა, წარმოადგენდა უაღრესად სერიოზულ მეცნიერულ და მეთოდოლოგიურ ნაშრომებს.

1930 წელს ნ. ლორთქიფანიძემ გამოსცა პირველი მეთოდური სახელმძღვანელო „საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია“, რომელიც დიდხანს ითვლებოდა თეორიულ საფუძვლად ბიბლიოთეკის მეურნეობის გეგმიანად წარმოების დარგში. ამ წიგნში მან შეძლო განეზოგადებინა ის მდიდარი გამოცდილება და მეცნიერული მიღწევები, რაც უკვე გააჩნდა ახალგაზრდა საბჭოთა ბიბლიოთეკათმცოდნეობას. ამავე დროს მოეცა საკუთარი მოსაზრებები და წინადადებები. სწორედ ამ წიგნში მოგვცა მან სამუშაო გეგმის ტექნიკურად გაანგარიშების, ნორმების გამოყენებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მეთოდები. აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკათმცოდნეობის ამ ურთულეს საკითხებზე არც აქამდე და არც შემდეგ ნ. ლორთქიფანიძის მეტს საქართველოში არავის უმუშავია. ამიტომაც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო მის მიერ ამ საკითხებისადმი მუდმივი ინტერესი. მან 1969 წელს კვლავ გამოსცა წიგნი „საბიბლიოთეკო საქმის დანერგვა“, სიკვდილამდე ენერგიულად მუშაობდა საბიბლიოთეკო საქმის ეკონომიკის საკითხებზე. მის მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკის ეკონომიკური მაჩვენებლის კოეფიციენტის ფორმულა სპეციალისტთა წრეებში მთელ საბჭოთა კავშირში საერთო განსჯისა და განხილვის საგანი გახდა.

1940 წელს ნ. ლორთქიფანიძე აქვეყნებს წიგნს „ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სისტემები“, რომელიც სათავეს უდებს საქართველოში საკატალოგო სისტემების ისტორიის კვლევას. დიდ მუშაობას ეწევა ნ. ლორთქიფანიძე ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კვლევის საგნის დადგენის, ზუსტი განსაზღვრისა და მათი დისციპლინების ჩამოყალიბებისათვის, აგრეთვე მეცნიერული საბიბლიოთეკო ტერმინოლოგიის საქმეში. ამ მხრივ განკერძოებულად დგას მისი სტატია „ბიბლიოგრაფია, მისი საგანი და სწავლება“ („ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1948, № 4-5) და 1967 წელს გამოცემული ბროშურა „ბიბლიოთეკათმცოდნეობა, მისი საგანი და ამოცანები“. მაგრამ განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა მან საქართველოში კატალოგების მეცნიერული და მეთოდოლოგიური საფუძვლების დამუშავების საქმეში. მისი წიგნები: „სისტემატური კატალოგი“



(1967), „საგნობრივი კატალოგი“ (1959), „ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სისტემების სსრ კავშირში“ (1960), „საბიბლიოთეკო კატალოგების ორგანიზაცია“, „ცენტრალიზებული კატალოგიზაცია“ (1961), „ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის ისტორია“ (1962), „განსაკუთრებული სახის გამოცემების კატალოგიზაცია“ (1964), „ბეჭდური გრაფიკის კატალოგიზაცია“ (1967) და სხვ., მნიშვნელოვან ნაშრომებს წარმოადგენენ არა მარტო საქმისადმი უაღრესად მეცნიერული დამოკიდებულებით, არამედ ახალი მეთოდური რეკომენდაციების შემუშავების თვალსაზრისითაც. მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი სიახლენია დანერგილი აღწერილობათა წესებში, ეს წიგნები ამჟამადაც შეუცვლელი სახელმძღვანელოებია ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგის სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის. ნ. ლორთქიფანიძის მიერ 1960 წელს რუსულ ენაზე გამოცემული ბროშურა „სსრ კავშირის გეოგრაფიული განმსაზღვრელები“ ჩვენი ქვეყნის საბიბლიოთეკო ცენტრებში მეცნიერთა ფართო პოლემიკის საგნად იქცა. მართალია, ავტორმა მრავალი სამართლიანი თუ უსამართლო თავდასხმა განიცადა მის მიერ შეთავაზებულ სიახლეთა გამო, მაგრამ ამ ნაშრომმა თავისი ლოგიკურობითა და არგუმენტაციით განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სპეციალისტებზე და დიდი როლი ითამაშა სსრ კავშირის გეოგრაფიული განმსაზღვრელების შემდგომი დაზუსტებისა და მათში სერიოზული შესწორების შეტანის საქმეში.

ფრიად საგულისხმო იყო ნ. ლორთქიფანიძის გამოსვლა სამეცნიერო თათბირ-სემინარზე მოსკოვში. ეს ღონისძიება ახალი საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის (ББК) საკითხებს მიეძღვნა. ნ. ლორთქიფანიძის მიერ აქ წამოყენებული ბევრი მოსაზრება შემდგომში გათვალისწინებულ იქნა ამ ახალი საკლასიფიკაციო სისტემის შემუშავებისა და მიღების დროს.

გასაოცარი შრომის უნარი, საკვლევი საგნისადმი უაღრესად სერიოზული დამოკიდებულება, ფართო ხედვა, პერსპექტივის ნათლად განჭვრეტა, სიახლისადმი თამამი დამოკიდებულება — აი, რა ახასიათებდა მას, როგორც მკვლევარსა და მეცნიერს.

შთამბეჭდავი იყო ის თავისი პიროვნული თავისებურებებით. მაღალი, წარმოსადგეი, სანდომიანი პირისახის ქალარა მოხუცი დიდებულ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე. დიდი თუ პატარა, მის მიმართ ყველა განსაკუთრებული მოწიწებით იმსჯელებოდა. მოკრძალებული, უკიდურესად პუნქტუალური და თავდაჭერილი, იგი



უცებ გამეზღებოდა, როცა ამას სიტუაცია გამოიწვევდა. დედობა დებლად, პირდაპირ იცოდა ადამიანის მხილება. განსაკუთრებით ვერ იტანდა ვინმეს არასერიოზულობას. მას ეს თითქოს პირად შეურაცხყოფადაც კი მიაჩნდა. იცოდა გაჯავრება, მაგრამ გულში არასოდეს არაფერს ჩაიხვევდა. დიდხანს არასოდეს გაიყოლებდა წყენას. დაყვავებაც იცოდა. სამართლიანი და შეუვალე პიროვნება იყო. არასოდეს არავის თავის გასაჭირს, მძიმე განწყობილებას თავს არ მოახვევდა. იყო უაღრესად დიდი მოქალაქე ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

ამიტომაც უყვარდა ის ყველას, ვისაც კი მასთან ურთიერთობა ჰქონია. იგი გრძნობდა ამას და ეს მას ღრმა მოხუცებულობაშიც მატებდა ძალას, კვლავ ეშრომა დაუღალავად. სიცოცხლის მიწურულშიც კი, 80 წლის მსცოვანი მეცნიერი დიდი გულისყურით აღევნებდა თვალს ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის განვითარების საქმეს. განსაკუთრებით ახარებდა ახალგაზრდების წარმატებები. იგი გამუდმებით ლებულობდა მრავალ წერილს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან თვალსაჩინო მეცნიერთა თუ ახალგაზრდა სპეციალისტებისაგან, ყოფილი სტუდენტებისა თუ კოლეგებისაგან.

ნ. ლორთქიფანიძე გარდაიცვალა 1981 წელს. დიდი გულისტკივილით გააცილეს იგი უკანასკნელ გზაზე მისმა კოლეგებმა, აღზრდილებმა, თაყვანისმცემლებმა. ხშირად იტყოდა ხოლმე: დაბარებული მაქვს, როცა გარდავიცვლები, არავითარი ცერემონიალი არ გამიმართონ, არავითარი პროცესია არაა საჭირო. მან თავის ღროს კატეგორიული უარი განაცხადა იუბილეს გადახდაზე და ამის გამო არც გამართულა ეს საზეიმო შეხვედრა, მაგრამ გარდაცვალებასთან დაკავშირებით ვერ აღსრულდა მისი დანაბარები. მის ნეშტს უამრავი ხალხი მიაცილებდა.

არ დაიკარგება ის ჯანსაღი მარცვალი, რომელიც ნ. ლორთქიფანიძეს, როგორც მეცნიერსა და პედაგოგს, საქმის ერთგულ მუშაკსა და მოღვაწეს დაუთესია. თუ კაცის ღვაწლი იმით იზომება, ხალხისათვის, საზოგადოებისათვის თავისი ცხოვრების რა ნაწილი დაუთმია, მაშინ ნ. ლორთქიფანიძის სახელი იმ უანგარო, ღვაწლმოსილ ადამიანთა შორის უნდა მოვიხსენიოთ, რომელთაც პირნათლად მოიხადეს ვალი ქვეყნის წინაშე.

ინზა არღუთინსკაია

ლადო ასათიანის სახელობისათვის...

ასეთი წარწერა ამშვენებს ბიბლიოთეკის შესასვლელში კედლის მთელ სიგრძეზე გაკეთებულ სტენდს. დიახ, ლადო ასათიანის სახელობისათვის, ლადოსი, რომლის ლექსებში, როგორც ნიკა ავიაშვილი აღნიშნავს, „მეტ-ნაკლებად ჰპოვა ასახვა ყოველივე იმან, რაც კარგი და საუკეთესო ახასიათებს ჩვენი ქვეყნის დიად წარსულს და მის დღევანდელ წინსვლას, მისი ხალხის შეუპოვარ გმირულ ბრძოლას და თავდადებულ შრომას ხვალინდელი დღისათვის“.

„საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური საბავშვო ბიბლიოთეკა, — ვკითხულობთ ბიბლიოთეკის წესდებაში, — არის სახელმწიფო რესპუბლიკური წიგნსაცავი ლიტერატურისა, რომელიც განკუთვნილია ბავშვებისათვის და ბავშვთა კითხვის ხელმძღვანელებისათვის. იგი რესპუბლიკის ბავშვთა შორის ყველა ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო მუშაობის, საბავშვო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის სამეცნიერო დაწესებულება და ბიბლიოთეკების მეთოდური დახმარების ცენტრია“.

ბიბლიოთეკის მუშაკზე ბევრადაა დამოკიდებული, თუ როგორ აზიარებს მკითხველს წიგნს, როგორ დააუფლებს კითხვას, როგორ დააახლოებს ლიტერატურულ გმირთა სამყაროს, რომელიც შრომისა და მეგობრობისაკენ მოუწოდებს; როგორ შეურჩევს წიგნს, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაში გახდა ყოფის არსებითი ელემენტი; როგორც ამბობენ, ხშირად წიგნი ხომ ის პირველი ბიძგია, ის ძირითადი ფაქტორია, რომელიც უმეტესწილად განსაზღვრავს ბავშვის; ახალგაზრდის მომავალს. დღევანდელი ახალგაზრდობა ხომ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღეა.

წიგნი, როგორც აღნიშნავდა გ. სუხომლინსკი, „უნდა იქცეს მკითხველისათვის იმ ბილიკად, რომელიც გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური განვითარების მწვერვალებისაკენ მიდის. კითხვის



ცოდნა ნიშნავს სიტყვის არსისა და სილამაზის, მისი უნატიფესრ ნიუანსების შეგრძნების უნარს“.

დღეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებისა და ინფორმაციის ნაკადის გაძლიერებასთან დაკავშირებით, მოსწავლეებში შეიმჩნევა მრავალმხრივი კითხვის ინტერესების ზრდა. ნორჩ მკითხველთა მოთხოვნები ცოდნის სხვადასხვა სფეროს ეხება, რომელთა დაკმაყოფილება რთულია, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა კი, როგორც წესი, აქვეითებს მკითხველის აქტივობას, ბევრ მოზარდს ბიბლიოთეკაში სიარულის სურვილიც კი შეიძლება დააკარგვინოს.

საბიბლიოთეკო ფონდების ოპერატიული გამოყენება ამაღლებს წიგნის როლს საბჭოთა ბავშვებისა და ახალგაზრდობის სულიერ ცხოვრებაში, პარტიის მიერ დასახული შემოქმედებისა და შენების დიადი პროგრამის განხორციელებაში, იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბავშვთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში, რაზეც კიდევ ერთხელ მიგვანიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა.

დღეს, როგორც არასდროს, ამაღლდა ბიბლიოთეკარის, როგორც ინფორმატორის, მკითხველთა კონსულტანტის როლი. ბიბლიოთეკარის მუშაობა არ იფარგლება მარტო წიგნების გაცემით. აქ წიგნის პროპაგანდის ზეპირ და თვალსაჩინოების ხერხებს მოხდენილად უთავსებენ აუდოვიზუალურ საშუალებებს, და, რაც მთავარია, მუშაობას წითელ ზოლად გასდევს მოზარდი თაობის აღმზრდელი სამსახურის კომპლექსური მიდგომა.

საბავშვო ბიბლიოთეკას შინაარსის მიხედვით აქვს უნივერსალური ფონდი, თუმცა წიგნების, განსაკუთრებით „ოქროს ფონდში“ შემავალი ლიტერატურის ნაკლებობასაც განიცდიან. ყველასათვის ცნობილია, რომ საბიბლიოთეკო ფონდების დაკომპლექსების ხარისხის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი — ეს მისი გამოყენებაა, ამას კი განსაზღვრავს წიგნის ბრუნვა.

ბიბლიოთეკის მუშაობებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან მომავალი თაობის აღზრდასთან, აღეგებთ, როგორია დღევანდელი, 80-იანი წლების მკითხველი, რა იზიდავს მას ცხოვრებაში, ადამიანში; როგორ ესმის რომანტიკა, როგორ ესახება ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობის ბედი და სხვ. ამაში კვლავ წიგნი, წიგნის გმირები უწყვენ სამსახურს. მკითხველებისაგან ინტერვიუს და ანკეტების მეშვეობით ცნობილი ხდება, თუ როგორია მათი აზრი



ბიბლიოთეკების მიერ შეთავაზებულ წიგნებზე, რომელ წიგნს ისურვებდა იქონიოს პირად ბიბლიოთეკაში, რას აძლევს უპირატესობას: რადიოს, ტელევიზიას, თუ წიგნის კითხვას; სხვა პლანეტაზე რომ მოუწიოს გაფრენა, რომელ წიგნს წაიღებდა თან და სხვ.

მათი პასუხებიდან ჩანს, რომ ბიბლიოთეკის მკითხველებს ბევრი კარგი თვისება აქვთ, მათი საყვარელი წიგნის გმირები ზნეობრივად სუფთა, მაღალი იდეალების ადამიანები არიან, რომ მათ უყვართ კითხვა, რასაკვირველია, უარს არ ამბობენ რადიოსა და ტელევიზიორზეც.

დღეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბავშვების ცხოვრებაში წიგნთან ერთად ფართოდ შემოაბიჯეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა: კინომ, რადიომ, ტელევიზიამ, ამიტომ მრავალფეროვანი გახდა ნორჩ მკითხველთა ინტერესებიც. მოზღვავებული ინფორმაციის ორიენტირებაში კი, რასაკვირველია, მათ კვლავ ბიბლიოთეკარი ეხმარება. მკითხველებმა უნდა იცოდნენ, რომ ბიბლიოთეკა მართო წიგნსაცავი კი არ არის, არამედ ცოდნის ტაძარია, რომ იგი მკითხველებს ეხმარება იმის გარკვევაში, თუ როგორ იქმნებოდა ისტორია, კულტურა, ხელოვნება, ტექნიკა და სხვა, რომ ვ. ი. ლენინის ცხოვრებაში ბიბლიოთეკას განსაკუთრებული ადგილი ეკავა, რომ იგი ვ. ი. ლენინის საყვარელ სამუშაო ადგილად ითვლებოდა, რომ იგი რუსეთის პროვინციული და ევროპის უდიდესი ბიბლიოთეკების მკითხველი იყო.

ბიბლიოთეკარის ძირითადი დანიშნულებაა წიგნის პროპაგანდა, ფონდების ამოძრავება. მისი შრომა შემოქმედებითი და მრავალმხრივია. იგი ყოველდღიურად ზრუნავს, ფიქრობს იმაზე, თუ როგორ მიიტანოს მკითხველამდე წიგნი, შეახვედროს ისინი საინტერესო ადამიანებს, ამაში მას ეხმარება საბიბლიოთეკო მუშაობის მრავალმხრივი ფორმები: მკითხველთა კონფერენცია, დაუსწრებელი „მოგზაურობა“, მკითხველის ფორმულიარის დაცვა, წიგნების განხილვა, „მრგვალ მაგიდასთან“ (გულახდილი საუბარი), ვიქტორინა-კონკურსი და სხვ.

მუშაობის ასეთი ფორმები ხელს უწყობს მკითხველთა ზნეობრივ, ესთეტიკურ, შრომით აღზრდაში და პროფორიენტაციაში, სკოლაში მიღებული ცოდნის გაღრმავებაში, ახალი ინტერესების ფორმირებაში, კითხვის კულტურის ამალგებაში, წიგნის ნორჩ პროპაგანდისტთა კოლექტივის შექმნაში და სხვ.

მკითხველებში მაღალ დონეზე ჩატარდა საქართველოს კომკავ-

შირის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობისა და საბავშვო ბიბლიოთეკის ერთობლივი ვიქტორინა-კონკურსი.

დიდი გამომწვევაა პოვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობის 80 წლისთავისადმი მიძღვნილმა კონკურსმა — „რსდმპ — 80“. პასუხების გასაცემად ვიქტორინის მონაწილე მკითხველებმა თემის შესატყვისი მრავალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მხატვრული ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები წაიკითხეს და შესანიშნავი პასუხები ლამაზად გაფორმებული ალბომის სახით გამოგვიგზავნეს. ჩატარდა ცოდნის დღე „გამარჯობა, წიგნო“!, შეხვედრა საბავშვო მწერალთან, პროფესორ ა. ვასაძესთან, მწერალ ვ. ბარათაშვილთან, ზეპირი ჟურნალი — „სასურსათო პროგრამა მოქმედებაში“ — რომლის ერთ-ერთი გვერდი, ბიბლიოთეკის სტუმრებს: პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტს ავთანდილ თელიას და № 5 პურის ქარხნის მექანიკური თონის მეყალიბე მარინა გუგუჩიას დაეთმო.

დაუვიწყარი იყო ნორჩი ანტიფაშისტის დღისადმი მიძღვნილი ბორის ძნელაძის სახელობის კომკავშირულ ქალაქში ჩატარებული ლიტერატურული დღეა — „ლენინის ანდერძის ერთგულნი ვართ“. „წიგნი მშვიდობის სადარაჯოზე“, „პოლიტიკური ლექსის დღე“, ლიტერატურული საღამო — „ბედა ქართლისა“, რომელიც ჩატარდა სალონურ სტილში, მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავს. ამ დღეს ბიბლიოთეკის მკითხველები ესტუმრნენ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმს.

მოსწავლეებმა ერთხელ კიდევ საინტერესოდ გააცოცხლეს ნ. ბარათაშვილის პოეზია. კომპოზიციაში ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ სწორედ ბარათაშვილი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ერთმორწმუნე რუსეთთან საქართველოს შეერთებას უმღერა, მხარი დაუჭირა რუსი და ქართველი ხალხების შეკავშირებას, მათ შორის მეგობრობის განმტკიცებას.

ბევრ კარგ ადამიანთან შეხვედრებს გვახსენებს ალბომი „ჩვენი სტუმრები“, ისინი მეტყველებენ, რომ აქ იყვნენ და წიგნის სიყვარული უსურვეს მკითხველებს: ი. ნონეშვილმა, მ. მრევლიშვილმა, გ. ჭიჭინაძემ, მ. მაჭავარიანმა, მ. ფოცხიშვილმა, ო. კუპრაევამ, ჯ. ლოლუამ, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ქემაშვილმა, სკკპ XXV ყრილობის დელეგატებმა ზ. მაისურაძემ და თ. აბულაძემ.

ბიბლიოთეკის მუშაობაში ყოველთვის საპატიო ადგილი უკავია



გაიდარის შემოქმედებას, მწერლისა, რომელიც თავისი ნაწარმოებებით იღვწოდა, რათა დახმარებოდა ქაბუკებსა და გოგონებს მოგზაობაში. როგორ უყვარდეთ სამშობლო, საბჭოთა არმია, პატივი სცენ ჯარისკაცთა სიმამაცეს, იყვნენ მზად სამშობლოს დასაცავად.

თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მკითხველებზე გაიდარის წიგნებმა, ამას გვაცნობს შთაბეჭდილებების ალბომი — „თქვენ ჩვენთანა ხართ ა. გაიდარის წიგნის გმირებო“. აი, რას წერს ა. გაიდარის „ცისფერი ფინჯის“ შესახებ თბილისის №35 საშუალო სკოლის მოსწავლე დიმა ლოგინოვი: „მომეწონა სვეტლანა და მისი მამა იმიტომ, რომ ისინი კეთილი და პატიოსანი ადამიანები არიან“. ამავე სკოლის მოსწავლის გრიგოლ ბაგრატიშვილის ჩანაწერი კი ასეთია: „ძალიან მომეწონა წიგნის „თემური და მისი რაზმის“ მთავარი გმირი, თემური და მისი რაზმელები, რომლებმაც შესძლეს კვაკინის რაზმელებზე გამარჯვება“. თემურელთა მრავალ მიმდევარს შეხვდებით საბავშვო ბიბლიოთეკაში. 130-ე საშუალო სკოლის მოსწავლეს დიანა თოდრიას კი მოეწონა ა. გაიდარის „ცხელი ქვა“, რადგან იგი ასწავლის, რომ „მთავარია შენი სიცოცხლე პატიოსნად და პირნათლად გაატარო ისე, რომ არ შეგრცხვეს წარსულის გახსენებისა“.

ა. გაიდარის წიგნების მიხედვით დაწერილ კიდევ მრავალ შთაბეჭდილებებს შეხვდებით ალბომში. საიუბილეო დღეებში ვაგიჟირდებოდით ა. გაიდარისა და მასზე დაწერილი წიგნების ნახვა. მათ გადაინაცვლეს მკითხველებთან, რადგან სურდათ კიდევ ერთხელ წაეკითხათ საყვარელი მწერლის ნაწარმოებები, რათა ნორჩ „გაიდარელთა“ შეკრებაზე თანატოლებისათვის გაეზიარებინათ წაკითხულის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებანი.

აი, ეს დღეც დადგა... მკითხველებმა, ნორჩმა „გაიდარელებმა“ ისაუბრეს ა. გაიდარის წიგნებზე, მის ხანმოკლე, რთულ, მაგრამ პატიოსან ცხოვრებაზე; იმაზე, თუ რატომ აირჩია მწერალმა გვარად გაიდარი, ზოია კოსმედემიანსკაიასა და გაიდარის შეხვედრაზე; მისი „ჩანთის“ ოპერაციის შესახებ; იმის შესახებ, რომ პირველად ქართულ ენაზე ა. გაიდარის „სკოლა“ თარგმნა რ. ქორჭიამ, „თემური და მისი რაზმი“ — ნ. ჩაჩავამ, „ჩუკი და გეკი“ და „ცისფერი ფინჯანი“ — რუსთაველის პრემიის ლაურეატმა მ. ლებანიძემ და სხვა.

დასასრულ, ნორჩმა მკითხველებმა მოუწოდეს თანატოლებს — „არც ერთი მკითხველი ა. გაიდარის წიგნის გარეშე“.

მოსწავლეთა შთაბეჭდილებების ალბომიდან „თქვენი თანატო-

ლები გირჩევენ“, „როგორია თქვენი აზრი“, ირკვევა, რომ მკითხველებს აინტერესებთ საგმირო, სათავგადასავლო, ისტორიულ ხასიათის წიგნები, რომლებიც მათ თანატოლებზეა დაწერილი: საგრძნობლად გაიზარდა პოეზიისადმი სიყვარული. მკითხველებს ჰყავთ საყვარელი პოეტები. გემოვნებაც ამ ჟანრში მრავალმხრივია. ამიტომ ბიბლიოთეკაში ამ მიმართებით მუშაობაც მრავალფეროვანია. ეწყობა ლექსების კრებულების მიმოხილვები, გამოფენები, წაკითხულზე აზრთა გაზიარება, ლიტერატურული ვიქტორინები, დილები — შეხვედრა ლექსთან, პოლიტიკური ლექსის დღე, რატომ მიყვარს პოეზია. ტრადიციად იქცა „ლადოს დღის“ ჩატარება და სხვ.

ბიბლიოთეკის მუშაობაში დიდი ადგილი უკავია ლენინიანას. მკითხველები ისმენენ როგორც ლექსებს ვ.ი. ლენინზე, ასევე საუბარს მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მის საყვარელ მუსიკალურ ნაწარმოებებზე. იყენებენ სახვით ნამუშევრებს, ფირებს, გრამფირფიტებს.

დღეს ვერ ნახავთ მოსწავლეს, რომელმაც არ დაგვისახელოს მისი საყვარელი პოეტი, საყვარელი ლექსი, კრებული. ამიტომ პოეზიაზე, პოეტსა და მის შემოქმედებაზე საუბრისას ბიბლიოთეკის მუშაკები ითვალისწინებენ მოსწავლეთა პიროვნებას, ფსიქოლოგიურ თავისებურებას და წიგნებსაც მათი ხასიათის გათვალისწინებით ურჩევენ.

ამ ჟანრის წიგნების პროპაგანდის დროს იყენებენ ლიტერატურულ-კრიტიკულ მასალებს. მოზარდებს სთავაზობენ აგრეთვე ლიტერატურას პოეტებზე.

რასაკვირველია, საყვარელ მწერალთა რიცხვი უფრო ჰიარბობს, აი, ისინიც: ქართველი კლასიკოსები, მწერალი-რეალისტი, მწერალი-ფანტასტი, ისტორიკოსი, საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის მწერლები, მოძმე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთელი მწერლები და სხვ.

საზოგადოდ ცნობილია, რომ საბჭოთა სკოლა დიდი მოცულობის ცოდნას იძლევა. მოსწავლეთა სახელმძღვანელოები აგებულია მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მიღწევათა გათვალისწინებით. მოსწავლეებს ეძლევათ იმის შესაძლებლობა, რომ დამოუკიდებლად შეივსონ ცოდნა. საბავშვო ბიბლიოთეკა თავის მუშაობაში ითვალისწინებს პროგრამის შესატყვისი ლიტერატურის სისტემატურ ინფორმირებას და პროპაგანდას. განსაკუთრებით ახლა, როდესაც ხორციელდება სასკოლო რეფორმა.

ამ მხრივ მუშაობა შედეგიანი რომ იყოს, ბიბლიოთეკა სისტემატურ კონტაქტში არის სკოლასთან, საგნის მასწავლებელთან, უდავოდ, გვეხმარება წიგნის მეშვეობით მოსწავლეთა სკოლაში მიღებული ცოდნის გაღრმავება-გაფართოებაში.

დღეს ყველა განათლებული ადამიანი უნდა ფლობდეს ბიბლიოგრაფიის კულტურას. ამიტომ ბიბლიოთეკის მუშაკები საუბრების, კონსულტაციების მეშვეობით მკითხველებს უმარტავენ მის არსს, ასწავლიან, როგორ ისარგებლონ თემატური კარტოთეკებით, წიგნის შიდა ბიბლიოგრაფიით. ურჩევენ, როგორ ადევნონ თვალი ახალი წიგნების გამოცემას.

ბიბლიოთეკარები კითხვის სწორი ხელმძღვანელობით ცდილობენ დაარწმუნონ მოსწავლე მკითხველები, რომ მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად სასარგებლოა დარგობრივი ლიტერატურის კითხვა. უმარტავენ მათ, რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ამგვარ წიგნებს სასკოლო საგნების ცოდნის გაღრმავებაში, ლოგიკური აზროვნების, მახვილგონიერების, საზრიანობის, გამჭრიახობის განვითარებაში, მატერიალისტურ აღქმაში, ახალი ტექნიკისა და ბიონიკის საიდუმლოებათა განმარტებაში, ბუნების „ტექნიკის საიდუმლოების“ შემეცნებაში და სხვ.

ყველას თავისებურად ესმის სილამაზე, მშვენებების სამყარო, მუსიკა. ამიტომ ბიბლიოთეკის მუშაკები ცდილობენ აჩვენონ, საიდან იწყება კარგი და ცუდი გემოვნების ჩამოყალიბება, ზრუნავენ მკითხველთა როგორც ცოდნის გამდიდრებაზე, ასევე ამა თუ იმ ემოციების კულტურის განვითარებაზეც, სულიერად მდიდარი ადამიანის ჩამოყალიბებაზე, რათა უნარი შესწევდეთ, გაიგონ ადამიანის გულისტკივილი, სიხარული, ოცნება.

ამ მიზნით მკითხველებს იწვევენ სილამაზესთან შესახვედრად დაუსწრებელ „მოგზაურობაში“ მონაწილეობის მისაღებად. აქაც წიგნები, აუდოვიზუალური საშუალებები, რეპროდუქციები ეხმარებიან. ტარდება საუბრები: როგორ მოისმინონ სხვადასხვა უანრის მუსიკა, როგორ ეზიარონ ხელოვნებას, ეწყობა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციები, შეხვედრები მსახიობებთან, კომპოზიტორებთან, მხატვრებთან, საინტერესო პროფესიის ადამიანებთან, რომლებიც თავიანთი ცხოვრებით, შრომით და შემოქმედებით წარმატებებს უკავშირებენ წიგნს.

მკითხველებს ესაუბრებიან და უმარტავენ, რომ არიან წიგნები, რომელთა მარტო წაკითხვა არ კმარა, საჭიროა ასეთ წიგნებზე

მუშაობა, განსაკუთრებით სამეცნიერო-პოპულარულ წიგნებს, რომლებშიც ხდება შემეცნებითი ინფორმაციის კონცენტრირება რების გააზრებული თამაში, მაგრამ მეცნიერულად დასაბუთებული ოცნება. პროპაგანდას უწევენ სამეცნიერო-ფანტასტიკურ წიგნებს, რომელთაც მოკრძალებული ადგილი უკავიათ აღზრდისა და განათლების საქმეში. ეს უნარი მოზარდებში ზრდის რომანტიულობას, ხელს უწყობს, გაიზარდონ მეოცნებენი. ფანტასტიკური წიგნები ხომ მკითხველს სინამდვილესთან აახლოვებს.

ბიბლიოთეკაში დიდი ყურადღება ეთმობა საცნობარო ხასიათის ლიტერატურის პროპაგანდას.

წიგნის თაროებზე ხომ გვერდიგვერდ არიან განლაგებული მხიარული კაცუნები, მამაცი ადამიანები, რომანტიკოსები, მთამსვლელები, ჯადოქრები და კოსმოსური ხომალდებისა და საოცრებათა შემქმნელნი. აქვეა სხვადასხვა ხასიათის ენციკლოპედიები, ლექსიკონები და ცნობარები.

დღეს დიდი მოთხოვნაა საბავშვო ენციკლოპედიასზე, რომლის ტომებში საინტერესო, მრავლისმომცველი მასალებია მოცემული. იგი ხომ მოსწავლეთა თანამგზავრია, რომელიც ესმარება მათ მრავალ საინტერესო კითხვებზე პასუხის გაცემაში, იგი მოსწავლეთათვის „ახალი“ აღმოჩენების წყაროა.

ზოგს ტექნიკის საკითხები აინტერესებს, ზოგს ფიზიკა, ზოგს სურს გამოჩენილ ადამიანებზე ცოდნის გაღრმავება, ზოგი კი თემის დაწერისას წამოჭრილი საკითხების დასაზუსტებლად მიმართავს ენციკლოპედიას.

ამიტომ იყო, რომ წიგნის მოყვარულთა საზოგადოებასთან საბავშვო ენციკლოპედიის ერთობლივ განხილვაზე ჩვენი ბიბლიოთეკის მკითხველთა სახელით თბილისის №116 საშუალო სკოლის მოსწავლემ დ. აზიკოვმა გამოთქვა სურვილი, ენციკლოპედიის შემდგომ გამოცემაში გათვალისწინებულ იქნას მისი თანატოლების თხოვნა — რომ მასში იხილონ უფრო მეტი მასალები ბუნებაზე, ატმოსფეროზე, გაამდიდრონ მასალა ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, მუსიკაზე. ჩართონ მასალები თანამედროვე ქიმიის მიღწევებზე, ასტრონომიაზე, ციურ სხეულებზე და სხვა, რომ საბავშვო ენციკლოპედიის ახალი შეესებულებული გამოცემა კვლავ გაახარებს მოზარდებს, კვლავ გაუწევეს მეგზურობას ცოდნის სხვადასხვა დარგში საჭირო ინფორმაციის მისაღებად. დღეს ერუდიტობული ადამიანი მდიდარი უხდა იყოს არა მარტო ცოდნით, არამედ დაუფლებული იყოს საჭირო ინფორმაციის

ოპერატიული მიღების გზებსა და მეთოდებს. მათ სამსახურში მზად არიან შეუცვლელი მრჩეველნი — ლექსიკონები, ცნობარები, ენციკლოპედიები.

წიგნების შერჩევაში, მათ სწორ მოძებნაში მკითხველებისათვის მთავარი მრჩეველი ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკარი და კატალოგია.

ბიბლიოთეკარი ყველაფერს აკეთებს, რათა მის მიერ შერჩეული წიგნით მკითხველი კმაყოფილი დარჩეს. არიან მოსწავლეები, რომლებიც მოდიან კონკრეტული მოთხოვნით. ასე მაგალითად, მათ სურთ წაიკითხონ ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონი“, ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, ნ. კეცხოველის „მკერდში დაპრირილი ბუნება“, ა. გელოვანის „შოპენის გული“ და სხვა. მაგრამ თუ მკითხველი მოდის გაურკვეველი მოთხოვნით — „რაიმე კოსმოსზე“, ან აინტერესებს სამყაროს აგებულება, პიონერული ცხოვრება, მცენარეულობა ადამიანის ცხოვრებაში, რატომ აღელვებს და აღაფრთოვანებს ადამიანს ხელოვნება, როგორ შეიძლება ვახდეს მხატვარი და სხვა. აი, აქედან იწყება მკითხველთან ერთად ბიბლიოთეკარის „მოგზაურობა“ წიგნების თაროებზე საინტერესო საკითხებზე შესაფერისი წიგნების შესარჩევად. სწორედ აქ იწყება ბიბლიოთეკარის შემოქმედებითი მუშაობა. იგი საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების მუშაობთან ერთად ცდილობს დაკმაყოფილოს მკითხველის მოთხოვნა. ამასთან ერთად, არკვევს, თუ მკითხველს რა იტაცებს, რა აინტერესებს დასახელებულ საკითხთან დაკავშირებით. ასეთ მკითხველებს კითხვის გეგმებსაც უდგენენ, სარეკომენდაციო სიებსა და ბიბლიოგრაფიას უნიშნავენ.

მკითხველებს სწორად რომ შეუტრჩიონ საჭირო, მათი ასაკისათვის შესაფერისი წიგნი, რომელიც დაეხმარება მათ ცოდნის გაღრმავებაში, ხასიათის ფორმირებაში, კითხვის ხელოვნების დაუფლებაში და წიგნის სწორ გაგებაში, საჭიროა კარგად და სწორად ორგანიზებული საბიბლიოთეკო ფონდი, რომელზეც ბევრადაა დამოკიდებული მოსწავლეთა კითხვის სწორი ხელმძღვანელობის წარმატებით განხორციელება.

დღეს ბევრად გაიზარდა საბავშვო წიგნის ტირაჟი, მაგრამ ძალზე უჭირთ ბავშვთა შორის მომუშავე ბიბლიოთეკებს მათი ასაკის შესაფერისი წიგნებით დაკომპლექტება. ღარიბია დარგობრივი ლიტერატურის ასორტიმენტიც, არც უმცროსი ასაკის ბავშვები არიან განებივრებული მათი ასაკის შესაფერისი წიგნებით.

რასაკვირველია, დღეს ფონდების დაკომპლექტების გაუმჯობე-



სება, მათი გამოყენება და დაცვა ყველას აღელვებს. იგი არა მარტო საბიბლიოთეკო პრობლემაა, არამედ იდეოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური პრობლემაცაა. ფონდების ცუდი ხარისხი აქვეითებს ბიბლიოთეკის აღმზრდელობით, საინფორმაციო მუშაობას.

კატალოგი ხომ ბიბლიოთეკის გული, მთავარი არტერიაა, ბიბლიოთეკის გონება და მეხსიერებაა. ბიბლიოთეკარები მკითხველებს უმარტავენ, თუ ბიბლიოთეკაში რა სახის კატალოგებია, როგორ მოვიშველიოთ ისინი წიგნების მოძებნაში, ფონდების ამოძრავებაში.

დიდ როლს ასრულებენ გამოფენები: „ახალი წიგნები“, „ჩვენი დღევანდელი და ხვალინდელი დღე“, „ლენინის ანდერძის ერთგულნი ვართ“, „ავრორას ზალპიდან დღევანდლამდე“, „ექსპრეს-ინფორმაცია“ და სხვ; საბიბლიოთეკო პლაკატი: „იცი თუ არა შენ?“, „მიცნობდეთ, მე ახალი წიგნი ვარ“, „ბიბლიოთეკის გზამკვლევი“ და სხვ; ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, სარეკომენდაციო სიები, თემატური კარტოთეკები, სახელდახელო თაროები და სხვ. რომელთა მეშვეობით ბიბლიოთეკარები ახორციელებენ ლიტერატურის მიზანსწრაფულ რეკომენდაციას, ფონდების მოხერხებულ გახსნას.

აქ წარმოდგენილი წიგნები მკითხველებს აცნობენ ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ცხოვრებას, მოუთხრობენ გამოჩენილ ადამიანებზე, მეცნიერებისა და ტექნიკის აქტუალურ საკითხებზე, საინტერესო პროფესიებზე, იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე ადამიანი და სხვ.

საბჭოთა ცხოვრების პროპაგანდა ბიბლიოთეკის მუშაობაში სისტემატურ და თანმიმდევრულ ხასიათს ატარებს. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნების პროპაგანდას, რათა მათ აღანთონ ნორჩების გული სამშობლოსა და კომუნისტური პარტიის უშრეტი სიყვარულით, ჩაუნერგონ კომუნისტური რწმენა, რევოლუციური მგზნებარება და ლენინური იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულება.

თითოეული მოზარდის გონებამდე ყრილობის იდეებისა და გადაწყვეტილებების მისატანად პარტიის საქმიანობის იდეალების გასაშუქებლად, ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრაში მონაწილეობის მისაღებად, კომუნიზმის აქტიურ მშენებელთა რიგებში თავიანთი ადგილის საპოვნელად, შრომისადმი კომუნის-



ტური დამოკიდებულების, შრომისმოყვარეობის ჩასანერგად, იმე-
 შაონ იქ, სადაც უფრო საჭიროა ახალგაზრდობის ხელი, ფართო
 პროპაგანდას უწევს სკკპ XXVI ყრილობისა და მომდევნო პლენუ-
 მების დადგენილებათა მასალებს.

ზემოთ აღნიშნული მუშაობის ზოგიერთი ფორმებისა და მე-
 თოდების ანალიზი გვიჩვენებს გაცემული ლიტერატურის რაოდენო-
 ბას, წიგნის როლს ბავშვთა ცხოვრებაში, მისი გამოყენების ეფექტიან-
 ნობასა და მიზანმიმართულებას. რა ცოდნა და ჩვევები შესძინა მკითხ-
 ველს წაკითხულმა წიგნმა, გვისახავს მომავალ გეგმებს, გვებს
 საბიბლიოთეკო ფონდების სწორად გამოყენების საქმეში მუშაო-
 ბის ფორმების გასაუმჯობესებლად.

მოემსახურო მკითხველთა დიდ არმიას, იოლი საქმე როდია,
 განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობას. ისინი განიცდიან წა-
 კითხულს, ხშირად ბაძავენ კიდევ იმ გმირებს, რომლებმაც მათზე
 წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს, წიგნებში ეძებენ მათთ-
 ვის საინტერესო საკითხებზე პასუხს. ამიტომ ბავშვთა კითხვის
 სწორ ხელმძღვანელობაზე, წიგნის სწორ შერჩევაზე, ფონდების
 ეფექტიან გამოყენებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

„როგორ მინდა ჩემნაირი სიხარულით წაიკითხოს ყველამ ჩე-
 მი საყვარელი წიგნები, ნახოს ის კარგი ფილმები, მე რომ მინა-
 ხავს, როგორ დავტკბებოდი ამ დროს სხვისი სიამოვნებით, მასთან
 ერთად ხელმეორედ დამივლის ჟრუანტელი, ჩემებურად ამიტყდე-
 ბა თავზარდაცემული ჟრჟოლა და დამღუპველი ცახცახი...“ (ლადო
 ასათიანის წერილებიდან).

დღეს ლადო ასათიანი ცოცხალი რომ იყოს, ის თავისი თვალთ
 ნახავდა, თუ როგორ კითხულობენ, როგორ ეძებენ მათთვის საყ-
 ვარელ წიგნებს, როგორ გვიზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს
 წაკითხულზე, ნანახზე, მოსმენილზე; როგორი სიამაყით კითხუ-
 ლობენ ლადო ასათიანის ლექსებს. მათ ხომ ლადოსავით უყვართ
 კითხვა, სამშობლო, ხალხი, სიცოცხლე. ამიტომ არის, რომ ომახიან-
 ნად დასძინენ „და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ
 გავჩნდით ამ ქვეყანაზე“.

გიყვარდეს წიგნი

გიყვარდეს წიგნი — ძვირფასი განძი,
 ცოდნის სარკე და ბუნების კარი,
 მთელ ქვეყანას რომ გვიხატავს თვალწინ
 და გზას გვინათებს, როგორც ლამპარი!
 გიყვარდეს წიგნი, მისი პატარა
 ჯარისკაცები — ანბანთ კრებული,
 ცოდნის სანატრელ გზით რომ გვატარებს,
 ლამაზ სიტყვებად გამწკრივებული!
 გსურს ასახელო მშობელი მხარე,
 მას ემსახურო საქმით და ფიქრით?
 ამისთვის წიგნი აგიხელს თვალებს,
 ამისთვის უნდა გიყვარდეს წიგნი!
 გიყვარდეს წიგნი! — გონების თვალით
 რომ სახავს, გვაცნობს ქვეყნის ცხოვრებას,
 გიყვარდეს წიგნი და შენი ვალი
 ყოველ ნაბიჯზე გემახსოვრება!

შენთვის და სხვა მკითხველისათვის წიგნების შერ-
 ჩევა მარტო მიცნობება კი არ არის, არამედ — ხე-
 ლოვნებაც.

ნ. რუბაკინი

მეცნიერი



ნაკოვნიან კამინგუის მოთხრობები

ამერიკის უმეტესობა უბატობში იკოვებს ერნსტ კამინგუის უცნობი ნაწარმოებები — ოთხი მოკლე მოთხრობა და დაუმთავრებელი რომანის 300 გვერდი, აბრეთში მრავალი პირადი წერილი. ყველა ახალაღმოჩენილი მასალა განეკუთვნება 1919-1920 წლებს. ეს მასალები ინახებოდა უთუში კამინგუის არქივთან ერთად, რომელიც მწერლის მიუღწეველად გადასცა ჯონ ფ. კინედის ბიბლიოთეკას. მოკლე მოთხრობები გამოიცემა ავტორის ბიოგრაფიისთან ერთად.

გაზ. „იზვესტია“, 13/VIII, 1985 წ.

18 ათასი წლის წინათ ცალკეულ ადგილებში ადამიანები უკვე სარგებლობდნენ მთვარისა და მზის კალენდრებით. ამას მოჰყვება ციფრირში აჩინსკის ახლოს ჩატარებული გათხრები. ამ რაიონს პატარა ტროა უმარკვის. 12-17 ათასი წლის წინათ მთვარის კალენდრით სარგებლობდნენ თანამედროვე უკრაინის ტერიტორიაზე სოფ. გონცის მახლობლად. ორთავე ნაკოვნი კალენდარი ამოკვეთილია მამონტის ევვებზე. ხეილთაუშა ზღვისპირეთში მთვარის კალენდრით სარგებლობდნენ 9-10 ათასი წლის წინათ. ინგლისში მე-2 ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე შეიქმნა ქვის ობსერვატორია სტონ-ხენდში.

„კინენოე ობოზრენიე“, № 16, 1983 წ.

ივანე ლოლაშვილი

უზთვიმე მთაწმიდელის წერილი აპოკრიფული წიგნების შესახებ

I

ქართული სასულიერო მწერლობის მესვეურნი გამოთქვამდნენ მოსაზრებას, თითქოს ქართველები ქრისტიანობის მიღების დღიდან არასდროს გადახრილან მწვალებლობისაკენ და მუდამ იცავდნენ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას. ამას ამბობდნენ გიორგი მთაწმიდელი და არსენ იყალთოელი; ამასვე იმეორებდნენ გვიანდელი მოღვაწეები თვით XIX საუკუნემდეც კი. აი, რას წერდა XII საუკუნის დასაწყისში არსენ იყალთოელი:

მას შემდეგ, რაც „ვისწავლეთ მართალი სარწმუნოებაჲ, არაოდეს მიდრეკილ ვართ გზისა მისგან წრფელისა, არცა ოდეს შესრულ არს გესლი სიბოროტისა მათისაჲ გულსა ჩუენსა, არცა ბიწი შეგინებისა მიუღია სასმენელთა ჩუენთა, ოდესცა ბოროტთა მწვალებელთა მრავალმზრახველობისაჲ, არამედ ეკლესიანი და წინამძღუარნი მათნი და ყოველი ერი ჩუენი მტკიცედ და შეურყეველად ჰვიან აქამომდე მართალსა ზედა სარწმუნოებისასა“.¹

მართლაც, საუკუნეების განმავლობაში ქართველები მხარში ედგნენ ბიზანტიის მართლმადიდებლური ქრისტიანობის მქადაგებელთ და მათთან ერთად იცავდნენ იმ დოგმებს, რომლებიც მიღებული იყო ოფიციალური საეკლესიო ცენტრის მიერ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში არ წარმოებდა რელიგიური ბრძოლა და ქართველები არ ეცნობოდნენ იმ თხზულებებს, რომლებიც ამოღებული იყო საერთო ხმარებიდან. დროგამოშვებით ჩვენშიც ითარგმნებოდა და ითხზებოდა ე. წ. ფარული (აპოკრიფული), ან, როგორც გიორგი მერჩულე ამბობს, „დაუბეჭდავი წიგნები“. ეს წიგნები უპირისპირდებოდა ოფიციალურად აღიარებულ სარწმუნოებრივ თვალსაზრისს და ამიტომაც მათ ჩვენი ეკლესია არ იწყნარებდა.

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, 1971, გვ. 50—51; ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978, გვ. 395.

ჯერ კიდევ IV—V საუკუნეებში ქართველ მეფეებს ფარულად ჰქონდათ შენახული ნებროთ გმირის სათაგვადსავლო წიგნები². მელსაც ჩვენი მეცნიერები „ნებროთიანს“ უწოდებენ. ამ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ XI—XII საუკუნეებში ის ქართველ მწერლებს ხელთა სპერიათ, როგორც ეს ირკვევა ლეონტი მროველისა და იოანე შავთელის ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობებიდან, ხოლო ჯუანშერი ვახტანგ გორგასალს ათქმევინებს, რომ „მამათა ჩუენთა დაფარულად ეპყრა წიგნი ესე“-ო. V საუკუნეში ცხოვრობდა ქართლში ეპისკოპოსი მობიდანი. მას ფარულად შეუთხზავს „წიგნები ყოვლისა საცთურებისაჲ“, რომლებიც მიქელ კათალიკოსს დაუწვავს³. ამ მხრივ საგულისხმოა გიორგი მერჩულეს ცნობაც: VIII—IX საუკუნეებში არსებულა „დაბეჭდილი“ (კანონიკური) წიგნების პარალელურად „დაუბეჭდავი“ (არაკანონიკური) წიგნებიც, რომელთა ავტორებად ითვლებოდნენ „წმინდანი მოძღუარნი“. გრიგოლ ხანძთელი მათ შინაარსს ზეპირად ჰყვებოდა³.

X საუკუნისათვის ამგვარი წიგნები ისე მომრავლებულა საქართველოში, რომ ქართული ეკლესიის მსახურთ მათი აკრძალვისათვის დაუწყიათ ზრუნვა. კ. კეკელიძე წერს: „მწვალებლებმა აპოკრიფულ ნიადაგზე შექმნეს თავისებური რომანები და მოთხრობები, ადვილად საკითხავი და საინტერესო მათი „მასობრივი“ და „ხალხური“ ხასიათის გამო. ამ რომანებსა და მოთხრობებში, რომლებშიაც მოცემულია ფანტასტიკური, მიმზიდველი პოეტური სურათები, მათ შეიტანეს თავიანთი ტენდენციები, აზრები და თეორიები. ვინაიდან ასეთ საინტერესო წიგნებს მკითხველები ხარბად ეწაფებოდნენ, მწვალებელთა რელიგიური და სოციალური აზრები ადვილად ვრცელდებოდა საზოგადოებაში. ამას ყურადღება მიაქციეს თავის დროზე ეკლესიის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა, რომელთაც მორწმუნეებს აუკრძალეს ასეთი წიგნების კითხვა. რადგანაც ყველას არ შეეძლო ადვილად გაერჩია აპოკრიფული წიგნი ნამდვილისაგან, ბევრმა არ იცოდა, რომელი წიგ-

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 437—441, ი. ლოლაშვილი, ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან, 1978, გვ. 11—16.

³ TP, VII, 1911, გვ. ლთ, c. 114—115; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963, გვ. 282; ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978, გვ. 169.



ნია აპოკრიფული და რომელი არა, ეკლესია დროგამოშვებით აქვეყნებდა მორწმუნეთა და მკითხველთა საყურადღებოდ აპოკრიფული წიგნების ინდექსს ან ნუსხას⁴.

ერთ-ერთი ასეთი ნუსხა სხვადასხვა პირთა თხოვნით შეუდგენია ეფთვიმე მთაწმიდელს, რომელსაც, როგორც ზედწერილიდან ირკვევა, დაუგზავნია კიდევ საქართველოსა და საზღვარგარეთის ქართულ სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრებში. ცნობილია მისი ორი რედაქცია⁵ ისინი კ. კეკელიძემ შეისწავლა მეცნიერულად და მოგვცა მათი შეფასება⁶.

ეფთვიმეს წერილის ყველაზე ძველი ტექსტი მოთავსებულია XI საუკუნის ათონურ ხელნაწერში⁷. იგი ნაკლულია, წყდება ამგვარად: «ცუდად იქ(ირგებენ ესევეთარსა) კეთილსა ერისთავნი⁸... შეიცავს დაფარული წიგნების სიას და სხვადასხვა ლიტურგიკული და სამონაზვნო წესების განმარტებას. ამჟამად ჩვენ გვინტერესებს მისი დასაწყისი ნაწილი, რომელშიც ჩამოთვლილია ეკლესიის მიერ საერთო ხმარებიდან ამოღებული წიგნები. ათონურ და თბილისურ ხელნაწერებში პირველი რედაქცია ასე იკითხება:

ათონური

თბილისური

წიგნი, რომელი მამამან
ეფთვიმე მიუწერა მთაწმიდით
თეოდორეს ხუცესსა მრეკალსა
პასუხად

წიგნი, რომელი მიუწერა
მამამან ეფთვიმე [მთაწმიდით]
დიდსა ბერსა გიორგის ბიუე
[...] ნთელსა ამათ პირთათს

ღმერთშემოსილო და სულიერო
რო ძმაო თეოდორე!

[ღმერთშემოსი]ლო სულიერო
ძმაო გიორგი! მომიბოძენ
ღმერთმან წმიდა ლოცვაჲ თქუენი!

⁴ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 430.

⁵ გამოაქვეყნეს: პირველი რედაქცია — 1890 წელს დ. ბაქრაძემ (საქართველოს ისტორია, გვ. 260—261), 1878 წელს თ. ჟორდანიამ (ქრონიკები, II, გვ. 82—88) და 1970 წელს ი. დოლიძემ (ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 5—11), მეორე რედაქცია — 1882 წელს მ. საბინინმა (საქართველოს სამოთხე, გვ. 432—436).

⁶ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 431—435.

⁷ ათონი № 79, გვ. 254—259 (შდრ.: თ. ბლეიკის კატალოგი, გვ. 159).

⁸ შდრ.: ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 9.

ამათ პირთათვის, რომელ გე-
კითხნეს ჩემისა უღირსებისადა,
განმარტებაჲ ჭეშმარიტი ღმერთ-
მან გამოვიცხადოს და თქუენისა
სიმდაბლით კითხვისათვის მეცა
მაუწყოს ჯეროვანი პასუხი.

წიგნი, რომელთა ეკლესიაჲ
არა შეიწყნარებს, არიან ყოველ-
ნი, რომელნი მწვალებელთა მიერ
დაიწერნეს.

ა. ო რ ო გ ი ნ ე ს მწვალებელ-
სა მრავალი წიგნი დაუწერია და
არა შეიწყნარებს ეკლესიაჲ.

ბ. და ე ვ ს ე ვ ი პ ა მ ფ ი ლ ე-
ლ ის ა წ ი გ ნ ი არს, მრავალთა
საქმეთა წარმოიტყვის და თხრო-
ბათა თითოსახეთა მრავალთა ფი-
ლოსოფოსობითა დაწერილი, გარ-
ნა წვალებანი მრავალნი ჩაურ-
თვან და არა შეიწყნარებს ეკლე-
სიაჲ, მაგრა კარგნიცა საქმენი
სწერიან და ღუარძლიცა და მით
უკმარ არს.

გ. და ე გ ე ა ნ ტ ი ო ქ ი ი ს ა
მ ო ქ ც ე ვ ა ჲ არა შესაწყნარე-
ბელ არს.

დ. და პ ა ვ ლ ე ს «ცათა
მ ო ხ ი ლ ვ ა ჲ» ნატყუვარი არს
და სხუაჲ რამეჲ არა სწერია.

ე. თუ თ ო მ ა მ ს ს ა ხ ა რ ე-
ბ ა ჲ, იგიცა უცხოჲ არს.

ამათ პირთათვის, რომელ გეკი-
თხნეს, ჩემისა უღირსებისაგან
განმარტებაჲ მისი ღმერთმან
გამოვიცხადოს და თქუენისა კითხ-
ვისათვის მეცა მაუწყოს ჯეროვანი
პასუხი.

წიგნი, რომელთა ეკლესიაჲ
არა შეიწყნარებს, არიან ყოველ-
ნი, რომელნი მწვალებელთა მიერ
დაიწერნეს.

ო რ ი გ ე ნ ე ს მწვალებელსა
მრავალი წიგნი დაუწერა და არა
შეიწყნარებს ეკლესიაჲ.

და ე ვ ს ე ბ ი პ ა მ ფ ი [ლ] ე ლ-
ის ა წ ი გ ნ ი არს და მრავალ-
თა საქმეთა წარმოიტყვის და
თხრობათა თუთო-სახეთა ფილო-
სოფოსობითა დაწერილი, გარნა
წვალებანი ჩაურთვან. ამისთვის
არა შეიწყნარებს ეკლესიაჲ. იგი
ქართულად [ვისმე] უთარგმნია
და უწინარეს მრავლისა უამისა,
სიცოცხლესავე მამისა ჩემისადა
მოეწერა მუნით ს ტ ე ფ ა ნ ე
ე ბ ის კ ო პ ო ს ს ა და ეკითხა,
თუ შესაწყნარებელ არს? კარგი-
ცა მრავალი სწერია, გარნა ღუა-
რძლიცა მრავალი ჩაურთავს და
მით უკმარ არს.

ა ნ ტ ი ო ქ ი ი ს ა მ ო ქ ც ე-
ვ ა ჲ არა შესაწყნარებელ არს.

[და პ ა ვ ლ ე ს «ცათა მ ო-
ხ ი ლ ვ ა ჲ» ნატყუვარი არს] და
სხუაჲ რამეჲ არა სწერია.

[თუ] თ ო მ ა მ ს ს ა ხ ა რ ე-
ბ ა ჲ, იგიცა უცხოჲ არს.

ვ. და იგი წიგნი, რომელ აბუ-კუროფაჲ ჰრქვან, უცხოთა რათმე საქმეთა მოიტყვს და ეკლესიაჲ საბერძნეთისაჲ არა შეიწყნარებს.

ზ. და სხუაჲ არს «ადამის ცხოვრებაჲ». არცა მას მიითუალვენ.

ჭ. და სხუაჲ არს წიგნი «სიყრმე უფლისაჲ». არცა იგი შესაწყნარებელ არს.

თ. და მოციქულთა ცხოვრებანი ზოგნი განრყუნილნი არიან მწვალებელთაგან: წმიდისა მათე მახარებელისაჲ და სხუაჲ რამე არს წმიდისა ანდრეაჲსი, იგმა იგი.

ი. და წმიდისა გიორგისი არს წამება ჭეშმარიტი, რომელი ეკლესიათა შინა იკითხვის, და სხუაჲ არს [იგი, რომელსა შინა] უცხონი საქმენი სწერიან, არა შესაწყნარებელ არს.

ია. და წმიდისა კვირიკეს წამებასა სწერია, ვითარმედ: სხუათ ვიეთმე დაწერესო, და არს უცხოჲ ქრისტიანეთა წესისაგან.

და სხუანი ნატყუარნი არიან. სახელები ზოგისა არა ვიცი. და ესევეითარნი, რომელნი სხუათა მწვალებელთა დაუწერიან, თვთ საცნაურ არიან. ესე კულა მოციქულთა და მოწამეთაჲ მას დაწყულსა ივლიანეს განზრახვით გაურყუნიან, რათამცა ყო-

წიგნი, რომელსა აბუკოროვა ჰქვან, მწვალებაჲ ცხადოვნაჲ ვჰკონებ, თუ არაჲ სწერია, ვარსა უცხოთა რათმე საქმეთა მეტყუელ არს და ეკლესიაჲ საბერძნეთისაჲ არა შეიწყნარებს.

და სხუაჲ რამე არს «ადამის ცხოვრებაჲ». არცა მას შეიწყნარებს.

და სხუაჲ არს წიგნი «სიყრმე უფლისაჲ» და არცა მას შეიწყნარებს.

და მოციქულთა ცხოვრებანი ზოგნი განრყუნილნი არიან მწვალებელთაგან: წმიდისა მათე მახარებელისაჲ სხუაჲ რამე არს და წმიდისა ანდრეაჲსი იგმა [ი]გი.

წმიდისა გიორგისი არს წამებაჲ ჭეშმარიტი, რომელი ეკლესიათა შინა იკითხვების, და კულად სხუაჲ რამე არს უცხოჲ და უცხონი რამე საქმენი სწერიან და არა შესაწყნარებელ არს.

და წმიდისა კვირიკეს წამებასა სწერია, ვითარმედ: სხუათ ვიეთმე დაწერეს წამებაჲ უცხოჲ ქრისტიანთა წესისაგან.

და სხუანი ესევეითარნი რამე ნატყუარნი [არიან]. ზოგისა სახელები არა ვიცი. აწ ესევეითარიმე, რომელი სხუათა მწვალებელთა დაუწერია, იგი თვთ საცნაურ არიან. ესე კულა მოციქულთა და მოწამეთაჲ მას წყუელსა ივლიანეს განზრახვით გაურყუნიან, რათა ყოველი ნა-

ველი ნაცილად შეპრაცხეს... (ათ-
ონი № 79, გვ. 254-255).

ცილად შეპრაცხეს და ართარამ.
ცა სარწმუნო უჩნდეს წამებანი
მოწამეთანი, გინა მოციქულთანი.
გარნა უფალმან მისი საქსენებე-
ლი აკოცა და წმიდათა სახელნა
ბრწყინვენ ვითარცა მზე (A 737,
ფ. 146r—147r).

მეორე რედაქცია დაცულია S 312 ნუსხაში (გადაწერილია სა-
ფარას საბას-ლავერაში სვიმონ კარგარეთელის მიერ 1541 წელს)⁹.
იგი პირველისგან საგრძნობლად განსხვავდება; შეთხზულია გვიან-
დელი ანონიმისაგან, საერაულთა, XIV—XV საუკუნეებში პირველი
რედაქციის მიხედვით და აგებულია კითხვა-მიგების ფორმით. უძლ-
ვის პატარა შესავალი, რომელიც მკითხველს აცნობს ეფთვიმეს
ვინაობასა და საქმიანობას:

„თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთვმე მთაწმიდელისა,
რომელი იყო ნათესავით ქართველი, რომელმან-იგი მრავალნი წიგნნი
თარგმნა ბერძულისგან ენისა ქართველთა ენასა, რომელ გამოიტყ-
ოდა იგი ენათა მადლითა სულისა წმიდისაჲთა, და ესე მცირედი
კითხვა-მიგებაჲ მოსცა თეოდორე ხუცესსა საბაწმი-
დელსა, რომელ იყო იგიცა მღუდელი კეთილი
ქართველივე“.

ანონიმი გვაწვდის საინტერესო ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ
ცნობას ეფთვიმესა და იოანეს ერთ-ერთი ადრესატის სტეფანე ეპი-
სკოპოსის ვინაობაზეც; დიდი გიორგი ბერისადმი გაგზავნილ წიგნში
ის ცნობას ევსები პამფილელის თხზულების შესახებ ამგვარად ავ-
სებს: „იგი ქართულად ვისმე უთარგმნია და უწინარეს მრავ-
ლისა ჟამისა, სიცოცხლესა ნეტარისა მამისა
ჩუენისა იოანესსა, მოეწერა ქართლით სტე-
ფანე ეპისკოპოსსა ჭყონდიდისასა და ეკითხა,
ვითარმედ: «შესაწყნარებელ არსა წიგნი ესე გინა თუ არა?» ხოლო
ჩუენ მიუწერეთ მას, ვითარმედ: «არა შესაწყნარებელ არს, მაგრა

9 ფ. 88v—91r (S ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, I, 1960, გვ. 371); მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 432—433. იგივე ტექსტი დაცულია S 312 ნუსხიდან მომდინარე ხელნაწერებში (S 248, A 1132, H 1000, S 1716), აგრეთვე თ. ბაგრატიონის ბიბლიოთეკის კატალოგში (1948, გვ. 11).

კარგინცა საქმენი მრავალნი სწერიან, გარნა ღუარძლიცა წვალებასა
თანა შთაუთესავს და მით უკმარ არს იგი*.



ამრიგად, ეფთვიმე მთაწმიდელის წერილში მოხსენიებული
სამი ისტორიული პირი — თეოდორე მრეკალი (საბაწმიდელი), დი-
დი ბერი გიორგი ქართველი და სტეფანე ეპისკოპოსი ჭყონდი-
დელი.

ვინ არიან ისინი?

— ცხადია, ისინი არიან ეფთვიმეს თანამედროვენი, რომელნიც
სათავეში ედგნენ ქართულ ეკლესიას და ზრუნავდნენ მართლმად-
იდებლური რწმენის სიწმიდისათვის. ოღონდ ვინ ვინ არის და
ვინ სად მოღვაწეობდა, ეს ჯერ კიდევ დასაზუსტებელია, რადგანაც
მათ შესახებ ძლიერ ბუნდოვანი ცნობები მოგვეპოვება. ათონური
ხელნაწერების მიკროფილმების მიღებამდე არ ვიცოდით, რომ
ეფთვიმეს წერილის ერთ-ერთი ადრესატი თეოდორე საბაწმიდელი
იყო თეოდორე ხუცესი მრეკალი. ეს პირი მოხსენიებულია ეფრემ
მცირის ერთ მინაწერში, რომელიც ერთვის ეპიფანე კვიპრელის
საკითხავს „მუცლად-ღებისათვის ანნაჰსა, რაჟამს ეხარა შობაჲ წმი-
დისა ღმრთის-მშობელისაჲ“. ეფრემ მცირე წერს: „შემინდევით.
სხუაჲ საკითხავი მუცლად-ღებისაჲ ვერ ვპოე, რომელმცა მეთარგმ-
ნა. ესე მე ეფთვიმეს თარგმნილად შემომატყუეს. გარნა, მგონია,
თეოდორე მრეკალსა ებრძანებინა“¹⁰. აქედან ჩანს,
ამ თეოდორეს ეფთვიმესთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონია. უმოღ-
ვაწნია საბაწმიდაში, რის გამოც იგი იწოდება საბაწმიდელად.

მ. საბინინი წერს, რომ „საბა-წმიდის მონასტერი კახეთს იყო,
ანავისა და კარდენახის სოფელთა შორის“ (გვ. 432). ამ ცნობას
იმეორებს კ. კეკელიძე (გვ. 432) და ფიქრობს, რომ თეოდორეს
უმოღვაწნია კახეთის საბა-წმიდის მონასტერში¹¹, ხოლო ლ. მენაბ-
დე შენიშნავს: „დასახელებულ თეოდორეს ზოგჯერ პალესტინის
საბაწმიდის მოღვაწედ მიიჩნევენ, ზოგჯერ კი კახეთის საბას მონას-
ტრის ბინაღრად აცხადებენ. ვადაჭრით რამეს თქმა ძნელია“¹². კახე-
თის საბა-წმიდა ძველი ძეგლია: გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებით,
დაარსებულია VI საუკუნეში, როგორც პალესტინის საბას-ლავერის

¹⁰ S 1276, ფ. 56r (S ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, II, გვ. 158).

¹¹ შდრ.: გ. შანიძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, 1974, გვ. 66.

¹² ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, გვ. 311.

ანალოგი¹³. მაგრამ ზემოხსენებული თეოდორე აქედან არ არის ჩვენს ისტორიაში არა ჩანს, თუ რა კულტურული წვლილი უდევს კახეთის საბა-წმიდას. ამასთან არაფერი არ ვიცით, აქაურ მოღვაწეთ რა ურთიერთობა ჰქონდათ ეფთვიმე მთაწმიდელთან (ან ეფრემ მცირესთან).

მეორე საბას ლავრა არსებულა საფარაში და ეფთვიმეს ადრესატი თეოდორე საბაწმიდელად მოხსენიებულია სწორედ აქ გადაწერილ ნუსხაში, მაგრამ მეუჭეება იგი აქაური საბაწმიდელი იყოს. უფრო სწორი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ეფთვიმეს ადრესატი მოღვაწეობდა პალესტინის საბას ლავრაში. ამას გვაფიქრებინებს უპირველესად ის, რომ წერილში განმარტებულია, თუ ვინ იყო ეროვნებით თეოდორე: „რამეთუ იყო იგიცა მღუდელი კეთილი ქართველივე“. საქართველოში მოღვაწე კაცის დახასიათებისას, საეკვოა, გადამწერს ასეთი ფრაზა ეხმარა.

სიტყვა „მრეკალი“ თეოდორესთვის შერქმეული ზედწოდებაა და მის საქმიანობას მიუთითებს. ეს სიტყვა გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. ფრიდონი ეუბნება ტარიელს: „ქორის დევნა მომნდომოდა, მით მრეკალი არ ვახშირე“ (602,2). რუსთველოლოგთა მიერ „მრეკალი“ ასეა ახსნილი: „ტყეუთა შინა ნადირთა მომრეკი“ (თ. ბაგრატიონი); „მარეკი, ნადირის მოსარეკად დაყენებული კაცი“ (იუს. აბულაძე). ცხადია, თეოდორეს ზედწოდება ამ საქმიანობას არ აღნიშნავს. ზმნას „რეკა“ სხვა გაგებაც აქვს და ნიშნავს დაკაკუნებას, სარეკელის კვრას, „სარეკელი“ კი არის „ლოცვაზედ მისაწოდებელი“ (საბა). ილ. აბულაძე „სარეკელის“ განმარტებისას ასეთ ფრაზასაც იმოწმებს „ლიმონარიდან“: „დარეკა დეკანოზმან სარეკელსა, რაათა ძმანი შემოკრბენ დამარხვად ძმისა“. თეოფილე თარგმანის მიერ თარგმნილ „იოანე ოქროპირის ცხოვრებაში“ გვხვდება ასეთი ფრაზა: „ძელსა დაჰრეკეს და ჳმაჲ იგი ლოცვად აწვევდა ყოველთა გალობასა მას ცისკრისასა“¹⁴. მაშასადამე, ვინც ლოცვად მისაწოდებელ ძელსა ჰრეკს, ის არის მრეკალი. ჩანს, თეოდორე ხუცეს საბაწმიდელს სწორედ ძელის კვრის მოვალეობა ჰქონია დაკისრებული მონასტერში და ამიტომაც შეჰქმევიან ზედწოდებად „მრეკალი“. ამავე დროს ირკვევა, ის გავლენიანი და დეაწლმოსილი საეკლესიო პირი ყოფილა, რაკი მას თავმდაბლობით მიმართავს ეფთვიმე მთაწმინდელი და ბრძანების

¹³ Г. Чубинашвили, Архитектура Кахети, 1959, с. 143.

¹⁴ ათონი № 36, გვ. 253.

უფლებაც ჰქონია, როგორც ეს ჩანს ევრემ მცირის ზემოთდამოწმებული მინაწერიდან.

თბილისური ნუსხის ზედწერილით, რომელიც შედგება სამი სტრიქონისაგან და შესრულებულია ნუსხურით, ეფთვიმეს წერლის მეორე ადრესატია დიდი ბერი გიორგი. სახელი მასში იკითხება ქარაგმით „გის“ (გიორგის). მას მიჰყვება ორი გაუგებარი სიტყვა — „ბიუე[...].ნთელსა“ და მთავრდება სიტყვებით „ამათ პირთათჳს“. „ბიუე“ სწერია მეორე სტრიქონის ბოლოს და მის გასწვრივ ადგილია დატოვებული, „[...].ნთელსა“ კი — მესამე სტრიქონის დასაწყისშია ჩაწერილი. მისი პირველი ოთხი ასო გაფერმკრთალებულია და მათი ამოკითხვა ვერ ხერხდება არა მარტო კონტექსტის მიხედვით, არამედ ულტრაიისფერ სხივებზეც. ამ გაუგებარ სიტყვებს თ. ჟორდანიას ასე კითხულობს: „შიუე... (შეყენებულსა?) [ქართველსა“. მაგრამ ეს გაშიფრვა არასწორია. „ბიუე“-ში ასო ყ გარკვევით ჩანს. ამასთან გადამწერი ყ-ს ყ-სგან განსხვავებულად წერს. ხოლო „[...].ნთელსა“ არ შეიძლება წავიკითხოთ როგორც „[ქართველსა“, რადგანაც მასში რ და ვ ასოები არა ჩანს. ამ დაზიანებულ სიტყვაში უნდა ვივარაუდოთ ან სადაურობის აღმნიშვნელი სახელი („კორინთელსა“, „შავთელსა“ და ა. შ.), ან რომელიმე ეპითეტის („ღთივ-ნათელსა“, „დიდსა ნათელსა“, „[.]სანთელსა“ და ა. შ.), მაგრამ ამგვარი სახელები და ეპითეტები აზრობრივად ვერ ებმიან „ბიუე“ აუხსნელ სიტყვას. ამიტომაც მისი გაშიფრვისაგან თავს ვიკავებთ. ზედწერილში სწერია „დიდსა ბერსა გიორგის“ და, ვფიქრობ, ეს საკმარისია მისი ვინაობის ამოსაცნობად.

თ. ჟორდანიას წერს: „ეფთვიმის წერილში მოხსენებული გიორგი ქართველი შეყენებული არ უნდა იყოს «დიდი გიორგი შეყენებული» სვიმონ-წმიდელი, რომლის თხოვნით აღიწერა გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, არამედ ჭყონდიდს დაყულებული გიორგი“ (გვ. 83). ამასვე ამბობს კ. კეკელიძე: „გიორგი ბერი უნდა იყოს, როგორც ჟორდანიას სამართლიანად ფიქრობს, გიორგი ჭყონდიდელი“ (გვ. 432). ისინი ამ იდენტიფიკაციას არ ასაბუთებენ, მხოლოდ გვთავაზობენ ვარაუდს, როგორც უცილობელ პოსტულატს, და სხვა მკვლევარები მას იზიარებენ უყოყმანოდ¹⁵. წერილის ზედწერილისა

¹⁵ ა. შანიძე, თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტი..., თსუ შრ., XVIII, 1941, გვ. 29; ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, 1962, გვ. 551—552.

და მიმართვითი ფრაზების მიხედვით არ ირკვევა, რომ ეს გიორგი არის ეპისკოპოსი, ან ჭყონდიდში დამკვიდრებული ბერი. გნებნებდა
ნიება, როგორც „დიდი ბერი“, ხოლო ეფთვიმე მას მიმართავს, როგორც „ღმერთშემოსილ მამას“, თავს კი მის წინაშე უღირსადა სთვლის („გეკითხნეს ჩუენისა უღირსებისაგან“) და მისგან ლოცვას ითხოვს („მომიბოძენ ღმერთმან წმიდაა ლოცვაა თქუენი“). ამის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ „დიდი ბერი გიორგი“ არის ან რომელიმე მონასტრის წინამძღვარი („მამა“), ან სამონასტრო მოღვაწეობით სახელგანთქმული პირი, რომლის მიმართ ეფთვიმე ავლენს თავმდაბლობასა და მოწიწებას. წერილი დაწერილია 1005—1028 წლებში. იოანე მთაწმიდელის გარდაცვალებიდან (1005 წ.) გავლილი ყოფილა „მრავალი ჟამი“ და ამიტომაც წერილის დაწერის თარიღად შეიძლება დავდოთ XI საუკუნის 30-იანი (ანუ ეფთვიმეს სიცოცხლის უკანასკნელი) წლები.

როგორც ცნობილია, ამ დროს შავ-მთაზე მოღვაწეობდა „დიდი გიორგი ბერი“, „ნაპრალსა შინა კლდისასა შეყენებული“, „კაცნი ზეცისა და ანგელოზი ქუეყანისა და ყოვლითურთ უცხო და განშორებული ჳორცთაგან და ჳორციელთა ჳრუნვათაგან და გონებითა ღმრთისა მიცვალებული“, „დიდი იგი მნათობი ნათესავისა ჩუენისაა“¹⁶. 1036 წელს ამ მოძღვარს დაემოწაფა გიორგი მთაწმიდელი, ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ეფთვიმეს წერილის ადრესატი არის სწორედ ეს დიდი ბერი გიორგი, შეყენებული თუ დაყუდებული (გარდ. 1068 წელს), რომელიც თავისი საქმიანობით XI საუკუნის 30-იანი წლებიდან უკვე დიდ გავლენას ახდენდა შავიმთის სამონასტრო ცხოვრებაზე. ცხადია, ამით უნდა იყოს გამოწვეული მის მიმართ ეფთვიმეს მოწიწებითი დამოკიდებულება¹⁷.

როგორც ითქვა, ეფთვიმეს წერილში მოხსენიებულია მესამე ისტორიული პირიც — სტეფანე ეპისკოპოსი ჭყონდიდელი. იგი ცნობილი ქართველი მწერალია და მიქაელ მოდრეკილის მოძღვარი. ეს ირკვევა მიქაელის მიერ 978—988 წლებში შედგენილი „იადგარიდან“ (S 425), რომელსაც მ. ჯანაშვილმა უწოდა მეათე საუკუნის საუნჯე. ამ საგალობელთა კრებულის 90r გვერდის ქვედა კიდეზე

¹⁶ ძვ. ქართ. აგიოგრაფ. ლიტერატურის ძეგლები, II, 1967, გვ. 101, 121.

¹⁷ ათონის 13 და 87 აღაპებში მოხსენიებული „დიდი გიორგი“ არის იგივე გიორგი მაშენებელი, ათონის ივერიის მონასტრის წინამძღვარი (იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება“, გამოსაცემად მოამზადა მანანა მაჩხანელი, 1982, გვ. 52—53).



მიწერილია: „სტეფანე ჭყონდიდელისა ნეტარისანი სანანოაქისანი, ქრისტე, დიდებულ ყავ სული მათი“, ხოლო მეორეგან (219r) ვკითხულობთ: „ქრისტე, სტეფანე მოძღუარი ჩემი შეიწყალე“¹⁸. ამით დასტურდება, რომ სტეფანე ჭყონდიდელი სანანოისძე მოღვაწეობდა X საუკუნის მეორე ნახევარში და იყო ეფთვიმე მთაწმიდელისა და მიქაელ მოღვაწის თანამედროვე. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მიქაელი მოღვაწეობდა შატბერდის მონასტერში, მაშასადამე, მისი მოძღვარიც იქვე ყოფილა დამკვიდრებული.

სტეფანეს სცოდნია ბერძნული ენა, ქართულად უთარგმნია აგიოგრაფიული მეტაფრასული თხზულება — „ცხოვრება და მოქალაქობა თეოქტისტი ლეზველისაჲ“ (ეს აღნიშნულია ეფრემ მცირის „მოსაქსენებელში სუმეონისთვის ლოლოთეტისა“ და თარგმანის ბოლომინაწერში)¹⁹. მასვე შეუთხზავს „დასდებელნი ნათლისღებისა და წმიდისა მოწამისა ჰაბოაქისნი“ და „დასდებელი სტეფანე პირველმოწამისაჲ“²⁰. ჩანს, ამ მწერალს იოანე მთაწმიდელისათვის ქართლიდან ათონზე გაუგზავნია შესაწყნარებელი არის თუ არა? იოანეს მისთვის უპასუხნია: „არა შესაწყნარებელ არს“, რადგანაც ამ ავტორს, მართალია, ბევრი კარგი დაუწერია, მაგრამ „ლუარძლიცა წვალეზასა თანა შთაუთესავსო“. თ. ჟორდანიას მოსაზრებით, იოანე გარდაცვლილა 998 წელს, ხოლო წერილი სტეფანეს უნდა დაეწერა 990 წლამდე²¹. ამისი თქმა ძნელია. იოანე გარდაიცვალა 1005 წელს და, მაშასადამე, ეფთვიმე გულისხმობს „უწინარეს მრავლისა ჟამისა“ (იოანეს სიცოცხლეში) დაწერილ წერილს.

ამრიგად, ეფთვიმეს წერილის ადრესატთა ვინაობის დამადასტურებელი ცნობებიდან ირკვევა, რომ ძველი ქართული მწერლობის დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებში, რომლებიც არსებობდნენ ტაო-კლარჯეთში, შავ მთაზე (ანტიოქიის მახლობლად) და პალესტინის საბას ლავრაში, X—XI საუკუნეებში ვრცელდებოდა აპოკრიფული ლიტერატურა, რომელიც ეკლესიის ცენტრის

¹⁸ S ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, I, 1960, გვ. 552, 564.
¹⁹ კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 225; S ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, I, გვ. 466.
²⁰ პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, 1913, გვ. 151—157.
²¹ თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 114. ამ თარიღს უარყოფს კ. კეკელიძე (ეტიუდები, II, 1945, გვ. 225—226).



მიერ ამოღებული იყო საერთო ხმარებიდან, მაგრამ რაკი ამ ლიტერატურაში მწვალებლური (თუ საერო-ფილოსოფიური) ისე ფარულად იყო შეხამებული მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სარწმუნოებასთან, რომ ზოგჯერ საეკლესიო მოღვაწენიც კი ვერ არჩევდნენ ერთმანეთისაგან კანონიკურ და არაკანონიკურ წიგნებს. ამიტომაც დროდადრო ისინი საკონსულტაციოდ მიმართავდნენ ცნობილ მწერლებს, რათა მათ წერილობით ეცნობებინათ, თუ ეკლესია რა წიგნებს არ იწყნარებდა. აი, ამ გარემოებამ განაპირობა ეფთვიმეს წერილი, გაგზავნილი თეოდორე მრეკალი საბა-წმიდელისადმი და დიდი ბერი გიორგისადმი.

ამ წერილში უპირველესად ყურადღებას იქცევს ის, რომ ეფთვიმე ზოგადად ეხება მწვალებელთა მიერ დაწერილ წიგნებს სათაურთა დაუსახელებლად და ამბობს: „რომელი სხუათა მწვალებელთა დაუწერია, იგი თვთ საცნაურ არიან“. მართლაც, ამ დროისათვის საქართველოში ისე კარგად იყო დამუშავებული მართლმადიდებლური ქრისტიანული დოგმატიკის საკითხები, რომ განათლებული მკითხველი ადვილად გამოიცნობდა მწვალებელთა მიერ დაწერილ წიგნებს. არიან, აპოლინარი, მანი, ნესტორი, ევტიქი, სევეროსი და სხვანი მართლმადიდებელი ეკლესიის მამებმა შეაჩვენეს და განკვეთეს, მათი მოძღვრებანი დაგმეს, წიგნები მოსპეს, ხოლო მორწმუნეებს ყურები გამოუჭედეს მათი წყევლა-კრულვითა და ძაგებით. ამიტომაც ქართველ მწიგნობართათვის მწვალებლური ლიტერატურის გამოცნობა არ ითვლებოდა საძნელო საქმედ. სწორედ ამით აიხსნება, რომ ეფთვიმე კმაყოფილდება ერეტიკოსთა წიგნების შესახებ ზოგადი შენიშვნით და ყურადღება გადააქვს საერთო ხმარებიდან ამოღებულ წიგნებზე. „სახელები ზოგისა არა ვიცი“, — აცხადებს მწერალი, ხოლო აპოკრიფულ თხზულებათაგან ასახელებს მხოლოდ თერთმეტს, რომლებიც ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო თარგმანებით (ან დოგმატიკურ-პოლემიკური კომპენდიუმებით), და აღრესატებს აცნობს მათ შესახებ საკუთარ მოსაზრებას, მათდამი საბერძნეთის ეკლესიის დამოკიდებულებას.

ირაკლი ყიფიანი

ამხანაგობა „ცისკარი“ და „საქართველოს ენციკლოპედია“

გასული საუკუნის მიწურულს, როცა ივ. როსტომაშვილის ენციკლოპედიის „სალარო ცოდნისას“ გამოცემა შეწყდა (1899 წ.), საქართველოში მაინც არ დამცხრალა ენციკლოპედიის შექმნის სურვილი. პირიქით, საზოგადოებამ ახლა უფრო ნათლად იგრძნო ამგვარი შრომის საჭიროება და დაიწყო ზრუნვა მისი გამოცემისათვის. 1904 წლის 13 ნოემბრის „ივერიაში“ (№ 260) გამოქვეყნდა ასეთი ცნობა: „არსდება ახალი ქართული წიგნების გამომცემელი ამხანაგობა, ვრცელ საფუძველზე დამყარებული, სახელწოდებით „ცისკარი“. ამხანაგობას აზრად ექნება უცხო მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებების თარგმნა და გამოცემა, აგრეთვე ორიგინალური ნაწარმოებებისაც. ამხანაგობის დამაარსებელნი ამჟამად ჯერ ისევ მზადებაში არიან. საქმეს მეთაურად უდგა ისეთი კაცი, რომ ამ განზრახვის აღორძინების და წარმატების საქმე ყოველსავე ეჭვს გარეშეა“. მართალია, ამ ცნობაში ენციკლოპედია არ არის ნახსენები, მაგრამ ეს ამხანაგობა, როგორც ქვევით დავინახავთ, სწორედ იმისათვისაა შექმნილი, რომ სათავეში ჩაუდგეს ენციკლოპედიის შექმნასა და გამოცემას. ამ განცხადებიდან ისიც არა ჩანს, თუ ვინ შედიან ამხანაგობაში და ვინ არიან მისი ხელმძღვანელები, კერძოდ, ვის გულისხმობს წერილის ავტორი „საქმის მეთაურად“, რომლის წარმატებაში ეჭვიც არ ეპარება. მაგრამ, დოკუმენტების მიხედვით ნათელი ხდება, რომ ამხანაგობას ჰყავს გამგეობა — პავლე თუმანიშვილის (თავმჯდომარე), იაკობ გოგებაშვილის, პართენ გოთუას, კონსტანტინე თუმანიშვილის, ფილიპე გოგიჩაიშვილისა და ივანე მაჭავარიანის შემადგენლობით, რომელიც ამხანაგობის პრაქტიკულ საგამომცემლო საქმიანობას განაგებს და ჰყავს ფაქტიური ხელმძღვანელიც. ამხანაგობას სათავეში ედგა იაკობ ზუბალაშვილი, მდიდარი მრეწველი, რომელიც მას აფინანსებდა, ასე



ПРИБЛИЗИТЕЛЬНАЯ ПРОГРАММА.

"ЭНЦИКЛОПЕДИЯ ГРУЗИИ"

I. ИСТОРИЯ ГРУЗИИ

1. Источники грузинской истории и грузинская историография.
2. Политическая, социальная и экономическая история Грузии.
 - ა/ Дохристианская эпоха
 - ბ/ Отъ принятия христианства до кончины царицы Тамары.
 - გ/ Отъ кончины Тамары до присоединения къ Россіи.
 - დ/ Грузія въ XIX столѣтіи.
3. История религиозных воззрѣній въ Грузіи /Язычество, Иудейство, Православіе, Григоріанство, Католицизмъ, Магометанство и др. /
4. Грузія въ археологическомъ отношеніи
5. Грузинскія монеты
6. Историческая географія Грузіи

II. Физическая ГЕОГРАФИЯ ТЕРРИТОРИИ ГРУЗИИ:

- ა/ Границы и пространство
- ბ/ Орोगрафія/ Горы, долины, низменности и т. д. /
- გ/ Гидрографія / Рѣки, озера, моря, почвенныя воды итд.
- დ/ Климатъ флора и фауна.
- ე/ Основныя черты геологическаго строя / почва, подпочва/
- ვ/ Минеральныя богатства/ Соля, каменный уголь нефть, смола, кички, металлы, глины, минеральныя источники и т. д.

III. НАСЕЛЕНІЕ ГРУЗИИ.

- ა/ Источники свѣдѣній о населеніи Грузіи
- ბ/ Очеркъ вліянія различныхъ народовъ на насел. Груз.
- გ/ Грузія въ антропологическомъ отношеніи
- დ/ Количество, плотность и составъ населенія по върховажденіямъ, національностямъ, полами и возрастамъ.
- ე/ Движеніе населенія/ брачность, рождаемость, смертность, иммиграція и эмиграція/
- ვ/ Соотношеніе городского и сельскаго населенія, размѣ-

Порядокъ распредѣленія отдѣловъ и главъ не установленъ окончательно и при надобности будетъ измѣненъ.

„საქართველოს ენციკლოპედია“ სავარაუდო პროგრამა



რომ, „საქმის მეტაურად“ თანაბრად შეიძლება იგულისხმებოდეს პავლე თუმანიშვილიც, გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც იაკობ ზუბალაშვილს დისშვილად ერგებოდა და თვით ზუბალაშვილიც.

ზუბალაშვილების მდიდარი ოჯახი განთქმული იყო ქველმოქმედებით: მან გაიღო ტფილისის გუბერნიის ღარიბ მოწაფეთათვის ახალი სკოლის ასაშენებლად 50 000 მანეთი, ქ. შ. წ. კ. გამაერცვლებელი საზოგადოების სტიპენდიანტებისათვის — 10 000 მანეთი (მისი სტიპენდიანტები იყვნენ სხვადასხვა ქალაქში მოსწავლე სტუდენტები — გ. ქიქოძე, ა. ფაღავა, კ. შიუკაშვილი, შ. ამირჯიბი, ს. კაკაბაძე, შ. ელიავა, ანა ხახუტაშვილი, ვ. იმნაძე, გ. ჩიტაია, დ. ჩხეიძე, ს. ყიფიანი, ს. ბაღურაშვილი და სხვ.); მსცოვან საზოგადო მოღვაწეთა თავშესაფრისათვის (აქ ცხოვრობდა ა. ცაგარელი და აქვე ვარდაიცივალი) — 100 000 მანეთი. ზუბალაშვილებმა აუშენეს ბათუმში გადასახლებულ ახალციხელ კათოლიკეებს 200 000 მანეთად ტაძარი და ეკლესიის საკურთხებლად ოდესიდან მოიწვიეს რომის კათოლიკეთა ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო უ. ედუარდ დე ბარონ როპი; მათ ააშენეს სახალხო კლუბი (დღევანდელი კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრი); დიდი წვლილი გაიღეს სათავადაზნაურო სკოლის (დღევანდელი უნივერსიტეტის) ასაშენებლად და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი დახმარება საგამომცემლო საქმიანობაში. მრავალი წიგნია გამოსული მათი საფასით. ზაქარია ჭიჭინაძემ მადლობის ნიშნად ზუბალაშვილების მთელი საგვარეულოს გენეალოგიაც კი შეისწავლა და გამოაქვეყნა წიგნად¹. მათვე მიუციათ 2000 მანეთი მიხეილ თამარაშვილისათვის წიგნის გამოსაცემად და 1887 წელს საქართველოში ჩამოსვლისას და შემდეგაც დახმარების მიზნით დიდი თანხა გადაუგზავნიათ მისთვის.²

იგივე შეიძლება ითქვას გამგეობის თავმჯდომარეზე, პავლე თუმანიშვილზე. მართალია, იგი ისეთივე მდიდარი არ იყო, როგორც მრეწველი ზუბალაშვილები, მაგრამ რაც ძალა შესწევდა, ქველმოქმედებდა. მისი მესვეურობითა და ზუბალაშვილების ხარჯით 1905 წელს გამოდიოდა ჩვენში ორი დიდი გაზეთი — „გოზროუდენიე“ (პ. გოთუას რედაქტორობით) და „ივერია“ (ფილიპე გო-

¹ ზ. ჭიჭინაძე, მრეწველობის წარმომადგენნი და ზუბალაშვილების გვარის ისტორია, ტფ., 1903.

² გამორიცხული არ არის, რომ იტალიაში მისი ნეშტის შენახვის ხარჯიც მათი გადახდილი იყოს.



ვიჩაიშვილის რედაქტორობით). მისივე ხარჯით დაარსდა ^{საბავშვო} ^{პედაგოგიური} ^{სამსახური} ^{საქართველოში} ვო ჟურნალი „ნაკადული“, რომელსაც მარიამ დემურია ^{ნაუდგა} ^{სათავეში}³.

საგამომცემლო საქმიანობის გარდა, დიდი წვლილი მიუძღვის პ. თუმანიშვილს „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დაარსებაშიც 1907 წელს, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრიც და მზრუნველიც იგი იყო⁴. ზოლო მუზეუმის ასაშენებლად, როგორც ე. თაყაიშვილი მიუთითებს, თუმანიშვილს დაუთმია თავისი საკუთრება — 24700 მანეთად ნაყიდი მიწის ნაკვეთი, რითაც თვით დ. სარაჯიშვილის განცვიფრებაც კი გამოუწვევია⁵. გარდა ამისა, პ. თუმანიშვილს საზოგადოებისათვის შეუწირავს კავკასიის მცოდნეობის შესახებ მდიდარი ბიბლიოთეკა, შეუძენია ბევრი საარქეოლოგიო ნივთი, გადაუხდია მუზეუმისათვის შეკვეთილი კარადების და ვიტრინების ხარჯები. საშუალება მიუცია, როგორც თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის მოვალეობის შემსრულებლის, დიდი ექსპედიციის მოწყობისათვის ლეჩხუმ-სვანეთში 1904 წელს და სამგზავროდ 900 მანეთი გამოუღია, ზოლო ფოტოგრაფ ერმაკოვისათვის გასამრჯელოდ 6 ათასი მანეთი გადაუხდია⁶.

ამხანაგობა „ცისკარმა“ ორი მიმართულებით დაიწყო. მუშაობა, ერთი მხრივ, შეუდგა ორიგინალური და „უცხო მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებების თარგმნას“ და გამოცემას, რასაც მოწმობს როგორც საარქივო ფონდებში დაცული „ცისკარის“ გამოცემებით მოვაჭრე ამხანაგობების „კალამის“ და „ტოროლას“ ანგარიშები, ისე დაბეჭდილი წიგნადი პროდუქცია.

კერძოდ, 1905—1912 წლებში „ცისკარის“ მიერ გამოცემულ იქნა პეტრე უმიკაშვილის „სახალხო ლექსები“ (№ 1, 1905), პეტრე სურგულაძის „ეროვნული ენა“ (№ 2, 1905), ი. ბელოკონსკის „ერობა და თვითმმართველობა“ (თარგმანი კ. ყიფიანისა, № 3, 1905), „შავი სპარტაკი, კუნძულ სან-დომინგოს ცხოვრებიდან. აღწერა ცხოვრებისა და მოღვაწეობისა ტუსენლუვერტულისა და მისი დროისა“ (№ 4, 1905), ს. ფ.-ს „სახელმწიფო გადასახადები“ (№ 5, 1906), ს. ვრჟოსევის „პოლიტიკური წყობილება დასავლეთ ევ-

3 ე. თაყაიშვილის არქივი, ფონდი № 2242.
 4 იქვე.
 5 იქვე.
 6 იქვე.



როპის სახელმწიფოთა“ (№ 6, 1906). ამის პარალელურად „სახალხო გამოცემის“ სერიით „ცისკარს“ გამოუქვეყნებია ლევ ტოტის „მოთხრობები“ (№ 1, 1905) და ოსკარ უაილდის მოთხრობები (№ 4, 1911)⁷. საგულისხმოა, რომ პ. ი. თუმანიშვილის მიერაა გამოცემული 1908 წელს ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია. წიგნი პირველი“.

მეორე მხრივ, „ცისკარის“ გამგეობას დაარსებისთანავე დაუწყია ზრუნვა ენციკლოპედიის გამოსაცემად. უკვე 1904 წელს შეუდგენია ენციკლოპედიის გამოცემის პროგრამა, შეუშუშავებია შედგენის პრინციპები და შეურჩევია თანამშრომელთა ჯგუფიც, რასაც იმავე წელს 31 დეკემბრით დათარიღებულ ალ. ხაჩანაშვილისადმი გაგზავნილი წერილით (№ 47) ვიგებთ (ასეთი წერილები ერთდროულად მიუღიათ ა. ცაგარელსაც და ვ. პეტრიაშვილსაც). ამ წერილით გამგეობა დაწვრილებით აცნობს ქართველ მეცნიერს ენციკლოპედიის შექმნის მიზანს:

„ყველა, ვინც კი მოისურვებს გაეცნოს საქართველოს, მის ისტორიას, გეოგრაფიას, სოციალურ-ეკონომიკურ, თუ რომელიმე სხვა მხარეს, — ნათქვამია წერილში, — უაღრესად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგანაც არც ქართულ, არც რუსულ ან ევროპულ ენებზე არ არსებობს საჭირო შრომები საქართველოს ზერელე გასაცნობადაც კი.“

სერიოზული მეცნიერი-მკვლევარის ჯელი ჯერ არ შეხებია საქართველოს ცხოვრების მრავალ მხარეს, ხოლო თუ შეხებია, მხოლოდ გაკვრით. მრავალი საკითხი არაა გადაჭრილი, ბოლომდე არ არის მიყვანილი, და მათი გაშუქება არ წარმოადგენს მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას. მთელი არსებული მრავალფეროვანი მასალა გაბნეულია და სისტემაში არ არის მოყვანილი. ნარკვევები ცალკეულ საკითხზე, ქართულ ენაზე არსებული, ხელმისაწვდომი არ არის იმათთვის, ვინც ეს ენა არ იცის, ხოლო რუსულად დაწერილი ნარკვევები ასევე მიუწვდომელია ქართველთა უმრავლესობისათვის. აღარას ვამბობთ უცხოელებზე, რომლებიც საერთოდ არიან მოკლებული შესაძლებლობას გაეცნონ მათ. ამის გამო, საქართველო რჩება ქვეყნად, რომელიც თითქმის სრულიად უცნობია ევროპელთათვის და ცოტათი და ცუდადაა ცნობილი რუსებისა და თვით ქართველებისათვის. ეს მნიშვნელოვანი ხარვეზი რომ

⁷ ე. თაყაიშვილის არქივი, „ცისკარის“ ანგარიშები, № 975.

ამოივსოს და გეგონდეს რუსულ ენაზე, ხოლო შემდეგ ქართულ და ფრანგულ ენებზეც შრომები, რომელიც უკანასკნელი სტატიების ნება საკითხის დღევანდელი ვითარებისა და თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით, იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა გადაწყვიტა გამოსცეს — საქართველოს ენციკლოპედია — ანუ სტატიათა კრებულები, გაწყობილი გარკვეული თანმიმდევრობით, რომლებიც სრულ სურათს მოგვცემდნენ საქართველოს წარსულისა და დღევანდლობის შესახებ მკაცრ მეცნიერულ სტილში, სათანადო რუკებითა და ილუსტრაციებით და რამდენადაც შესაძლებელია შეკუმშულად, მაგრამ ხატოვანი და ყველასათვის გასაგები ენით“.

შემდეგ გამგეობა აცნობს მეცნიერს, თუ როგორა აქვთ წარმოდგენილი სავარაუდო ენციკლოპედია და რა როლს შეასრულებს ამხანაგობა „ცისკარი“ მის გამოცემაში.

„საქართველოს ენციკლოპედია უნდა მოიცავდეს დაახლოებით ათ ნახევარტომეულს, ორ სვეტად, ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონის ნახევარტომეულების ფორმატისა და მოცულობის დარად, ან ხუთ ტომს იმ მოცულობითა და ფორმატით, როგორცაა იმავე გამომცემლების შილერის თხზულებანი. გამოცემა უნდა დამთავრდეს 5 წლის განმავლობაში. იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის წინადადებითა და სურვილით ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა და ადმინისტრაციული ნაწილი ამ გამოცემისა კისრად იღო თავ. პ. ი. თუმანიშვილისა და კომპანიის წიგნის გამომცემელთა ამხანაგობის — „ცისკარის“ გამგეობამ“.

ამ წერილთან ერთად მას გამგეობა უგზავნის აგრეთვე ენციკლოპედიის პროგრამას, სავარაუდო თანამშრომელთა სიას და სთხოვს ენციკლოპედიის რედაქტირებას.

„გაახლებთ რა ამასთან ერთად ენციკლოპედიის მიახლოებით პროგრამას და სავარაუდო თანამშრომელთა სიას, გთხოვთ გვაცნობოთ საერთოდ თქვენი შეხედულებანი, წინადადებანი და მოსაზრებანი ამ საქმესთან დაკავშირებით. მიუთითეთ ის ახალი თავები და განყოფილებები, რომელთა დამატებაც სასარგებლოდ მიგანჩნიათ, ან ის, რომელთა ამოღებაც შეიძლება; რუს, ქართველ ან ევროპელ ახალ თანამშრომელთაგან ვის გაუწევდით რეკომენდაციას, რათა მოგვეწვია, და რომელი განყოფილებებისა და სტატიებისათვის. გვაცნობეთ, რომელ განყოფილებას, ან განყოფილე-



ბებს აიღებდით თქვენს თავზე შესადგენად ან სარედაქტოროდ და საერთოდ თქვენი პირადი პასუხისმგებლობით და რა პირობებშია რა მასალები ან ზოგიერთი უკვე მზა სტატია შეიძლება გამოგვეყენებინა ენციკლოპედიისათვის.

ჩვენ გულწრფელად გვსურს, რომ ენციკლოპედია გამოვიდეს თქვენი და პროფესორების ვ. მ. პეტრიაშვილისა და ა. ა. ცაგარლის საერთო რედაქციით“...

როგორც წერილიდან ჩანს, ენციკლოპედიის გამოცემას ამხანაგობა აპირებდა „რუსულ, ხოლო შემდეგ ქართულ და ფრანგულ ენებზე“ 10 ტომად (ნიმუშად აღებულია ბროკჰაუზისა და ეფრონის ტომები), რაც შეეხება ენციკლოპედიის ხასიათს, თუ როგორი უნდა იყოს იგი, ამას ვიგებთ პროგრამით⁸.

ამ პროგრამაში „საქართველოს ენციკლოპედიის“ მასალა ტომების მიხედვით ასეა განლაგებული:

პ ი რ ვ ე ლ ტ ო მ შ ი — შედის საქართველოს ისტორია — მისი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრება ეკლესიითა და არქეოლოგია-ნუმისმატიკით და ისტორიული გეოგრაფიით.

მ ე ო რ ე შ ი — თანამედროვე საქართველოს გეოგრაფია თავისი წიაღისეულით, ნიადაგებით, ოროგრაფიით, ჰიდროგრაფიითა და ჰავით.

მ ე ს ა მ ე შ ი — საქართველოს მოსახლეობა, მისი რაოდენობა, შემადგენლობა, ანთროპოლოგია და სხვა.

მ ე ო თ ხ ე შ ი — საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა (მრეწველობა, ვაჭრობა, ქალაქები).

მ ე ხ უ თ ე შ ი — საქართველოს მმართველობა, გამოვლენილი ყველა ფორმაში.

მ ე ე ქ ვ ს ე შ ი — ქართული ენა, მისი როლი და ადგილი სხვა ენათა შორის.

მ ე შ ვ ი დ ე შ ი — ქართული ლიტერატურა.

აღსანიშნავია, რომ აქ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სხვა ხალხის ლიტერატურულ გავლენას ქართულზე და პირიქით,

⁸ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, ა. ხახანაშვილის ფონდში სხვადასხვა კონვერტში და სხვადასხვა ნომრით დევს პროგრამა (№ 79) და შემოდინიშნული წერილი (№ 47), კ. კინწურაშვილის მიაჩნია, რომ პროგრამა შედგენილია ხახანაშვილის, ცაგარლისა და პეტრიაშვილის მიერ (იხ. „ლიტ. საქართველო“, 1974 წ. 29 მარტი, № 13, გვ. 2., „ისტორიის საყურადღებო ფურცელი“).

მის თვითმყოფადობას; აქვეა წარმოდგენილი ბეჭდვითი სიტყვა
თავისი ისტორიითა და აწმყოთი.



მ ე რ ვ ე შ ი — განათლება და მეცნიერება; რა მდგომარეობაშია იგი საქართველოში იმ დროისათვის.

მ ე ც ხ რ ე შ ი — ხელოვნება (თეატრი, მხატვრობა, არქიტექტურა, მუსიკა, ქორეოგრაფია).

მ ე ა თ ე შ ი — ნარკვევები ქართველების სოციალურ ცხოვრებაზე და სტატიები სხვადასხვა საკითხებზე (ზნე-ჩვეულებანი, ურთიერთდამოკიდებულება წოდებებს შორის, ქართველების ურთიერთობა სხვა ერებთან, მიწის საკითხი, ქართველი ქალი, საზოგადო მოღვაწენი და სხვ.).

როგორც ვხედავთ, გამოცემის პროექტი საკმაოდ ფართოა და ყოვლისმომცველი. „საქართველოს ენციკლოპედია“ ჩაფიქრებული ყოფილა რეგიონალურ-უნივერსალური ხასიათის გამოცემად, ანუ ძირითადად და მთლიანად მას უნდა აესახა საქართველოს სინამდვილე, მისი ისტორიული წარსული და აწმყო. ავტორთა კოლექტივიც შესაფერისი ჰყოლიათ შერჩეული. კერძოდ, ისტორიაში, ენასა და ლიტერატურაში ავტორებად ნაგარაუდვეი არიან ა. ცაგარელი, ნ. მარი, ა. ხახანაშვილი, ზ. ავალიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, მ. ჯანაშვილი, მ. თამარაშვილი, ეპისკოპოსი კირიონი, პოტტო, ივანენკო, ბ. ესაძე, ი. ფერაძე და სხვები; ხელოვნებაში — იპოლიტოვ-ივანოვი, კლენოვსკი, ქართველიშვილი, კორეშჩენკო, დ. არაყიშვილი, პ. კარბელაშვილი, ზ. ფალიაშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. გაბაშვილი, კონდაკოვი, ქურდიანი, ვ. გუნია; სხვა დარგებში — ვ. პეტრიაშვილი, პ. მელიქიშვილი, ი. თარხნიშვილი, დ. ანუჩინი, ა. კლდიაშვილი, ი. ელიაშვილი, ცინცაძე, მუსხელიშვილი, იაშვილი, ვ. წერეთელი, ვ. ღამბაშიძე, ვირსალაძე, ი. ნიკოლაძე, დიასამიძე, ქალანთარი, ა. ყიფშიძე, სიმონოვიჩი, ფირალიშვილი, ს. ესაძე, მ. მაჩაბელი და სხვ.

რაც მთავარია, მთელი გამოცემის რედაქტორებად ა. ცაგარელი; ა. ხახანაშვილისა და ვ. პეტრიაშვილის მიწვევა უზრუნველყოფდა ენციკლოპედიის საერთო მაღალ მეცნიერულ-ლიტერატურულ დონეს.

ამ უკანასკნელთ მაღლიერების გრძნობით მიუღიათ კიდევ საპატიო მიწვევა, რაც მათი გამგეობასთან მიმოწერიდან ჩანს; კერძოდ, ა. ხახანაშვილი პ. თუმანიშვილს სწერს (№ 187):

„ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, თქვენი მეშვეობით უღრმესი მადლობა მოვახსენო საქართველოს უღირსეულეს შვილს იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილს, რომელმაც მოისურვა „საქართველოს ენციკლოპედიის“ გამოცემა, რამაც უნდა შეაგოს ევროპის ლიტერატურაში არსებული ხარვეზი. მთლიანად ვეთანხმები ამხანაგობა „ცისკრის“ აზრს ქართული მეცნიერების დღევანდელი აზარდაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ, მისი ხელი, მართლაც, ჯერ არ შეხებია მრავალ არსებით საკითხს საქართველოს შესწავლასთან დაკავშირებით“...

ამასთან ალ. ხახანაშვილი სრულიად მართებულად ფიქრობს, რომ „საქართველოს ენციკლოპედიის“ გამოცემა უნდა განხორციელდეს მთელი მეცნიერული ძალების გაერთიანების შედეგად, რაც გამარჯვების საწინდარი იქნებაო:

„მასალის გულდასმით შემუშავებისა და ამ უაღრესად პასუხსაგებ გამოცემაში ზომიერად გამოყენების შედეგად, მე მგონი „საქართველოს ენციკლოპედია“ შეიძლება ავიყვანოთ თანამედროვე მოწინავე მეცნიერების სიმაღლეზე“.

როგორც ჩანს, გამგეობას სხვა პირთაგანაც მიუღია ამგვარი სამადლობელი წერილები, რომლებშიც სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც ყოფილა აღძრული, რის გამო პ. თუმანიშვილს საქიროდ მიუჩნევია შემდეგი შინაარსის პასუხის გაგზავნა ალ. ხახანაშვილისათვის:

„განვიხილეთ რა ყოველმხრივ თქვენი წერილების შინაარსი იაკ. კონსტ. ზუბალაშვილის თანდასწრებით, ამხანაგობის გამგეობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ზოგიერთი საკითხის გარკვევისა და საერთოდ ამ საქმის სწორი წარმართვისათვის აუცილებელია მოეწყოს რამდენიმე თათბირი გამოცემის მთავარ რედაქტორთა მონაწილეობით... თათბირზე, რომელსაც თქვენ დაესწრებით, ნათელი მოფენებოდა მრავალ ჩვენთვის საინტერესო საკითხს, გაირკვეოდა ჩვენი ძალები და ის დაბრკოლებანიც, რაც შეიძლება შეგვხვდეს ამ საქმის განხორციელებისას... აქედან გამომდინარე უმორჩილესად გთხოვთ, ჩამობრძანდეთ ტფილისში ერთი ან ორი კვირით, რათა მონაწილეობა მიიღოთ ამ თათბირზე... სასურველი იქნებოდა გვეწვოდით აპრილის ბოლომდე, მით უმეტეს, რომ იაკ. კონსტ. ზუბალაშვილი მერმე უკვე აპირებს საზღვარგარეთ გამგზავრებას... ყველა ხარჯს, ტფილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებულს, ამხანაგობის გამგეობა თავის თავზე აიღებს.“

ამასთან ერთად დაბეჭდილებით გთხოვთ ამ საკითხზე მისწეროთ ბ. ბ. პეტრიაშვილსა და ცაგარელს და ერთად დაადგინოთ თქვენს როდის ჩამოხვალთ, რაზეც, ალბათ, არ დაგვზარდებით გვიდებუ-
მოთ“ (№ 425).

უნდა აღინიშნოს, რომ ალ. ხახანაშვილის, ისევე როგორც ა. ცაგარელისა და ვ. პეტრიაშვილის რედაქტორებად შერჩევა შემთხვევითი არ ყოფილა. ისინი გარდა იმისა, რომ გამოჩენილი მეცნიერები იყვნენ და ამასთანავე ყოველი ქართული ეროვნული წამოწყებისადმი გულისხმიერებით გამოირჩეოდნენ, ამავე დროს ენციკლოპედიური გამოცდილებაც ჰქონიათ. კერძოდ, რამდენიმე წერილი და საბუთი (№ 59) ა. ხახანაშვილის არქივიდან მოწმობენ მის დიდ ავტორიტეტს ამ მხრივ არა მარტო რუსული, არამედ, როგორც ირკვევა, ევროპული ენციკლოპედიებისთვისაც. მაგალითად, ჯერ კიდევ 1897 წლის 24 დეკემბერს ვახტანგ ლამბაშიძე ალ. ხახანაშვილს უგზავნის წერილს პარიზიდან და სთხოვს მონაწილეობა მიიღოს იმ ლექსიკონის გამოცემაში, რომელსაც ფრანგები ამზადებენ: „თქვენი ვუთხარი, რომ შეგიძლიათ მიაწოდოთ უტყუარი და ნამდვილი ცნობები იმ სიტყვების შესახებ, რასაც ლექსიკონში ექნება დათმობილი ადგილი“ (№ 681).

ა. ხახანაშვილის იმედი აქვს აგრეთვე პეტერბურგის „საღვთისმეტყველო ენციკლოპედიის“ რედაქციასაც, რომელიც სთხოვს მიაწოდოს მასალები ქართული მონასტრებისა და ბიბლიის თარგმანების შესახებ (№ 334), „ენციკლოპედია რუსსკოე რეჩის“ რედაქციასაც (№ 67) და თვით ცნობილ გამომცემელსა და ლექსიკოგრაფს ს. ა. ვენგეროვსაც, რომელიც მისგან გიორგი ერისთავზე ელის ცნობებს (№ 401).

იგივე შეიძლება ითქვას ალ. ცაგარელზეც, რომელსაც არა ერთი სტატია ეკუთვნის ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსიკონში და მათ შორის „საქართველოს“ ლიტერატურული ნაწილი და „რუსთაველი“, და ვ. პეტრიაშვილზეც, რომლის წერილები საბუნებისმეტყველო და პრაქტიკულ სამეურნეო საკითხებზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა იმ დროს.

როგორც მოსალოდნელი იყო, პ. თუმანიშვილის თხოვნა მიუღიათ ვ. პეტრიაშვილსა და ა. ცაგარელსაც, რასაც მოწმობს ვ. პეტრიაშვილის წერილი ა. ხახანაშვილისადმი. ამ წერილიდან ჩანს, რომ ქართველი მეცნიერები კეთილგანწყობით შეხვდნენ მიწვევას და უბრალოდ დროშიდა უნდა შეთანხმებულიყვნენ, რათა

ერთად ჩამოსულიყვნენ თბილისში. კერძოდ, ვ. პეტრიაშვილი ა. ხანაშვილს სწერს:

„დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე! გუშინ წერილი მომივიდა პ. თუმანიშვილისაგან, რომელიც გამგებელია იაკობ ზუბალაშვილის ზოგიერთი საქმეებისა. ამ წერილში თხოულობს, რომ, თუ შესაძლებელია, ამ აპრილის განმავლობაში ჩავიდეთ თფილისში მე, თქვენ და ცაგარელი და მათთან ერთად მოვილაპარაკოთ ქართულ (რუსულ ენაზე) ენციკლოპედიის გამოცემაზე. რაც მე შემეხება, მე ახლა თავისუფალი ვარ და როცა გნებავთ შემიძლია წავიდე. თუ თქვენც არა გიშლით რა, შემატყობინეთ, რა დროს შეგიძლიათ გამგზავრება, რომ ერთ დროს ერთად შევიკრიბნეთ თფილისში“ (№ 590).

მაგრამ წერილში ერთი ისეთი ეჭვია გამოთქმული ამ გამოცემაზე, რომ შესაძლოა შემდგომ მან გარკვეული როლი ითამაშა მის მომავალ ბედზე. კერძოდ, ვ. პეტრიაშვილი სწერს: „თქვენ რა აზრისა ბრძანდებით ამ ენციკლოპედიის რუსულ ენაზე გამოცემაზე? სწორე ვითხრათ, მე ჯერ კარგად არა მაქვს შეგნებული ამ გამოცემის სარგებლიანობა, მაგრამ ამაზე მაშინ მოვილაპარაკოთ, როცა ერთად შევიყრებით“ (იქვე).

საინტერესოა ის გარემოება, რომ პ. თუმანიშვილის ზემომოტანილ წერილში, მართალია, ჯერ რუსულ გამოცემაზეა ლაპარაკი, მაგრამ იქვე ნათქვამია, რომ შემდეგ ქართულად და ფრანგულადაც გამოვაო. მაშ, რატომ გაამახვილა ყურადღება ვ. პეტრიაშვილმა ენციკლოპედიის მხოლოდ რუსულად გამოცემის სარგებლიანობაზე, მით უმეტეს, რომ პირველ წერილში პ. თუმანიშვილი საკმაოდ ვრცლად ასაბუთებს ასეთი გამოცემის საჭიროებას? ამის ახსნა ორგვარად შეიძლება: ან ვ. პეტრიაშვილს იმის შიში აქვს, რომ ამ გამოცემამაც ივ. როსტომაშვილის ენციკლოპედიის ბედ არ გაიზიაროს⁹, როცა მხოლოდ ტერმინის რუსულად მიცემის გამოც კი (მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ტექსტი, ტერმინთა განმარტება, ქართულად იყო) ხელმომწერნი დაკარგა „სალარო ცოდნისამ“, ვინაიდან მკითხველთა ფართო მასა მაინც ქართველები იყვნენ, ქართულის მცოდნენი, ანდა არა აქვს იმედი, რომ მიუხედავად გამომცემლის დაპირებისა, ქართულადაც გამოვა

⁹ იხ. ჩვენი წერილი „პოლემიკა ქართული ენციკლოპედიის საკითხებზე“. „მნათობი“, 1975 წ., № 11.

შემდგომ (მით უმეტეს, რომ ქართული და ფრანგული ერთ დონეზე დაუყენებია გამგეობის თავმჯდომარეს).

ჩვენ ვერ მივაკვლიეთ ცნობას ან რაიმე ნიშანს იმის დასადასტურებლად, რომ 1905 წლის აპრილში ნამდვილად იყვნენ ჩამოსული ა. ცაგარელი, ვ. პეტრიაშვილი და ა. ხახანაშვილი ენციკლოპედიის საკითხებზე მოსალაპარაკებლად, მაგრამ საქმე რომ წინ მიდიოდა და ერთ წერტილზე არ იდგა, ამას მოწმობს ერთი უაღრესად საინტერესო წერილი, გამოქვეყნებული 1905 წლის 8 მაისს. „Кавказский край“-ში სათაურით — „Энциклопедия Грузии“, რომელსაც ხელს აწერს „Э“ (ჩვენი ვარაუდით, ბორის ესაძე). ეს სტატია მრავალ საინტერესო მოსაზრებას შეიცავს ენციკლოპედიის გამოცემასთან დაკავშირებით, ზოგ რამეში განსხვავებულ პრინციპებსაც კი პირვანდელ პროგრამასთან შედარებით და ამდენად ღირს მასზე დაწერილებით შეჩერება.

პირველ ყოვლისა, ირკვევა, რომ მართალია ენციკლოპედიის სავარაუდო პროგრამა გაუგზავნა პ. თუმანიშვილმა საგულგებელ რედაქტორებს 1904 წლის დეკემბერში, მაგრამ, როგორც ამ წერილიდან ჩანს, 1905 წლის მაისშიც გრძელდებოდა მის დასახვეწად მუშაობა: „ამჟამად შექმნილია ქართველ ინტელიგენტ მუშაკთა კომიტეტი, რომელიც ამუშავებს ზემოდასახელებული ენციკლოპედიის პროგრამას“ — ვკითხულობთ წერილში.

შემდეგ აქ იმაზედაც არის ლაპარაკი, თუ თვითონ წერილის ავტორს როგორი წარმოდგენა აქვს ამ ენციკლოპედიის: „სავარაუდო ენციკლოპედია მოიცავს სტატიათა კრებულებს, განლაგებულს გარკვეული წესით, და მოგვცემს სრულ სურათს საქართველოს წარსულისა და დღევანდლობის ყოველ მხარეზე მკაცრი მეცნიერული სულისკვეთებით განმსჭვალულს, სათანადო რუკებითა და ილუსტრაციებით, და შესაძლებლობის ფარგლებში, შეკუმშული სახით, მაგრამ ხატოვანი და ყველასათვის მისაწვდომი ენით“.

ეხება რა ბ. ესაძე ჩვენთვის საინტერესო საკითხსაც, რა ენაზე უნდა გამოიცეს ენციკლოპედია, განსხვავებით ვ. პეტრიაშვილის ვარაუდისა, რაც პ. თუმანიშვილის წერილიდან მომდინარეობს, აცხადებს: „ენციკლოპედია გამოიცემა რუსულ და ქართულ ენებზე. შემდგომში კი — ფრანგულადაც“.

როგორც ვხედავთ, საკითხი აქ სხვანაირადაა დაყენებული. ბ. ესაძე მიიჩნევს, რომ ენციკლოპედია ჯერ რუსულად და ქართულად უნდა გამოიცეს, ხოლო შემდეგ ფრანგულად. ეს „გასწორე-



ბა“ არსებითი ხასიათისაა და არა გვეგონია, რომ შემთხვევითი იყოს. შესაძლოა ესაა შედეგი იმ დაეჭვებისა, რაც პეტრიაშვილს წერილში გამოსტვივის და იქნებ აზრთა გაცვლა-გამოცვლის საფუძველიც კი გახდა, თუნდაც ერთმანეთს პირადად არ შეხვედროდნენ თბილისში. ამ გარემოებას უფრო მეტ მნიშვნელობას იმიტომ ვანიჭებთ, რომ ბ. ესაძის ეს წერილი და პ. თუმანიშვილის პირველი წერილი, ბევრ რამეში ემთხვევა ერთმანეთს და, თუ ერთი ხელიდან გამოსული არ არის (ვთქვათ, გამგებობის დავალებით რომ მოემზადებინა ბ. ესაძეს), მჭიდრო თანამშრომლობას მაინც გულისხმობს ენციკლოპედიის გამოცემის მესვეურებთან და, მაშასადამე, ოფიციალურ მოსაზრებად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაცაა არა მარტო მოცულობით, არამედ საკითხთა წრითაც, რაც სრულიად ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველი არის პირადი წერილი, რომელიც საქმიანი ხასიათისაა და ორგანიზაციულ საკითხებსაც ეხება, მეორე კი ფართო მკითხველი საზოგადოებისთვისაა განკუთვნილი, და მასში ზოგად იდეებთან ერთად რამდენიმე უაღრესად საინტერესო აზრია განვითარებული. პირველი, როგორც ბ. ესაძე აღნიშნავს, იაკ. ზუბალაშვილი ამ ენციკლოპედიის გამოცემის შემდეგ მთელი კავკასიის შესახებ ენციკლოპედიის მომზადებას აპირებს: „ამ შრომის დამთავრების შემდეგ იაკ. კ. ზუბალაშვილს განზრახული აქვს გამოსცეს დიდი ენციკლოპედია მთელი კავკასიის შესახებ, ან, უფრო ზუსტად — ისტორია ყველა იმ ხალხისა, ვინც კავკასიაში სახლობს“, — აცხადებს იგი და ვრცლად განმარტავს რა მის მნიშვნელობას, რჩევასაც იძლევა, თუ როგორ უნდა მომზადდეს ასეთი სერიოზული შრომა: „იმისათვის, რომ ისეთ სერიოზულ და ძნელ საქმეს შევეჭიდოთ, როგორცაა მომავალი ენციკლოპედიის პროგრამის შედგენა, ზემონახსენებმა კომიტეტმა საჭიროა სრული წარმოდგენა შეიქმნას კავკასიის შესახებ არსებულ ბიბლიოგრაფიაზე და, რაც შეიძლება ამომწურავად გაეცნოს ყველა კაპიტალურ შრომას, რაც კი ჩვენი ქვეყნის აღწერას ეძღვნება“.

რაც შეეხება ენციკლოპედიას თვით საქართველოზე, წერილის ავტორს მისი ხასიათიცაა აქვს განსაზღვრული, ანუ გამოცემის ტიპი: „ექვეგარეშეა, რომ ამ საკითხის საუკეთესო გადაწყვეტა იქნება სამეცნიერო-პოპულარული ენციკლოპედიის გამოცემა“, — აღნიშნავს იგი და მიუთითებს იმ წყაროებსაც, რომლის საფუძველზეც უნდა იქნეს შედგენილი ეს ენციკლოპედია: „კომიტეტმა მხედვე-



ლობაში უნდა იქონიოს ს. პეტერბურგის, ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის და მეცნიერებათა აკადემიის წიგნთა ყველა კატალოგების არსებული ბიბლიოგრაფიებისა და კატალოგების დამუშავების გარეშე ბ. ესაძის აზრით: „საერთოდ შეუძლებელია შევუდგეთ არა მარტო თვით გამოცემას, არამედ პროგრამის შემუშავებასაც კი“. ამასთანავე, აღნიშნავს, რომ ენციკლოპედიის გამოცემა თანამოაზრეთა დიდი ჯგუფის ზრუნვის საგანი უნდა გახდეს და სამისოდ საგანგებო საზოგადოებაც კი შეიქმნასო.

ენციკლოპედიის გამოცემის სამუშაოებმა „თავი უნდა მოიყაროს იმ პირთა ხელში, ვინც თანაუგრძნობს ამ საქმეს და უყვარს ისტორიული მეცნიერება. ინტელიგენტთა ასეთმა წრემ შეიძლება დააარსოს, მაგალითად, „ქართული ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა საზოგადოება“.

აქ ჩამოყალიბებული შეხედულება, თუ როგორ ესმის მას ამ საზოგადოების ფუნქცია-მოვალეობანი, რომ მათ ენციკლოპედიის პარალელურად უნდა ამზადონ სხვა გამოცემებიც — სიგელ-გუჯრების, ისტორიული აქტების, დოკუმენტების, ძველი ხელნაწერების, არქეოლოგიური ძეგლებისა და სხვ. სახით, გვიჩვენებს, რომ ბ. ესაძეს ამხანაგობა „ცისკარი“, თუკი იგი ამ ამოცანას იკისრებს, ერთგვარ ენციკლოპედიურ გამომცემლობად ესახება. მაგრამ აქ გაკვირვებას იწვევს ერთი გარემოება: იმ დროს, როდესაც ბ. ესაძე საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა საზოგადოების შექმნის იდეას აყენებს, ასეთი საზოგადოება, ანუ წრე უკვე არსებობს საქართველოში 1900 წლიდან ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით. „1900 წელს დავაარსე „საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა წრე“, — აცხადებს ე. თაყაიშვილი¹⁰. ამ წრის დაარსებას მისალმებია კიდევ „ივერია“¹¹: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბ. ე. თაყაიშვილის თაოსნობით, შემდგარა ტფილისში „ქართული ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა წრე“. ხსენებულ წრეს მიზნად აქვს გამოსცეს საქართველოს საისტორიო და სალიტერატურო მასალები“, — დასძენს გაზეთი. თავის მხრივ, ამ მოვლენას „მოგზაურიც“¹² გამოხმა-

10 ე. თაყაიშვილი, რჩეული, ტ. I, გვ. 187.

11 „ივერია“, 1900 წ., № 25, გვ. 2.

12 „მოგზაური“, 1901, № 3, მარტი, გვ. 198-99.



ურებია წერილით „სასიამოვნო ამბავი“: „ჩვენ დიდად სასიამოვნოდ დაგვრჩა, როცა ამოვიკითხეთ გაზეთებში, რომ ე. თაყაიშვილის თაოსნობით თბილისში სდგება ქართულის ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარეთა წრე, რომელსაც აზრადა აქვს დრო-გამოშვებით გამოსცეს ჩვენის წარსულის საისტორიო და სალიტერატურო მასალები“, და იქვე მოჰყავს რიაზანის მაგალითი: იქ ჯერ კომისია დაუარსებიათ, შემდეგ — მუზეუმი, სადაც ახლა 15 ათასი ნივთი ინახებაო. ბოლოს ავტორი ასკვნის: „ურიგო არ იქნებოდა, რომ განზრახული წრე გვერდში ამოუდგებოდეს წ. კ. გ. კომიტეტს და მათთან ერთად რიაზანის არქიული კომისიის მსჯავსად, კისრად იღებდეს ჩვენის ქვეყნის წარსულის ძიება-შესწავლასა და ამისათვის საჭირო მასალების საქვეყნოდ გამოცემის საქმეს“.

სწორედ ამ წრის საფუძველზე განვითარდა შემდგომ „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ ჩამოყალიბების იდეა, რომელიც 1907 წელს წარმატებით დაგვირგვინდა კიდეც და რაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო ბ. ესაძემ. იგი შედიოდა ჯგუფში, რომელმაც 1906 წ. თხოვნა მიართვა მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს ამ საზოგადოების შექმნის თაობაზე. განცხადებას ხელს აწერდნენ: „თბილისის გუბერნიის თავდა-აზნაურთა წინამძღოლი თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-დავითაშვილი, თბილისის ქალთა მეორე გიმნაზიის მასწავლებელი ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილი, თავადი ვლადიმერ სვიმონის ძე მიქელაძე, ექიმი გრიგოლ დიმიტრის ძე გაბაშვილი და როტმისტრი ბორის სპირიდონის ძე ესაძე“¹³.

რაკი ეს ფაქტია, მაშ, როგორ ავხსნათ, რომ ბ. ესაძე ისევ საზოგადოების შექმნასა და მის ამოცანებზე ლაპარაკობს 1905 წელს თავის წერილში? იმას ვერ ვიტყვით, რომ ე. თაყაიშვილია წრის არსებობა არ იცოდაო, ვინაიდან, როგორც ვნახეთ, პრესა ფართოდ გამოეხმაურა ამ მოვლენას. ამიტომ ეს ფაქტი მხოლოდ ასე უნდა აიხსნას: ბ. ესაძეს არ აკმაყოფილებს ამ წრის მოღვაწეობა ენციკლოპედიის გამოცემასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად და იმ იდეების გასატარებლად, რომელსაც ამის გამო აყენებს და უფრო მძლავრი, ოფიციალურად აღიარებული საზოგადოების შექმნას გულისხმობს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ როგორც კი საამისო რეალური მომენტი დგება, იგი, როგორც ვნახეთ, სა-

¹³ „ძველი საქართველო“, ტ. I, 1909, განყ. VI, გვ. 1.

ზოგადოების დამფუძნებელთა შორისაა, ვინც ხელს აწერს მთავრობის მიერ დამტკიცებულ წესდებას¹⁴.

როგორც ვხედავთ, 1905 წლის გაზაფხულზე გაცხოველებული მზადება ენციკლოპედიის გამოსაცემად, საამის ორგანიზაციულ-მეთოდური საკითხების გადასაწყვეტად, პროგრამის დასახეწად და გასამდიდრებლად, მასალების მოპოვებისა და დამუშავებისათვის სათანადო საზოგადოების დასაარსებლად და სხვა, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ეს მუშაობა შეფერხებულა. საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, ესაძეების ფონდში (1438) დაცულია წერილები და საენციკლოპედიო მასალები, რომლებიც შუქს ჰფენენ გამგეობის (და პირადად ესაძეების) ამ პერიოდის მოსამზადებელ სამუშაოებსა და ენციკლოპედიის გამოცემის შეფერხების მიზეზებს. კერძოდ, იაკობ ზუბალაშვილისადმი 1906 წლის 20 ივნისს მიწერილ წერილში (№ 53) ბ. ესაძე შეახსენებს რა საზოგადოებრიობის აღფრთოვანებას, რაც ენციკლოპედიის გამოცემის განზრახვამ გამოიწვია, სწერს: „მაგრამ რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა გავლენა იქონიეს, ცხადია, საქმის მსვლელობაზე, შეაფერხეს როგორც ენციკლოპედიისთვის მასალების შეგროვება, ისე მისი ცალკეული თემების მიხედვით გამოცემა. დაბრკოლდა სხვა საქმეებიც და ჩვენი საზოგადოება, აი, თითქმის წელიწადზე მეტია, უკიდურესი დაძაბულობით და ყურადღებით ადევნებს თვალს რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების განახლების პროცესს“. ბ. ესაძე ენციკლოპედიის საქმიანობის შეჩერების ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს 1905 წელს რუსეთში მოდებულ რევოლუციურ ქარიშხალს და იქვე დასძენს: „მიუხედავად ამისა, შორეული მომავლისათვის არ უნდა გადავდოთ საქართველო ენციკლოპედიის გამოცემის სიმპათიური იდეის განხორციელებაც. ვინაიდან ეს ქართველთა უპირველესი საქმეაო“. და აქვე აცნობს თავის გეგმას, თუ როგორ აქვს წარმოდგენილი „საქართველოს ენციკლოპედიის“ სტრუქტურა, მხატვრულ-ტექნიკური გაფორმება და ორგანიზაციულად მისი მომზადება. აქ საინტერესოა აღინიშნოს, რომ შინაარსობრივ-სტრუქტურულად ეს გეგმა მთლიანად არ ემთხვევა არც „ცისკრის“ გამგეობის პროგრამას და არც მის წერილში გამოთქმულ მოსაზრებას. ბ. ესაძეს, მაგალითად, პირველ ტომად ესახება დიდი კრებული საქართველოს ისტორიის შესახებ, მეორე

¹⁴ „ძველი საქართველო“, ტ. I, 1909, განყ. VI, გვ. 1.



ტომად — საეკლესიო-ისტორიული მასალა, მესამე ტომად — ანტიკური ქეოლოგია, მეოთხედ — ნუმიზმატიკა, ანუ ის, რაც გამგეობას ერთიანად თავის პირველ ტომში უვარაუდნია.

გამოცემის ორგანიზაციის თვალსაზრისითაც ბ. ესაძეს ორიგინალური შეხედულება აქვს. მისი აზრით, მუშაობა უნდა გაიყოს ორ ეტაპად — მასალების დაგროვებისა და მათი დამუშავების ეტაპებად, რაც გააადვილებს გამოცემას. ამასთან, პირველ რიგში კრებულების გამოცემას აპირებდა რვეულებად, შემდეგ მთელი ენციკლოპედიისას ერთად. სხვათა შორის, ეს წესი ახლაც არსებობს ევროპაში, ხოლო იმ დროისათვის საქართველოს სინამდვილეში იგი ენციკლოპედიური აზროვნების თვალსაზრისით სიახლე იყო.

პირველ — დაგროვების ეტაპს იგი იმდენად მიიჩნევს აუცილებლად, რამდენადაც თვლის, რომ საქართველოს შესახებ მასალა, დაწერილი მცოდნე პირთა მიერ, მრავლადაა გაფანტული სხვადასხვა სტატიებსა და ბროშურებში, ხელმისაწვდომი არ არის ყველასათვის და ჯერ თავმოყრა და სისტემაში მოყვანა სჭირდება. ეს წერილები ეკუთვნის, — წერს იგი, — „ისეთ გამოჩენილ მცოდნეებს, ჩვენი მხარის მეცნიერ-მკვლევართ, როგორებიც არიან: მ. ბროსე, ს. ბარათაშვილი, ნ. ბერძენიშვილი, პ. იოსელიანი, დ. ყიფიანი, პ. უსლარი, სოლოგუბი, ხიცუნაშვილი, დ. ბაქრაძე, ლ. ისარლიშვილი, ა. ფურცელაძე, ს. დოდაშვილი, დ. ცისკარიშვილი, ა. ორბელიანი, ა. ხახანაშვილი, ნ. მარი, ა. ცაგარელი, ა. ბერძენი, ზ. ავალიშვილი, რ. ერისთავი, ეპისკოპოსი კირიონი, ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, მ. ჯანაშვილი და სხვ.

დასახელებულ სწავლულთა გამოკვლევები მოიცავენ კავკასიის მცოდნეობის თითქმის ყველა დარგს. მაგრამ მათი შრომები, როგორც ითქვა, გაბნეულია სხვადასხვა გამოცემებსა და ბროშურებში, და ამიტომ ნაკლებმისაწვდომია საზოგადოებისათვის. აი რატომაც საჭირო მთელი ამ მასალის სათანადო სისტემაში მოყვანა, მკაცრად განსაზღვრული პროგრამის მიხედვით. მხოლოდ ამის შემდეგ თუ შეეიტანთ გარკვეულ სიცხადეს იმ უზარმაზარ მასალაში, რომლის შესახებ ბევრს წარმოდგენაც კი არა აქვს. როცა ეს პირველი რიგის სამუშაოები დამთავრდება, მაშინ გახდება შესაძლებელი პატარ-პატარა წიგნებით ბეჭდვის დაწყება საერთო სათაურით — „საქართველოს ენციკლოპედიის მასალებისათვის“¹⁵.

¹⁵ ესაძეების ფონდი, № 306—424.

რაც შეეხება გამოცემის გაფორმებას, ბ. ესაძე დიდ გემოვნებას და ცოდნას ამკლავებს ამ მხრივ და ძალზე ორიგინალურად აქვს გააზრებული ენციკლოპედიის საილუსტრაციო-მხატვრული მხარე. კერძოდ, კრებული, რომელშიც საქართველოს ქრისტიანული საგანძური იქნება წარმოჩენილი უნდა გაფორმდეს ასე: „თან უნდა დაერთოს საქართველოს ილუმინებული რუკა, რომელზეც დატანილი იქნება ყველა ცნობილი მონასტერი, მათი დაარსების თარიღით და ხატების ოდენობით. ყდაზე და ყოველი გვერდის გარშემო უნდა მოიხატოს ორნამენტები, თავსამკაულები და ბოლოსამკაულები ძველი ქართული სტილითა და ხლართვით.“

ასეთ შრომას უნდა მიეცეს საუცხოო მხატვრული იერსახე, რათა ყველამ თვალნათლივ ირწმუნოს მაღალი კულტურა და ცოდნის სიმდიდრე საეკლესიო მშენებლობის დარგში ჩვენი წინაპრებისა, რომელნიც ოდითგან დასახლებულან აზიის საზღვრებზე და მე-19 საუკუნემდე ხელუხლებლად და წმინდად შემოუნახავთ ქრისტიანობა, რომელსაც 15 საუკუნის განმავლობაში ხელყოფით ემუქრებოდნენ მუსულმანი ხალხები“.

რაც მთავარია, მუშაობის ის მეთოდი, რომელსაც იგი იაკ. ზუბალაშვილს აცნობს, თვითონა აქვთ ძმებს სიმონ და ბორის ესაძეებს გამოყენებული, რაც მათი საარქივო ფონდიდან ჩანს (ფ—1438). აქ დაცულია მრავალი მოზრდილი საქალაღდე წარწერით — „ამბ. ცისკარი“, რომელშიც საენციკლოპედიო მასალაა შეგროვილი და სისტემაში მოყვანილი (№ 306—424), უმთავრესად ისტორიული ტერატურულ-საეკლესიო ხასიათისა. ესენია გაზეთებიდან და ყურნალებიდან ამონაჭერი თუ ხელნაწერი სტატიები, ნეკროლოგები, ფოტოები. აქვე ჩანს სქემა, თუ როგორი ტიპის სტატიის მიცემას აპირებდნენ მწერალზე. მაგ., ყაზბეგზე. გარდა მწერლის ბიოგრაფიისა, გამიზნული ჰქონიათ ნაწარმოებების მიცემაც სათანადო ანალიზით და მწერლის შესახებ სხვათა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით თუ მიძღვნილი ლექსებით. მასალა იმდენად შთამბეჭდავია, რომ თუნდაც მკაცრი საენციკლოპედიო რეგლამენტის გამო მისი ნახევარიც ვერ დაბეჭდილიყო, მაინც საგრძნობი იქნებოდა გამოცემის ფუნდამენტურობა და ამასთან თავისებური, ორიგინალური მიდგომაც მისი გაშუქებისადმი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ესაძეებისაგან, როგორც თავადაც უაღრესად განათლებულ პირთაგან, სულაც არ არის მოულოდნელი ასეთი მხურვალე დამოკიდებულების გამომქლავნება ენციკლოპე-

დიის გამოცემის იდეისადმი. უფროსი ძმა სიმონი (1868—1927) სამხედრო განათლების მქონე, პოლკოვნიკი, წლების მანძილზე შობდა კავკასიის ოლქის სამხედრო-საისტორიო მუზეუმში გამგედ, შემდეგ დირექტორად, ხოლო 1921 წლიდან საქართველო ცენტრარქივში განაგებდა სამხედრო-საისტორიო განყოფილებას. იგი ავტორია მრავალი საისტორიო შრომისა, რომელთაგან ყველაზე კაპიტალურს „Историческая записка об управлении Кавказом.“¹⁶ (ტფ. 1907, ტ. III) დღესაც არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული მნიშვნელობა, ისევე როგორც მის სხვა შრომებს — „კავკასიის სამხედრო არქივები და ცენტრარქივის სამხედრო ფონდი“ („საქართველოს არქივი“, წ. 1, 1926) და „Штурм Гуниба и пленение Шамиля“ (ტფ. 1910).

ამასთან სიმონ ესაძე ცნობილია, როგორც ლევ ტოლსტოის ერთ-ერთი კორესპონდენტი საქართველოდან. იგი 1902—1903 წლებში ისტორიულ მასალებს აწვდიდა მწერალს ჰაჯი-მურატის შესახებ (ესაძე ფ. № 13), რისთვისაც მისი თხზულებათა სრული კრებული მიუღია საჩუქრად ზედწარწერით (წერილები ინახება უნივერსიტეტში). იგი ღირსშესანიშნავია, აგრეთვე როგორც ქართული კინემატოგრაფიის სათაგებთან მდგომი მოღვაწე. 1913 წელს მისი სცენარის მიხედვით გადაუღიათ და მისი უშუალო ხელმძღვანელობით უჩვენებიათ კინო „Покорение Кавказа“ (დრიანკოვისა და ტალდინინისა), რომელიც ყურადღებას იმსახურებს თავისი ისტორიული მნიშვნელობითაც და იმიტაც, რომ საინტერესოაა გადაღებული ერთ-ერთი პირველი ბატალური სცენები ჩვენს ეკრანზე. საგულისხმოა, რომ მის ხალხს და მისი აპარატით გადაუღიათ აგრეთვე „ქრისტიანი“.

ბორის სპირიდონის ძე ესაძეც (1870—1914) სამხედრო ისტორიკოსია, ჩინით პოდპოლკოვნიკი, დიდხანს უმსახურია ამ ხაზით სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა თანამდებობაზე, შემდგომ მრავალი ნარკვევიც დაუწერია სამხედრო ისტორიულ თემაზე, მაგრამ მთავარი, რითაც მან საქვეყნოდ გაითქვა სახელი თანამემამულეთა შორის, არის „Летопись Грузии“, 1913 წელს მდიდრულად გამოცემული კრებული, მიძღვნილი საქართველოს ისტორიული და

¹⁶ ამ შრომაზე ა. ხახანაშვილს დაუწერია 59 გვერდიანი რეცენზია დასკვებით, რომ იგი იმსახურებს გ. თ. კარპოვის პრემიას (ა. ხახანაშვილის ფონდი № 159).

კულტურული საკითხების შესწავლისადმი (საგულისხმოა, რომ მისი გამომცემელიც პ. ი. თუმანიშვილი ყოფილა).

ბ. ესაძის სასარგებლო ეროვნული მოღვაწეობა შეუძინებელი არ დარჩენიათ მის თანამედროვეებს. ჯერ კიდევ 1901 წელს ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „უკანასკნელ დროს ჩვენი ისტორიის ასპარეზზე აღმოჩნდა ბ-ნი ბორის ესაძე. ბორის ესაძემ მცირე ხნის განმავლობაში რამდენიმე წიგნი დასტამბა საქართველოს ერისა და ისტორიის შესახებ. მისი ნაწერების გაცნობა საყურადღებოა როგორც უცხოთათვის, ისევე ჩვენთვის, რადგანაც იგი ჩვენს წარსულს მაღალის სიმპათიით უმზერს“¹⁷. შემდეგ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა ზ. ჭიჭინაძე იმ გარემოებას, რომ ბ. ესაძე რუსულ ენაზე წერს საქართველოს შესახებ, შენიშნავს: წერით სხვებიც კი წერენ, „მაგრამ ცარიელის წერით რა გამოვიდა, თუ იგი იმავე დროს ჩვენის გულის მოძრაობის და მისწრაფების სხივით არ იქნება გამთბარი... ბ. ესაძის ნაწერები სწორედ ასეთის თბილის კილოთია დაწერილი. დამწერი თავისს ნაწერების ყოველის სიტყვით და სტრიქონით უაღრესად ბრწყინავს, ცხადად ემჩნევა, რომ მკაცრად უნდა იყოს გამსჭვალული ჩვენის წარსულის სიყვარულით და თავისს თანამედროველეთა მომავლის ცხოვრების ნატვრით და განკაცებით“. ზ. ჭიჭინაძეს საყურადღებოდ მიაჩნია ბ. ესაძის ის თვისებაც, რომ „თვალყურს ადევნებს სატახტო გამოცემებს და იქ თუ რამეს ნახავს ჩვენის წარსულის წინააღმდეგ, უპასუხოდ არ ტოვებს“... ზ. ჭიჭინაძე ასკვნის: „სულით და გულით ვინატრებ ამ მხნე ქართველის წარმატებას და თავის სამშობლო ქვეყნის ისტორიის ასპარეზზედ თავგამოდებით მოქმედებას“.

ამრიგად, როგორც ენციკლოპედიის პროგრამა, ისე პ. თუმანიშვილისა და ბ. ესაძის წერილებში გამოთქმული თვალსაზრისი ენციკლოპედიის შინაარსის, სტრუქტურისა და გაფორმების თაობაზე გვიჩვენებს საკმაოდ მაღალ კულტურულ და მეცნიერულ დონეს. თუ ივ. როსტომიშვილის ენციკლოპედია კეთდებოდა თითქმის ერთპიროვნულად, ძირითადად ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიის ქარგაზე, საკუთარი მკაფიო გეგმის გარეშე, რამაც ხელი შეუშალა თავისთავად საინტერესო მასალის (კერძოდ, ქართული სინამდვილის ამსახველის) გადმოცემის სისტემატურობას, ამხანაგობა „ცისკარი“, ქართული ენციკლოპედიური აზროვნების

17 „მოგზაური“, 1901, № 3, გვ. 283-6.



ისტორიაში პირველად ქმნის სპეციალურ გამგეობას გამოცემის განსახორციელებლად, ადგენს გამოცემის ვრცელ პროგრამას განსაზღვრავს ცალკეული ტომების შინაარსს, აყალიბებს ავტორთა სამშრომელთა ჯგუფს დარგების მიხედვით, იწვევს საგანგებოდ მეცნიერ-რედაქტორებს და, თუ ესაძეგების გამოცდილებასაც გავითვალისწინებთ, წინასწარ ამუშავებს კიდევ სტატიათა შინაარსისა და აგების საკმაოდ ორიგინალურ პრინციპებს და მათი ჯერ შეგროვებისა და შემდგომ ენციკლოპედიურად დამუშავების მეთოდოლოგიას, ისევე, როგორც გამოცემის მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების მთლიან იერსახეს.

ამ დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს ისიც, რომ გამოცემა უნდა დაყრდნობოდა ეროვნულ მეცნიერულ-ლიტერატურულ ძალებს, ძირითადად ქართველ ავტორთა კოლექტივს, ან საქართველოს და კავკასიის მცოდნე რუს და უცხოელ მეცნიერთ, რაც გარანტიას იძლეოდა იმისას, რომ (მიუხედავად თავდაპირველად რუსულ ენაზე გამოცემისა) ენციკლოპედია იქნებოდა გაუღწეველი ეროვნული სულისკვეთებით, მომზადებული მაღალ მეცნიერულ დონეზე და წარმატებით შეასრულებდა ქართული კულტურისა და ყოფის რუსი და ევროპელი მკითხველისათვის გაცნობის საპატიო მისიას, რასაც მას, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აკისრებდნენ.

მართალია, ეს შესანიშნავი იდეა განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ ამხანაგობა „ციცკრის“ მიერ გაწეული მუშაობა ენციკლოპედიის გამოსაცემად კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ქართული ენციკლოპედიური აზროვნებისა და კულტურის განვითარების გზაზე. სწორედ ამაშია მისი ისტორიული მნიშვნელობაც.

გიორგი ლეონიძე

წარწერა ჩემს წიგნზე

აქ არის ყველა ჩემი გარჯანი
რაც მიხარჯია ლექსში მარჯანი.
სიტყვის ამბრაჩა, სტრიქონის ფარჩა,
ყველა აქ არი, რაც გულში ჩამრჩა.
რაც გული ძარღვში სისხლს შეეჭიდა
და იქცა ჩემი ლექსის ბეჭედად.

იური კეტროვი

მე მდიდარი ვარ

მე მდიდარი ვარ, არცრა არის აქ გასაკვირი,
ჩემთვის შრომობდნენ წინაპრები ზემთაგონებით.
ყველგან თან მახლავს სიბრძნე დიდი და უნაპირო —
უკვდავი შუქი მათი გულის, მათი გონების.



ქალსულთ
ფურც
სლუგა



წიგნები გარდასულ საუკუნეთა სულიერ მემკვიდრეებად
გვაკცივენ.

უილიამ ელერ ჩენინგი

ელგუჯა ხინთიბიძე

ათონელ ქართულ მონასტრთან შემოქმედებითი პრინციპები

ათონის მთის ქართული მონასტერი — ევირონი, როგორც მას მოგვიანებით ბერძნებმა უწოდეს, არ იყო მხოლოდ განდევნილ ბერთა თავშესაფარი. იგი X საუკუნის დასასრულამდე იქცა ქართული კულტურის უდიდეს კერად.

საზოგადოდ ქრისტიანულ ასკეტიზმში იმთავითვე უპირისპირდებოდა ერთმანეთს მოღვაწეობის ორი მიმართულება — განდევნილობა და სამონასტრო ცხოვრება. განდევნილობა ერთადერთ პრინციპად აღიარებდა „წმინდა წერილის“ უმთავრეს მცნებას — „გიყვარდეს ღმერთი შენი“ და მოღვაწეს წარმართავდა საკუთარი სულის ხსნისათვის ღვთაების წინაშე პერსონალური მსახურებისაკენ. სამონასტრო ცხოვრება ამ ძირითად პრინციპს „წმინდა წერილის“ მეორე მცნებასაც უერთებდა — „გიყვარდეს მოყვასი შენი“ და მოყვასისათვის სარგებელს ქმნის ნიშნით სამოღვაწეო ცხოვრებაში ამქვეყნიური ინტერესებით გამიზნული საქმიანობაც შემოჰქონდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეს პრინციპი იმ სამოღვაწეო სისტემაში, რომელიც X საუკუნის 60-იანი წლებიდან ათონის მთაზე დაამკვიდრა ათანასე დიდმა მის მიერ დაარსებულ დიდ ლავრაში. ათანასეს წინააღმდეგ ამხედრდნენ ათონის მთის ცნობილი განდევნილები და პროტესტით წარსდგნენ იმპერატორ იოანე ციმისხის (969—976 წწ.) წინაშე. პროტესტის ძირითადი მიზეზი იყო ათონის წმინდა მიწაზე ათანასეს მიერ ამქვეყნიური საზრუნავისა და საქმიანობის შემოტანა. ამ კონფლიქტსა და პაექრობაში გაიმარჯვა ათანასე დიდის სამონასტრო პრინციპებმა, რაც ლიტერატურულად გაფორმდა 971 წლის ტიბიკონში, რომელსაც დღემდე ექვემდებარება ათონის მთის სამონასტრო კორპორაცია.

სწორედ ათანასე დიდის სამოღვაწეო პრინციპები განვითარდა ათონის ქართველთა მონასტერში და მათ საქმიანობაში ამქვეყნიური მიზნებსა და ინტერესებს გარკვეული როლი მიენიჭა. ათონელ ქარ-

თველებს ზურგი არ უქცევიათ საქვეყნო საქმისათვის, პირიქით, ისინი ზოგჯერ მასში გადამწყვეტ როლსაც ასრულებდნენ.

ამ მხრივ, საკმარისია შევჩერდეთ ერთ ფაქტზე მთის ქართველ მოღვაწეთა იმ დამსახურებაზე ბიზანტიის სამეფო კარის წინაშე, რომელიც მათ მიუძღოდათ ბარდა სკლიაროსის დამარცხებაში. ამ სამოქალაქო ომში თორნიკეს ჩართვა არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მხოლოდ მისი, ყოფილი მხედართმთავრის პირადი ღვაწლი. იოვანეს სახელით ათონის მთაზე ბერად აღკვეცილი ყოფილი მხედართმთავრის ისევ საერო საქმეებისაკენ მიბრუნების, ისევ ხელში მახვილის აღების „ცოდვა“, — როგორც ამას ხაზგასმით აღნიშნავს გიორგი მთაწმიდელი, — მთელი ათონის მთის ძმობამ იღო თავს. სწორედ ეს გარემოებაა ხაზგასმული ქართველი აგიოგრაფის გიორგი ათონელის მიერ, როდესაც აღწერს რა ამ ამბავს, მიუთითებს, რომ ბიზანტიის სამეფო კარიდან მეფეთა მოწოდებისას კონსტანტინოპოლში წასვლაზე თორნიკემ უარი განაცხადა: „წმინდანო მამანო, — ეუბნებოდა იგი ათანასეს და იოვანეს, — მე ცოდვათა ჩემთათვის მოსრულ ვარ ამას წმინდასა ადგილსა და შეუძლებელ არს ჩემი მეფეთა წინაშე წარსვლა, რამეთუ მე ვიცი, თუ რომლისა პირისათვის მივმოხევი... აწ ვევედრები სიწმინდესა თქუენსა, ღმრთისა სიყუარულისათვის შემინდვეთ და ნუ მაიძულებთ ამის პირისათვის, რამეთუ, უკეთუ წავიდე, ამის სოფლისავე შფოთთა შთამაგდებენ“. მაშინ, როგორც აგიოგრაფი გვაუწყებს, მთელი „ცოდვა“ თავს იდეს ათანასე დიდმა და იოვანე ქართველმა და დაარწმუნეს თორნიკე, რომ ის საერო საქმეებში აუცილებლად უნდა ჩარეულიყო: „ხოლო უკანაჲსკენელ, უნდა თუ არა, ყოველი ბრალი მამამან ათანასი და მამამან იოანე მიიდევს და ძალით დაარწმუნეს წარსვლაჲ“. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ იოანე-თორნიკეს მოქმედება ივირონის მონასტრის ძმობამ შეაფასა არა როგორც „ცოდვა“, არამედ როგორც მაღლი და სიკეთე. ჯაჭვის პერანგს, რომელიც ბარდას დამარცხების შემდეგ ისევ ათონის მთაზე გაიხადა თორნიკემ, ივირონის პერმონაზვნობა დღესაც ინახავს, როგორც წმინდა რელიქვიას.

ათონელ ქართველთა სწრაფვა საქვეყნო საქმეებისადმი მანც განსაკუთრებული პრინციპებით იყო განსაზღვრული, რომელთა შორის პირველი და არსებითი იყო ლიტერატურული საქმიანობა, მწიგნობრობა.

მწიგნობრობა, ლიტერატურული საქმიანობა ათონელთა მოღ-



ვაწეობის უმთავრესი პრინციპია. „შვილო ჩემო, — მოძღვრავდა მცირეწლოვან ეფთვიმეს მამამისი, ათონის ქართული კოლონიის წინამძღვარი იოვანე, — ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან, და ვხედვ, რომელ ღმერთსა მოუმაღლებია შენდა. აჲ ილუაწე, რამთა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან“. ამ თვალსაზრისით აფასებდა საკუთარ და ასევე თავისი შვილის მოღვაწეობას იოვანე 1002 წლის ცნობილ „ანდერძში“: „მე გლახაკი ესე და ნარჩევი ყოველთა მონაზონთაჲ იოვანე მწუხარე ვიყავ ამის საქმისათჳს, რომელ ესრეთ ქუეყანაჲ ქართლისაჲ ნაკლულევან იყო წიგნთაგან და დიდი ხარკებაჲ და მოღუაწებაჲ ვაჩუენე და შვილი ჩემი ეფთვიმე განვსწავლე სწავლითა ბერძულითა სრუად და გამოთარგმანებად წარვჰმართე წიგნთა ბერძელისა ენისაგან ქართულად“. იდეალი მწიგნობრისა არსებითა ათონელ ქართველთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. როგორც ეფთვიმე, ასევე გიორგი მთაწმიდელი ათონის ივერიის მონასტრის წინამძღვრობიდან გადადგნენ, რათა მთელი არსებით მთარგმნელობით მოღვაწეობაში ჩართულიყვნენ: როგორც ცნობილია, ეფთვიმე 1019 წელს გადადგა წინამძღვრობიდან, ხოლო გიორგიმ 1056 წელს მიატოვა ათონი და შავი მთის ქართველთა სავანეს ეწვია. უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ეს ნაბიჯი ეფთვიმესა და გიორგის მიერ არ ყოფილა გადადგმული მხოლოდ პირადი მიზანსწრაფვით. მწიგნობრობის იდეალი ათონელ ქართველთა მთელი ძმობის იდეალი იყო. სწორედ მწიგნობრული საქმიანობის უფრო ინტენსიური წარმართვისათვის აიძულებდნენ ეფთვიმეს წინამძღვრობიდან გადადგომას დიდი „წმინდა მამები“ — არსენი ეპისკოპოსი და იოვანე გრძელისძე, როგორც ამას საგანგებოდ აღნიშნავეს გიორგი მთაწმიდელი: „აღასრულნა წმიდამან მამამან ჩუენმან ეფთვიმი ათოთხმეტისა წლისა ჟამნი, შემდგომად მამისა თვისისა აღსრულებისა, წინამძღვრობისა შინა და მერმე ვედრებითა ზემო კსენაბულთა მათ წმინდათა ბერთაჲთა — არსენი ეპისკოპოსისაჲთა და იოვანე გრძელის ძისაჲთა — იჯმნა წინამძღვრობისაგან. რამეთუ ხედვიდეს ღირსნი იგი ბერნი, რომელ მიზეზითა მრავალფერთა ზრუნვათაჲთა დაეხრწეოდა თარგმანებისაგან წმიდათა წერილთაჲსა, და ესრეთ მოიცალა და თჳსსა სენაკსა დაჯდა“.

ასევე ემუდარებოდა თავის აღზრდილს, გიორგი მთაწმინდელს, მოძღვარი გიორგი შეყენებული და აიძულებდა მას, რომ თავი დაენებებია ათონზე შეურაცხი საქმიანობისათვის და მწიგნობ-

რობისათვის მოეკიდა ხელი: „...ეუწყა ნეტარსა მას ბერსა მოძღუ-
არსა მისსა გიორგის, ვითარმედ წუთ არცა მღვდლობისა მისისა
მიუღებეს და არცა წერილთა თარგმნად უწყიეს. შეწუხდა ფრიად
და წარმოავლინა შავით მთით მოწაფე თვისი, კაცი ღირსი და სახიე-
რი, სახელით იოვანე და დიდი მღურვაჲ მოუმცნო არა აღსრულე-
ბისათვის ნებისა მისისა“.

მწიგნობარი განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა ივი-
რონის ძმათა შორის. ეფთვიმესეული საეკლესიო წესების თანახ-
მად, ბერებს ეკრძალებოდათ საკუთარი სარგებლობისათვის ღვინის,
თევზის, ზეთის შექმნა. გამონაკლისი დაშვებული იყო მხოლოდ
მწიგნობარისათვის. მას ჰქონდა საკუთარი სასანთლე ზეთის შე-
ქმნის უფლება.

ათონის პირველი მაშენებელნი — იოვანე და თორნიკე იღვ-
წოდნენ ათონის წიგნთსაცავის შექმნისათვის. მათი შეკვეთით და
საფასით მდიდრდებოდა ქართველთა მონასტერი წიგნებით. საკმარი-
სია დავასახელოთ ოშკში 978 წელს თორნიკეს დაკვეთით გადაწერი-
ლი ქართული „ბიბლია“, რომელიც ახლაც ათონის მთაზე ინახება. ათ-
ონელი ქართველები კიდევ უფრო მეტს იღვწოდნენ ათონის ლიტერა-
ტურული მემკვიდრეობის გამრავლებისათვის. ეფთვიმე და გიორგი
ათონელებს გვერდით ედგნენ ცნობილი გამაწერებნი (არსენ ნი-
ნოწმინდელი, იოვანე გრძელისძე, ზოსიმე და სხვ.) და მათი თავ-
დადებული შრომით ათონის მთაზე შეიქმნა ქართულ ხელნაწერთა
მდიდარი ბიბლიოთეკა.

ივირონი არ იყო მხოლოდ ქართული მწიგნობრობის ცენტ-
რი, ათონელი ქართველები კარგად იცნობდნენ ბიზანტიურ მწერ-
ლობას და ამ მწერლობის შედევრების ქართულ ენაზე გადმოსატა-
ნად ქმნიდნენ ბერძნულ წიგნსაცავსაც. მწიგნობრობისადმი ეს
დიდი სიყვარული გაგრძელდა შემდგომ საუკუნეებშიც. XIX საუ-
კუნის უკანასკნელ მეოთხედში, როდესაც ათონის მთის ბერძნულ
ხელნაწერთა სრული აღწერილობა შედგა, გამოირკვა, რომ ივი-
რონის მონასტერს ათონის მთის ყველა მონასტერზე უფრო მდი-
დარი ბიბლიოთეკა ჰქონდა.

ამგვარად, ათონის მთის ქართული მონასტერი მწიგნობრულ
საქმიანობით ქართული ეროვნული კულტურის გამდიდრებას ემ-
სახურებოდა. სწორედ ამან განაპირობა ივირონი ქართული სა-
ლიტერატურო სკოლის შექმნა, მისი ვადაქცევა ქართული ლიტე-
რატურისა და ფილოსოფიის უდიდეს ცენტრად, რომელმაც ქარ-



თული ლიტერატურისა და აზროვნების განვითარებას ახალი მიმართულება მისცა. ამან განაპირობა შემდეგში ქართული კულტურისა და აზროვნების მსოფლიო სარბიელზე გამოსვლა, ევროპული აზროვნების წინა ზაზზე მოქცევა. ეს სიახლე ზოგადად ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ჯერ ერთი, ათონის ქართულ ლიტერატურულ სკოლაში არაერთი ბრწყინვალე ქართული ორიგინალური ლიტერატურული ძეგლი შეიქმნა. გარდა ქართულისა, ათონელები წერდნენ ბერძნულ ენაზეც, მაგრამ ათონელთა ლიტერატურულ საქმიანობაში წამმართველი მაინც მთარგმნელობითი მოღვაწეობა იყო. მთარგმნელობამ ათონის ლიტერატურულ სკოლაში უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა შეიძინა. ქართველები შეეცადნენ უმოკლეს დროში ამოეწურათ ბიზანტიური ლიტერატურა, ეთარგმნათ ქართულად ყველაფერი, რაც მანამდე ქართულ ენაზე არ არსებობდა. აგიორაფები საგანგებოდ აღნიშნავენ იმ დაუცხრომელ შემოქმედებით საქმიანობას, რასაც ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელები ეწეოდნენ: „იგი სანატრელი შეუსუენებლად თარგმნინ და რაძთურით არა სცემდა განსუენებასა თავსა თჳსსა, — წერს გიორგი მთაწმიდელი ეფთვიმეს შესახებ, — არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თავლსა წიგნთა საღმრთოთასა შერეოდა, რომლისა მიერ დაატკბო ენა ჩუენი და ეკლესიაჲ. რამეთუ თარგმნნა წიგნი საღმრთონი, რომელთა აღრიცხუჲაჲ კნინლა-და შეუძლებელ“. ქართველი მოღვაწეები შთამომავლობიდან შთამომავლობას გადასცემდნენ ამ ინტერესს. ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის და მათი სხვა თანამედროვეების საქმიანობამ XII საუკუნის შუა წლებისათვის ბოლომდე მიიყვანა ეს შთაგონება: ქართულ ენაზე გადმოთარგმნილ იქნა თიქმის ყველა მნიშვნელოვანი თხზულება, მოწინავე და საუკეთესო. რაც ბიზანტიურ მწერლობაში არსებობდა.

მეორე, ათონის ქართველებმა თანდათანობით შეცვალეს ძველი ქართული ტრადიციით დამკვიდრებული მთარგმნელობითი მეთოდი — ე. წ. თავისუფალი თარგმნის პრინციპი. ათონის ლიტერატურული სკოლის მიზნები მოითხოვდა, რომ ბერძნული მწერლობა სრული სახით გადმოეღოთ ჩვენს ენაზე. და, ბუნებრივია, ამ ინტერესს ვეღარ დააკმაყოფილებდა თავისუფალი მეთოდით გადმოქართულებული ლიტერატურული ძეგლები. ახალი მთარგმნელობითი მეთოდის ჩამოყალიბება ძირითადად გიორგი მთაწმიდე-

ლის სახელთანაა დაკავშირებული. ეფთვიმე თავისი მთარგმნელობითი სისტემით მთლიანად ძველ ლიტერატურულ ტრადიციებზე იდგა. მან უმაღლეს დონეზე აიყვანა თავისუფალი თარგმნელობითი მუშაობა, მაგრამ ეს პრინციპიც პირველად თვითონ ეფთვიმე ათონელმა შეარყია. მან შენიშნა, რომ ქართული ბიბლიური წიგნების თარგმანები განსხვავდებიან რედაქციულად შესაბამისი ბერძნული დედნებისაგან და „სახარებისა“ და „დავითის“ ახალი რედაქციები მოგვცა. მაგრამ თავისუფალი თარგმანის მეთოდის შეცვლა მაინც გიორგი მთაწმიდელის სახელთანაა დაკავშირებული. გიორგიმ, ბიბლიური წიგნების ზუსტი ქართული თარგმანების შექმნას მიაქცია ყურადღება. მან ბერძნულ დედნებთან დაახლოების მიზნით ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდით შესრულებული ბიბლიური ტექსტების თარგმანი სტილისტურად გამართა და თარგმნის დროს დაშვებული უზუსტობანი გაასწორა. ამგვარი მეთოდითაა გადმოღებული „სახარება“ და „დავითი“. გიორგიმ, გარდა ბიბლიური წიგნებისა, თავიდან თარგმნა ეფთვიმეს მიერ ერთხელ უკვე თარგმნილი სხვა სასულიერო წიგნებიც: ბერძნული ტექსტის სიზუსტით თარგმნის პრინციპი თანდათან ვითარდებოდა. ეფთვიმე მცირეს უკვე აღარ აკმაყოფილებდა გიორგის თარგმანებიც. ეფთვიმე გიორგის თარგმნილი „სამოციქულო“ სიტყვასიტყვით შეუდარა ბერძნულ დედანს და თარგმანი დაუახლოვა ორიგინალს. იგივე პრინციპი კიდევ უფრო ზუსტად დაიცვა იოანე პეტრიწმა და ქართული თარგმანები უფრო დაუახლოვდა ორიგინალს.

მესამე, ლიტერატურული პრინციპების შეცვლამ აუცილებელი გახადა ქართული სასულიერო ცხოვრების პრაქტიკის შემოწმება. ქართული ღვთისმსახურება X საუკუნისათვის დაფუძნებული იყო ძველი რედაქციების საეკლესიო წიგნებზე, რომლებიც ამ დროის ბიზანტიურ პრაქტიკაში აღარ გამოიყენებოდა. გარდა ამისა, ქართულში დამკვიდრებული წიგნები ხშირ შემთხვევაში თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით იყო გადმოქართულებული. ათონის ლიტერატურულმა სკოლამ მიზნად დაისახა ქართული სასულიერო განათლებისა და ღვთისმეტყველების ახალ ლიტერატურულ საფუძველზე გადმოყვანა. სწორედ ამ მიზნით ათონელი ქართველები თავიანთ ახალ ლიტერატურულ პროდუქციას იმთავითვე საქართველოში, სამეფო კარზე გზავნიდნენ. „მრავალნი წიგნნი წარსცნის წინაშე დავით კუროპალატისა“, — მიუთითებს ეფთვიმეს აგიოგრაფი. გიორგი ათონელი, დაამთავრა რა სასული-



ერო თხზულებების თარგმნა, ბაგრატ VI-ის მოწვევით საქართველოში ჩამოვიდა, და 1060-65 წლებში საეკლესიო რეფორმა განხორციელა. ამ რეფორმის ერთი უმთავრესი მხარე იყო ქართულ მწერლობაში ბიბლიური და უმთავრესი ლიტურგიკული წიგნების ახალი რედაქციების დამკვიდრება.

ამრიგად, მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა ათონელ ქართველთა მოღვაწეობის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი იყო. ამას ჰქონდა მეორე სპეციფიკური ნიშანიც, რაც ლიტერატურული საქმიანობის ეროვნულ ხასიათსა და შინაარსში გამოიხატებოდა. ივირონის პირველ მაშენებელთა ღვაწლი სწორედ უაღრესი ეროვნულობით ხასიათდებოდა. გიორგი მთაწმიდელი წერს, რომ ივირონის მონასტრის შენება ათონელებმა სწორედ იმ მიზნით წამოიწყეს, რომ მათთან სამოღვაწეოდ მოსულ ქართველებს ღირსეულად დახვედროდნენ: „და ამისა შემდგომად განიზრახეს მამათა ჩუენთა და თქუეს ვითარმედ: „აქა ყოფაჲ ჩუენი შეუძლებელ არს, კაცნი ვართ სახელოვანნი და ქართველნი მოგუმართებენ“, და ესე გამოარჩიეს, რაჲთა კიდე თავისუფლად თჳსი მონასტერი აღაშენონ“. სწორედ დიდი პატრიოტული განცდითაა გამსჭვალული იოვანე ათონელის მთელი მოღვაწეობაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი თავის შვილს ჩააგონებდა, რომ „ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან“ და ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად მოუწოდებს მოღვაწეობისაკენ, ეს მისია ეფთვიმემ ბრწყინვალედ შესრულა და მისი ღვაწლი ქართველი ერის წინაშე ბრწყინვალედ დააფასეს ქართველებმა თვით ათონის მთაზევე, XI საუკუნეში. გიორგი მცირე ეფთვიმეს შესახებ წერდა: „სიერცითა და სიმაღლითა ღმრთიე-თარგმნილთა წმიდათა წიგნთა მისთაჲთა ნაკლულევანებაჲ ენისა ჩუენისაჲ აღავსო“.

კიდევ ერთი ფაქტი: ივირონის მაშენებელი და პირველი წინამძღვარი იოვანე უკვე ხანდაზმულობის ასაკში ესპანეთისაკენ მიისწრაფოდა ქართველთა კვალის საძიებლად: „რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირენნი ნათესავნი და ერი მკვდრ არიან მუნ და ამის პირისათჳს წარვიდა...“

ამ საუკუნოვან ლიტერატურულ პროცესში შეინიშნება რამდენიმე ტენდენცია, რომელთაგან, ჩვენი აზრით, არსებითია სამი მათგანი.

ბ. შეგნება ეროვნული ლიტერატურული დონის ჩამორჩენილობისა იმდროინდელი მსოფლიოს უდიდეს ლიტერატურასთან,

კერძოდ, ბიზანტიურ მწერლობასთან შედარებით და დაუცხრომელი ზრუნვა ქართული ლიტერატურის ასაღორძინებლად დენცია, ერთი მხრივ, აშკარად ვლინდება ათონელთა ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, ხოლო, მეორე მხრივ, მას ემსახურება ათონელ საზოგადო მოღვაწეთა მთელი საქმიანობა. ეს დიდი ეროვნული პროცესი ათონიდან სხვა დიდ ქართულ ლიტერატურულ ცენტრებშიც გავრცელდა — შავ მთაზე, პეტრიწონში, საკუთრივ საქართველოში და მეთორმეტე საუკუნისათვის ამ დიდმა ღვაწლმა თავის მიზანს მიაღწია: ქართულ ენაზე გადმოითარგმნა თითქმის ყველაფერი ძირითადი და საუკეთესო, რაც აუცილებელი იყო შუასაუკუნოვანი ლიტერატურული და ფილოსოფიური აზრის ახალი, რენესანსული აზროვნების განვითარებისათვის.

ბ. შეტოლება და კულტურული დაპირისპირება დიდ ბიზანტიურ მწერლობასთან. ათონელი მწიგნობრები აგრძელებდნენ ბიზანტიურ კულტურასთან იმ დაპირისპირების ტენდენციას, რომელიც ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებას ახასიათებდა VIII—X საუკუნეებში. ისინი ცდილობდნენ არა ქართულის ბიზანტიურში შერწყმას, არამედ ქართულის ბიზანტიურის დონეზე აყვანას. ამან განაპირობა ის, რომ ამ დაუცხრომელი ლიტერატურული საქმიანობის ყველა ეტაპზე ქართველთა მიზანი იყო ბერძნულიდან იმის გადმოღება, რაც არსებითი იყო ეპოქის კულტურულ-ლიტერატურული პროცესისათვის. ამით უნდა იყოს გამოწვეული ის, რომ ქართველები ისწრაფვიან ქართული ბიბლიური ტექსტი ზუსტად შეესატყვისებოდეს ბერძნულ კანონიკურ ტექსტს. ქართული ლიტურგიკული პრაქტიკა გაუთანაბრონ მათი ეპოქის თანამედროვე დონეს; ამიტომ უხსნის ეფთვიმე მთაწმიდელი ქართულ მწერლობაში გზას უაღრესად ახალ და მისი დროისათვის დიდად განვითარებულ სტილს აგიოგრაფიაში, ე. წ. მეტაფრასტიკას. მეორე მხრივ, ათონის ლიტერატურული სკოლის ფარგლებს სცილდება ბერძნული ენისა და ლიტერატურის ისეთი ძეგლები, რომელთაც უფრო ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდათ ბერძნული ლიტერატურისა და ბიზანტიური ეკლესიის ისტორიისათვის.

ბ. ეროვნული და კულტურული თავისთავადობის შეგნება. ათონელმა ქართველებმა იტვირთეს ქართული ეროვნული კულტურის მსოფლიო ასპარეზზე გატანის მისია. ბიზანტია და ბიზანტიური ლიტერატურა მათთვის მხოლოდ ამ დიადი მიზანსწრაფვის გზაა. ამიტომაც ისინი, ერთი მხრივ, ცდილობენ გაემიჯნონ ბიზანტი-

ურს: გიორგი ათონელმა 1057 წელს ანტიოქიის საპატრიარქოში დისპუტზე საჯაროდ დაამტკიცა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა ბიზანტიურისაგან. მეორე მხრივ, ისინი ცდილობდნენ ევროპული საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზრების გადმონერგვას. ათონელმა ქართველებმა თავიანთ მონასტერში შეიკედლეს და შემდეგ საკუთარი მონასტერი ააშენებინეს ლათინ ბერებს. „ჩუენცა უცხონი ვართ, შენცა უცხო ხარო“, — ეუბნებოდნენ ისინი მათ წინამძღვარს. გიორგი ათონელმა იმპერატორ კონსტანტინე დუქასთან (1059—1067) საუბარში სამეფო კარზე საჯაროდ დაიცვა ლათინთა ქრისტოლოგია და იგი ბერძნულ-მართლმადიდებლურზე წინ დააყენა. იგივე ეროვნული თავისთავადობის შეგნება ამოცრავებდათ ქართველ მწიგნობრებს, როდესაც დიდ ბიზანტიურ მწერლობაში ქართულიდან ბრწყინვალე ლიტერატურული ძეგლები შეპქონდათ („ვარლამი და იოდასაფი“ და „მიქელ საბაწმიდელის მარტვილობა“) და შემდეგ საუკუნეების მანძილზე ასაბუთებდნენ და იცავდნენ მათ ქართულ წარმოშობას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქართული ლიტერატურული აზროვნების ისტორიისათვის, რომ ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის პრინციპები არ ჩამკვდარა ამ სკოლის დაქვეითებასთან ერთად.

ათონელთა საქმიანობით ახალი ეპოქა დაიწყო ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ათონელთა მაღალი შემოქმედებითი პრინციპები ქართული ლიტერატურის საერთო პრინციპებად იქცა. ათონი სათავეში ჩაუდგა ქართულ ლიტერატურულ პროცესს. ქართული ლიტერატურული აზროვნება სწორად იმ გზით განვითარდა, რა გზითაც წაიყვანა იგი X—XI საუკუნეების ათონის ქართულმა ლიტერატურულმა სკოლამ.

ამრიგად, ათონის ლიტერატურულ სკოლაში შერწყმული იყო ყველა საუკეთესო პრინციპი. ეს პრინციპები ემსახურებოდნენ ქართველი ერის კულტურულ აღმავლობას და მის მსოფლიო ასპარეზზე გაყვანას. ქართული აზრი დიდი ხნის მანძილზე ემზადებოდა კაცობრიობის აზროვნების განვითარებაში თავისი სიტყვის სათქმელად, ამ აზროვნების სათავეში ჩაღვმას ისწრაფოდა და რუსთაველის გენიამ ხორცი შეასხა კიდევ თაობების ზრუნვას, შრომას, ბრძოლასა და ოცნებას.

ბონდო არველასძე

იოსებ გრიშაშვილი და საიათნოვა

მეთვრამეტე საუკუნის პოპულარული აშუღი საიათნოვა მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე საქართველოში თითქმის მივიწყებული ჩანს. ი. გრიშაშვილის წყალობით ქართველი მკითხველი საზოგადოება მას ხელახლა გაეცნო. 1914 წლის 14 მაისს ოვ. თუმანიანის ინიციატივით თბილისში, ციხის დიდი ეკლესიის ეზოში საფუძველი ჩაეყარა საიათნოვას სიმბოლური საფლავის ძეგლს. ამ ცერემონიალს ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები დაესწარნენ და მათ დაებადათ აზრი საიათნოვას ქართული სიმღერების გამოცემისა: „ტფილელი კაცი ხარ... ალბათ გაგვეგონება საიათნოვას ქართული ლექსები, ანდა გეცოდინება იმისი კავშირი თავის დროის ქართველობასთანო — მითხრეს ძეგლის კურთხევის გამო თავმოყრილმა ქართველმა ლიტერატორებმა, რომელთა შორის იყვნენ: გრიგოლ რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა, კოტე მაყაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ილია ნაკაშიძე, იოსებ იმედაშვილი და სხვანი“¹ — იგონებს ი. გრიშაშვილი.

ქართველ მწერალთა ამ თხოვნამ ახალგაზრდა პოეტი წახალისა და ხელი მოკიდა საიათნოვას ქართული მემკვიდრეობის შესწავლას: „რაკი ქართველ საზოგადოებას ეინტერესებოდა ეს მართლაც „უცნაური მოღვესე-მომღერალი“ — უარი ვეღარ მოვახერხე, ვიფიქრე: თუნდაც, საიათნოვას ლექსებს თავისთავად დიდი ღირებულება არ ჰქონდეს, ის მაინც ქართველთა სამეფო კარის მგოსანი იყო, და გარდა ამისა, საიათნოვა ერთგვარ საბაბსაც მომცემს, რომ გზადაგზა ტფილელ ყარაიოღელებსაც გაკვრით შევებო, რომელთა შესახებაც დღემდე არაფერი დაწერილა როგორც ისტორიულ, ისე ეთნოგრაფიის მხრით-მეთქი. და გადავწყვიტე, რომ საიათნოვა, — ეს სომხებისათვის სათაყვანებელი პიროვნება, —

¹ საიათნოვა, ტფილისი, 1918, გვ. 7.

ქართველებისთვისაც საინტერესო გამეხადა. აი, ასე დამებადა აზრი საიათნოვას შესწავლისა, იმ მიზნით, რომ ძველი ქართული სიტყვების ერთი ამოღრმავებული ადგილი წყალგემრიელ ნაკადად ამოვსებულიყო.²

სიტყვა საქმედ იქცა და 1918 წელს გამოვიდა ვრცელი მონოგრაფია, რომლითაც ქართული მწერლობის ისტორიაში საიათნოვას შემოქმედების შესწავლა მეცნიერული კვლევის დონემდე ავიდა. რასაკვირველია, ამ შრომამდე საიათნოვას სახელი ქართულ მწერლობაში უცხო არ იყო და საისტორიო წყაროებში არაერთი საყურადღებო ცნობა გვხვდება მის შესახებ, მაგრამ ი. გრიშაშვილის დამსახურება ის არის, რომ მან შექმნა ფართო კვლევითი ხასიათის ნაშრომი. პირველმა შეკრიბა და ტექსტოლოგიური თვალსაზრისით შეისწავლა საიათნოვას ქართული ლექსები და დაურთო ამ გამოკვლევას.

ი. გრიშაშვილის „საიათნოვა“ გამოსვლის უმაღლეს მოქცეა ქართული ლიტერატურული საზოგადოების ყურადღების ცენტრში. იმ წლების პერიოდული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ რეცენზენტთა უმრავლესობა დადებითად გამოეხმაურა ამ წიგნს. ცნობილი მეცნიერი ი. ყიფშიძე „საიათნოვანზე“ საფუძვლიან რეცენზიის წერასაც შესდგომია, მაგრამ ვეღარ დაუსრულებია გარდაცვალების გამო. ი. ყიფშიძის ეს დაუმთავრებელი სტატია მის პირად არქივში უნახავს აკ. შანიძეს და გამოუქვეყნებია მოგვიანებით ჟურნალ „ხელოვნებაში“, 1921 წლის მესამე ნომერში.

ქართველმა მწერალმა ნ. მიწიშვილმა „საიათნოვა“ ვრცლად განიხილა და მოზრდილი წერილიც გამოაქვეყნა. მიუხედავად იმისა, რომ წერილი საქმის ცოდნით და პროფესიონალიზმით გამოირჩევა, გვხვდება ფაქტობრივი შეცდომებიც. მაგალითად, ნ. მიწიშვილი ერთგან წერს: საიათნოვას ნამდვილი გვარი და სახელი ივანე სეიდოვი იყო. აქ აშკარა ფაქტობრივ აღრევასთან გვაქვს საქმე, რადგან ივანე სეიდოვი იყო საიათნოვას შვილი, რომელმაც თეიმურაზ ბაგრატიონის დავალებით 1823 წელს შეადგინა მამია ლექსების დავთარი, საიათნოვას არუთინა ერქვა და ივანე საიათნოვა სეიდოვად რუსულის გავლენით იქცა. ასე ატარებდა ამ გვარს აშუღის შვილი — ივანე სეიდოვი. ნ. მიწიშვილი საყვედურს გამოთქვამს, რომ მონოგრაფიაში ცოტაა ნათქვამი თვით საიათნო-

² საიათნოვა, ტფილისი, 1918, გვ. 7.

ვას შესახებ, მაგრამ ამ წიგნის მთავარ ღირსებად მას სამართ-
ლიანად მიაჩნია საიათნოვას ქართული ლექსების გამოქვეყნება.

წიგნს გამოეხმაურა ცნობილი სომეხი მხატვარი და ლიტერატორი გ. ბაშინჯალიანი, რომელმაც დახმარება გაუწია ი. გრიშაშვილს საიათნოვაზე არსებული მასალების შეკრებაში. „არის ერთი გარემოება, — წერდა გ. ბაშინჯალიანი, — რომელიც შეფიქრებინებს, რომ საიათნოვას თავისი პოეტური მოღვაწეობა დაუწყია ქართულ ენაზე. უკეთეს შევუდარებთ ერთმანეთს მის ქართულ და სომხურ სიმღერებს, დიდ განსხვავებას ვნახავთ: საიათნოვა ქართულ სიმღერებში ახალგაზრდა და გამოუცდელი ჩანს, სომხურ ლექსებში კი ნაცადი ოსტატი, სრული პოეტი — ფილოსოფოსი. ბოლოს და ბოლოს საიათნოვას გენია არ შეიძლება ქართული ლექსებით განიზომოს.

აი, ეს უნდა იყოს საბაბი, რომ ი. გრიშაშვილი პოეტ ბესიკს საიათნოვაზე მალა აყენებს, იმ დროს როცა, ეს უკანასკნელი გაცილებით მალა დგას პირველზე“.³

ი. გრიშაშვილი ამ შენიშვნას არ იმსახურებს, რადგან თვით პირველი იზიარებს მართებულ შეხედულებას, რომ საიათნოვა ჯერ ქართულად თხზავდა ლექსებს, მოგვიანებით დაიწყო სომხურად და აზერბაიჯანულად წერა. ი. გრიშაშვილი ფიქრობს, რომ ერთი შეხედვით საიათნოვას სომხური ლექსებიც, თავისი წყობით, მოსაწყენად ეჩვენება მკითხველს, „მაგრამ მისი სომხური ლექსები, — აბა რა შედარებაა — გაცილებით უმჯობესია, ვიდრე მისი ქართული ლექსები, ალბათ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი ქართული ლექსები პირველი მონახაზია ახალგაზრდული ხანისა და მეორეც, რასაკვირველია, ბევრს ნიშნავს ავტორის საკუთარი დანატოვი ნაწარმოებიც! — მიუხედავად ყველა ამისა, მაინც მის სომხურ ლექსებში საიათნოვა ჩანს სავსებით სავსედ, მის სომხურ ლექსებში სასიამოვნოდ სცემს ტოტი დაუშრეტელი წყაროსი, ცისკრობს შინაგანი და გარეგანი რითმა. ნელი სათუთობა, მორცხვი ვნება თუ გულუბრყვილო ხალხური სიბრძნე ანაზღეულ გამკვირ-

³ გაზ. „მშაქ“, 1920, № 57; გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, № 842. ანალოგიური აზრი აქვს გამოთქმული სომეხ ლიტერატორს ტ. ფირუმთან: იხ. გაზ. „პარაჯ“ (წინ), 1919, № 18, 41; გაზ. „აშხატავოი“ (მშრომელი), 1919, № 51, 53; 54; ტ. ფირუმთან პასუხი ვასცა ვინმე „ის“-მა გაზ. „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე (1919, № 54, 503).

ვალობით გამოსჭვრეტს (მის სომხურ ლექსებში-მეთქი) და ერთი მეორეს სპარსული თავაზიანობით უთმობენ ადგილს“⁴.

ვფიქრობთ, აქ საიათნოვას სომხური ლექსების მაღალი მხატვრული შეფასებაა მოცემული და ი. გრიშაშვილს ვერ ვუსაყვედურებთ საიათნოვას პოეზიის ამ მხარის გაუთვალისწინებლობას, რასაც გ. ბაშინჯალიანი საყვედურობს.

რა თქმა უნდა, საიათნოვას ქართული ლექსები ავტოგრაფების უქონლობის გამო ბევრს აგებენ, რაც ყურადსაღები ფაქტია, მაგრამ რაღაც უფსკრულის დანახვაც არ შეიძლება მის ქართულ და დანარჩენ ენებზე შექმნილ ლექსებს შორის, თუნდაც მხატვრული თვალსაზრისით.

აქვე ინტერესს მოკლებული არ იქნება გავიხსენოთ კ. კეკელიძის შეხედულება ბესიკის პოეზიაზე: „ბესიკი თავის ბრწყინვალე ნიჭს იმისთვისაც არ იშურებდა, რომ ჩვენს მწერლობაში გაეძლიერებინა აშუღური პოეზიის ტრადიციები და ქართულ ცხოვრებაში შემოეტანა აღმოსავლეთის ბაზრის მელოდიები, შეგნებულად „სპარსთა ხმასზედა“ წერდა და მღეროდა აშუღი პოეზიის მუხამბაზებს, მუსტაზადებს და ბაიათებს, ეს აშუღური „სპარსული ხმა“ არ იყო დამახასიათებელი წმინდა ქართული პოეზიისა, რომლის ბრილიანტები უხვადაა მიმოფანტული თვით ბესიკის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“.⁵

ვფიქრობთ, აქ არასწორადაა ნახმარი „სპარსთა ხმა“, რადგან იგი გაიგივებულია აშუღურ პოეზიასთან. „თვით როცა აშუღური პოეზია ერთი ნასხლეტია (და ამავე დროს საკმაოდ განსხვავებული) აღმოსავლური კლასიკური პოეზიისა, რომელთანაც ბესიკს საიათნოვას შუამავლობა სულაც არ სჭირდებოდა, რადგან ქართველი მგოსანი შესანიშნავად ფლობდა აღმოსავლურ ენებს და ბრწყინვალე მცოდნე იყო სპარსული (დივანური) პოეზიისა. ბესიკის პოეზია განსხვავებულია აშუღურისაგან, როგორც მაღალი რანგის მხატვრული მოვლენა“. ბესიკის პოეზია უაღრესად დახვეწილი, კლასიკური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ზვიადობის მატარებელია და არა აშუღური პოეზიის უბრალო, სადა და ერთფეროვნების შემცველი“, — წერს გ. შაყულაშვილი თავის

⁴ საიათნოვა, ტფილისი, 1918, გვ. 47.

⁵ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, ტ. II, 1952, გვ. 562.

გამოკვლევაში, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საიათნოვას კვლევის საქმეში.⁶



რაც შეეხება საიათნოვას მიერ გამოყენებულ სალექსო ფორმებს (მუხამბაზი, მუსტაზადი, ბაიათი), ესენი სპარსული დივანური პოეზიის ლექსთწყობის კუთვნილებაა, რომლებიც შემდეგ ისესხა და გამოიყენა აშულურმა პოეზიამ. ვფიქრობთ, ბესიკის პოეზია განსხვავებულია და მასზე საიათნოვას რაიმე პოეტურ გავლენაზე ლაპარაკი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ცნობილ ქართველ მწიგნობარს ზ. ჭიჭინაძეს აქვს ერთი ასეთი ცნობა: „ბესიკის ზოგიერთი ლექსი საიათნოვას სომხურად უთარგმნია“.⁷ ი. გრიშაშვილი ამ ცნობას თავის მხრივ ამგვარ კომენტარს ურთავს: „რამდენად მართებულია ეს ცნობა, არ ვიცი. ეს კია, რომ ჩვენ ამის შესახებ ვიკითხეთ სომხის მწერლებში, ვნახეთ სომეხთა სიტყვაკაზმული მწერლობის არქივები და ჯერჯერობით ბესიკის ლექსები საიათნოვას მიერ ნათარგმნები — ვერ აღმოვაჩინეთ“.⁸

ჩვენი მხრით კი უნდა დავუმატოთ, რომ მართალია, შევეუდარეთ საიათნოვას სომხური ლექსები ბესიკის ამჟამად ცნობილ ლექსებს, მაგრამ ამ ცნობის დამადასტურებელი ფაქტი ვერ ვნახეთ. საიათნოვასთვის მთარგმნელობითი საქმე უცხო არ ყოფილა, თუნდაც მისი საკუთარი ლექსებისა. ამის შესახებ დაკვირვებას გვაწვდის ცნობილი აზერბაიჯანელი მკვლევარი პროფ. არასლი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიაში „საიათნოვა და ქართული ლიტერატურა“ (1963, № 43). ამ წერილში პროფ. არასლი სხვა საინტერესო შეხედულებებთან ერთად ერთ ასეთ მოსაზრებას გვთავაზობს: „საიათნოვას შემოქმედების საფუძვლიანმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ იგი ერთნაირი ძალით თარგმნიდა თავის ლექსებს აზერბაიჯანულიდან ქართულად, ქართულიდან სომხურად, ან პირიქით“. ამგვარივე ხასიათის შენიშვნა აქვს გ. ლეონიძეს: „როგორც ახლა ირკვევა, საიათნოვას თათრულიდან გადმოღებული ლექსებიც ჰქონია. სააზიო მუზეუ-

⁶ საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსები თეიმურაზისეული დაეთრის მიხედვით, თბილისი, 1970, გვ. 124.

⁷ ზ. ჭიჭინაძე, ბესიკი, აღ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, თბილისი, 1895, გვ. 10.

⁸ საიათნოვა, ტფილისი, 1918, გვ. 56.

მის ხელნაწერში მოთავსებულ ერთ თეჯლის ასეთი სათაური აქვს: „ეს თეჯლისი თათრულიდან ნათარგმნია“.⁹

როგორც ჩანს, საიათნოვასთვის არც თარგმნა უნდა ყოფილიყო უჩვეულო რამ და ეს საჭმეც ხელეწიფებოდა.

ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ მონოგრაფიის შექმნის ისტორია და შევეხეთ რამდენიმე საგულისხმო ლიტერატურულ ფაქტს. ახლა განვიხილავთ ი. გრიშაშვილის მიერ საიათნოვას ქართული ლექსების კვლევა-ძიებისა და მათი გამოცემის ტექსტოლოგიურ-ლიტერატურულ მხარეს.

ი. გრიშაშვილმა გასაოცარი გულმოდგინებით მონახა სიძველეთსაცავებში გაფანტული საიათნოვას ქართული ლექსები და გამოსცა ხმარებული ნაკლებად გასაგები სიტყვების ლექსიკონის დართვით. პოეტს ათიოდე ლექსი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერებიდან ამოუკრებია, ხოლო რამდენიმე ლექსი კი ილ. ჭავჭავაძის „ივერიიდან“ გადმოუბეჭდავს. 15 ლექსისთვის ნ. მარს გამოუგზავნია, რომელიც დიდ მეცნიერს თეიმურაზისეული ცნობილი დავთრიდან გადმოუწერია 1889 წელს. ახალგაზრდა პოეტისათვის ნ. მართან დაცულ საიათნოვას ქართული ლექსების შესახებ ცნობა მიუწოდებია სერგი გორგაძეს. პოეტს სასწრაფოდ მიუმართავს ი. ყიფშიძისათვის, რომელიც ამ დროს მოღვაწეობდა პეტერბურგში ნ. მართან. ი. ყიფშიძეს ის სთხოვს ნ. მართან დაცულ ლექსების გაცნობას, რათა შეუდაროს თავის მიერ ნაპოვნ ლექსებს, იქნებ ვარიანტებიო. ი. ყიფშიძისადმი გაგზავნილი ორი წერილი დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში, ი. ყიფშიძის ფონდში. პირველი წერილი დათარიღებულია 1916 წლის 18 მარტით:

„პატივცემულო იოსებ, ეს-ეს არის სერგი გორგაძემ გადმომცა, რომ თქვენ შეგიტყობინებიათ საიათნოვას შესახებ მარის აზრი, რომელსაც განზრახვა ჰქონია საიათნოვას შესახებ კრებული გამოეცა. ამას გარდა, რაც ყველაზე უფრო საინტერესოა, თურმე მაზს ჰქონია ქართული ლექსები საიათნოვასი, რომელიც დღეს იშვიათი საშოვარია! მე შეგკრიბე საიათნოვას შესახებ ყოველგვარი ცნობა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა საიათნოვას საქართველოს ცხოვრებაში და ლექსები კი სულ 14 აღმოვაჩინე ქართულად. ეხლა მინტერესება: მარის მიერ შეკრებილი ლექსების გადათვლიერება.

⁹ გ. ლეონიძე, საიათნოვა, თბილისი, 1930, გვ. 52.



იქნებ ამ ჩემ მიერ ნაპოვნი ლექსების ვარიანტია... ყოველ შემთხვევაში ძალიან დამავალბებთ, თუ მარს სთხოვთ და ლექსებს გაგაზიარებთ „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში, ჩემს სახელზე... სერგო გორგაძემაც ასე მიჩიია. თუ გსურთ, მაშინ ჩემს ლექსებს და ჩემს მასალას საიათნოვანზე თქვენ გამოგიგზავნით: მარს აჩვენეთ და დეე თვითონ თავის არქიტექტურით ააშენოს ერთ წიგნად ჩემი მასალები... ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრი ის არის, რომ სომეხი საიათნოვა ქართველებისათვის საინტერესო იყოს, რის ღირსიც, ალბათ, არის“.

ი. გრიშაშვილს მიუღია ხსენებული ლექსები ი. ყიფშიძის შემთხვევით, რისთვისაც პოეტი დიდ მადლობას უხდის:

„პატივცემულო იოსებ, მივიღე თქვენს მიერ გამოგზავნილი საიათნოვას ლექსთა რჩეული. გმადლობთ. უღრმესი მადლობა აგრეთვე ჩვენს სახელოვან მეცნიერ მარს, რომ ღირსად მცნო და თავისი ხელით გადაწერილი რვეული მათხოვა. ზოგიერთი ლექსი აქაც არის, ქ. შ. წ. კ. მუზეუმში, მაგრამ სხვადასხვა ვარიანტია, რასაკვირველია. რაც შეეხება იმ ლექსის შესახებ, რომელიც სხვადასხვა ენაზეა ნაწერი, ის ლექსი მეცა მაქვს, მაგრამ სხვა ვარიანტია. ეს ლექსი ვიპოვე ქ. შ. ნ. კ. ხელთნაწერში № 2385, რომელსაც ქვეშაწერია: „დასრულდა ყაფაი ოთხი ენისა“... სხვადასხვა ვარიანტია. ეს ლექსი მით უფრო საინტერესო იქნება, რომ სამი ენის ნაცვლად ოთხი ენა ყოფილა შიგ. ამას გამოკვლევა უნდა და ეს კი რა ჩემი საქმეა? მე მხოლოდ ვკრეფ, ვარიანტებს ვადარებ ერთიმეორეს, წინასიტყვაობას ვწერ ბიოგრაფიის ყაიდაზე. ლექსიკონს ვურთავ ბოლოში ზოგიერთი სიტყვის ასახსნელად, ჩემ მიერ შეკრებილ „ყარაჩოღელ ლექსიკონს“ განმარტებით და დანარჩენი კი — თუ კიდევ რამეა გასაკეთებელი — ეს ჩემს უნარს აღემატება და ბოდიშს ვიხდი... კიდევ მადლობა, დიდი მადლობა“.

ი. გრიშაშვილი მისთვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებით მიუთითებს ნ. მარის და ი. ყიფშიძის იმ უანგარო დახმარებაზე, რაც ამ ცნობილ მეცნიერებს გაუწევიათ მისთვის საიათნოვას ქართული ლექსის გამოცემის საქმეში (გვ. 45). კიდევ უფრო გულწრფელ მადლობას უძღვნის პოეტი ნ. მარს 1926 წელს გაგზავნილ ბარათში, რომლის პუბლიკაცია და კომენტარები პროფ. ი. მეგრელიძეს ეკუთვნის. პოეტი მადლობას უხდის საიათნოვას გამოცემის საქმეში უანგარო დახმარებისათვის. წერილი გამოირჩევა განსაკუთ-

რებული მოკრძალებული ტონით, რაც მიუთითებს სახელოვანი მეცნიერისადმი პოეტის უსაზღვრო პატივისცემას:

„დიდად პატივცემულო ნიკო იაკობისძე, თქვენი ჩემდამი ოდნავი ყურადღება მაკადნიერებს ამ ბარათის მოწერას. 1918 წელს განსვენებულ იოსებ ყიფშიძის ხელით მივიღე ის რვეული, რომელიც თქვენ მიერ იყო გადმოწერილი საიათნოვას ლექსები, მგონი ვახტანგისეულ ხელნაწერებიდან. მას შემდეგ ბევრმა დრომ განვლო. ბევრი ანკარა აზრი უშედეგოდ ჩაფხვდა ჩემში, ბევრს სიტყვას შემოუღობე მუსიკის სოლინარი, მაგრამ თქვენდამი პატივისცემა კი, მთასავით მძიმე და თვალშეუდგამი, არ მასვენებდა. არ მასვენებდა იმიტომ, რომ მსურდა ის სიკეთე, რომელიც საიათნოვას დასდეთ, პირადად გადმომეცა. მსურდა, თქვენი ტფილისში ყოფნის დროს გადმომეცა მადლობა, მადლობა და მადლობა, მაგრამ ის აზრი, რომ მე ერთი უბრალო პოეტი ვარ და თქვენი შეწუხება არ მინდოდა, მაბრკოლებდა. არ ვიცი, რამდენად მიცნობთ, როგორც მოშიარეს ან როგორც ტფილისის ყარაჩოღელების მონოგრაფისტს. ყოველ შემთხვევაში, დიდის მოწიწებით გიგზავნი ჩემი ლექსების მეორე ტომს (პირველი ვერ ვიშოვე), რამდენიმე ლექსს რუსულად უხეიროდ თარგმნილს, რომელიც 1921 წელს განათლების კომისარმა გამოსცა რუსთა გასაცნობად, და „საიათნოვას“. მე არა მაქვს არავითარი პრეტენზიები. ამიტომაც არის, რომ საიათნოვას წინასიტყვათაში შეიძლება არ დაგაკმაყოფილოთ. ეს წინასიტყვა პირველი ნაშრომია ამ დარგში. კალმის პირველი ნაცუღლუტარი და ამიტომაც ბოდიშის უფლებას ვიტოვებ. ეს კი უნდა ვსთქვა, რომ საიათნოვას ბიოგრაფია ძალიან მკლე იყო, და მინდოდა, რომ მისი საბაბით ძველი ტფილისის ზოგიერთ სპეციფიკურ გამოთქმებს და ადათებს თავისი აშიკი ჰყოლოდა. ასეა! სტილიც საიათნოვასებური დავიცავი: მასლაათური, ნოყიერი სტრიქონებით და არქაული სიტყვებით წახნაგული. ბოდიში, რომ ამ წიგნის გამოგზავნას ამდენი წელიწადი დასჭირდა.

მიიღებთ?

გმადლობთ.

ერთი რჩევა მინდა. ხალისი მაქვს დავწერო ალექსანდრე ჭავჭავაძის მონოგრაფია და მისი ლექსები აღვადგინო. ვერსად ვერ ვიშოვე ავტორის ავტოგრაფი. ჩვენს არხივებში და თვით ნაბეჭდ წიგნებში ერთი ჩქამიც კი არ არის დაძრული ა. ჭავჭავაძის პოე-

ტობის გამძლეობაზე. ყველაფერი აყირავებული სტრიქონებით იყ-
ყება და ხარვეზით მთავრდება.

თქვენ, ძვირფასო ნიკო იაკობის ძე, იცით ყოველივე, ნოვას ლექსებიც თქვენ რომ არ გადაგეცათ ყიფშიძისათვის, ჩემი საიათნოვა ვერ გამომზევდებოდა. იქნება ეხლაც მიმითითოთ მაინც რომელიმე წყაროზე? მე მინდა: მისი ლექსები (თუ ავტოგრაფი იქნება, რასაკვირველია, უფრო უკეთესია), მისი ყოფნის საბუთები პაუთა კორპუსში და ერთი წერილი, რომელსაც ა. ხახანაშვილი იხსენიებს თავის „სიტყვიერებაში“ (თითქოს ალ. ჭავჭავაძეს დარ-
ჩა ხელთნაწერი: „საქართველოს 1801—1831 წ. მდგომარეობის გან-
ხილვისა“), მაგრამ, სამწუხაროდ, არ ასახელებს, სად ინახება ეს ხელთნაწერი. მე კი ტფილელს, ყოველთვის საბუთი მიყვარს მყა-
რი და არა ელასტიური.

მე განა იმდენი არ მესმის, პატივცემულო პროფესორო, რომ ასეთ წვრილმანებისათვის არ უნდა გაწუხებდეთ, მაგრამ მე თქვენ მხოლოდ მითითებას გთხოვთ, იქნებ ზეპირად გახსოვთ რაიმე ალ. ჭავჭავაძის შესახებ და მერე კი მე ვიცი: მანდაურ ქართველ სტუ-
დენტებს ვთხოვ დახმარებას. თუ თქვენ ვერ მომწერთ ორიოდ სიტყვას, გადაეცით, რომელიმე სტუდენტს, რომ მომწეროს თქვენა-
ზრი.

მართლა, საიათნოვა როგორ მოგწონთ? ალ. ჭავჭავაძეც მაგ ყაიდაზე დავწერო? არა, მე მგონი ა. ჭავჭავაძეში სტილი უფრო დაწურული მექნება.

1913 წლიდან ვაგროვებ ისეთ სიტყვებს, რომელნიც მარტო ტფილისში ინახება: მაგ., მურაზი, ხოში, ნუგბარი, თამასა, თარ-
ფი, ჩაროზი და სხვ., ათასამდე იქნება. მე მხოლოდ უბრალო შემ-
გროვებელი ვარ და ჩემებურად ახსნილი... ძველი მოქალაქენი ისეთ სიტყვებს ხმარობენ, რომ ხშირად სამაგიეროდ სიტყვა ვერ მოუდ-
გება: თამასა — рейка, ჩაროზი — десерт და სხვა.

მინდა ეს რვეული გადავცე ტფილისის უნივერსიტეტს ან ენათ-
მეცნიერების საზოგადოებას, დე, ისე გამოსცენ, როგორც ერთ დროს თქვენის წინასიტყვაობით გამოვიდა ბერიძის და ჭყონიას ლექსიკონები.

ძვირფასო ნიკოლოზ, ვერსად ვერ ვიშოვე „ქართული ბიბ-
ლიოგრაფია“ (ახალგაზრდები რომ მუშაობდნენ მის შედგენაში, იმ წიგნს ვამბობ). იქნებ უბრძანო, ვის ხელშია ეს წიგნებია, რომ ფასდადებით ერთი ცალი გამომიგზავნონ? ჩემი მუშაობისათვის



პირდაპირ ხსნა იქნება ეს წიგნი. კიდევ ბოდიში. იქნებ რომელიმე თქვენი სტუდენტი გამოიმჩნევა? ბოდიში, ბოდიში, მარტო თქვენი პატივისცემელი ი. გრიშაშვილი“¹⁰.

უნდა ითქვას, რომ ამ წერილში ყველაზე უკეთ მოჩანს ი. გრიშაშვილი, როგორც იშვიათად პუნქტუალური მკვლევარი და სპეციალური და მოკრძალებული პიროვნება.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულია საშუალო ზომის რვეული, რომელშიაც დევს ი. გრიშაშვილის გამოცემული საიათნოვას ქართული ლექსები. პირველ გვერდზე პოეტის ხელით არის მიწერილი: „უშუალოდ რომ შევადარე ეს ლექსები ნ. მარის მიერ გადაწერილს, ბევრი შეცდომა აღმოჩნდა: ზოგი ლექსი მე გავმართე (ეს საჭირო იყო საიათნოვას სახელის დამკვიდრებისათვის ქართველებშიც). ეხლა მეორე გამოცემაში ყველა ამ ჩანამატებს სწორ ფორმებში ჩავსვამ“ (გ. 139151). ეს მინაწერი გაკეთებულია ლენინგრადში 1929 წელს. მართალია, პოეტს შეუღარებია მარის მიერ გადაცემული 15 ლექსი თეიმურაზისეულ დავთარში მოთავსებული ლექსებისათვის, მაგრამ ორიოდ ცვლილების გარდა არაფერი არ არის შეტანილი.

საერთოდ კი პოეტი-მკვლევარი სამართლიანად აღნიშნავდა იმ ტექსტოლოგიური სიძნელების შესახებ, რომლის გადალახვა მას მოუხდა საიათნოვას ქართული ლექსების გამოცემის მომზადების საქმეში. ი. გრიშაშვილმა ამ საქმეში ყამირი გატეხა და ამდენად კიდევ უფრო რთული სამუშაოს შესრულება მოუხდა, ვიდრე ჩვეულებრივ, როცა მხოლოდ პოეტის ლექსების ხელნაწერთა გამოცემასთან გვაქვს საქმე. ამიტომ ის ერთგვარი მობოდიშებითაც კი წერდა: „ამ წიგნში მოთავსებული ლექსებით ვერ დაფასდება საიათნოვას ნიჭი, პირიქით, მკითხველი ძლიერ უგემურად იგრძნობს თავს, განა არ ვიცი, რომ ერთი უშნო სტრიქონი მთელ ლექსს აფუჭებს და რამდენიმე უხეირო ლექსი მთელი კრებულის შთაბეჭდილებას ანელებს და ანიორწყლებს, მაგრამ თუ მაინც ვბედავთ და ვბეჭდავთ საიათნოვას ამ ლექსებს, მარტო იმიტომ, რომ მკითხველმაც იქონიოს ერთგვარი წარმოდგენა საიათნოვას ქართული ლექსებისადმი და დარწმუნდეს აგრეთვე, თუ რაოდენ განსხვავება შეიძლება იყოს ავტორის საკუთარი ხელით დანატოვარ ნაწილის შორის და ვინმე მკრეხელის გადაწერილ შორის“ (გვ. 47). მართ-

¹⁰ ურ. „ცისკარი“, 1972, № 11, გვ. 157—158.
 10. მწიგნობარი, I. 145



ლაც, საიათნოვას ქართული ლექსების შერჩევა და გამოცემა არც ისე იოლი საქმეა, რადგან აშუღლის ხელით დაწერილი არცერთი ქართული ლექსი არ შემორჩა. ამ მხრივ შედარებით კარგ მდგომარეობაშია საიათნოვას სომხური და აზერბაიჯანული ლექსები. ეს ლექსები საიათნოვას ხელით გადაწერილი შემოგვინახა ეგრეთ წოდებულმა ერევნის დავთარმა. ახალგაზრდა გრიშაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უამრავ ხელნაწერებში გაფანტული საიათნოვას ქართული ლექსები სწორი მეთოდით უძებნია. მას საიათნოვას ლექსად მიუჩნევია ყველა ის ლექსი, რომელიც უკანასკნელ სტროფში აშუღური პოეზიის ტრადიციისამებრ თვით ავტორის გვარი ყოფილა გარითმული (ამ შემთხვევაში — საიათნოვა), თუმცა პოეტს ნებისმიერი ცვლილებებიც შეუტანია საიათნოვას ზოგიერთ ქართულ ლექსში (რის უფლებაც ნამდვილად არ ჰქონდა): „ზოგიერთ ლექსს კი ზედმეტი ხორკლები მოვაცილე, ესეც ისე რაღა ზერელედ. ხოლო თვით ლექსის ტანს არ შევხებივარ, მისი სიქალწულით არ მისარგებლია. დაე, მკითხველმა შეაფასოს კარგი — კარგად, ავი — ავად“ (გვ. 45).

უნდა აღინიშნოს, რომ ი. გრიშაშვილს საიათნოვას ზოგი ლექსი რატომღაც არ შეუტანია თეიმურაზისეული დავთრიდან და აურჩევია თბილისში დაცული ვარიანტები. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ საიათნოვას ქართული ლექსი „მე შენთან სიყვარული მაქვს მეტად დიდხანია“ (დავთრის მიხედვით, გვ. 8). ძნელია თქმა, პოეტმა რატომ არ შეიტანა ეს ლექსი თავის გამოცემაში, ისე კი არაფრით არ ჩამოუვარდება და მხატვრულადაც მაღლა დგას მის გამოცემაში შეტანილ ამ ლექსის ვარიანტზე (გვ. 106).

ი. გრიშაშვილის ამ გამოცემას შეეხო ცნობილი ქართველი მეცნიერი კარპეზ დონდუა, რომელმაც გამომცემელს უსაყვედურა თეიმურაზისეულ დავთარში მოთავსებული საიათნოვას ქართული ლექსებისადმი მეტისმეტი უნდობლობა და მოიტანა მაგალითი, „დამახინჯებული“ ლექსით როგორ შეიძლება „დაუმახინჯებელი“ ლექსის გაშიფვრა. „საგულისხმოა, რომ იმავე სიტყვით „ჩასავლელი“ სარგებლობს საიათნოვას (ან როგორც თეიმურაზი ამბობს, საათნამას) შვილი იოანე (ივანე სეიდოვი) არაბული სიტყვის „მალრიბ“-ის სანაცვლოდ, საკუთარი ხელით ჩაწერილ ლექსში („რა ზარბაზი, რა ატლასი, რა ზარი ვარ, იცი განა?):

ეს ჩემი გულის ნაღველი ვატყობინე ირანველთა,
აღმოსავლეთს, ჩასავლელთა, ხელმწიფეთა, ერთა, ბერთა.

ი. გრიშაშვილის გამოცემაში ეს ორი პეჭარი ასე იკითხება:
ეს ჩემი გულის ნაღველი ვატყობინე ვრანელთა,
მასრიყელთა, მალრიბელთა, ხელმწიფეთა, ერთა, ბერთა.

თუ სიტყვა „ჩასავლეთი“ ამ შემთხვევებში უბრალო ანალო-
გიით არ აიხსნება (აღმოსავლეთ — აღმოსვლა, ჩასვლა — ჩასავლეთი).

სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე ვიტყვი, რომ საიათნოვას შვილის მიერ ჩაწერილი ლექსები არც ისე უგულვებელსაყოფია, როგორც პატივცემული ი. გრიშაშვილი ფიქრობს. „დამახინჯებული ლექსები“ ხშირად „დაუმახინჯებელი“ ლექსების ვინაობასაც გვამცნობს. დიდი სიფრთხილეა აგრეთვე საჭირო „ზედმეტი ხორკლების მოცილების“ დროს. მგოსანი ი. გრიშაშვილი მგოსნურად ეხმარება საიათნოვას ლექსებს, თუმცა, როგორც მისი შინაარსიანი წერილი გვიჩვენებს, თავის სტრიქონში მაინც, მისთვის უჩვეულო არ უნდა იყოს ელემენტარული საფილოლოგო აკრიბიაცა¹¹.

ი. გრიშაშვილის მიერ საიათნოვას ქართული ლექსების ამ გამოცემას გამოეხმაურა სომეხი მხატვარი გ. ბაშინჯალიანი, რომელმაც საქმიანად შეაფასა იგი: „გრიშაშვილის მიერ გამოცემულ საიათნოვას ყველა სიმღერის სხვადასხვა ვარიანტები არსებობს, ასე რომ არ მოიბოვება არც ერთი სიმღერა, რომელიც პირვანდელი სისწორით მოსულიყო ჩვენამდე. აი ასეთ პირობებში უხდებოდა მუშაობა წიგნის ავტორს. და თუ ჩვენ ამ წიგნს სრულ გამარჯვებად ვთვლით, ეს შედეგია გრიშაშვილის კეთილსინდისიერებისა და მუყაითობისა. მიუხედავად ამ გარემოებისა, გრიშაშვილი ქებისა და ტაშის ღირსია, მოვალეობად ვთვლი ორიოდ შენიშვნა მიეცე, როგორც ამას მიკარნახებს ჩემი აზრი და გონება. საიათნოვას აქვს ერთი სიმღერა, რომელშიც ბედს უჩივის, რომ ბერად აღიკვეცა, იგი დევნილი იყო ლულას კათალიკოსის მიერ, როგორც უღირსი ბერი და მფარველად ჰყავდა ერეკლე მეფე. ამ სიმღერაში, სხვათა შორის, ამბობს, გრიშაშვილის თქმით: „მტრედი ვიყავ მწყერობა რად მინდოდა“-ო. ჩემის ფიქრით კი, უფრო სწორი იქნებოდა. „ქორი ვიყავ მწყერობა რად მინდოდა“.

¹¹ სპარსულ-ქართული ცდანი, ტ. I, ლენინგრადი, 1926, გვ. 44-50. ამ საკითხს შეეხნენ თავიანთ წერილებში რ. კუსრაშვილი, „ი. გრიშაშვილი რედაქტორ-გამომცემელი“ (კრებ. „ტექსტოლოგიური საკითხები“, ტ. II, 1971, გვ. 46). მ. ხაფავა, „საიათნოვას ქართული ლექსები“ („მრავალთავი“, ტ. ფ. 1971, გვ. 243).



ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ი. გრიშაშვილის ეს ტექსტოლოგიური გასწორება არსად არ გაუთვალისწინებია. თუმცა ეს შენიშვნა ანგარიშის გაწევას იმსახურებს. გ. ბაშინჯალიანის არქივში დაცული ყოფილა საიათნოვას სომხური და ქართული ლექსების გამოცემები, სადაც მხატვრის ხელით კიდევ მრავალი ტექსტოლოგიური შენიშვნები ყოფილა გაკეთებული¹².

გ. ბაშინჯალიანიც მართებულად მიუთითებს ი. გრიშაშვილის მიერ საიათნოვას ქართული ლექსების გამოცემის სირთულეზე: „მკვლევარი გამომცემელი ერთი ხელმოკლე ადამიანია. მან სომეხ საიათნოვას დაკარგული, ცოტა-ცოტა დარჩენილი სიმღერები მოიძია, შეაქუჩა, დაამუშავა და გამოსცა. იგი ერთ დროს ლექსებსაც კითხულობდა საიათნოვაზე, რომელზეც სომხების მხრივ სამიოდე კაცი ესწრებოდა.“

ი. გრიშაშვილმა ეს საქმე დაიწყო 1914 წ. და დაამთავრა 1918 წელს და მე როგორც ცოცხალი მოწმე ვაცხადებ, რომ ახალგაზრდა იდეალისტი პოეტი ხარტუხში იჯდა. თავის პატარა ქოხმასში, რომელიც ზამთრის ცივ დღეებში არა თბებოდა და გაყინულ თითებს ხან პირით იორთქლებდა და ხან ამავე თითებით კალამს ამუშავებდა, რომ დაესრულებინა თავისი დაყენებული საქმე. ვის გაუგონია მისგან საყვედური ან მუნნათი. განა ღირსი არ არის გრიშაშვილი ქების და მაღლობის“.

ახალგაზრდა მკვლევარს გ. ბაშინჯალიანი უანგაროდ ეხმარებოდა არა მარტო საიათნოვას ქართული ლექსების შერჩევაში, არამედ მონოგრაფიის სომხური მასალების მოძებნასა და ქართულად თარგმნაშიც. ი. გრიშაშვილმა სომხური წერა-კითხვა არ იცოდა. გ. ბაშინჯალიანი უთარგმნიდა და აწვდიდა მას ლიტერატურულ მასალებს. ამის შესახებ ბეერს თვით ი. გრიშაშვილიც წერს: „ახლა ორიოდ სიტყვა განსვენებულ ბაშინჯალიანზე (1858—1925): გიორგი ბაშინჯალიანი ჩემი უფროსი მეგობარი იყო, ნათელი პიროვნება, სპეტაკი, უანგარო და საიათნოვას ლექსების აშიკი. როცა მე 1914 წელს საიათნოვას ლექსების შეკრების იდეა ჩამესახა, გიორგიმ დიდად შემიწყო ხელი ტექსტების დადგენისათვის, იგი აღფრთოვანებული იყო იმით, რომ ქართველი პოეტა საიათნოვას ასე სიყვარულით ეკიდებოდა და ეს აღფრთოვანება ბეჭდვითი სიტყვითაც გამოხატა. გიორგი ბაშინჯალიანი მხატვრია“

¹² ქურ. „მნათობი“, 1934, № 7-8, გვ. 320.

ვარდა, ბელეტრისტიკ იყო და თანამშრომლობდა როგორც სომხურ, ისე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში“.¹³

ისინი ბოლომდე მეგობრები და ერთმანეთის პატივისმცემლები დარჩენილან. როგორც პროფ. ი. მეგრელიძე იუწყება, მას ლენინგრადში გადაუთვალეირებია გ. ბაშინჯალიანის არქივი და იქ უნახავს ი. გრიშაშვილის გამოცემული „საიათნოვა“, რაზეც პოეტის ზელით ყოფილა გაკეთებული ასეთი გულთბილი წარწერა: „საიათნოვას აშოკს, საყვარელ მხატვარს და ძვირფას ადამიანს გიორგი ზაქარიას-ძე ბაშინჯალიანს“.¹⁴

ნოვეიანებით, 1957 წელს გ. ბაშინჯალიანის დაბადების ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით, საიუბილეო კომიტეტის სახელზე გზავნის საყვარულით აღსავსე წერილს.

ი. გრიშაშვილს არასდროს არ დავიწყებია გ. ბაშინჯალიანის ამაგი და ყოველთვის მადლიერებით იგონებდა მას.

ი. გრიშაშვილის მიერ გამოცემულ საიათნოვას ქართულ ლექსებს კ. კეკელიძემ დაუმატა ერთი ლექსი, რომელიც მან საიათნოვას ლექსად მიიჩნია. ეს „მუსტაზათი“ იწყება ასე:

თვალად ლამაზო, დამანახე შენი პირი მე,
ნუ მკლავ, შენი სურვილით მუდამ ვსტყვი მე.

ამ ლექსის საიათნოვას ავტორობა არ გაიზიარა გ. ლეონიძემ¹⁵, საიათნოვას და სტეფანე მკერვალის იგივეობას ამტკიცებს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი.¹⁶ ამდენად, თუ ლ. მელიქსეთ-ბეგის მოსაზრებას გავიზიარებთ (კ. კეკელიძეც სწორედ ამ შეხედულებას ეყრდნობა), მაშინ საიათნოვას უნდა მიეწეროს უეჭველად ის ცხრა ლექსიც (კ. კეკელიძის აღმოჩენილ 9 ლექსთან ერთად), რომლის ავტორად ლ. მელიქსეთ-ბეგი საიათნოვას ვარაუდობს¹⁷.

ჩვენ არ გამოვუდგებით ამ უკანასკნელი მოსაზრების საფუძვლიანობის გამორკვევას, მაგრამ ერთს კი ვიტყვით, რომ საიათნოვა თავის ყველა ლექსის ბოლოს თავის სახელს რითმავს. ასე

¹³ გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1934, № 27 (სხვათა შორის ი. გრიშაშვილი შეცდომით უთითებს გ. ბაშინჯალიანის გარდაცვალების თარიღს — 1924 წ. ე. „საბჭოთა ხელოვნება“, 1935, № 3, გვ. 95).

¹⁴ ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1972, № 10, გვ. 75.

¹⁵ გ. ლეონიძე, მგოსანი საიათნოვა, თბილისი, 1930, გვ. 54.

¹⁶ ლ. მელიქსეთ-ბეგი, საიათნოვა, თბილისი, 1930, გვ. 93—99.

¹⁷ იქვე, გვ. 149—157.



რომ, ვერ დაასახელებთ საიათნოვას ვერც ერთ ლექსს, რომ უკანასკნელ სტრიქონებში საიათნოვა არ იყოს მოხსენიებული ამავე დროს არავითარი ხელჩასაჭიდი საბუთი არ გავვაჩნია, რომ საიათნოვას ფსევდონიმად მიჯნური მივიჩნიოთ, როგორც ლ. მელიქსეთ-ბეგი ფიქრობდა. ამის ნიადაგზე ადგენს ამ ცხრა ლექსთა საიათნოვას ავტორობას. ვფიქრობთ, ი. გრიშაშვილს სწორად ეპარება ეჭვი, როცა მის არქივში დაცულ „საიათნოვას“ ზემოთ ხსენებული ცალის 96-ე გვერდზე შენიშნავს: „პროფ. კ. კეკელიძის წიგნში, ტ. II, არის საიათნოვას ლექსი! მართლა იმისია? არა მგონია. უნდა შევედავო. იქ საიათნოვა არ არის, იქ მიჯნურია ლექსში მოხსენებული, უამისოდ საიათნოვა ლექსს არ ამთავრებდა“.

ი. გრიშაშვილი ყოველთვის სიამოვნებით იგონებდა საიათნოვაზე მუშაობის პერიოდს და ამაყოფიდა კიდევ, რომ ამ დიდებული აშუღის პოეზიით დაინტერესა ქართველი მკითხველი საზოგადოება: „ძალიან სასიხარულოდ დამრჩა ის გარემოება, რომ ჩემ მიერ გასროლილმა თესლმა ნაყოფი გამოიღო. 1914 წელს, როცა ქართველმა ინტელიგენციამ წინადადება მომცა ახალგაზრდა ჰაბუკს შემესწავლა საიათნოვა, მე სიამოვნებით დავთანხმდი, ხოლო მწერლების ერთი ჯგუფი აღმაცერად უყურებდა საიათნოვას შემოქმედებას. ჩემს წიგნში მაინცა და მაინც დიდი აზრისა არა ვარ საიათნოვას ლექსებზე, თვით საიათნოვა კი მწამს და ვამბობ, რომ იგი იყო დიდი მგოსანი, მაგრამ მისი ლექსები, ჩვენამდე მოსული, ისეა დამახინჯებული, რომ ავტორს ჩრდილში აყენებს“ (გვ. 139).

ეს, სამწუხაროდ, ასეა და დღემდე საიათნოვას ქართული ლექსის არც ერთი ავტოგრაფი მიკვლეული არ არის. რაც შეეხება ჩვენს ხელთ არსებულ ლექსებს, მათში ზოგჯერ ქართული ენობრივი ნორმების დარღვევა შეიმჩნევა (რასაც გადამწერს ვერ დავაბრალებთ). მაგალითად, „მთვარისაგან ლამაზი ხარ“, „სურისაგან ლამაზი ხარ“ და სხვ. „მთვარისაგან“, „სურისაგან“, არის სომხურის დაწყებით ბრუნვაში დასმული ფორმები, რაც ქართულად უნდა იყოს „მთვარეზე ლამაზი ხარ“, „სურაზე ლამაზი ხარ“, საიათნოვას ეს სიტყვები პირდაპირ ვადმოაქვს, თარგმნის და ქართულ ზე-თანდებულს არ უსადაგებს, მიუხედავად ამგვარი ენობრივი ნორმების დარღვევებისა, საიათნოვას პოეტური ნიჭი და მხატვრული ოსტატობა ქართულ ლექსებშიც მოჩანს.



ქრონიკა



საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების III ყრილობა

საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საზოგადოების მესამე ყრილობა, რომელიც ჩატარდა 1984 წლის 20 ივნისს.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა 420 დელეგატი, მოწვეული სტუმრები, საზოგადოების აქტივისტები.

ყრილობა გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის გამგეობის თავმჯდომარემ, პოეტმა-აკადემიკოსმა, სოციალისტური შრომის გმირმა ირაკლი აბაშიძემ.

მან აღნიშნა, რომ ყრილობა ემთხვევა საზოგადოების დაარსების მეათე წლისთავს. ეს ათწლიანი გზა იყო ჩვენი ამ კეთილშობილური მოძრაობის საქვეყნოდ გაშლისა და დამკვიდრების გზა, გზა საზოგადოების რიგების ზრდის, ახალ-ახალი ძიებების, საკუთარი პროფილის გამოკვეთისა და ავტორიტეტის ამაღლებისა.

ბევრი რამ გაკეთდა გასული ათი წლის მანძილზე. წიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ მოიპოვა ავტორიტეტი და პატივისცემა ჩვენი ხალხისა! ამას კი ენერგიული შრომით მივაღწიეთ. ჩვენ უნდა დავაფასოთ და საქმიანად გამოვიყენოთ ის დიდი ყურადღება და დახმარება, რომელსაც ჩვენი პარტია, რესპუბლიკის ზღვამქვეანელობა და პირადად ე. ა. შევარდნაძე იჩენს ჩვენი საზოგადოების მიმართ. ჩვენი მუშაობის გარდატეხის, შემდგომი აღმაშენების ნიშანს ეტყობა უნდა იქცეს ის დიდი შეფასება, რომელიც ჩვენს საზოგადოებას მისცა ამა. ე. ა. შევარდნაძემ ამასწინანდელ რესპუბლიკური პარტიული აქტივის კრებაზე. ამასთან, მომავალი მუშაობის დიდი ამოცანებიც დაგვისახა.

გვწამს, რომ საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოება თავისი შეიდასი ათასამდე წევრით კვლავაც ღირსეულად შეასრულებს თავის როლს რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში.

საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის ანგარიში ყრილობას წარუდგინა რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. კაკაბაძემ.

საანგარიშო მოხსენებაში სათანადოდ იქნა გაშუქებული წიგნის მოყვარულთა რესპუბლიკური საზოგადოების ორგანიზაციებში დარგობრივი ლიტერატურის პროპაგანდის მიზნით გაწეული მუშაობა, დადებითად აღინიშნა აჭარისა და აფხაზეთის ასსრ, თბილისის, ფოთის, ჭიათურის, წყალტუბოს, ტყუბულის საქალაქო, გორის, ვერჯანის, კასპის, მახარაძის, მესტიის, სამტრედიის, ლანჩხუთის, თეთრი წყაროს, ჩხოროწყუის რაიონული ორგანიზაციების გამგეობათა საქმიანობა.

მთელი პროპაგანდისტული და მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებამ, პრაქტიკულ საქმიანობაში ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვამ ხელი შეუწ-



ყო საზოგადოების რიგების ორგანიზაციულ განმტკიცებას. თუ 1980 წლისათვის საზოგადოების რიგებში გაერთიანებული იყო 552 ათასი წევრი, მესამე კვირის განხილვის დღისათვის ინდივიდუალურ წევრთა რაოდენობა შეადგენს 655 ათას კაცს. მათ შორის მოზრდილ წევრთა რაოდენობა 70 ათასი კაცით გაიზარდა.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო რაოდენობის 15% საზოგადოების წევრია, ხოლო სოფლის მოსახლეობის ყოველი მეექვსე მცხოვრები გაერთიანებულია საზოგადოების რიგებში.

სარევიზიო კომისიის ანგარიში ყრილობას წარუდგინა საზოგადოების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ გ. გოგიაშვილმა.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე რ. ლლონტი, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების აფხაზეთის რესპუბლიკური ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე შ. შაკია, საზოგადოების აჭარის რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარე ნ. გუგუნაია, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი რ. მიმინოშვილი, თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მდივან-აკადემიკოსი ა. აფაქიძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე მ. დარჩია, რუსთავის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე ლ. საყვარელიძე, ჩხოროწყუს რაიონის ახუთის ნოვატორი მეჩაიე, ლენინური კომკავშირის ლაურეატი გ. ჩიტაია, თეთრი წყაროს რაიონის მოგვის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ზ. ჯორჯიაშვილი და სხვები.

ყრილობას მიესალმნენ აზერბაიჯანის სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. სალახოვა, სომხეთის სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. მირიჯანიანი.

ყრილობის მუშაობა შეაჯამა წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ბუილოვამ.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანი გ. ენუქიძე, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. ენდელაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია.

ყრილობაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ.

ყრილობამ მიიღო სათანადო დადგენილება. აირჩია რესპუბლიკური გამგეობისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობა, წიგნის მოყვარულთა საკავშირო საზოგადოების მესამე ყრილობის დელეგატები.

გაიმართა ახლადარჩეული გამგეობის პირველი პლენუმი და სარევიზიო კომისიის სხდომა.

გამგეობის პლენუმმა საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩია პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი ბესარიონის ძე აბაშიძე, გამგეობის პირველ მოადგილედ დ. კ. კაკაბაძე, მოადგილეებად: რ. მ. ლლონტი, გ. ი. ფაჩიკიძე, თ. დ. ონოფრიშვილი, გამგეობის პასუხისმგებელ მდივნად ლ. შ. ნადარეიშვილი.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა რ. რ. ცხვარაძე, მდივნად ლ. ვ. ბაბილუა.

ო. გოჩელაშვილი

წიგნის მოქმედება პირადი ბიბლიოთეკების დათვალიერება-კონსერვაცია



საკავშირო საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის დადგენილებით 1983 წლის 1 თებერვლიდან 1 ნოემბრამდე მიმდინარეობდა საზოგადოებრივ სარგებლობაში ჩართული საუკეთესო პირადი ბიბლიოთეკების დათვალიერება-კონსერვაცია.

რესპუბლიკურმა გამგეობამ შექმნა დამთვალიერებელი კომისია, რესპუბლიკის ყველა რაიონულ და საქალაქო გამგეობებს დაეგზავნათ დათვალიერების პირობები და დებულება, აფიშა-პლაკატი.

დათვალიერებას ფართოდ გამოეხმარნენ რესპუბლიკის ყველა რაიონსა და ქალაქში; ადგილობრივმა გამგეობებმა სპეციალური მიმართვები და რესპუბლიკური გამგეობიდან მიღებული აფიშა-პლაკატები გააქრეს პირველად ორგანიზაციებში, ჩაატარეს ბიბლიოფილთა საქალაქო, რაიონული შეკრებები. სულ რესპუბლიკაში 200-მდე ასეთი შეკრება ჩატარდა. დათვალიერება-კონსერვაციის მიმდინარეობას აშუქებდნენ საკავშირო, რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთები.

რეგულარულად ეწყობოდა გამოფენები პირადი ბიბლიოთეკებიდან. მარტო კონსერვაციის პერიოდში მოეწყო 250-მდე გამოფენა.

კონსერვაციის პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა ბიბლიოფილთა მონაწილეობა სალექციო მუშაობაში. ისინი ლექციებს ატარებდნენ წარმოება-დაწესებულებებში, სკოლებში, აცნობდნენ მსმენელებს უნიკალურ წიგნებს, ხელნაწერებს პირადი ბიბლიოთეკიდან, ატარებდნენ საუბრებს წიგნთმცოდნეობისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის საკითხებზე.

ბიბლიოფილთა დასახმარებლად და მათი წიგნადი ფონდების წესრიგში მოსაყვანად შეიქმნა აქტივისტთა ჯგუფები, რომლებშიც შედიოდნენ ბიბლიოთეკების მუშაკები. მათი მეშვეობით შედგა 52 პირადი ბიბლიოთეკის კარტოთეკა.

ბიბლიოფილები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოების ხაზით ჩატარებულ საშეფო მუშაობაში.

საკუთარი ბიბლიოთეკებიდან წიგნები გადასცეს სოფლის ბიბლიოთეკებს, სკოლებს, დამკრეპლურ მშენებლობებს, გემების ეკიპაჟებს. სულ შეაგროვეს და სხვადასხვა ორგანიზაციას გადასცეს 5000-მდე წიგნი.

დათვალიერების პერიოდში კომისიამ მრავალი ბიბლიოფილი გამოავლინა.

კონსერვაციაში გამარჯვებული 15 ბიბლიოფილი დაჯილდოვდა ცენტრალური გამგეობის სიგელებითა და წიგნებით, მათ შორის: გიორგი ნიკოლოზის ძე ჭავჭავაძის (თელავი), ვალერიან ბესარიონის ძე მეგრელიშვილი (სამტრედიო), პავლე პლატონის ძე ბერეკაშვილი (ტყიბული), მზევიან მანუელის ასული ბუიძე (ადიგენი), რიმა ნიკოლოზის ასული ვესიუტოვა (თბილისი), შალვა ანდრიაის ძე გურაბანიძე (თბილისი), კონსტანტინე ივანეს ძე ყვავაძე (ადიგენი), ნიკო ივანეს ძე კვეზერელი-კობაძე (თბილისი), ბორის ლაზარეს ძე პოლიაკი (თბილისი), გენადი ოქროპირის ძე საღუნეშვილი (სახხერე), ცილა ისაკის ასული სვანიძე (თბილისი), სერგო გრიგოლის ძე ტიმაკოვი (თბილისი), მიხეილ ივანეს ძე შენგელია (თბილისი), ვახტანგ ბესარიონის ძე ბარათაშვილი (თბილისი), გურამ უზეინის ძე კახიძე (ბათუმი).

მათ შორის წიგნებით დაჯილდოვდნენ ე. ბ. ბარათაშვილი, გ. უ. კახიჭიშვილი და გ. ნ. ჯავახიშვილი.

დათვალიერება-კონკურსის ორგანიზებულად ჩატარებისა და მასში მონაწილეობისათვის ცენტრალური გამგეობის სიგელებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობა, თბილისისა და ბათუმის საქალაქო ორგანიზაციების გამგეობები.

რ. კაიშაური

სასურსათო პროგრამის რეალიზაციის სამსახური

1983 წლის 1 ოქტომბრიდან 1984 წლის 1 მაისამდე მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის პროპაგანდისა და გავრცელების საქვეშინო დათვალიერება-კონკურსი, რამაც ერთხელ კიდევ დაადასტურა თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურას სოფლის მეურნეობის მუშაობა კვალიფიკაციის ამაღლების, მათი პროფესიული დაოსტატების საქმეში.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობა და „ცეკავ-შირის“ გამგეობა პასუხისმგებლობით მოეკიდნენ დათვალიერების ორგანიზებულად ჩატარებას, მიიღეს შესაბამისი დადგენილება, შეიმუშავეს დებულება და ერთობლივი სამოქმედო გეგმა. დამთვალიერებელი კომისიის თავმჯდომარედ დამტყიცდა „ცეკავშირის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. ს. წილოსანი.

დათვალიერებაში ჩაება 3000-მდე პირველადი ორგანიზაცია, 58 წიგნის მაღაზია, 30 წიგნის დამტარებელი, 438 წიგნის საზოგადოებრივი გამავრცელებელი, რომლებიც სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ საკითხს და მუშაობის ნაცად მეთოდებთან ერთად გამოიყენეს ახალი სინტერესო ფორმები.

მკითხველთა კონტერენციების, განხილვების, მიმოხილვების, გამოფენების, გამოფენა-ბაზრობების, დეკადების, კვირეულების, ერთთვიურების, წიგნის ზეიმების მოწყობის პარალელურად გამოყენებულ იქნა წიგნის მშრომელებთან მიტანის ისეთი ფორმაც, როგორიცაა სავაჭრო ქსელში არსებული ლიტერატურის მცირე ბიბლიოთეკებად დაკომპლექტება, რომლებიც გაიგზავნა 460 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

ეფექტური გამოდგა სარეკლამო-საგამოფენო ვიტრინებიც, რომლებიც ახალი ლიტერატურით შევსებისთანავე „იწყებდნენ მოგზაურობას“ წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მინდვრებსა და პლანტაციებში, ფერმებში.

სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოფენა-გაყიდვა ხშირად უკავშირდებოდა სასოფლო-სამეურნეო აქტივის კრებებს. ასეთ შეკრებაზე გაიყიდა 18900 მანეთის ლიტერატურა.

დათვალიერებაში ჩაებნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ბიბლიოფილები, რომელთაც საზოგადოებრივ სარგებლობაში ჩართეს პირადი ბიბლიოთეკები.

მაიაკოვსკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ლენინის ორდენოსანმა ა. კიკნაველიძემ რაიონის ცენტრალურ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 50 სასოფლო-სამეურნეო წიგნი, ასევე მოიქცა აგროსამრეწველო გაერ-



თიანების თავმჯდომარის მოადგილე მ. ფურცელაძე, ვარციხის ღვინის ქარხნის მფლობელნი ი. სულამანიძე, ისინი დაჯილდოვდნენ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რეგისტრირებული გამგეობისა და „ცეკავშირის“ გამგეობის დიპლომებითა და გულგებლობით. ბიბლიოფილის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ე. ჯაშის პირადი ბიბლიოთეკის სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურით ფართოდ სარგებლობენ მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკები.

დათვალიერების პერიოდში შინაარსიანი და მრავალმხრივი მუშაობა გასწიეს მახარაძის, მთიანეთის, კასპის, წყალტუბოს, ლანჩხუთის, ზესტაფონის, სოხუმის, ხელვაჩაურის, თეთრი წყაროს და სხვა რაიონული ორგანიზაციების გამგეობებმა და შესაბამისმა კოოპორგანიზაციებმა.

განზოგადებას იმსახურებს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ლანჩხუთის რაიონის ჯურჯუვეთის კოლმეურნეობის, აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რაიონის ერგეს კოლმეურნეობის, აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონის გუმისტის კოლმეურნეობის, ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, მთიანეთის რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკის პირველადი ორგანიზაციების საქმიანობა (თავმჯდომარეები ი. კვაჭაძე, ე. ლორთქიფანიძე, თ. შამუგია, დ. ებანოიძე, ი. ფერაძე).

პასუხისმგებლობით მოეკიდნენ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გავრცელებას წიგნის სავაჭრო ორგანიზაციები. მაგალითად, აჭარკოოპკავშირი (უფროსი საქონელმცოდნე რ. ფოცხიშვილი), გეგეუკორის რაიკოპერატივი (საქონელმცოდნე დ. ვაშაყმაძე), დიდი ჭიხაიშის (გამყიდველი ნ. ბიბლაშვილი), მცხეთის (გამყიდველი ლ. მარტყაშვილი), წალენჯიხის (გამგე დ. კალანდია), მახინჯაურის (გამგე დ. ჩანგირაძე), წითელწყაროს (გამგე ა. ლეიშვილი) წიგნის მაღაზიები. ისინი დაჯილდოვდნენ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რეგისტრირებული გამგეობისა და „ცეკავშირის“ გამგეობის დიპლომებითა და სიგელებით.

რეგისტრირებულმა კომისიამ კონკურსში გამარჯვებულად სცნო და პირველადილი მთავრად წიგნის მოყვარულთა საზოგადოების მახარაძის რაიონული ორგანიზაციის გამგეობას (გამგეობის თავმჯდომარე გ. თავაძე, პასუხისმგებელი მდივანი მ. შარაშენიძე) და რაიკოპერატივის გამგეობას (წიგნის საქონელმცოდნე ა. ქარცივაძე).

მეორე ადგილი მთავრად მთიანეთის რაიონული ორგანიზაციის გამგეობას (თავმჯდომარე ა. კვინიძე, პასუხისმგებელი მდივანი დ. გორგიძე), და რაიკოპერატივის გამგეობას (წიგნის საქონელმცოდნე ი. კაციშვილი).

მესამე ადგილი მთავრად სოხუმის რაიონის გუმისტის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების პირველად ორგანიზაციას (თავმჯდომარე თ. შამუგია) და გეგეუკორის რაიკოპერატივის გამგეობას (წიგნის საქონელმცოდნე ა. ქიქვა).

სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის პროპაგანდისა და გავრცელების საკავშირო დათვალიერებამ ხელი შეუწყო ამ დარგის ლიტერატურის პროპაგანდასა და გავრცელებაში დადებითი გამოცდილების დაგროვებას. კონკურსი წინგადაღებული ნაბიჯია სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის ზრუნვის დიდმნიშვნელოვან საქმეში.

დ. კაციტაძე

შინაარსი

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების III ყრილობას	5
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ანგ. გ. ენუქიძის სიტყვა	9

წიგნი და ცხოვრება

უ. ობოლაძე, სარკე ქართველი ხალხის სულისა	17
ს. ხუციშვილი, ქართული ბეჭდური წიგნის ძეგლი	35
ლ. მაისურაძე, გზა ვარსკვლავებისაკენ	48

ბიბლიოთეკები და ბიბლიოფილები

თ. ცხვედიანი, წიგნები საქართველოს შესახებ ვ. ი. ლენინის პირად ბიბლიოთეკაში	57
ა. ლორია, დაუფიქსარი მოღვაწე	67
ი. არღუთინსკაია, ლადო ასათიანის სახელობისა	77

ძიებანი

ი. ლოლაშვილი, ეფთვიმე მთაწმიდელის წერილი აპოკრიფული წიგ- ნების შესახებ	91
ი. ყიფიანი, ამხანაგობა „ცისკარი“ და „ქართული ენციკლოპედია“	103

წარსულის ფურცლები

ე. ხინთიბიძე, ათონელ ქართველ მწიგნობართა შემოქმედებითი პრინ- ციპები	127
ბ. არველაძე, იოსებ გრიშაშვილი და საიათნოვა	13ა

ქრონიკა

საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების III ყრილობა	153
წიგნის მოყვარულთა პირადი ბიბლიოთეკების დათვალიერება-კონკურსი	155
სასურსათო პროგრამის რეალიზაციის სამსახურში	156

ლექსები

ანა კალანდაძე, რა მოგწონს უფრო?	34
ჭემალ ჭაყელი, წიგნო ქართულო	47
ალექო შენგელია, გიყვარდეს წიგნი	88
გიორგი ლეონიძე, წარწერა ჩემს წიგნზე	124
იური პეტროვი, მე მდიდარი ვარ	124

СОДЕРЖАНИЕ

III съезду Общества любителей книги Грузинской ССР	5
Выступление секретаря ЦК Компартии Грузии тов. Г. Енукидзе на III съезде Общества книголюбов Грузии	8
У. Оболадзе. Зерцало души грузинского народа [о книге Я. Гогешашвили «Деда зна» («Родная речь»), которому в городе Тбилиси возведен памятник]	17
С. Хуцишвили. Монумент грузинской печатной книги [о переиздании первопечатных грузинских книг, изданных в 1629 году (Рим)]	35
Л. Майсурадзе. Путь к звездам [о работе клуба книголюбов при первичной организации Абастуманской обсерватории]	48
Т. Цхведiani. Книжки о Грузии в библиотеке В. И. Ленина	57
А. Лория. Незабываемый труженик [о библиографической и библиотековедческой деятельности Н. Лорткипанидзе]	67
И. Аргутинская. Имени Ладо Асатиани [о работе тбилисской городской детской библиотеки]	77
И. Лолашвили. Е. Мтацминдели об апокрифических книгах	91
И. Кипиани. Товарищество «Цискари» и «Грузинская энциклопедия» [из истории создания грузинской энциклопедии]	103
Э. Хинтибидзе. Творческие принципы афонских грузинских книжников [X—XII вв.]	127
Б. Арвеладзе. Иосеб Гришашвили и Саятнова [о поисках Иосеба Гришашвили при исследовании творческого пути Саятновы]	136

ХРОНИКА

III съезд Общества любителей книги Грузинской ССР	153
Смотр-конкурс личных библиотек	155
На службе реализации Продовольственной программы	156

ПОЭТИЧЕСКАЯ РУБРИКА

1. Анна Каландадзе. Что тебе больше нравится?	34
2. Джемал Джакели. Книга грузинская	47
3. Алеко Шенгелия. Люби книгу	88
4. Георгий Леонидзе. Надпись на моей книге	124
5. Юрий Петров. Я богат	124

ОБЩЕСТВО ЛЮБИТЕЛЕЙ КНИГИ ГРУЗИНСКОЙ ССР



МЦИГНОБАРИ-84

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1986

რედაქტორი ე. ტრიპოლსკი
მხატვრული რედაქტორი აკ. თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორი ნ. კირთაძე
გამომშვები მ. შქედლოძე

გადაეცა წარმოებას 07. 03. 85. ხელმოწერილია დასაბეჭდად
12. 03. 86; საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×84¹/₁₆. გარნიტური
ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბაში 9,3.
პირ. სალ.-გატ. 9,83. საალრ.-საგამომც. თაბაში 7,66.

ტირაჟი *15.000. უე 68834. შეკვ. № 1031.

ფასი 55 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი მარჯანიშვილის 5.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის, 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Ե

Թ



Թ

Ե